

644 /
1964/4



3065240

3 0 6 5 2 4 0
1 9 6 4



თეზრონა. მხატვარი გრიგოლ ჩირინაშვილი.

სილსაქი



1696

უინაარსი

ნოდარ ფულეისკირი — თეთრი მთა. ამბავი	3
ტარიელ ვანტურია — მიწის ძახილი. პოემა	16
თამაზ ზილაძე — მკა. მოთხრობა	27
ხუტა გაგუა — ლექსები	32
რეზო ჭიჭიშვილი — ჩემი მეგობარი ნოდარი. რომანი	34
ოთარ კუპრავა — ორი ხმა. ლექსი	55
იოსებ ჭამერტელიძე — მამის გაბ- ხენება. ლექსი	59
ლამარა გვაჯავა — სინანული. მოთხრობა	60
ტარას შვეჩენკო — ლექსები	64
ერნესტ ჰემინგუეი — ჰარი მორგანი. რომანი	74

3

მარტი

1964

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ კანკავა — თემის მიგნების საიდუმლო	97
ფაშა ციციშვილი — „მზის საათი“	102
გიორგი მერაბილაძე — ორი ბედი	107
ფურაბ ჭუმბურიძე — ომონიშია და მხატვრული თარგმანის საკითხები	126
ზოტა ძიძიგური — პეტრე იბერიე- ლის თარგმანების ახალი გამოცე- მის გამო	134

გამოცემლობა

„ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკკ ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ხელოვნება



ტატა თვალზრამლიძე — ძიების
გზით 144

მეცნიერება და გაქნივა

ე. მიშელი — აღამიანის ტვინის
რეკორდები 149

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ს ა რ ე დ ა ქ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

გურამ გვერდუთელი, კარლო კალაქე, როინ მეტრეველი, გურამ ფან-
ჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ
ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

თეოლოგია

1933

დიდი თოვლი მოვიდა. თებერვალში ასეთი თოვლი და ყინვა საკალანდარიოს არ ახსოვს. გურამსა და ზურაის საქმე გაუჩნდათ. როგორც ნამდვილი ვაჟკაცები და ოჯახის ბურჯები, დილით ადრე ადგნენ, თოვლი გაზომეს, სამზადისა და ოდა-სახლის კედლები შეათვალიერეს, ვიდრე ქალები ადგებოდნენ, ყოყინით ავარდნენ სახურავზე და მთელ სოფელს გააგებინეს, რომ საჭიროა სახურავების გადათოვლვა. ბიჭებმა თითქოს ნიშანი მისცესო, ყველა შარვლიანმა კალანდარიამ ნიჩბით ხელში სახურავს მიაშურა. მეზობლები ერთმანეთს ეძახდნენ, შორიდან ყვირილით ესალმებოდნენ, ეხუმრებოდნენ. სოფელმა გაიღვიძა და სახურავებზე აიჭრა.

— ჰე, ჰეი, ჰეი!.. — უმიზეზოდ აყვირდა ზურია. გურამს გაეცინა.

ყეფდნენ ძაღლები. ყმაწვილები, ვაჟკაცები, ბერიკაცები მარჯვედ იქნევდნენ ნიჩბებს, ყინვასა და თოვაში ოფლად იღვრებოდნენ... ცხოვრებამ მიწიდან სახურავებზე გადაინაცვლა.

მშვენიერი სანახავი იყო იმ დილით საკალანდარიო. ბათუ კვლავ იწვა. ვერ იქნა და ვერ გამოძობინდა. ისევ შესვენებლივ უღრღნიდა ძვლებს რაღაც, თითქოს თავი შესჩენიაო. ამ დილით, როცა ბავშვები მხიარულად წამოიშალნენ, დიდი თოვლი მოვიდაო,

ბათუმ მხოლოდ თავი წამოსწია და ფანჯარაში გაიხედა, ეზო-მიდამოს თვალი მოავლო. ცუდად არის, თორემ ბათუს ახლა ლოგინში რა უნდა! ძალიან ცუდად არის ბათუ კალანდარიო, სულ გამოთეთრდა და დაუძლურდა, ცხვირილა შერჩა, კაცი ცხვირად გადაიქცა, ნეტავ აქამდე სად იმალებოდა ამხელა ცხვირი! იწვა მოხუცი გაქათქათებულ ლოგინში და განაბული უსმენდა სახურავზე ბიჭების ხმაურს.

- კიდევ თოვს?
- რომელი საათია?
- ბიჭები რას აკეთებენ?

წარამარა ეკითხებოდა ბათუ ელენეს, ქვაცაცის და თინიკოს.

ელენემ საწოლთან სკამი მიუჩოჩა, საათი მომართა და დაუდგა. ბათუს უცნაური ჩვევა ჰქონდა, როგორც კი ჩაწვებოდა, უსაათოდ ერთ წუთს ვერ ძლებდა. ფეხზე მდგარი, კარგად მყოფი საათს არასდროს მოიკითხავდა. ჩაწვებოდა და ატყდებოდა — „რომელი საათია? რომელი საათია?“. თითქოს სადღაც აგვიანდებოდა. ზოგჯერ დაავიწყდებოდათ საათის სკამზე დადგმა, დატოვებდნენ ავადმყოფს ოდაში და... გადიარებოდა ბათუ კალანდარიო! კედელს ჯოხს დაუშენდა, „ელენე... თინიკო!.. ზურია!..“ უცხოს ყური რომ მიეგდო — კვდება კაცი, იღუპებაო, იფიქრებდა. გულგახეთქილი ელენე კიბეს ამოასკდებოდა, აქოშინებული ოთახში შემოვარდებოდა. ბათუ, ვი-

თომ აქ არაფერიო, ჰკითხავდა „რომელი საათია?...“

საათი სასთუმალთან დაუდგეს, იფიქრეს, თვითონაც მოისვენებს და ჩვენც მოგვასვენებსო. მაგრამ ბათუმ ვერ მოისვენა, საათმა მთლად გააწამა, შესცქეროდა ციფერბლატს და ეჩვენებოდა, რომ გაფუჭდა, წარამარა ყურთან მიჰქონდა.

— ელენე! — დაუძახა ბათუმ ცოლს, — დრო ისე ნელა გადის, შეიძლება კაცი გაგიჟდეს, წაიღე საათი, არ მინდა.

ელენე ქმარს გაუბრაზდა:

— რა პატარა ბავშვივით ჰირვეულობ, შე კაცო, გქონდეს საათი, თუ არ გინდა უყურო, შეატრიალე, როცა დაგქირდება, შემოატრიალე, — ელენემ ბათუს უჩვენა, როგორ მოქცეულიყო: საათი შეატრიალ-შემოატრიალა და სკამზე დადგა. — ხომ ხედავ, ოჯახში ათასი საქმეა, გაგვიწიე ანგარიში.

მას შემდეგ ბათუს საათს სკამზე უდგამდნენ. ახლა იგი საათს არ კითხულობდა, მაგრამ შინაურებს მაინც არ ასვენებდა.

— სად წავიდა ის ბიჭი?

— რომელი, ბატონო?

— გურამი.

— აგერ გადავიდა, მეზობლისას.

— ზურია სად არის?

— მეცადინეობს.

— საღორეში შეიხედეთ?.. წვიმა თუ ჩამოდის, ღორები ღროვით სამზადის უკანა თვალში დააბინავეთ, როცა ავდგები, გავაკეთებ. ვენახის ბოლოს ორი ძირი ფორთოხალი დამრჩა, შეფუთეთ, თორემ გაიყინება. ჩალა პატარა ზვინიდან გამოაძვრეთ, დიდ ზვინს ხელი არ ახლოთ. გურამს უთხარით და გააკეთებ. ზურიას შეფუთული არ ვარგა. ნაკელის მოსასუფთავებლად ჩემს თოხს ნუ იხმართ, გაფუჭდება.

— შენს თოხს როდის ვხმარობდით, ბატონო.

— კი, ზოგჯერ იცის ხოლმე ქვაცაცობი, ნაკელის თოხს მინდორში დატოვებ, ეძებს, ეძებს და, როცა ვერ იპოვნის, ჩემსას ჩამოიდებს... სასიმილდე შე-

ათვლიერეთ, ეგებ ვინმემ გამოცალა...

ბათუ რას იფიქრებდა, თუ ამდენ ხანს ჩაწვებოდა. კაცს თავის ციფერბლატში ეგონა, ერთადერთი კავშირი გარესსამყაროსთან შეკითხვები იყო, გაუთავებელი, მომაბეზრებელი შეკითხვები. იგი ხვდებოდა, რომ შეკითხვა და ჰკულის დარიგება ყველას მობეზრდა, ელენესაც კი, მაგრამ რა ექნა, სხვაგვარად არ შეეძლო.

ამ დილით, როცა დიდმა თოვლმა მთელი სოფელი გარეთ გამოყარა, იქნებ წამოვდგეო, გაიფიქრა. გაიფიქრა და სწორედ მაშინ კვლავ ეცა ძვლებში რალაც. მოკუნტა, მოკრუნჩხა კაცი; მანამ არ მოეშვა, ვიდრე არ გადაიფიქრა. დანებდა და თავის კარმიდამოს მხოლოდ შეკითხვებითა და წარმოდგენით ჩამოუარა.

— კიდევ თოვს?

— თოვს, ბატონო.

— თოვლი სანამდეა?

— მუხლამდე.

— ბიჭები რას აკეთებენ?

— გზებს კვლავენ საპირფარეშომდე, სამზადამდე, საღორემდე გაკვალულია, ახლა ჰიშკრისკენ დარჩა გასაწმენდი და შემოვლენ.

— ატმებს შეხედეთ? თოვლს ხომ არ დაუმტვრევია?

— არა, ბატონო.

— ბიჭებს უთხარით, სასიმილდე გადახვეტონ. პირუტყვს ცეცხლი დაუნთეთ, ჩალა ბლომით დაუყარეთ, ასეთ ამინდში ჩალას ნუ დაზოგავთ. თეოფილეს სახლი გადახვეტეს? თეოფილე ვერ ავა სახურავზე.

— მხვეტავეები ჯგუფ-ჯგუფად დადიან, ერთ ამბავში არიან, ეს წუთია თეოფილესას შევიდნენ...

თავის შეკავება არსად ისე არ არის საჭირო, როგორც შინაურებთან, ახლობლებთან, მეგობრებთან ურთიერთობაში. ზოგიერთს ჰგონია, ახლობლებს — ცოლს, შვილს, დას, ძმას — შეიძლება ისე მოექცე, როგორც გინდა. დიდი გულითაა: როგორ, ჩემი სისხლი და ხორცია, რაღად მინდა ცოლი, შვილი, და, ძმა, ნათესავი, რაც მე მინ-



და, იმას თუ არ გააკეთებდნო. ის კი ავიწყდება, რაც მათ უნდათ.

ბათუ არ იყო ასეთი კაცი. მის მახვილთვალს მცირედი უკმაყოფილებაც კი არ გამოეპარებოდა. იცოდა, რომ ავადმყოფი მოხუცის მოვლა ახალგაზრდებისათვის სულ არ იყო სასიამოვნო და ამიტომ მათ არ აწუხებდა. უფრო ხშირად ელენეს ასაქმებდა. ელენეც სიყვარულით ემსახურებოდა, თუ დაიდლებოდა, იმასაც ეტყოდა, არ მოერიდებოდა.

გაუჭირდა ძალიან ბათუ კალანდარიას ასე ცხოვრება. ყოველ დღეს თავს აჯერებდა, ახლა უსათუოდ ავადგებო. ათასნაირ წამალს სვამდა. ექიმებმა იცოდნენ, რომ ბათუს შვილები გაუჩენელს გააჩენდნენ და თუ რამ ახალი წამალი ეგულებოდათ, უნიშნავდნენ. თემრაზმა ცალკე გამოუგზავნა წამლები და ნესტორმა — ცალკე. ნესტორი უკვე თბილისში მუშაობდა. წერილს ყოველდღე იწერებოდა: ჩამოვალთ და მამას თბილისში წაიყვანათო. ექიმები უარზე იყვნენ, — მგზავრობა არ შეიძლებაო.

იწვა ბათუ წვერმოშვებული, გათეთრებული და ხვალინდელ დღეს ელოდებოდა. არც ერთხელ არ უფიქრია იმაზე, რაზეც ადამიანები ავადმყოფობის პირველ დღიდანვე ფიქრობენ. მხოლოდ ის აშფოთებდა, რომ პატარავდებოდა. მეჩვენებო, ფიქრობდა. ხელით მოისინჯავდა მკერდს, მხრებს, მკლავებს, ბარძაყებს და გაკვირვებული გაირინდებოდა; საკუთარი სხეული ეცოტავებოდა, თითქოს მოკლდებოდა კიდევ. მეჩვენებო, ფიქრობდა...

ერთი მზიანი დღე გამოვიდა, დიდი თოვლი ნახევარზე მეტი გაიპარა. ბათუ კარგ გუნებაზე დადგა. ზამთრის მზე მოხუცების მეგობარია, მოხუცივით უძლურია და კეთილი. იგი მზეს არასოდეს შეფიცხებია, ზოგიერთივით არასდროს გამოუტანია სკამი, არ დამჯდარა და ძვლები მზისთვის არ შეუშვერია. ასეთი მოხუცებისათვის დაუცინია, მაგრამ ზამთარში მზე მართლაც

სასიამოვნოა, მოხუცების ნამდვილი მეგობარია.

ეს მეგობარი შემოვიდა იმ დღეს ბათუს ოთახში. ჯერ ფანჯრიდან შემოიქყიტა, შემოვიდა, როგორც მასპინძელი, ბათუს ხელი გაუწოდა და წამოაყენა.

სანთელივით ჩამომდნარი, მაგრამ ქვასავით გამოკვეთილი — დადგა ფეხზე ბათუ. გაიარ-გამოიარა ოთახში, დარბაზში, მხოლოდ ერთხელ გამოვიდა აივანზე. გული სიხარულით აეკსო. გაიხარეს შინაურებმაც. სალამოს მზე ჩავიდა, მოსარკული ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ყინვამ დაბნელებას აღარც კი დაუცადა, გამდნარი თოვლი აახრახუნა, სახურავებზე ლოლუები ჩამოკიდა.

— ამ სალამოს დიდი ყინვა იქნება, — თქვა ბათუმ და აღრიანად ჩაწვა. ჩაწვა და იგრძნო, რომ ცუდად იყო, თითქოს გული მისდიოდა, თუ ძარღვებში სისხლმა მოძრაობა შეწყვიტა. „არაფერია, გამივლის“, გაიფიქრა და ჰერს შეაცქერდა. უეცრად ჰერი შექანდა, საწოლმაც ჰაერში დაიწყო ფოფინი, მოხუცს პირველად ეგონა, რომ მიწა იძრა. მსგავსი რამ მას არასოდეს განეცადა. იფიქრა, ლოგინიდან გადმოვვარდებო, წამოხტა და როგორც კი ფეხი იატაკს დააკარა, იატაკი სადღაც გაიქცა... ძირს მკვდარივით დაენარცხა. ხმაურზე ელენე და ქვაცაცი შემოვარდნენ. იატაკზე დამხობილი კაცი რომ ნახეს, თავზარი დაეცათ. შეჰკვივლეს და ავადმყოფს მივარდნენ. ქვაცაციმ მთელი სამეზობლო ფეხზე დააყენა. გურამი ექიმთან გაიქცა. მკვდრისფერი ბათუ იატაკზე ეგდო. ქალები ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ავადმყოფი ვერაფრით ვერ დააწვინეს ლოგინზე.

ერთმა მეზობელმა ქალმა იყვირა:

— ხელი არ ახლოთ, არ შეიძლება, გაინძრევა თუ არა, მოკვდება!..

ახლა მთლად დაიბნა ელენე, თინიკომ არ იცოდა რა ექნა, — მომზადე-

ნოდარ წულგისკირი
თეთრი მთა

ბული ნემსი ხელში ეკავა და ხან ელენეს შეჰყურებდა, ხან იმ მეზობლის ქალს, რომელმაც ახლა აქ ყველაზე მეტი იცოდა.

— უქეიმოდ ნურაფერს გაუკეთებთ! ბათუს ოთახი მეზობლებით აივსო, ყველა ცდილობდა რაღაც ეთქვა, სასოწარკვეთილ ელენეს რაიმეთი დახმარებოდა, მაგრამ ახლა აქ აზრის გამოთქმა უფრო უზრდელ ლაყბობას ჰგავდა, ვიდრე დახმარებას. უქეიმოდ არავის არაფერი შეეძლო. საცვლებისამაირა ეგდო კაცი ცივ იატაკზე და მშველელი არ ჩანდა.

— ექიმი! ექიმი! — შეჰკივლა ელენემ და ხელეზგაშლილი ოთახიდან გამოვარდა.

ზურია თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. ზურიას თეოფილე, ამბროსი და სერაპიონას ბიჭები მიჰყვნენ. ახლა უკვე ხუთი კაცი იყო წასული ექიმის მოსაყვანად, მაგრამ ოცდაათიც რომ წასულიყო, რა აზრი ჰქონდა? მხოლოდ ელენეს დასამშვიდებლად წავიდა ამდენი კაცი. ექიმს გურამიც მოიყვანდა. თუ გურამი მოისაზრებდა, აჩიკოსთან მიიბრუნებდა, ჩაუჭდებოდა მანქანაში და ექიმს კარზე მანქანით მიადგებოდა, მაშინ ყველაფერი სწრაფად მოხდებოდა, ავადმყოფს მოუსწრებდა. თუ ჯერ ექიმთან მივიდოდა და მანქანის ძეხნას მერე დაიწყებდა, საქმე წასული იყო. ექიმი შორს არ ცხოვრობდა, მაგრამ ასეთ დროს ერთი კილომეტრიც დიდი მანძილია...

სწორედ ამ დროს, ერთადერთ საშველივით, შარავზაზე აჩიკოს მანქანა გამოჩნდა. ექიმი მოვიდა. უკვე კარგად მოსაღამოვებულიყო, მაგრამ ბათუ კალანდარიას დიდ ოდაში ყველგან ენთო სინათლე, აივანი და მთელი ეზო ელექტრონს გაეჩაღებინა. როგორც კი ექიმი მოვიდა, მეზობლები აივანზე გამოვიდნენ, ხმა გაკმიდეს. ოდაში სრული სიჩუმე ჩამოწვა. დაგვიანებით მოსულები კიბესთან გროვდებოდნენ, შეცივებულიები ხელებს იორთქლებდნენ, ამბავს იგებდნენ და შინისაკენ გარბოდნენ.

ექიმი ბათუს იქვე იატაკზე მშობლარეს გამოუღო სისხლი და მხოლოდ შემდეგ დააწვინა ლოგინში. ავადმყოფმა მალე გამოიხედა. ელენემ, თინიკომ და ქვაცაციმ ამოისუნთქეს. მეზობლები ახმაურდნენ. ბათუ გადარჩა. ხალხით სავსე ოთახებში და აივანზე გმირებივით დადიოდნენ აჩიკო შოფერი, მეზობლის ქალი, რომელმაც პირველმა თქვა, წნევის ბრალია, ავადმყოფის განძრევა არ შეიძლებაო, გურამი და ექიმი. თვალცრემლიანი ელენე აჩიკო შოფერს, ექიმს, ყველა მეზობელს მადლობას უხდოდა.

ხალხი როდის-როდის დაიშალა.

მეორე დღეს დილით ადრე, ბათუსთვის არც უკითხავთ, დებეშები გაუგზავნეს ნესტორს, თემრაზს, თათუშას. ნინას. ბათუმ თავის ოთახში შვილები და შვილიშვილები თავმოყრილი რომ ნახა, თვალები გაუბრწყინდა, ყველა მათგანი სათითაოდ ჩაათვალიერა და მერე დაბალ ხმაზე მშვიდად იკითხა:

— როგორ ხართ, შვილებო?

ელენე სატირლად დარბაზში გავიდა. თათუშამ და ნინამ ვერ მოითმინეს და მამას გადაეხვივნენ, შუბლი და წვერით გაბურღული ნიკაპი დაუკოცნეს.

— კარგი, ბაბა, გეყოფათ, ნუ ტირით!

ამშვიდებდა ბათუ ქალიშვილებს.

— რა საჭირო იყო თქვენი შეწუხება, რა ვუთხრა ელენეს, ხვალ ან ზეგ ავდგები, სამიში არაფერია, — ამბობდა ბათუ და ნესტორს და თემრაზს შესცქეროდა. ლამაზ კოსტუმებში გამოწყობილნი, სუფთად და კონტად ჩაცმულნი შორიახლოს იდგნენ და მამას შემფოთებულნი უყურებდნენ — „გათავებულა კაცი“...

იქვე იდგნენ თათუშას ბობრი ბიჭები, ნინას შავი გოგონები და ბუთხუზა გოგია, თემრაზის ლამაზი ბიჭი რეზო, თინიკო, ქვაცაცი, გურამი, ზურია, ქეთინო, თამაზი. ბუხართან მარტო იჯდა ბათუს თეთრი რძალი — ელისო.

ელენე ოთახში ვერ ჩერდებოდა და წამარა დარბაზში გადიოდა.

გახიზარა ბათუს ოჯახმა. როცა გაჭირდა, დრო ყველამ გამოიხაზა, ყველამ მოიცალა. ბათუ არ აპირებდა შვილებსა და შვილიშვილებს ასე დახვედროდა, ფიქრობდა, თუ მეღირსა და შალვა ჩამოვიდა, შევატყობინებ ყველას, ნათესავებს, მეგობრებს, ახლობლებს, დავპატივებ მთელ სოფელს, კაკლის ძირას, ჭიშკრამდე ვავჭიშკავ მაგიდებს, გავშლი სუფრას და მთელ ქვეყანას ვაჩვენებ, რა ოჯახი მაქვს, რა შვილები და შვილიშვილები მყავსო. გაუცუდდა ოცნება ბათუ კალანდარიას.

იმ დღეს ბათუ თითქოს მომჯობინდა, შვილებმა მოარჩინესო — ამბობდნენ მეზობლები. სალამოს კი დაბარებულივით ეწვია ის მღრღნელი თავგი იყო თუ რაღაც, გულისგამაწვრილებლად რომ უჭამდა სხეულს. თემრაზმა და ნესტორმა მთელი ღამე გაათენეს, ელენესაც არ გაუხდია.

ნესტორი მეორე დღეს აპირებდა წავლას, მაგრამ ვერც შესამე დღეს წავიდა, ვერც მეოთხე დღეს... ავადმყოფი დღითიდღე ილეოდა. ექიმები იმედს არ იძლეოდნენ: წლების ბრალია, წამლები აღარ უშველისო.

ყოველ საღამოს ღამისმთევლებით ივსებოდა დარბაზი. თუ თავს ცუდად გრძნობდა, ბათუ ოთახში არავის უშვებდა. მხოლოდ ელენე შედიოდა და უკითხავად თავზე დაადგებოდა, შუბლზე ხელს დაადებდა. ბათუ თვალს გაახელდა და დახუჭავდა.

— ხომ არაფერი გინდა, ბატონო?

— არაფერი.

ელენე ფეხაკრფით გამოდიოდა დარბაზში და ბუხრის პირას შვილებსა და შვილიშვილებში ჩაჯდებოდა. ბუხარი ყველა ოთახში გიზგიზებდა. ისხდნენ ბუხრის პირას, გვიან ღამემდე საუბრობდნენ, მორიგეობით ათევდნენ ზამთრის გრძელ ღამეს. ბავშვებს ნებას არ აძლევდნენ ღამე ეთიათ.

მწუხარე დღე გაუთენდათ კალანდარიებს. ადგილობრივ ექიმებს არ ენდვნენ და სამტრედიელი, სენაკელი ექიმები შეაწუხეს. სოფელში კაცი არ დარჩენილა, ბათუ რომ არ ენახა. ვალა მეეტლე ხომ, რაც ნესტორი და თემრაზი ჩამოვიდნენ, შინ სულ არ წასულა. თეოფილესა და ამბროსის ელენე პატარა ბიჭებივით ასაქმებდა. ექიმებს, სტუმრებს, მომსვლელებს, წამსვლელებს დახვედრა უნდოდა, ბათუ კალანდარიას ოჯახს, მართალია, უჭირდა, მაგრამ დარბაზში გრძელ მაგიდაზე სუფრა დილიდან საღამომდე გაშლილი იყო. ჩუმად, უხმაუროდ იღებდნენ „ერთ ჭიქას“ სტუმრები და ავადმყოფს ლოცავდნენ.

სალამოს მთელი დღე შრომითა და ჯაფით წელში გაწყვეტილი შინაურები და მეზობლები ვახშამს მიუხსდნენ. დარბაზის ფანჯრიდან ელექტრონით განათებულ აივანზე ელენემ ადამიანის ლანდს მოჰკრა თვალი. კაცის მოსვლა რად გაუკვირდებოდა, ყოველ წუთში მოდიოდნენ და მიდიოდნენ მეზობლები, მაგრამ ლანდი ფანჯარასთან გაჩერდა. „ვინ არის ნეტავ?“ გაიფიქრა ელენემ, წამოდგა, კარი გამოაღო და... გაშრა ქალი, ეგონა შიშისაგან ენა ჩაუვარდებოდა, თორემ იკივლებდა... ფანჯარასთან კუკური კალანდარია ატუზულიყო. ელენემ სწრაფად მიხურა — ბიჭებმა არ დაინახონო. გარეთ გავიდა, კუკურის შემფოთებული მიუახლოვდა.

— თუ შეიძლება... თუ შემომიშვებთ... როგორც გინდათ, ისე დამსაჯეთ... ბათუს ვინახულებ... სულელი ვიყავი... — ლუღლუღებდა კუკური კალანდარია.

ელენე გაოცებული, აკანკალებული შესტკეპროდა კუკურის და თვალს და ყურს არ უჯერებდა...

— რომელი ხარ, შვილო, შენ? —

ნოდარ წულეისკირი
თეთრი მთა

უნებლიეთ იკითხა მან, თუმცა კარგად ხედავდა, ვინც იყო.

— კუკური ვარ, დეიდა ელენე, ვერ მიცანიო?

— ვერა, შვილო, ამ ღამეში... ბებერი ქალი...

ახლა ელენე ალუღლუღდა.

— რა იყო, შვილო, რა მოხდა? ცუდი რამ ხომ არ შეგემთხვა?

— არა, დეიდა ელენე, არაფერი არ შემმთხვევია... ძალიან გთხოვთ, ერთი წუთით. ბათუსთან შემიშვით, მე მასთან საზიზღარი დამნაშავე ვარ და არ შემიძლია...

— კი, შვილო, მაგრამ ახლა ნესტორი შინ არის და... — ელენე შეწუხდა: — იქნებ ხვალ მოხვიდე, დილით რაიონში უნდა წავიდეს...

— ნესტორს უთხარით, რომ მამაბატოს... ახლა შემოვალ... თუ არა და წავალ, რა გაეწყობა...

ელენე დარბაზში გაფითრებული შევიდა, ნესტორს თავზე დაადგა და წამოიწყო:

— ჩვენს ოჯახს სირცხვილი არასოდეს უჭამია, მტრობა და მოშურნეობა ვაჟკაცების საქმე არ არის, თუ კაცი არ გვეტყობა, შენ რატომ უნდა ემტრო, რაც არ უნდა დაგიშავოს, მაინც შენია...

— რა იყო, დედა, რა მოხდა? არ გვეტყვი? — მოთმინების ფიალა აეგსო თემრასს.

— თუ ჩემი ხათრი გაქვთ, თუ გიყვარვართ და პატივს მცემთ...

— მითხარი, გადამარჩინე! — აღარ აცალა ნესტორმა.

— კუკური კალანდარია მოვიდა! — ელენემ შვილს თვალი თვალში გაუყვარა. მას ახლა აქ მხოლოდ ნესტორისა ეშინოდა, თორემ სხვებს ნებას არ მისცემდა ხმა ამოედოთ. არც არავინ აპირებდა ხმის ამოდებას, ყველა ნესტორს მისჩერებოდა, რას იტყოდა, რას იზამდა. ნესტორი სუფრის თავში იჯდა. ახლა აქ მოქმედებდა ბათუს კანონი — „უფროსს ნუ გადაახტები“, თორემ გურამი და ზურია, თათუშას ბობრი ბიჭები, თვითონ მშვიდი და წყნარი თემრასიც კი შეშფოთდნენ.

ნესტორი ასეთ დროს მამასავით ფიცხი და დაუნდობელი იყო, ამიტომაც ყველა დაფრთხა, მოლთხდნენ ირინდა.

— თუ არ მომკლავ და თავს არ მომპრი, შენ იცი, შვილო...

სიჩუმეში გაისმა ელენეს მიკნავებული, მთლად უიმედო, განწირული ხმა, რადგანაც შენიშნა, რომ ნესტორს რაღაც არაადამიანურად აენთო თვალები. უეცრად ელენე შეიცვალა, როგორღაც ძალა მოიკრიფა, ალბათ სიცოცხლეში პირველად თვალებში რისხვა ჩაუდგა, ნესტორს ხმის ამოდება არ აცალა და კრუხივით მიაფრინდა:

— სიტყვა არ დაძრა, იცოდე! მე დედა ვარ და არ მოგცემ უფლებას!..

ასე გაკაბასებული დედა ნესტორს არასოდეს ენახა და გაეცინა.

— მე არაფერს არ ვამბობ, დედა, რად მიბრაზდები?

— გინდოდა გეთქვა.. არ ვარგა ასე, შვილო, ჩვენი ახლობელია, მეზობელია, შემოვიყვან და არაფერი არ უთხრა...

— არაფერს არ ვამბობ, ბატონო, შემოვიდეს!..

ნესტორმა თემრასს გადახედა. თეოფილეს მოეჩვენა, რომ სუფრის თავში იჯდა ბათუზე უფრო დიდი კაცი. თითქოს უფრო შეუყვარდა ნესტორი. ქალებმა შვებით ამოისუნთქეს. კუკური შემოვიდა, ყველას ერთად მიესალმა, მიესალმა კი არა, თავი დაუქნია. სუფრისკენ, სადაც ოჯახის წევრები და მეზობლები ისხდნენ, არც გაუხედავს, თავჩარგული მოწყდა ადგილიდან და პირდაპირ ბათუს ოთახში შევიდა.

— მთვრალი უნდა იყოს, — უჩიურჩილა ქვაცაციმ თეოფილეს.

— არა, აღელვებულია, რცხვენია, — თქვა თეოფილემ.

კუკურის ელენე შეჰყვა.

— ბათუ, ბატონო, კუკური მოვიდა.

ბათუმ თვალები გაახილა, კუკურის შეხედა და კვლავ დახუჭა.

— ვინ კუკურია? — როდის-როდის ამოიღო ხმა ავადმყოფმა.

— ჩვენი კუკური, ბატონო, კალანდარია.

— რომელი კალანდარია?.

კუკური სიტყვებს ვერ არჩევდა, მხოლოდ ელენეს შეკითხვებით ხვდებოდა, რას ჩურჩულებდა მოხუცი.

— ანეტას კუკური, ბატონო, ფილიპეს კუკური...

„გათავებულა კაცი, ნეტავ არ მოვსულიყავი“, გაიფიქრა კუკური კალანდარიამ.

— დღეს მეორეჯერ დაკარგა ცნობიერება, ვერც ერმილე იცნო, — ელენე ავადმყოფს საწოლზე ჩამოუყვდა და მავა გაუსინჯა: — დღეს ძალიან ცუდაა, დაჯექი, შვილო... — ელენე ცრემლებს იწმენდდა და ავადმყოფს თვალს არ ამორებდა.

— რამე ხომ არ გინდა, ბატონო?..

— წყალი...

კუკური ერთ ადგილას გაქვავებული იდგა. თავს უხერხულად გრძნობდა, ოთახიდან ისე ვერ გამოვიდოდა, დარბაზში არ გაველო. დარბაზში კი ხალხი იყო, ხალხისა რცხვენოდა, განსაკუთრებით ნესტორისა და თემრაზის ერიდებოდა.

— დაჯექი, შვილო, მითხარი, როგორა ხარ, ანეტა როგორ არის...

ელენემ ავადმყოფს წყალი დაუსხა და გაპირვებით შეასვა.

— დეიდა ელენე, წყალ — თქვა კუკურიმ და ოთახიდან გავიდა.

— მადლობელი ვარ, შვილო, — მიიძახა ელენემ სტუმარს, მაგრამ მას უკვე აღარაფერი ესმოდა, დარბაზში ბათუს ოთახის კართან წამით შეჩერდა, იქნებ უმჯობესია მივიდე ნესტორთან, თემრაზთან, ხელი ჩამოვართვა, ბოდიში მოვუხადო, გაიფიქრა. ეს მოსული ვაჟკაცი ბალღივით არეული იდგა ბათუს ოჯახის წინაშე. სუფრას უკვე აღარავინ არ უჯდა. ქალები მაგიდას ალაგებდნენ, ნესტორი ბოლთას სცემდა, პაპიროსს აბოლებდა, თემრაზი ტახტზე ნახევრად წამოწოლილი გახეთს ათვალიერებდა, კედელზე ეკიდა ბათუს მამის ყარამან კალანდარიას გადიდებული სურათი.

კუკურიმ დარბაზს თვალი მოავლო, ბიჭებთან მისვლა ვერ გაბედა და გადაწყვიტა იქაურობას გაცლოდა.

— სად გარბიხარ, ბიჭო, მოდი აქ! — შემოვსმა ნესტორის ხმა.

კუკური უკვე კართან იდგა, წამიც და სამშვიდობოს იქნებოდა, აქ სული ეხუთებოდა, ეშინოდა თუ რცხვენოდა... უნებლიეთ შემობრუნდა — შუა დარბაზში იდგა დიდი ტანის ბათუ კალანდარია.

— მოდი, ბიჭო, აქ, მოდი! ნუ გეშინია...

ნესტორის ხმაზე მეორე ოთახიდან გამოვიდნენ გურამი და თათუშას ბიჭები. თინიკო და ქვაცაცი თეფშებით ხელში ადგილზე გაქვავდნენ, ნესტორს შეაჩერდნენ. თემრაზი ფეხზე წამოდგა. საიდანაც ზურიაც მოვარდა. ელენემ ავადმყოფი მიატოვა და დარბაზში თავი შემოპყო. ელისო მთლად გაფითრდა, შეშინებული ქმარს გვერდში ამოუდგა. თათუშა და ნინა ელენესკენ გაემართნენ და წინასწარ დაუწყეს დამშვიდება.

ნორწამხდარი კუკური ნესტორს მიუახლოვდა. მის მეხსიერებაში ნესტორის სიკაბუკის წლებმა გაიფლვა. კუკური მეხუთე კლასის მოსწავლე იყო, როცა ნესტორმა საშუალო სკოლა დაამთავრა. ტოლებში ყველას სჯობნიდა. კუკურისა და მისი ამხანაგებისათვის ნესტორი დაუმარცხებელი გოლიათი იყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. კუკურიმ კარგად არც კი იცოდა, ახლა ნესტორი ვინ იყო, რას აკეთებდა, ისიც კი არ ახსოვდა, სად მუშაობდა. კუკურის იმ ნესტორის ერიდებოდა, იმ ნესტორს სცემდა პატივს, თორემ დღევანდელი ნესტორი არც იცოდა, არც აინტერესებდა. როგორც ოცი წლის წინათ, შემკრთალი და შეშინებული, პატარა ბავშვივით მიუახლოვდა.

— რა უნდა გიყო, ბიჭო, ახლა მე შენ, — თქვა მშვიდად დაბალმა გო-

ნოდარ წულგისკირი
თეორი მთა

ლიათმა და კუკურის ცივმა ოფლმა და-
ასხა: მისი სახისაკენ წამოვიდა ნესტო-
რის მარჯვენა ხელი. „ნეტავ რას მიზი-
რებს“, გაიფიქრა კუკურიმ და თვალთ
დაუბნელდა, — ნესტორმა ყური აუ-
წია.

— მეტის ღირსი არა ხარ, გლახა-
კო! — თქვა ზიზღით ნესტორმა.

კუკური შეირხა, ორივე ხელი გაშა-
ლა და ნესტორს გადაეხვია.

— მაპატიე, ძმაო, დამნაშავე ვარ!
ვფიცავ, ბათუ მე მამასავით მიყვარს...
მაპატიეთ, სისულელე ჩავიდინე... ბავ-
შვი ვიყავი... არ ვიცოდით...

— შეგირცხვა ცხვირი! — თქვა ელე-
ნემ და ცრემლები გადმოჟყარა.

ნესტორმა ძლივს მოიშორა კუკურის
მკლავები, სკამზე დასვა და დაამშვიდა.
სიჩუმე ჩამოვარდა. თენრაზმა მას
ზრდილობისათვის ორი შეკითხვა მისცა.
ბავშვები და ქალები ოთახებში გაი-
კრიფნენ. დარბაზის დიდ ბუხართან
დარჩნენ კუკური, თემრაზი და ნესტო-
რი. სიჩუმეში ტკაცუნობდა აკაციის
დიდი მუგუზალი. ნესტორი განუწყვეტ-
ლივ აბოლებდა, თემრაზი ერთ პაპი-
როს ერთ საათს ეწეოდა. ოთახიდანაც
კი არ ისმოდა ადამიანის ხმა. ეს იყო
სიჩუმე, რომელიც არასასურველ სტუ-
მარს ეუბნება: წადი შენი გზით, ხომ
ხედავ, აქ შენი ადგილი არ არისო. კუ-
კური სიჩუმეს გვიან მიუხვდა, წამოდ-
გა, ნესტორს და თემრაზს დაემშვიდო-
ბა და თეთრ ღამეს მისცა თავი.

— წავიდა? — თავი შემოჰყო ოთა-
ხიდან ელისომ.

— წავიდა, შემოდით, — თქვა თემ-
რაზმა.

— აქ უფრო თბილა, სხვა ოთახებში
პატარა ბუხარია, სითბოს გემო არა
აქვს, — თქვა ელისომ, დაბალი სკამი
დაიდგა და ბუხარს სოფლელი ქალივით
მიეფიცხა. ელისოს თათუშა და ნინა
მოჰყვნენ, ქვაცაციც შემოვიდა, თინი-
კოც.

გურამმა ხმელი შეშა შემოიტანა და
დანაკერცხლებულ მუგუზლებს და-
აყარა. მალე ბუხარი აგუგუნდა, გა-
ჩაღდა და ქალებმა სკამები უკან გა-

აჩოჩეს, ცოტა ხანში კვლავ ^{ვაჩოჩეს}
სკამები და ბუხრის წინ ფართო წრე
შეიკრა. გაქრენული
ზიზღით

მოვიდნენ ღამისმთევლები. ელენე
შეწუნდა, როცა მათ შორის სანდრო
კალანდარია შენიშნა.

— თქვენ ნუ შეწუნდებით, ბატონო,
ისაუბრეთ, ჩემი ბიჭები გაიცანით და
მერე, უმორჩილესად გთხოვთ შინ
წაბრძანდეთ, დაისვენოთ; ღამისთევა
რა თქვენი საქმეა, ამისათვის მე ხალხი
მყავს, — ელენემ ხელი მეზობლებისა-
კენ გაიშვირა.

— მეც მინდა ერთი ღამე გავუთოო
ბათუ კალანდარიას, ქალბატონო, —
უთხრა მან ელენეს და გაუღიმა. ელე-
ნემ ღამისმთევლები „ერთი ჰიქა“ ღვი-
ნისთვის სუფრასთან მიიწვია. როგორც
კი დარბაზში მასწავლებელი შენიშნეს,
ბავშვები ოთახებში მიიმაღნენ.

ნავაშმევს ბათუმ თვალი გაახილა.
ელენემ ნახევარი ჰიქა რძე ძლივს შეა-
სვა. წამლებზე უარი არ უთქვამს. ელე-
ნე ოთახიდან გახარებული გამოვიდა,
უკეთ არისო — გამოაცხადა დარბაზში.
ბათუ თავის ოთახში ელენესაც კი არ
აჩერებდა. თემრაზი წუნდა, რა აზრი
აქვს ღამისთევას, თუ ავადმყოფს ვერ
შეგხედავთო, უეცრად რამე რომ მოუ-
ვიდეს, თვალი სად გავაღოთო?

ელენე, თინიკო და ქვაცაცი ყოველ
წუთში შედიოდნენ, დახედავდნენ, ხომ
არაფერი გნებაესო, ეკითხებოდნენ. ბა-
თუ ოდნავ შესამჩნევად გააქნევდა
თავს, ზოგჯერ ესეც კი არ შეეძლო და
შინაურებს ღუმლით უბასუხებდა. ქა-
ლები ფეხაკრეფით გამოდიოდნენ.

მამლებმა ნაშუაღამევისა იყვილეს.
გადათეთრებულ ცხენისწყლისპირეთს
თეთრი მთვარე დაჰნათოდა. ღობე-ღო-
ბე ჩარიგებული მაღალი აკაციების
კენწეროებიც კი არ ირხეოდა, ყინვას
თითქოს მთელი ქვეყანა გაქვავებინა.
საკალანდარიოს ეძინა, მხოლოდ ბათუ
კალანდარიას ოჯახში არ აქრობდნენ სი-
ნათლეს.

— ელენე, ნულარ წახვალ, ის კარი
მოხურე და ცოტა ხანს ჩამოჯექი. —
უთხრა ბათუმ ცოლს.

ოღონდ ბათუს ეთქვა და ოთახიდან ფეხს როგორ მოიცივლიდა ელენე. კარი მოხურა და ქმარს მიუჯდა.

— ელენე, მე ამ საღამოს მოვკვდები, — უთხრა ბათუმ მშვიდად.

— ვერა ხედავ, უკეთა ხარ, ბატონო, რა დროს სიკვდილია! — ელენემ გაუღიმა, ქმრის დამპყნარი ხელი აიღო და მოეფერა.

— მამხნევებ? — ბათუს ჩაღრმავებული თვალებიდან დაცინვა გამოკრთა. — არა, ელენე, შენი გამხნევება მე არ მჭირდება, იმიტომ კი არ გითხარი, თვალებიდან ცრემლები გადინო, მე მხოლოდ ამ საღამოს გავიგე, რომ გამთენიისას მოვკვდები. გამთენიისას ბათუ კალანდარია თქვენს ჭირს წაიღებს, — გაიმეორა მოხუცმა და გამხდარ ტუჩებზე კვლავ აუკიაფდა ღიმილი. მერე მოიღუშა, თითქოს საშიში რამ საიდუმლო იცის და გამხელა უჭირსო, რამდენჯერმე სიტყვები კბილით დაიჭირა, არ თქვა სათქმელი...

— ელენე, ძვირფასო!.. — ბოლოს-დაბოლოს აღმოხდა მოხუცს და თვლებში ნამცეცა ცრემლი გაუბრწყინდა. ელენეს აღარც კი ახსოვს, ოდესმე თუ უთქვამს ბათუს „ძვირფასო“, ეს იყო ნახევარი საუკუნის სიტყვა, ძველთაძველი, დაბერებული, ერთადერთი ნაკვერცხალი, ჩარჩენილი ჩამქრალ დარში.

— ძვირ-ფა-სო!.. — გაიმეორა მან და თვალები დახუჭა. ტკბილ ბურუსში გაეხვია, საღდაც შორს წავიდა, ძალიან შორს, იმ მხარეს, რომელსაც ვერასოდეს ვეღარ უბრუნდება ადამიანი.

— რამე ხომ არ გინდა, ბატონო, რად გაჩერდი, მითხარი რა გინდა, — ელენე ჩუმად ყლაპავდა ცრემლებს და მოხუცის დამპყნარ თითებს ეფერებოდა.

— არაფერი, ეს მინდოდა მეთქვა... ახლა წადი და ნესტორს დამიძახე.

დარბაზში ელენეს შემოეხვივნენ.

— რა მოხდა, ცუდად ხომ არ არის?

— როგორც იყო, ისეა... ნესტორ, მიდი, შვილო, გეძახის, — უთხრა და ბუხართან სკამზე დაეშვა.

ნესტორი ოთახში შევიდა. ძალიან

დიდხანს არ გამოსულა. შემდეგ თემ-რაზი შევიდა, თათუშა, ნინა, ქვატა, თინიკო, ელისო; მათთვის აღარცაა მოხუცის მოვკვდებიო: ვინცობაა რამე მოხდეს, ასე მოიქეციოთ, სათითაოდ ყველა დაარიგა.

შვილიშვილებიდან მხოლოდ გურამს დაუძახა. გურამი ლოგინიდან წამოაყენეს. გაოგნებული შევიდა ბიჭი ბაბუასთან. ბათუს გადაწყვეტილი ჰქონდა ბავშვისათვის ეთქვა ის, რაც ორივეს აწუხებდა, მაგრამ შეხედა თუ არა, გადაიფიქრა. გურამს ისეთი დამფრთხალი თვალები ჰქონდა, ისე ნაზი და უსუსური ჩანდა, გულსატკენს ვერაფერს ეტყოდა. „არ შეიძლება, — გაიფიქრა მოხუცმა, — გაიხარდოს, მომწიფდეს და მერე ეტყვიან“. ბათუმ შვილიშვილს გაუღიმა, თავს ძალა დაატანა და რისიანად უთხრა: — როგორ ხარ, ბიჭო, ხომ ყოჩაღად ხარ? რა ცხვირპირი ჩამოგტირის, გაიმართე წელში!

გურამი უხერხულად შეიმშუშნა.
— ჩემმა ავადმყოფობამ სწავლაში ხელი ხომ არ შეგიშალა?

— არა, ბაბუ.

— კარგად უნდა ისწავლო, შვილო, შენ შეგიძლია კარგად ისწავლო. რაც უნდა შეგემთხვას, რა ცუდ დღეშიც არ უნდა ჩავარდე, სწავლას თავი არ მიაწებო. ჩემი თხოვნაა, არ წახდე და არ მიატოვო სწავლა... კიდევ რა მინდოდა მეთქვა; დამავიწყდა, დავბერდი, ბაბუ, ჩემს უკან მთელი საუკუნეა, დავბერდი, აბა რა მომივიდოდა!

ბათუმ გურამს გაუღიმა:

— ჰო, იმ საღამოს გაწყენინე, მაგრამ მე მართალი ვიყავი, შვილო, ბებიაშენმა არ მაცალა, — ვერ გითხარი, რაც მინდოდა.

ბათუ კვლავ ჩაფიქრდა. გურამი გაქვავებული იდგა და ბაბუას თვალს არ აშორებდა.

— ყველა სიმართლე სიმართლე არ არის, შვილო, — ბათუმ კვლავ ნაძალადევად გაიღიმა, არ უნდოდა, საუბარი

ნოდარ წულგისკირი

თეთრი მთა

შემაშფოთებელი ყოფილიყო, — აი, მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თუ მოკვდები, შენს გულში ვიცოცხლებ, უკვალოდ კი არ გავქრები, ჩემი სახელი საკალანდარიოს არ დაავიწყდება. იქნებ ეს სიცრუეა? მე მგონია, რომ სიმართლეა, ჰა, რას იტყვი? თუ სიცრუეა, არ უნდა მითხრა, შვილო, მე არ მჭირდება ასეთი სიმართლე...

ბათუ კვლავ გაირინდა. თვალი დახუჭა, თითქოს ისვენებო, მერე გურამს მიაშტერდა და კინალამ წამოცდა: „მოდი, ბაბუ, მაკოცე“... სიტყვები ცრემლთან ერთად ჩუმად გადაყლაპა და შვილიშვილს მშვიდად უთხრა:

— წადი ახლა, შვილო, და სინათლე ჩამიქრე, უნდა დავიძინო...

გურამმა ბაბუს თხოვნა შეუსრულა, დარბაზში დაფიქრებული გავიდა.

— რად ჩააქრე სინათლე?

— თვითონ ჩამაქრობინა, უნდა დავიძინო.

ელენემ შეამოწმა, მართლა იძინებდა თუ არა ავადმყოფი.

— მოხურე, ელენე, კარი, უნდა დავიძინო...

ელენემ კარი მიხურა. ბათუმ შენიშნა, რომ ჩაბნელებულ ოთახში მთვარის სხივებს თავისთავიანი ლანდი შემოჰყვავა. „სატევარი! ჩემი სატევარი! ჩამოვხსნი კედლიდან და ქათამივით გავაგდებინებ თავს“. შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ სატევარს — რამდენი ხანია ბათუს მისთვის ხელი არ უხლია. როგორც ყარამან კალანდარიას გადიდებული სურათი, სატევარიც ამ ცივი კედლის კუთვნილებათა, ჰკიდია კედელზე და არავინ უყურებს. ვერცხლით მოქედილს, ლამაზსა და ბასრს, რა ხანია ვაჟკაცის ხელი არ შეხებია. „აი, ახლა მჭირდები შენ, ჩემო სატევარო“, ჩაიჩურჩულა ბათუმ თავისთვის და თავი წამოსწია. თავისთავიანი ლანდი ადგილიდან მოწყდა და მკერდზე დაახტა. გულის ფიცარი ჩაენგრა.

სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლა გაიმართა. ლოგინი გაფართოვდა, გაფართოვდა და გადაიქცა თვალუწვდენელ მინდვრად. მინდორში, თეთრი

მთის ძირას, ბათუ კალანდარიას ლამქარი ჩამწკრივებულყო. ბათუ თეთრ ცხენზე იჯდა და გადარეულ ცხენს ძლივს აკავებდა. იყო ცხენთა ჭიხვინი, ფარ-ხმლის ჟღარუნის, მუქარა და ყიყინა. აღმოსავლეთიდან მტრის ზღვა ლაშქარი მოდიოდა. უთანასწორო ბრძოლა ახლოვდებოდა. გულოვანი მეომრები მეთაურს შესცქეროდნენ, მოუთმენლად ელოდნენ ბრძოლის დაწყებას.

ბათუ ისარივით გაიჭრა მინდორში და მტრის ლაშქარში პირველი შევარდა.

— წუწურაქო, წუწურაქო! შენ იყავი, ჩემს ძვლებს რომ ხრავდი?

— გათავდა შენი ჯანყი, ბათუ კალანდარია!.. დამნებდი!..

— რა კბილებს მიღრჭენ, წუწურაქო, დაგამტვრევ, დაგახრჩობ... აი, ასე!..

— ასე არა, აი, ასე!..

— მათხოვარო!..

გულოვანი მეომრები მეთაურს მხარდამხარ მიყვნენ, ჰკაფეს და ჰკაფეს მტერი. მტრის ლაშქრის მეთაური ხმალ-აღმართული გამოიჭრა მინდორში და ბათუ კალანდარიას შეუტია. ცხენები მკერდით შეასკდნენ ერთმანეთს. უეცრად ზურგში საშინელი დარტყმა იგრძნო, მოტრიალდა და დაინახა, როგორ გარბოდა კოჭლი მეომარი...

— სად გარბიხარ, შე მათხოვ...

ბათუ კალანდარია ცხენიდან ჩამოვარდა.

როგორც შევებას, ისე მოელოდა მიწაზე დაცემას, მაგრამ სადღაა მიწა! მიწა გაქრა... მიწა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ძირს ეშვება და მიწა აღარაა. კაცი ხიდან ჩამოვარდნილსა ჰკავეს, ტყვიასავით ეშვება ძირს, მიწა კი აღარსადაა, მიჭქრის მღვრიე სივრცეში, თითქოს ქვეყნიერება გადმოპირქვავდა და ცა ქვევით მოექცა. „აღბათ ეს არის სიკვდილი“, გაიფიქრა მოხუცმა და შეშფოთდა. უკაცრიელ და უდაბურ სივრცეში დიდი ზარების რეკვასავით გაისმა მჭექარე ხმა:

— მომეცით მიწა!.. სად არის მიწა!.. მიწა!.. მი...წააა!..

ხელუბალმართული, გაოცებული და

შეშფოთებული შეჰყურებდა მღვრიე სივრცეს და თავბრულამხვევი სისწრაფით ძირს ეშვებოდა. „მიწაა!“ გუგუნებდა სივრცე.

*

გამთენიისას, როცა ყველას ჩასთვლიმა, როცა ბუხარში დიდი მუგუზლებისაგან მხოლოდ ფერფლიდა დარჩა, ელენეს ტანმა უგრძნო, თუ რა იყო, ძილდვიძილიდან გამოერკვა და წამოხტა, ბათუს ოთახში შევარდა — ბერეკაცი საცვლების ამარა თავდაღმა ეგდო იატაკზე. გრძელი მკლავები გაეშალა, თითქოს იატაკის გულში ჩახუტება უნდა და ვერ მოუხერხებიაო.

ბათუს სიკვდილის შემდეგ ნესტორს აღარ უნდოდა გურამი სოფელში დაეტოვებინა, მაგრამ ელენემ არ ქნა: ბარემ საშუალო სკოლა დაამთავროს და მერე წაიყვანეო.

გურამი ძველებურად შეუდგა მეცადინეობას, დღე და ღამეს ასწორებდა. სანდრო მასწავლებელი, დაინტერესებულ მოწაფეს რომ ხედავდა, უფრო მეტი მონდომებით მუშაობდა. სკოლაში, სკოლის გარეთ სულ გურამთან იყო. დღე არ გავიდოდა, მისი ბიბლიოთეკიდან გურამს წიგნი არ წაეღო, ხოლო როცა მეცადინეობას მორჩებოდა, გურამი თავის ოთახში ტახტზე საათობით იწვა გაუნძრევლად და ფიქრობდა. მალე საშუალო სკოლას დაამთავრებდა, ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო. ფიქრობდა თბილისზე, უნივერსიტეტზე, ბებიასზე, ქვაცაცისზე, თინიკოზე, უცნაურ და ზღაპრულ გეგმებს აწყობდა.

ზოგჯერ კი სულ უბრალო, უმნიშვნელო ოცნება ჰქონდა, მის განხორციელებას არ ჰორდებოდა დიდი შრომა და მეცადინეობა, არც დისერტაციის დაცვა, არც გრანდიოზული აღმოჩენა, მაგრამ მაინც მომავლის საქმე იყო: ბებიას, თინიკოს და ქვაცაცის შავები უნდა გაეძროთ; ბებიასათვის სათვალეები უნდა ეყიდა; თინიკო თბილისში უნდა წაეყვანა. თინიკოს თეატრი უყვარდა, ერთხელ მაინც უნდა ეჩვენებო-

ნა ნამდვილი დიდი თეატრი, რომელიც ჯერ თვითონაც არ ენახა; ქვაცაცისათვის კი იმდენი ტკბილეულობა უნდა ეყიდა, მჭადივით გამოუღვეველი ჰქონოდა.

ხოლო როცა ოჯახურ საქმეებს მოაგვარებდა, მის წინ აღიმართებოდა ზღაპრული თეთრი მთა, რომელიც მთელ ცხენისწყლისპირეთს გოლიათივით გადასცქეროდა. თეთრ მთას უკავშირდებოდა უტუ მიქავას, ბათუ კალანდარიას და ხიტა ხაინდრავას სახელები. ბიქს ერთი სული ჰქონდა მთაზე ასულიყო. საცაა სკოლას დაამთავრებდა და მერე ვერავინ ეტყოდა: თეთრი მთა საშიშია, შენ კი ჯერ პატარა ხარო.

*

მასწავლებლების ვარაუდი გამართლდა. სანდროს ხუთეულიდან გურამს, ნანას, თემიკოს და რეზოს თბილისმა ოქროს მედლები დაუმტკიცა. მთელ სკოლას, მთელ სოფელს უხაროდა, — სოფლის სკოლისთვის ამდენი ოქროსმედალოსანი საამაყო იყო. მოქანცველ გამოცდებს ლოდინი დაემატა. საკალანდარიოელი მედალოსნების საკითხი კოლეგიამ სულ ბოლოს განიხილა. ნანა გახდა, ჩამოხმა. ყოველ დილით კვერცხებს აყლაპებდნენ, კუდში დასდევდნენ ავად არ გახდესო. გურამს ნერვიულობა არ დატყობია. რაკი გამოცდები დამთავრდა და ახლა მხოლოდ ლოდინი იყო საჭირო, მთელ დღეს ტატოსთან ატარებდა. მიიმე ხელთათმანები ეცვა და ზაფხულის ცხელ დღეებს მუშტებით ერეკებოდა. გურამი უკვე ისე დაოსტატდა, ტატოს მასთან ვარჯიში ეხალისებოდა, ტოლივით ეჩხუბებოდა.

როგორც იქნა, ჩამოვიდა დირექტორი. სასწრაფოდ შეკრიბა პედაგოგები, მოსწავლეები და ბავშვებს საზეიმოდ გადასცა სიმწიფის ატესტატები. ყველას სათითაოდ მიულოცა, დაარია, ურჩია, ვინ სად წასულიყო, როგორ მო-

ნოდარ წულუღისკირი
თეთრი მთა

ქვეულიყო. ვალერიან მასწავლებელი ბავშვებს მამაშვილურად ეხვეოდა და გზას ულოცავდა. სანდრო ყველას ეკითხებოდა, ვინ სად აპირებდა სწავლის გაგრძელებას. მას ბავშვები განსაკუთრებით გულთბილად ემშვიდობებოდნენ. დირექტორი მოწაფეებს შეპირდა: როცა მედლებს მივიღებთ, ნამდვილ გაცილებას მაშინ მოგიწყობთ.

სკოლის ეზოდან ყველანი ერთად გამოვიდნენ. გურამი ნანასთან მოურიდებლად მივიდა და გვერდში ამოუდგა. სოფლის შარაგზას ერთად დაადგნენ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამდენ ხალხში ასე თამამად მივიდა გურამი ნანასთან. ნანა გაწითლდა.

— რა იყო, რა ამბავია, რატომ მიატოვე ბიჭები?

ბიჭები მოშორებით მოდიოდნენ, მაგრამ ცალი თვალი ნანასა და გურამისაკენ ეჭირათ. გოგოებმა, როგორც კი გურამი შენიშნეს, ნანა მიატოვეს.

— ხომ ხედავ, როგორ გარბიან გოგოები, ჩვენი ამბავი ყველამ იცის...

— მერე რა მოხდა?

ნანა გაიბუტა და ნაბიჯს მოუჩქაბრა.

— რას იბუტები: დავაშავე რამე? შენთან ყოფნა მინდოდა და მოვედი. სხვას რომ თავი დავანებოთ, მე შენი ამხანაგი არა ვარ? ერთმანეთს აღარც კი ვესალმებით, მთელი ქვეყანა გილოცავს და მე შორიდან უნდა გიყურო? რა მოხდა, მეც მოგილოცო, ქვეყანა დაიქცევა?..

— არა, მაგრამ...

— თუ არ დაიქცევა, აპა, მოგილოცავ!

გურამმა გაიცინა და ნანას ხელი გაუწოდა.

— მეც მოგილოცავ, — უთხრა ნანამ და გაიღიმა. — უცნაური ბიჭი ხარ!..

სოფლის შარაგზას დაადგნენ. ნანა გზაზე უჩანთოდ, ისიც ვაყთან ერთად პირველად მისეირნობდა, თავს უხერხულად გრძნობდა. ხელებს ვერ უპოვნა ადგილი, თითქოს ხელებს ნაბიჯებს ვერ უწყობდა, თანაბრად, რიტმულად ვერ ამოძრავებდა. ჩანთის დაჭერას შე-

ჩვეული ხელები თავისუფლებას ვერ ეგუებოდა. ეგონა, მხრებზე სასაცილოდ ეკიდა. ზურგზე დაეწყო, არა, არა, არა და — ასე ხნიერი მამაკაცები დასეირნობდნენ. იღლიებში ამოედო? — მგლოვიარესავით ქუჩაში ხომ არ ივლიდა! ძირს ჩამოეშვა, თითები ერთმანეთზე გადაეჭლო და ნელა ევლო, მეტიჩარა გოგოს მიხერა-მოხერა ექნებოდა... ცხვირსახოცი ამოიღო და კირკიტი დაუწყო, თითქოს ძაფებს ითვლინო. ხელებს საქმე გაუჩინა.

მცხუნვარე მზე დანათოდა საკალანდარიოს. შარაგზას ეზოებიდან მალალი აკაციებისა და კაკლების ჩრდილი სცემდა. გზაზე კაცის ჭახანება არ იყო. სიცხე და სიცივე ერთნაირად აჩუმებს სოფელს. შუადღის სიჩუმეს მოეცვა საკალანდარიო. შორს, სუროიან აკაციაზე შაშვი ჭახანებდა. ერთადერთი ხმა, რომელიც ახლა სოფელში ისმოდა, შაშვისა იყო.

— ხომ გიყვარვარ, ნანა? — ჰკითხა უცებ გურამმა.

— მერე?..

ნანამ გაუღიმა.

— მერე.. ერთად უნდა ვიყოთ.

— სწავლას არ აპირებ?

— როგორ არა. მაგრამ... ერთად უნდა ვიყოთ. — გაიმეორა მტკიცედ გურამმა და ნანას თვალებში ჩახედა.

— ერთად ვისწავლოთ და ერთად ვიყოთ, — უთხრა ნანამ.

— იცი რა, — დაიწყო გურამმა, — დიდი სახლი უნდა ავაშენოთ, ძალიან დიდი, სადაც მე და შენ ვიცხოვრებთ.

მერე შვილები გვეყოლება და... დიდი ოჯახი გვექნება, ბაბუაზე უფრო დიდი ოჯახი!

— შვილები? ჩვენი შვილები?..

ნანას სიცილი აუვარდა. ხმამალლა მოურიდებლად აკისკისდა გოგონა, ლალი სიცილი მთელ სხეულს დაეუფლა, ნაბიჯი ველარ გადადგა.

„რა უმიზეზოდ იცინის“, — გაიფიქრა გურამმა და თვითონაც გაეცინა, რა სულელიაო. იდგნენ და იცინოდნენ, კაცს გიჟები ეგონებოდა.

გურამი სიყვარულით შესცქეროდა გოგონას და იცინოდა... სასაცილო არაფერი იყო, მაგრამ რაკი ნანა იცინოდა, თვითონაც თავს ვერ იკავებდა. ნანას თვალები კი ჯადოსნურ სხივებს აფრქვევდა და ბიჭს ატყვევებდა, აჯადობებდა. წამით გურამს მოეჩვენა, რომ შარაგზა, ორღობე და მალალი აკაციები უცნაური, მზეზე ძლიერი შუქით განათდა. გურამს უნდოდა ნანას აღარ შეეწყვიტა სიცილი, მერე იგი ხელში აეყვანა და როგორც შუქურა, მთელი ქვეყნისთვის ეჩვენებინა.

— წავიდეთ! — თქვა სიცილით ნანამ და გურამს მკლავში ხელი გაუყარა.

იცინოდნენ და მიდიოდნენ. თვალწინ ბულები შედიოდნენ სოფელში.

საკალანდარიო მზეში იწვოდნენ თელკრამიტის ოდა-სახლებს მცხუნვარე მზე დაჰნათოდა. ნელა ირწვოდნენ ღობე-ღობე ჩარიგებული მალალი აკაციების ჩრდილები. შორს მოჩანდა მალალი თეთრი მთა; თეთრი მთა, როგორც გმირობისა და რაინდობის ძველთაძველი ასპარეზი, მედიდურად გადასცქეროდა სამეგრელოს მთებს და სილაყვარდეში ირწვოდა. სიჩუმეში ისმოდა მღვრიე ცხენისწყლის შხუილი და შაშვის ჭახჭახი. მწვანე ჭალაში იდგა ხაინდრავას გამხდარი ჭაკი და ფეხზე მდგარს ეძინა.



მ ი წ ი ს ძ ა ხ ი ღ ი

პოემა მამულეკებზე

თეთრი არაგვი, შავი არაგვი,
 თეთრი ნილოსი, ლურჯი ნილოსი.
 ჩონგურის ნაცვლად—მოთქმა სარანგის,
 წიქარას ნაცვლად — ეშვი სპილოსი.
 ნიშას მაგიერ — თეთრი ჰაბისი,
 მისი სითეთრე უნდა ილოცო.
 ძმების მაგიერ — ძმადშენაფიცი
 ხმალი, ხომ გახსოვს, თეთრო ნილოსო!
 ქრება ხსოვნაში წმიდა ალაგი,
 ვაზზე აკრული თმებიც ნინოსი.
 და მოჩქევს თეთრად შავი არაგვი,
 და მოდის ლურჯად თეთრი ნილოსი.
 და უმძიმესი ჩრდილი სპილოსი
 ეცემა ირემს მოთიბულ ველზე.
 პეშევით მიჭირავს ტალღა ნილოსის
 და მის წვეთებში თეთრ არაგვს ვეძებ.
 ორი ნილოსი — ნიჩაბი ორი.
 ორი არაგვი — ეს იყო ფრთები...
 წაიღეთ ქვიშა რამდენიც გინდათ,
 ოღონდ მომეცით ზედაზნის მთები,
 რომ ეს მწუხარე ფიქრი ავლაგმო
 და საქართველოს სულზე ვილოცო,
 და მოგეფერო, შავო არაგვო,
 და მოგიგონო, ლურჯო ნილოსო...

და ვხედავ ჩრდილში ბანანებს უტკბესს,
და ჰორიზონტებს წვდება მირაჟი:

მირაჟი — წვიმა

მოდის თქარუნით, მოდის თქარუნით,
მეაღერსება მკლავებზე, მხრებზე
და ძალზე სუსტი, ძალზე ქალური
თითებით თმებში ჭაღარას ეძებს,
და მოგონებებს წიგნივით ფურცლავს
და ყვება ზღაპარს, იღუმალს, ფარულს.
მერე ხსოვნაში გუბდება კურცხლად
და სხვა წვიმების მაგონებს თქარუნს.
და ბზის ტოტებზე ისმის თქარუნი,
ასველებს არგოს და ოქროს ვერძებს
და ძალზე სუსტი, ძალზე ქალური
თითებით თმაში ჭაღარას ეძებს.
თეთრმა ღრუბლებმა მთები დაძეძქეს,
წაშალეს ამაყ ჭადრების ჩრდილი,
ველზე, ტყეებში და ზედაზენზე
ეცემა ფრთები საოცარ დილის.
გადიჯირითებს ლილოჭრელ ცაზე
და საღაღაც ხევში გადიჩეხება
ტანმოხატული ზებრა, და ასე
ცისარტყელები ჩემ სულს ეხება...
და როგორც ცრემლით მშვიდდება სული.
ისე წვიმის დროს მშვიდდება ქარი.
ივსება სივრცე ნაძვების სუნით,
აგროვებს წვიმას პატარა ქალი,
და წვიმა ისევ მოდის თქარუნით,
მეაღერსება დასიცხულ მხრებზე
და ძალზე სუსტი, ძალზე ქალური
თითებით თმაში ჭაღარას ეძებს...

*

მე ცეცხლს ვუნთებდი მშვენიერ ჰაბისს
და მკერდზე მედგა წმინდანის ჩლიქი.
საძვალეები მამის და პაპის
დარჩა ცხრა ზღვის და უდაბნოს იქით.
მე მომაშორეს ნალვლიან ქართულს
და ზედაზენზე გაქცეულ გოგოს...
და იმის მერე ვთელავდი კაქტუსს,
ვსვამდი ნილოსს და ვწუწნიდი ქოქოსს.
მე მომაშორეს ვაზსა და ხარდანს
და უღვთო ხვატით დაშაშრულ ველზე
მეძინა ღმერთად შერაცხულ ხართან
და შავი რკინა მეკიდა ყელზე

მიყვარხარ მაინც, და ყვითელ ღრუბლებს
ნურც დამამადლი, ნურც დამიკარგავ.
შენი მღვრიე და ამაყი ფერი
სადღაც უძირო სილურჯეს ერთვის:
იქ საქართველოს ცარგვალი მღერის
სიმღერას, შენ რომ ერთხელაც ვერ თქვი...
მე არ გთხოვ სოვდას, არც ოქროს ზოდებს.
მიხმე ღრუბელი ზედაზნის ციდან,
რომ მომავალშიც ადვილად ვზიდო
წუხილი, რასაც აქამდე ვიტან...

„ნუ გაბან შენ მეგვიპტელი იგი რამეთუ მწირ
იუავ ქუეყანასა მათსა“ მოსე.

მკერდი მხურვალე — ცხელი საპარა,
და ძუძუები — პირამიდები,
უკვდავება რომ მოგაწოვეს,
ეგვიპტე...

შენ არც კი იცი ჩემი სახელი
და საქართველოს მწვანე მინდვრები,
ეგვიპტე...

შენც გაგიმეტეს გადასაქელად
და ნეფერტიტას გრძელი თითებიც,
ეგვიპტე...

და მაინც დარჩა მკერდი — საპარა,
და ძუძუები — პირამიდები,
ეგვიპტე...

ყელზე მახია მშობლის საბელი,
მიხმობენ ყრმობის თეთრი ჩიტებო,
ეგვიპტე...

გადაივიწყე ჩემი სახელი
და ეს ღალატი პირამიდების, —
შემინდე...

*

ცხელი სილა მაწვიმს
და ყურს ვუგდებ ქარის სისინს,
და ცოცხლდება თვალწინ
საქართველო — ოაზისი.

და უცნაურ ტამბამს, —
 ვუსმენ ბედის მოძახილს,
 მესიზმრება თაჰმთა, —
 მისი მყუდრო ოჯახი.

არ დამინდო დარმა,
 ცას ქარები პოტნიან.
 მოლოდინსაც თურმე
 გატყუება ცოდნია.

აქ არავინ არის,
 მკითხოს: ვანი სად არს შენი...
 დახშულია კარი,
 ყველა კარი გადარჩენის.

მხოლოდ მზეა სუფთა,
 ხელიც არ აქვს ნახლები.
 ისე მიჰირს სუნთქვა,
 ისე მტკივა ნახმლევი...

არ მეღირსა თაჰმთას
 ნაწნავეები ყვითელი,
 და საკუთარ თავთან
 ღამეს თეთრად ვითენებ.

ცხელი ქვიშა მაწვიმს.
 მეც ვნებდები ქარის სისინს,
 და ცოცხლდება თვალწინ
 საქართველო — ოაზისი...

*

აღარ მჯერა და თვალებს ვაცეცებ:
 მოხვეტავს ოქროს მღვრიე ფაზისი,
 ოქრო-მტევნებით დაღლილ ვაზებზე
 თვლემს საქართველო და ოაზისი.
 სულის თრთოლვას და ხელების საესავს
 ველარ ვიოკებ, ვწუხზვარ და გეძებ,
 როცა ვარძია, თამართ საესე,
 იელვებს ფიქრით გაცრეცილ ქედზე.
 ოშკი და გრემი,
 მცხეთა და ჯვარი,
 ძვირფასი ხანძთა,
 ბებერი თმოგვი.
 მოგვეცი ჩვენი ღარიბი გვარი,
 ჩვენი ღამაზი სამშობლო მოგვე.
 მე ჩემს სიხარულს ვეტყვი ტაოსაც,
 რომ ახლა, მხოლოდ ახლა ვიწყები,
 და წავიკითხავ „ვეფხისტყაოსანს“,
 იმ გატაცებით, თავდავიწყებით...
 აჭრიალდება გომბორის ქედზე
 ჩემი ურემი გაუსაბნავი,

◇
 ტსრიელ შანტსურიანი
 ◇
 მიწის ბუხილი
 ◇

ვნახავ ყაყაოს კრწანისის ველზე
და ის იქნება ჩემი საფლავი.
მე შეზრდილი ვარ უდაბნოს ვარვარს
და ცხელი ქარის გესლიან ხარხარს,
შენ ვისაც ელი, — მე იქნებ არ ვარ...
მე ვისაც ვეძებ, — შენ აქნებ არ ხარ...
და მაინც ჩემთვის იქნები თაჰმთა,
და მაინც... დიდი ყოყმანის მერე,
თუ ნებას დამრთავ, თუ ნებას დამრთავ,
ვაკოცებ ფიქრით გაყინულ ხელებს...

* * *

მე წამიყვანეს ჩუმად და ღამით.
არ მახსოვს როდის, რატომ ან რისთვის,
და იმის შემდეგ გავიდა ხანი
და უდაბნოში ვდგავარ და გიცდი.
და დღე და ღამე — როგორც მე და
შენ —

წინანდებურად თვლემენ ცალცალკე.
ღუმს საუკუნე პირამიდაში
და უკვდავების შიშით ცახცახებს.
მე წამიყვანეს. რატომ და რისთვის,
ახლაც არ ვიცი, არ მაგონდება.
ცხელი უდაბნო ანთია რისხვით
და სულში ისევ ისმის გოდება.
მაგრამ ამ წვისთვის და ამ დაგვისთვის
გგონია, ვინმე მაღლობას მეტყვის.
მაინც მოგძებნი, ისევ დაგიცდი,
ქვეყნად სურვილი არცა მაქვს მეტი.
ეს დილაც წავა და მერე ვნახოთ!
ძმასავით ვკოცნი შერჩენილ იმედს.
მე ვხედავ ცაზე ღრუბლებით ნახატ
სამშობლოს, ქალაქს, უგრილეს წვიმებს.
მე მახსოვს კარგად — ეს იყო ღამით,
მაგრამ არ მახსოვს — რატომ და
რისთვის.

კვლავ ფიტავს ბორცვებს ხორშაკი ქარი
და უდაბნოში გეძებ და გიცდი...
და მომავალი კვლავ მოჩანს ისე,
როგორც ჰაერი მოჩანს მინაში.
და ისევ ბოლავს თვალეზში სიცხე
და შორით. ისევ ჩნდება მირაჟი:

მირაჟი — თოვლი

თოვს,
თოვლი მოდის,
თოვლით ივსება
მაღალი სერი, ტყეები, ჰალა.

ჩვენ დაგვაშორეს ტყვიით, ეჭვებით,
დროით, ლალატით, ღიმილით, სივრცით...
განშორებასაც ისე ვეჩვენეთ,
თითქოს წინასწარ ველით და ვიცით.

მე მომაშორეს მშობელ ცა-ფირუხს
და შენ ამ ცის ქვეშ დიდხანს მიცადე.
ძვირფასო, ჰკითხე ლურსმულს, პაპირუსს, ---
ან რად ვიბრძოდი, ან ვის ვიცავდი.

შენი ღიმილით და წაქეზებით
პირამიდებზე ამქონდა ლოდი.
შრებოდა მზეზე თიხის კეცები
და შენ ჩიტვით უძლებდი ლოდინს.
მე ათას ზაფხულს და ათას ზამთარს
და მწუხარებას ათასს, ათას ერთს
ვიხსენებ, ანდა ვივიწყებ, თაჰმთა,
და ყველას სულში ვატევ, ვათავსებ.

მერე ღმერთებთან ვაბეზღებ ღმერთებს
და ფუჭი ლოცვა ხმება ბაგეზე.
და ამბობს ქრისტე — მოთმენა გმართებს...
მაგრამ ალლაჰი ხმლისკენ მაქეზებს.

და ვცხოვრობ ასე — ვცხოვრობ და
ვიბრძვი,
თუმც ბედი ასე ბოროტად მასხრობს.
მე სერაფიტას ღიმილიც ვიცი
და შენი თმების სურნელიც მახსოვს.

შენ კი... რა იცი ნეფერტიტაზე,
ან მე სადა ვარ, რა იცი ახლა...
დარჩენილ დღეებს ვითვლი თითებზე
და უდაბნოშიც შენი მზე მახლავს.

აღარც თვალი მაქვს, აღარც ყური მაქვს,
უკვე მოვდუნდი, თითქმის დავნებდი.
ისე მწყურია, ისე მწყურია, —
შენს თმებს შევსვამდი, ღიმილს დავლევდი..

რაა სიკვდილი — ერთად შეკრებილ
უულამაზეს დღეების ზოდი.
უფრო ძნელია, თუ ვერ შეგხვდები,
თუ არ დაურჩა საზღვარი ლოდინს.

მე გადავიტან ამ დიდ კირთებს,
ჯერ კიდევ მჯერა, რომ გადავიტან,
მაგრამ შენს ღიმილს თუ დასჭირდება,
ისევ დავიწყებ ტანჯვას თავიდან.

და ამ ცრემლის და სისუსტის გამო
მუხლზე ვეცემი მე შენს წინაშე,
ვგრძნობ ბაგეებთან მარილის გემოს
და... შორით ისევ ჩნდება მირაჟი:

მირაჟი — სპილოების სასაფლაო

ძლიერია სპილოების ჯოგი. ისინი მკერდით მიაპობენ მაჯის სიმსხო ღიანებს, გზებს იკაფავენ ტროპიკულ უღრანებში. ღომები გაუზიან მათთან შებმას, რადგან ძლიერია სპილოების ჯოგი. მათ თავიანთი საძოვრები აქვთ. მიყვრდნობიან ვეება ჭადრებს და თვლემენ ზეზუურად. ხოლო როცა სიკვდილი მოადგება კარზე, სპილო ტოვებს ჯოგს და ჩუმად, ნაღვლიანი ძუნძულით მიდის სპილოების სასაფლაოსაკენ. არაფერ იცის კაცთაგან ამ სასაფლაოს ადგილსამყოფელი, რადგან საიდუმლოს შენახვაშიც ძლიერია სპილოების ჯოგი. მიდის სპილო და მარტოდმარტო კედება სპილოების სასაფლაოზე. იქ, მამა-პაპათა საქვალეში ქათქათებს სპილოს ბრჭყვიალა ეში. ლამაზია სპილოების სასაფლაოც, რადგან ძლიერია სპილოების ჯოგი და წმიდაა მათი საიდუმლო — სასაფლაო.


ჯუნგლის ცხოვრება

... და ერთი, უფრო თეთრი და სუსტი,
და გარდუვალი, როგორც სიკვდილი, —
მოშორდა ჯოგს და ხორთუმის ქნევით
წავიდა ტყისკენ. ძლივს მიარღვევდა
სუსტ ღიანებს და ნაჩრდილარ გვიმრებს
და მიიწევდა სასაფლაოსკენ,
სადაც ბროლივით ბზინავდა ძვალი,
ძვალი წინაპრის, — მამის თუ დედის.
ეყარა კლდესთან ბროლივით ძვალი
და სიკვდილივით ენთო სითეთრე.
და მიბობდავდა დაღლილი სპილო.
საცრისოდენა თვალეებში ენთო
წყნარი სიკვდილის ცივი სურვილი.
მზე ჩადიოდა. ან იქნებ მხოლოდ
მას მოეჩვენა, თითქო მზე ჩადის.
აქ, საუკუნო ნავსაყუდარში
შემოვა იგი და შემოიტანს
დაღლილ სხეულს და ბროლივით ძვლების
ძვირფას სითეთრეს. აქ ისვენებენ
ძვლები მშობლების და წინაპრების.

აქ, მარადიულ ნავსაუბრადარში
მისი აფრებიც დაიკეცება.
ხმელ ბალახებს და ჩამოშლილ ტოტებს
ძლივს ეფერება ხორთუმის წვერით.
ველარ ზომავენ თვალები მანძილს.
მზე ჩადის, ანდა იქნება მხოლოდ
მას ეჩვენება, თითქოს მზე ჩადის.
ბროლის კიაფით ნათდება კლდე და
პატარა ბორცვი. ძლივს მოაღწია,
და ახლა მშვიდად დაელოდება
მარადიულ და მშვენიერ დუმისს
დაღლილი, წყნარი და ვალმოხდილი.
და მალე მზეზე აკიაფდება
მისი ბროლივით ქათქათა ძვალი...



მობინაზა



მდინარის პირას ჩალით გადახურული ქოხი იდგა. ქოხი ახლოს იყო, პატარა თავდადმართი უნდა ჩაგვრბინა და მიხვიდოდი.

ცხელოდა. მდინარე მზეზე ბრწყინავდა და გეგონებოდა, სრულიად არ იძვრისო. ქოხის კედლის ჩრდილში თხები იწვნენ. ზურას საკინძე ბოლომდე ჩაეხსნა და საყელოში ცხვირსახოცი ჩაეფინა. ზურგჩანთა ხელში ეჭირა, მხრებში ოდნავ მოხრილი მიდიოდა. გზას ჩაშტერებოდა, თითქოს ფეხის დასაბიჯებელ ადგილს წინასწარ ირჩევდა.

ამ სიცხესა და სიჩუმეში მხოლოდ კრიჭინას თავგანწირული კრიჭინი ისმოდა. ისიც თითქოს იმას ნიშნავდა, რომ სხვას არავის არ ჰქონდა ხმის ამოღების თავი. მდინარე ისე ბრწყინავდა, თვალს ვერ უსწორებდა. ვერც ცას უსწორებდა თვალს, ცაც თუნუქის უხარმაზარ ნაჭერივით ბრწყინავდა. გახტურებული, გაყვითლებული მიწა თონის კედელივით დაბზარულიყო. მიწაზე ღიდი, წითელი ჭიანჭველები დაცოცავდნენ. მიდიოდა და ჭიანჭველებს უყურებდა.

კარგად გათენებული არც იყო, მატარებლიდან რომ ჩამოვიდა. მიწაზე ფეხი დაადგა თუ არა, თითქოს ცივ წყალში ჩაეყვინთოს, უცებ გამოფხიზლდა. სადგურის შენობას გვერდი

აუთრა და გზაზე გამოვიდა. სადგურის უკან პატარა ბაღი მავთულთი შემოვლოდა. მავთულის გაყოლებით ამოსული ჭინჭარი მტვრისაგან განაცრისფერებულყო. ბაღში უნაბი იდგა. უნაბის გვერდით — ჩალის ქუდიანი საფრთხობელა. ვერ მიხვდა, საფრთხობელა რატომ დაედგათ, ბაღში ჩამოკონკილი უნაბის მეტი არაფერი მოჩანდა. იმ ბაღს რომ გასცილდა, გზისკენ გადმოხეწილი მესერი დაინახა. მერე ვიღაც ქალმა ჭინჭარი გამოალო და შარაზე თხები გამოდენა. ქალმა რამდენჯერმე მოხედა. კიდეც რომ მოიხედა, ზურამ ხელი დაუქნია და დაუძახა:

— სოფელი შორსაა?

ქალმა არ უპასუხა.

— სოფლამდე რამდენი კილომეტრი იქნება?

ქალმა არც ახლა უპასუხა, გაჩერდა, თავი ჩალუნა და დაირცხვინა. ზურა მიხვდა, ქალი ყრუ იყო. გაუღიმა და შარას დაადგა.

გრილოდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ქვეყანას უკვე კარზე მოდგომოდა. შორს, მთებზე გაწოლილ ღრუბლებს ცეცხლი წაპკიდებოდათ. ეს ცეცხლი თითქოს სიამოვნებდათ და, გაყურებულები, არ იძროდნენ.

ზურა ტრიალ მინდორში გავიდა. სა-

დამდეც თვალი მიუწვდებოდა, სულ ყანას ხედავდა. გზის მარცხენა მხარეს ყანა უკვე მოექცათ. მარჯვნივ კი ხელმეუხებელი იდგა, ჩუმი და დაძაბული.

გზიდან გადაუხვია და ყანაში შევიდა. ყანაში ისე გრილოდა, იფიქრა, მიწაზე გაწოლილ ღრუბელში მივდივარო. ცოტა ხანს იარა და გაჩერდა. თავთავი მოგლიჯა და ხელისგულზე მოიფშვნა. მერე ისევ გზაზე გადმოვიდა.

მოკრიალებულ ცას მომწვანო ფერი გადაჰკრავდა. ასეთი მაღალი ცა ჯერ არ ენახა. შენიშნული ჰქონდა, თუ კარგ რამეს ფიქრობდა, ცაც მაღალი ეჩვენებოდა. ნეტავ ახლა რაზე ფიქრობდა? არაფერზე არ ფიქრობდა, აქ რომ იყო, ის უხაროდა. უკვე კარგად გათენებულ იყო, მზე კი მაინც არ ჩანდა. თითქოს ბუნებას სინათლეს ნელ-ნელა აჩვევდა, რათა თვალი არ მოჰქრა და არ დაებრმავებინა.

„ნეტავ ნანა აქ იყოს...“

ნანა ყანაში მიდიოდა. წითელი კაბა ეცვა.

— ზურა! ზურა!

ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მზის მახარობელი იყო.

ცას ასეთი მწვანე ფერი თითქოს იმიტომ ჰქონდა, რომ ფსკერზე რბილი და ხსხასა ბალახი ეფინა. ნანა ყანაში მიიბრუნდა. იმანაც იცოდა, ცა ღრმა რომ იყო, შეიძლებოდა, ცაში ჩაძირულიყავი.

„ნეტა ნანა აქ იყოს...“

გზამ ყანაში შეუხვია და ზურამ გზაზე გაჩერებული კომბაინი დაინახა. კომბაინი შორიდან უზარმაზარ ხოჭოს ჰგავდა. ვიწრო გზაზე უხერხულად გაჩხერილიყო, თითქოს ამ საიდუმლოდ განაბული მთების იქიდან გადმოფრენილმა; არ იცოდა, ახლა სადღა წასულიყო. კომბაინისთვის გვერდი უნდა აეველო, რომ უცებ ორი ბიჭი დაინახა. ბიჭებს კომბაინის ახლოს მიწაზე ბრეზენტი გაეფინათ და ზედ პირდაღმა გაწოლილიყვნენ, მანქანის რომელიღაც ნაწილს ჩაჰკირკიტებდნენ. ზურა თავზე დაადგა; ბიჭებს მისი მოსვლა არც კი გაუგიათ.

— გამარჯობათ.

ბიჭებმა თავი ასწიეს და ზურას ამოხედეს:

— გაგიმარჯოს, — უპასუხდა ერთმა.

მერე ისევ თავის საქმეს მიუბრუნდნენ.

— სოფელი შორსაა? — ჰკითხა ზურამ.

— სოფელი? სოფელი აქვეა, — თქვა ერთმა და წამოჯდა. — ამ გზას დაადექი, მერე ხელმარჯვნივ ბილიკი შეგხვდება, ის ბილიკი მდინარესთან მიგიყვანს, მდინარეზე არ გადახვიდე, ისევ მარჯვნივ იარე, მერე ტირიფები დაიწყება; იქიდან უკვე სოფელიც მოჩანს.

— მადლობთ, — უთხრა ზურამ და გატრიალდა.

— მოიცა, — დაუძახა ბიჭმა, — გეჩქარება?

— არა, არ მეჩქარება.

— თუ არ გეჩქარება, დაიცა, ბარათს გაგატან.

— კარგი, — უპასუხა ზურამ.

— გაბო, ფანქარი მომე, — უთხრა ბიჭმა ამხანაგს.

გაბოც წამოჯდა, შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო, დიდხანს ეძებდა ფანქარი, ვერ იპოვა. მერე რაც ჯიბეში ეწყო, ყველაფერი ბრეზენტზე დაყარა. რა არ ჰქონია ჯიბეში: ცხვირსახოცი, დანა, დახვეული, წვრილი მავთული, კოჭის ძაფი, ხურდა ფული, სარკის ნატეხი და დაჭმუჭნული სიგარეტის კოლოფი.

— არა მაქვს.

— კარგად ნახე.

— არა მაქვს-მეთქი.

— სხვა ჯიბეში ნახე.

— სხვა ჯიბე კი არა, ის არ გინდა...

— აგე ფანქარი, — უთხრა ზურამ, —

უფროსი გაქვს გაჩრილი.

— დამავიწყდა, — გაბომ გაიღიმა, — აჰა, დაიჭი.

გაბომ ფანქარი ამხანაგს ესროლა, მან ჰაერშივე დაიჭირა, მერე უბის ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ფურცელი ამოხია. იქაურობა მიათვალეირ-მოათვალეირა, მაგრამ რომ ვერაფერი იპოვა, ფურცელს ქვევიდან ქული ამოუღო,

ფანქარი ენის წვერით დაასველა და წერა დაიწყო.

— ჩამოგეჭი, — უთხრა გაბომ ზურას, — ეგ სანამ წერას მორჩება...

ზურა ბრეზენტზე ჩამოჯდა:

— კომბაინზე მუშაობთ?

— ჰო, — უპასუხა გაბომ, — გაფუჭდა ეგ ჩერჩეტი ხარიტონა.

უშნოდ აწოწილი და გაბერილი კომბაინი პირწავარდნილი „ხარიტონა“ იყო.

ზურამ გაიცინა:

— ხარიტონა...

— ჰო, მაგას ხარიტონა ჰქვია, მე — გაბომ, ჩემს ამხანაგს — სოსიკა. შენა?

— ზურა, ზურაბი.

— ქალაქელი იქნები.

— ქალაქელი ვარ.

— აქ რაზე ჩამოსულხარ?

— მეურნეობაში მივდივარ, პრაქტიკაზე.

— სტუდენტი ხარ?

— სტუდენტი ვარ, გაისად ვამთავრებ.

— მერე აქ იმუშავებ?

— რა ვიცი.

— მე კი ვიცი, აქ გამჩერებელი თქვენ არა ხართ. ბევრი ქალაქელი მიინახავს, შვილოსა, ბევრი...

— შერე რა, რომ გინახავს? — ჰკითხა ზურამ.

— მომსვლელი ბევრი მიინახავს, და მრჩომი კი არა. რა ვიცი, იქნებ მეც რომ თბილისში მეცხოვრა, აქეთ არც კი გამომეხედა, რა ვიცი...

— მე ჩამოვალ, — თქვა ზურამ, — აბა, სად უნდა ვიმუშავო?

— ცოლი გყავს? — ჰკითხა ისევ გაბომ.

— მყავს.

— შვილი?

— არა.

— ვაჰ, რატომ?

სოსიკამ თავი ასწია:

— გაბომ, ენა დააყუ.

— ერთი ცოლი მყოლოდა, — იყვირა უცებ გაბომ, — ჰაი, დედასა!

ზურამ სოსიკას შეხედა. სოსიკა რაღაცას ფიქრობდა. ფანქარი ტუჩზე მი-

ედო, თვალები გადიდებოდა და მზგ სევდის ჩრდილი ჩაღვმოდა. ხანს ასე გაშტერებულმა უცებ დაეცა, მერე თავი ჩაღუნა და ისევ წერა განაგრძო.

— სწავლას რომ მორჩები, რა გამოხვალ? — ჰკითხა გაბომ ზურას.

— აგრონომი.

— ეჰ, — ამოიხვნეშა გაბომ.

— რა იყო? — ჰკითხა ზურამ.

— არაფერი...

სოსიკამ წერა დაამთავრა, ქალაღლი ოთხად გაკეცა და ზურას გაუწოდა: — კანტორაში რომ მიხვალ, მონაგარიშე იკითხე და იმას მიეცი.

— ცისო იკითხე, — ჩაიბურტყუნა გაბომ.

სოსიკამ შუბლი შეიკრა.

— მთელმა სოფელმა იცის და ამ კაცს დაუშალოთ? — გაიკვირვა გაბომ და ხელები გაშალა, თან ისეთი მიაშიტი სახე ჰქონდა, გაგვეცინებოდა.

— გაბომ...

სოსიკა კიდევ უფრო მოიღუშა.

— ცისო იკითხე და უთხარი, ეს წერილი სოსიკა გიჟმა გამომატანაო...

სოსიკამ უცებ ვერაფერი რომ ვერ მოიხელა, კასრს დაალო ხელი და წამოჰარდა. გაბომც წამოხტა და ყანაში შევარდა, თან იძახდა:

— ცისო იკითხე! ცისო! ცისო!

ბილიკი მალე გამოჩნდა. ზურამ გზიდან გადაუხვია და ბილიკს დაადგა. მალე მზიკ ამოვიდა. კი არ ამოვიდა, თითქოს ქვესკნელიდან აღმართს ერთბაშად ამოასკდა. ცაც უცებ დაიკარგა. ახლა ცა კი არა, მზით განათებული, უსაზღვრო სივრცე იყო მხოლოდ. ბილიკი მოტიტვლებულ მინდორზე მიდიოდა. მინდორი მიწას ოდნავ აცილებული, გაყვითლებული ბალახით იყო დაფარული. ჰორიზონტამდე სულ ეს ყვითელი ფერი ეფინა.

დაცხა. მზეს თითქოს ამიტომ ერიდებოდა ამოსვლა. რადგან ამოვიდა, ახლა ცდილობდა ქვეყნისთვის მთელი

თამაზ ჭილაძე

გვა

თავისი ძალა ეჩვენებინა. პატარა ხეც კი არსად იდგა, ცოტა ხანს რომ შეჭფარებოდა. არც ქუდი ეხურა. ტრიალ მინდორში მიდიოდა და სულ მდინარეზე ფიქრობდა, მდინარე საცაა უნდა გამოჩენილიყო.

„ნეტაე ნანა აქ იყოს...“

„არა, აქ რა უნდა, დაცხება...“

— ზურა! — დაუძახა ნანამ.

— რომ დავამთავრებ, აქ წამოვიდეთ, ხომ? — ზურამ ისე ჰკითხა, თითქოს ნანა მართლაც მის გვერდით მოდიოდა.

— მდინარე სად არის? — ნანამ კითხვაზე კითხვით უპასუხა.

— მინდვრის ბოლოში... წამოვიდეთ?

— მდინარეს რა ჰქვია?

— არ ვიცი.

— აკი აქვეაო?

— დაიღალე?

— არა.

— წამოვიდეთ?

— მდინარე! — დაიძახა უცებ ნანამ.

ზურამ მდინარე დაინახა. მდინარე მზეზე ბრწყინავდა და გეგონებოდა, სრულიად არ იძვრია.

მდინარის პირას მიწა უფრო მუქი ფერისა იყო. ეტყობა, წყალს დაეკლო და რიყე ჯერ კიდევ არ გამშრალიყო. გაღმა ნაპირიც ერთიანად გასწორებული იყო და ამიტომ წყალი შუაში ამოზურთხეული ჩანდა. ვერცხლისწყალივით შეკრული და მძიმე — მინდორზე მისრიალებდა. მერე ზურამ ბორანი დაინახა. ბორანის ბაგირის აქეთა ბოლო კარგად ჩანდა. სიმძიმისგან ჩაზნექილი, მდინარეზე გადიოდა და იქ, მზით გაბრწყინებულ ჰაერში ქრებოდა.

— გამარჯობა, კაცო, — მოესმა ზურას.

ქობის ჩრდილში მეზობრნეც ყოფილა შეფარებული. ზურამ კი აქამდე ვერ შენიშნა. ის კაცი ნამდვილად მეზობრნე იყო, აბა სხვა ვინ გაჩერდებოდა აქ, ამ სიცხეში.

ზურა ახლოს მივიდა:

— გაგიმარჯოს.

კაცი წელზევით შიშველი იყო. შუბლზე, წარბებამდე, დაგლეჯილი ნაბღის ქუდი ჩამოეხურა. ქუდი და თმა

ერთიანად დამტვერილი ჰქონდა და ამიტომ ჰადარაგარეული თმისფერად მოუჩანდა. ზურა მის წინააღმდეგ ჩერდა. კაცი არც კი წამოწეულა, იჯდა და შეჰყურებდა.

„თუ არაფრის თქმა არ უნდოდა, რატომ დამიძახა?“

თვითონაც ვერაფერი უთხრა, ან კი რა უნდა ეთქვა? ცოტა ხანს ასე შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— დაჯე, რასა დგეხარ, — უთხრა მერე კაცმა.

— სოფელში მივდივარ, — უპასუხა ზურამ: — მეჩქარება.

— დაჯე-მეთქი, ამ სიცხეში სად უნდა იარო?

— ახლოს არისო...

— ახლოს კია, მაგრამ რომ ცხელა?

— ცოტას ვიბანავებ, გავგრილდები და წავალ.

— ახლა წყალში ვინ ჩავა, მზეზე დაიხრუკები...

— ცოტა ხანს ჩავალ, არაფერი მიშავს... ნეტა წყალი თბილი არ იყოს...

— იშ, — თქვა მეზობრნემ, — ამას რა გაათბობს, გიჟია...

— გიჟი კი არა, ნახე, რა წყნარად მიდის.

— რაც არი, მე მასწავლი? — მეზობრნეს ხმაში წყენა დაეტყო.

— მაშ, გიჟია? — უკან დაიხია ზურამ.

— გიჟია-მეთქი, არა და მიყვარს ეს რჯულგამქრალი...

— გიჟი თუა, ბორანს როგორღა იჭერ?

— ბორანს? ჩემს ბორანს ეგ კი არა, არაგვიც ვერ მოგლეჯს, მაშ, — წაიტრახა მეზობრნემ.

— ისე ბევრი საქმე არ უნდა გქონდეს, — გაუღიმა ზურამ, — კაცი არ ჰქაჯანებს.

მეზობრნემ ჯიბიდან ორი ცალი სიგარეტი ამოიღო, ერთი ზურას გაუწოდა:

— მოწიე...

ზურამ ასანთი აანთო, გააბოღეს...

მეზობრნეს ხელის ზურგი მოხარშული კარტოფილის კანივით დასკდომოდა.

სიგარეტს სული შეუბერა, კვამლს ხელი აუქნია და თქვა:

— ხალხი მინდორშია გაკრეფილი, მკაა. ახლა ხიდზე უნდა ნახო, რა ამბავია, მანქანა მანქანაზე მოდის, პურის მოაქვთ... ალბათ ფიქრობ, ეს ბორანი ვის რად უნდაო, არა?

— არა, არ ვფიქრობ.

— მართალი მითხარი.

— არ ვფიქრობ-მეთქი.

— დილობით მოწაფეები გადამყავს, სკოლისკენ გზას მოკლეზე ჭრიან. მერე უკან ხომ უნდა გადმოვიყვანო? საცაა გამოჩნდებიან, ვზივარ და ველოდები.

— გაღმა რატომ არ ელოდები?

— რა ვიცი, აქეთ მიყვარს...

— არ გწყინდება?

— მწყინდება? რა უნდა მომწყინდეს? განა ჭრიჭინას ჭრიჭინი სწყინდება? მეზორნეც ჭრიჭინასავით არი, იმას თუ დრო ჭრიჭინით გაღმა-გამოღმა დაჰყავს, მე ბორნით გავდი-გამოვდივარ. თანაც წყალი ცეცხლსა ჰგავს — უყურებ და ფიქრობ...

— ამდენი საფიქრალი რა გაქვს? — გაუღიმა ზურამ.

— ისა, რომ ერთ დროს ეს ცა და მიწა სანატრელი მქონდა. ახლა კი რამდენიც გინდა უყურე...

— როდის გქონდა სანატრელი?

— როდის და ომში რომ ვიყავი, მაშინ... ჰოდა იქ ჩავუთქვი, თუ გადავრჩები, მეზორნედ დავდგები-მეთქი. რატომ არ ჯდები?

— ბანაობა მინდა.

— არ იშლი და არა...

— აქ გავიხდი, — თქვა ზურამ.

— გაიხადე რა...

ზურამ გაიხადა და მდინარეში შევიდა. წყალი ღრმა იყო. ზურამ ცოტაზე გაცურა და ზურგზე გაწვა. წყალი ისე სიამოვნებდა, თითქოს, ძალიან დაქან-

ცული, ლოგინში ჩაწოლილიყოს, თვალი დახუჭა და წყლის დინებას მიჰყვებოდა და არაფერზე არ ფიქრობდა. მერე ნანა დაინახა. ნანა ბორანზე იდგა. წითელ კაბას ნიავი უფრიალებდა. ზურას ის ასეთი ლამაზი ჯერ არ ენახა.

მერე ვილაცამ დაუძახა. დაუძახა თუ ზარი ჩამოჰკრა:

— მკაა! მკაა!

უცებ გამოფხიზლდა და ნაპირისკენ გამოცურა, წყალს საკმაოდ შორს წაელო.

ნაპირზე ამოვიდა და ქოხისკენ გამოიქცა.

„ნუთუ წყალში დამეძინა?...“

ქოხთან მიიბრინა და ჩაცმა დაიწყო.

— ჯერ გამშრალიყავი, — უთხრა მეზორნემ.

— არა, მეჩქარება.

— რაო, რა გთხრა? — ჰკითხა მეზორნემ.

— ვინ? — გაუკვირდა ზურას, — ვინ რა მითხრა?

— ვინა და წყალმა, — მეზორნე უღიმიოდა.

ზურამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, სოსიკას წერილი მოსინჯა და მეზორნეს ღიმილითვე უპასუხა:

— ჩქარა წადიო.

ხალხი მინდორში იყო გაკრეფილი, ყანას მკიდნენ.

— ნახვამდის, — უთხრა მეზორნეს და გაიქცა.

— ზურა, დამიცადე! — დაუძახა ნანამ.

ზურა არ მოტრიალებულა, ხელები ჰაერში გააქნია:

— არა, არა, მეჩქარება...

თამაზ ჭილაძე

მკა

ი ს კ ი თ ხ უ ღ ზ ბ ე ა

მეგობარ პოეტს

მას აუკრძალეს დალევა ღვინის,
ის კითხულობდა და ჩაის სვამდა.
არ ამცირებდა ჩაი და ხილი
ქართული სუფრის წესსა და ადათს.

ჩვენც მისი ხათრით ჭიქებს ვივსებდით,
ვივსებდით ჭიქებს მაგარი ჩაით.
მაინც რა ძალა ჰქონდა ისეთი,
ჩაის ვსვამდით და ვთვრებოდით მაინც.

აღტაცებული მცხეთით და გრემით,
ჩვენც გვიტაცებდა, იპყრობდა სმენას.
ის კითხულობდა და, როგორც გემი,
გვარწევდა ლექსის რიტმი და ენა.

რას ამქლავებდა, რა ბედისწერას,
რა იმედსა და უიმედობას
ის აზიური თვალების მზერა,
წყნარი და ბრძნული, როგორც შენდობა:

ის კითხულობდა და ჩვენ ვხედავდით
მის მკრთალ ღიმილს და არას ვამბობდით,
ის კითხულობდა—თითქოს ვხედავდით
ხატის წინაშე ლოცვად დამხობილს.

უცებ გაფითრდა და გაილია,
და გაილია ის ღამე მაინც.
ის კითხულობდა, როგორ ტირიან,
და ცივდებოდა ჭიქებში ჩაი.

შენ იმის შიში ნულარ გექნება —
ცხოვრება ჩემი ჩაივლის უქმად,
მე არ მაშინებს გზაზე ეკლები,
არც დაბრუნება მომიწევს უკან.

რომ თითქოს ვხარჯავ სიტყვას ცარიელს.
რომ ყველაფერი — მხოლოდ ნისლია...
არ დაიჯერო, მე გთხოვ ძალიან,
არ დაიჯერო, თუ შეგიძლია.

გამამხნეველ ქარების სუნთქვად,
ტყეის რომ აფხიზლებს და აბარბაცებს, —
მე შევაშფოთებ მთვლემარე სულთა
განურჩევლობას და სიზარმაცეს.

შენ იმის შიში ნულარ გექნება...
ნურაფრის შიში ნულარ გექნება.
მე სიმაღლიდან ჩემი შეგნების, —
ყველაფერს ვხედავ ფხიზელი თვალით.
...ო, რა სიმშვიდით დგანან ძეგლები,
ვინც მოიხადა ამ ქვეყნის ვალი.



ჩ ე მ ი მ ე გ ო ბ ა რ ი ნ ო ღ ა რ ი

რომანი

კარგი მეზობლები ჰყავდა ნონიკოს, პატივისცემით ეპყრობოდა ყველას და მეზობლებიც დიდად აფასებდნენ, რასაკვირველია; მაგრამ ნონიკოს მაინც არ სწამდა მათი. თუ დამლუბავენ, მაგენი დამლუბავენო. გეშინოდეს მეზობლისა შენისაო, იტყოდა ხოლმე.

შოთიკო რიკრიკაშვილმა ძილის წინ რატომღაც მამამისის ეს სიტყვები გაიხსენა და კარგახანი მეზობლებზე ფიქრობდა. ის იყო, ტკბილად ჩაეძინა კიდეც, რომ რაღაც ხმაურმა გამოადვიდა. კარებზე აკაკუნებდნენ მოურიდებლად და რაღაცას იძახდნენ. მეორე ოთახში მისი დედ-მამა ჩურჩულებდა. ნონიკო კარის გასაღებად ადგა. შოთა გაბრაზდა, — ვინ ეშმაკია ამ შუალამეზეო. ძალიან უნდოდა გაეგო, ვინ იყო, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა.

ნონიკომ კარი გააღო. შოთას გაბრაზება სინარულით შეეცვალა. კარებში მისი უსაყვარლესი ალისა იდგა. ალისას ახალი კაბა და თეთრი ფეხსაცმელი ეცვა. შოთას გაუკვირდა, — ამ ყინვაში როგორ გაბედა ასე შილიფად ჩაემულმა წამოსვლაო... მაგრამ სადღა იყო გაკვირვების დრო. ეს რა სინარულის მეხი დაეცა.

ალისას პატარ-პატარა ნაწნავები ყურებთან ჰქონდა ჩამოკონწიალებული. შვი, ღილებივით თვალები უმეტყველოდ იყურებოდა ოთახში. ალისას ახლდნენ: მამა — ექიმი კაცი; დედა —

სქელი, წითელთმიანი ქალი, რომელსაც პალტოს შიგნით თმისფერი კაბა ეცვა; ბიძა — მამის მხრიდან; ბიძა — დედის მხრიდან; დეიდაშვილები, მამიდაშვილები, მეზობლები.

ნონიკომ რატომღაც საშინლად გაიკვირვა ამათი სტუმრობა. შოთაც ცუდ ხასიათზე დადგა: გული მოუვიდა მამამისზე. სტუმარი ღეთისააო, აბა რატომ არის ნათქვამიო, — იფიქრა.

ძვირფასი, ნანატრი სტუმრები მოურიდებლად შემოგლიჯინდნენ ოთახში. ალისას მამამ გადაკოცნა ნონიკო; მერე სწრაფად და მკაცრად ჰკითხა:

— სადა გაქვს ოქრო?!

ამ ხმაზე შოთა გამოფხიზლდა, სიხმარი გაუფრინდა; თვალები ფართოდ გააღო. მეორე ოთახში სინათლე იყო აბქღვრილებული. შუა კარებში თხელი ფარდა ეკიდა და ელექტრონის შუქზე ყველაფერი ჩანდა.

ოთხი უცხო მამაკაცი „სტუმრებოდათ“. ოთხივეს შავი პიჯაკი ეცვა. შოთამ ჯერ ფერდაკარგულ მამას შეხედა, შემდეგ დედას, რომელსაც ვიღაც უცნობმა წყალი მიაწოდა. შოთას ცივმა ოფლმა დაასხა და საწოლში გაშეშდა. ეგონა, იყინებოდა.

სათვალის მძალი კაცი სანდომიანად იღიმებოდა. შოთას ვარაუდით

სწორედ ამ კაცმა ჰკითხა ნონიკოს, ოქრო სად გაქვსო. იგი მიხვდა, რომ ეს კაი ხალხი მილიციიდან უნდა ყოფილიყო და შიშმა უფრო აიტანა. მაგრამ როდესაც ნონიკომ გაიღიმა წყნარად და თითქოს უდარდელადაც, ცოტა დაწყნარდა.

— ვინ შეგიყვანა პატივცემულო უფროსო შეცდომაში; ჩემ სახლში რა უნდა ოქროს. მაღლი და ყისმათი აქაურობას; ხეირი შენ, მე და ჩვენიანებს! — გაიღიმა ნონიკომ. სათვლიანმა კაცმაც გაიღიმა და დაჯდა. იგი სხვაგვარ პასუხს არც ელოდა. მათ შორის ახლა იწყებოდა ბრძოლა და ორთავენი ცდილობდნენ ნელ-ნელა შეყოლოდნენ.

— ნონიკო, გვითხარი, კაცო, რომელ კედელშია ოქრო, მთელ სახლს ნუ დაგვანგრევენებს! — წყნარად უთხრა სათვლიანმა და კიდევ გაიღიმა.

კედლის ხსენებაზე ნონიკო ვაფითრდა, ოქროსფერმა გადაუარა სახეზე. სათვლიანი მიხვდა, მასპინძელი რომ წონასწორობიდან გამოვიდა, მაგრამ სიხარული არ დაიმჩნია. ნონიკომ მაინც გაიღიმა:

— ოქრო რო მქონოდა, შე კაი დედამამიშვილო, კედელში შევინახავდი?.. ცოლშვილს მოვანძმარდი, დაგენაცვლე!.. ბიჭი მყავს საცოლე, მე გიცოცხლე, საშუალოს ამთავრებს, — ნონიკომ ჩაახველა. — სულ ფრიადები აქვს!.. — დაუმატა ბოლოს, თითქოს ფრიადები რამეს შველოდა. ეს უკანასკნელი სიტყვები რომ ტყუილად თქვა, თვითონაც კარგად მიხვდა და, არ დაეიბნეო, — გაიფიქრა.

— ნონიკო, — ახლა უფრო დაბეჯითებით განუემორა სათვლიანმა. — თქვი, რომელ ოთახში და რომელ კედელში ინახავ ოქროს. კიდევ გეუბნები, მთელ სახლს ნუ დაგვანგრევენებს!

— დაანგრე, დაინგრეს მაგის მთქმელისა და აქ მომსწავლეების ოჯახი, კიბეზე ამოუვიდეს ბალახი, თუ მე რამე სახლში გამომაჩნდეს! — ნონიკომ იატაკზე დაახეთქა ოთხკუთხა ქუდი. იგი ისე გულწრფელი ბოლმით წყევლიდა

ვილაცას, რომ მოსულებს მისი შებენი ნებული ფიცისათვის ყურადღებას მიუქცევიათ; მხოლოდ მიხვდნენ, რომ ახლა მასთან ლაპარაკი წყლის ნაყვად იყო და ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ.

დაიწყო გაუთავებელი კაკუნი. კედელი ხმაურობდა ყრუდ, ნერვებისმომშლელად. შოთას თითქოს ტვინში ურტყამდნენ ჩაქუჩს. იგი იწვა გულადმა, გაშტერებული; რალაცას იხსენებდა. ამ სახლში ხშირად საეკვო ხალხი მოდიოდა, მაგრამ საეკვოდ მაშინ შოთას არავინ ჩაუთვლია და მამამისი თუ ოქროთი ვაჭრობდა, ეს სულ არ იცოდა.

მოპირდაპირე კუთხეში შოთას პატარა ძმებს მკვდრებივით ეძინათ და მართლა არაფერი ესმოდათ.

შოთას დედა საძინებელ ოთახში გამოვიდა, ერთმა კაცმა თვალი გამოაყოლა. ქალმა უმიზნოდ, კანკალით აიღო მაგიდიდან რალაც ნივთი, მერე ისევ დადო; უხმოდ ჩამოიხოკა სახე და შვილის საწოლისაკენ ქურდულად გაიხედა. შოთამ თვალეები დახუჭა, თავი მოიმძინარა.

ნონიკო ახლა მართლა მშვიდად და გაუნძრევლად იჯდა. რამდენჯერმე წყალი დაისხა, დალია. იგი მაგიდაზე თითებს ათამაშებდა და უაზროდ იყურებოდა, თითქოს სულ არ აინტერესებდა, რა ხდებოდა მის სახლში. ისედაც იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს კაკუნი და სხვა რამისათვის ემზადებოდა.

ბოლოს და ბოლოს ნახეს, რასაც ექებდნენ. ნონიკოს ერთი კუნთიც არ შერჩევია. ყველამ შეატყო, არაფერი გაკვირვებია. არც ცდილა ამას. კარგად უწყოდა, ემოციურ ფაქტებს არავინ მიიღებდა მხედველობაში.

ნონიკომ, იმის ნიშნად, რომ ყველაფერი დამთავრდა, ხელი ჩაიქნია და მერე იგივე ხელი ცივად იტყია შუბლში:

— ვაი, უბედურ დღეზე გაჩენილო

რეზო ჭივილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

მამაჩემო, სიკვდილის წინ რომ ენა ჩა-
გვიარდა და ხელებს კედლისაკენ იშ-
ვერდი, რა ვიცოდი, რისი თქმა გინდო-
და... რა გქონია დატოვებული, შე ცოდ-
ვიანო... გითქვა დროზე, ხო ჩავაბარებ-
დი სახელმწიფოს!

ნონიკოს ამ სიტყვებს შეცდომაში
არავინ შეუყვანია, ამას არც ცდილა, —
მაგრამ შემდგომი მოქმედებისათვის
ასე იყო საჭირო.

ოქმი დაწერეს, გააფორმეს. ნონიკო
წაიყვანეს. წასვლისას, — მალე მოვა-
ლო, — დაიბარა.

შოთას დედა გაუნძრევლად იჯდა
ტახტზე და განგრეულ კედელს უყუ-
რებდა. შოთა ხმას არ იღებდა. გული
გამალებით უცემდა. იწვა სიბნელეში
და მეორე ოთახიდან არ ჩანდა. უყუ-
რებდა დედამისს და თვითონ არ უნდო-
და გამოჩენილიყო.

ქალი გრძნობდა, რომ ამ ხმაურში
შვილის გაუღვიძებლობა არ იქნებოდა,
მაგრამ თავს აჯერებდა, რომ შოთას
ეძინა. მას რცხვენოდა, არ იცოდა, რა
ეთქვა შვილისათვის.

შოთას ვერ გადაეწყვიტა: ამგდარიყო
და ენუგეშებინა დედა, თუ რა ექნა. ან
მერე რა ჩაედინა, რა ელონა. ამ ამბავს
გაიგებდნენ სკოლაში, გაიგებდა ალისა
და მთელი ქალაქი გაიგებდა. „თავი
მომეჭრება!“ — ფიქრობდა იგი.

კედელზე ძველი საათი ეკიდა. საათი
უხეიროდ ტიკტიკებდა. მისი ხმა დედა-
საც ესმოდა და შვილსაც.

ქალი კარგად ვერ გარკვეულიყო, რა
მოხდა, ან რა მოხდებოდა აწი, ანდა
თვითონ როგორ უნდა მოქცეულიყო.
ჭაღარა, ხნიერი ქალი მწარედ აჭკითინ-
და.

ოთახში ნელ-ნელა შემოვიდნენ შე-
შინებული, დიდი ხნის წინათ გაღვიძე-
ბული მეზობლები. ისინი წუწუნებდნენ
და ამშვიდებდნენ შოთას დედას. ქალი
კი ზიზღით უყურებდა ყველას: დარ-
წმუნებული იყო, რომ სწორედ ერთ-
ერთი მათგანი იყო უბედურების მიზე-
ზი.

გივი ტროლეიბუსის უკანასკნელ მოგა-
ჩერებაზე ჩამოვიდა. იგი ავტოქარხანა-
ში მიდიოდა. სპეციალისტების სახლე-
ბთან ავტობუსში გადაჯდა.

შუადღე იყო. ავტობუსი თითქმის
ცარიელი მირახუნობდა. დეკემბერი
იწურებოდა. ცა მოწმენდილი იყო და
მზეც ანათებდა. მზე, რომელიც არც
ათბობდა, არც თვალს ჭრიდა. ცივი
ქვენაც უბერავდა.

გივიმ ავტობუსის ფანჯარა გააღო.
მის გვერდით მყოფი ძარღვიანი მამაკა-
ცი სწრაფად გადაჯდა. გივიმ მამაკაცი
შეათვალიერა და დაასკვნა, რომ ამ კაცს
სულ არ ეკადრებოდა ასეთი სიფრთხი-
ლე.

ავტობუსი ჩქარა მიდიოდა და გივის
ცივი ჰაერი სცემდა სახეში, თმა სულ
აეწეწა.

ვზის მარჯვენა მხარეს მინდორი და-
ეხნათ. ვზასთან დეღე „გაჭრილი“ მო-
დიოდა. დეღე ფხვიერ მიწაში არხივით
იყო ჩავარდნილი, იფიქრებდი, ადამი-
ანის გათხრილიაო, — და სახელიც შე-
საფერი ჰქონდა.

თვითონ გზა სანახევროდ გადაეთხა-
რათ. მარცხნივ დიდი, რკინის სვეტები
ეწყო. ტროლეიბუსის ხაზის გაყვანას
აპირებდნენ და გაცხარებული მუშაობ-
დნენ.

„გაჭრილს“ რკინიგზის ლიანდაგთან
არხი უერთდებოდა. უფრო იქით დეღე
რუმბია მოდიოდა. აქედანვე იწყებოდა
საბინაო მშენებლობა.

სამ და ოთხსართულიანი სახლები ხა-
რაჩოებში იყო გახვეული. აქაიქ ფარ-
თოვიტრინებიანი მაღაზიის შენობები
და საბავშვო ბაღები მოჩანდა. სკოლის
დიდი შენობა ახლახან დაემთავრები-
ნათ. კიბეზე ლურჯფორმიანი გოგონები
იღვნენ.

„აი, სად იქნება ახალი აია“ — გა-
იფიქრა გივიმ.

გივი მხოლოდ ერთხელ, დიდი ხნის
წინ იყო აქ ნამყოფი. ომი ახალი დამ-

თავრებული იყო. გივი და ნოდარი სკოლიდან გაიპარნენ. — დავკლექდებით, სწავლას თავს ნუ შევაკლავთო, — უთხრა ნოდარმა. ბიჭებმა წიგნები უბეში დამალეს და ავტოქარხნის გზას დაუწყეს ძებნა. ამ ქარხანაზე ბევრი სმენოდათ და ახლა საკუთარი თვალით სურდათ ენახათ ყველაფერი. ქარხანა დამთავრებულიც კი ეგონათ.

ახლანდელი ტროლეიბუსის გაჩერებამდე ფეხით ჩავიდნენ. სხვას ვერავის გაუბედეს და ლელვის გამყიდველ დედაკაცს ჰკითხეს.

— ავტოქარხანა, შეიღებო, ბევრ ადგილზეა, თქვენ რომელი გინდათ? — იქით შეეკითხა ლელვის გამყიდველი.

ბოლოს ბიჭები ვიღაც ღვთისნიერმა კაცმა დააყენა გზაზე. მტვრიან, ოღრო-ოღრო შარაზე დანჯღრეული თვითმცლელები დაშლივინობდნენ. ხრემ-მოყრილ გზაზე მტვერი დგებოდა და ცხენზე ამხედრებული კაცის ყაბალახით ფრიალებდა.

სექტემბერი იყო. ცხელოდა. გზის ორივე მხარეს მოტიტვლებული ადგილები ჩანდა. დაოსებულ ლელეში ბაყაყები ყიყინებდნენ. დასიცხული გზა მიდიოდა გაუთავებლად. ბიჭები არ ჩქარობდნენ, ჩიტებს ქვებს ესროდნენ, ფეხებს წყალში ისველებდნენ და გაღმა გადიოდნენ. თვალეზადმოყრილი ბაყაყები რიგრიგობით, წკაპაწკაპით ეშვებოდნენ წყალში, და გივისაც ამ მოგზაურობიდან ეს უფრო დაამახსოვრდა.

დაღლილები, დამტვერილები ჩავიდნენ ადგილზე, სადაც არავითარი ქარხანა არ დახვედრიათ. იყო მხოლოდ ჭიშკარი და ვრცელი გადაღობილი მინდორი. მინდორში რამდენიმე დაბალი შენობა, რკინის ხარაჩოები და შუამდე ამოყვანილი კედლები გაფანტულიყო.

ბიჭებს ეგონათ, ერთ უზარმაზარ სახლს ნახვდნენ, და მისი სიდიდე აინტერესებდათ.

ირგვლივ ცემენტისა და კვამლის სუნი იდგა. მანქანები ღერძამდე ეფლობოდა ტალახში. დაჭაობებულ მინდორში ქარი უბერავდა.

ქარხნის ჭიშკრიდან საქმიანი ადამრები გამოდიოდნენ. ბევრს სამხრეთ-ამქერალი ხალათი ეცვა.

გივი მას მერე აქეთ არ ყოფილა. ამ ადგილებს ძველი შთაბეჭდილებით წარმოიდგენდა. მართალია, იცოდა, რომ აქაურობა შეცვლილი იქნეოდა, მაგრამ ამას მაინც არ ელოდა.

ჭიშკართან ახალი თვითმცლელები იდგა. ერთ მანქანას ხალხი შემოხვეოდა. მძღოლი ახალი კონსტრუქციის მუხრუჭებს ამოწმებდა. ბოლოს ძარაც ასწია. გივიმ ჯერ მანქანასთან შეიქცია თავი, მერე ახალგაშენებული მიდამო დაათვალიერა. ჭიშკარში არ შეუშვეს. ზევით, კადრებში ადი, იქნებ საშვი მოგცენო, უთხრა ვიღაცამ. გივი ორსართულიანი სახლის რკინის კიბეზე დადგა და ქარხანას გადახედა. დიდი, გრძელი შენობებით იყო იქაურობა დაფარული. ჭიშკართან ჯიხურში უღვაშებიანი დარაჯი საუხმობდა, მაგიდაზე ბოთლით ფარცხანაყანების ცივი წყალი ედგა. ჭიშკარი ღია იყო, მაგრამ დარაჯს ჯაჭვი ჰქონდა გაბმული. მანქანის შესვლა-გასვლისას ჭამას სწყვეტდა, მანქანას ამოწმებდა, ყვიროდა და ხუმრობდა; შემდეგ ისევ ჭამას აგრძელებდა. „ასე რა საქმელი შეერგება ამ კაცს!“ — გაიფიქრა გივიმ.

გივიმ ნაცნობი ბიჭი შეამჩნია. ამ ბიჭს იგი არასერიოზულ კაცად თვლიდა და ახლა საქმიანად მომავალს რომ შეხედა, გაუკვირდა. ნაცნობს ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა. უკან რამდენიმე მუშა მოსდევდა. გივიმ იფიქრა, ალბათ ეს ის არააო. მაგრამ ბიჭმა თვითონვე გაუცინა და ხელიც ჩამოართვა, როგორ ხარ, გივიო, — ჰკითხა. გივიმ ვერც მისი სახელი გაიხსენა და ვერც ის, თუ საიდან იცნობდა. უბრალოდ იცნობდა და ეგონა, რომ ძალიან არასერიოზული კაცი იყო. ნაცნობს სატინის ხალათი ეცვა. მან გივის საშვი აუღო და როცა წავიდა, გივიმ მაინც გაიფიქრა, — ეს ის არაა, მე რომ მგონიაო.

რეზო ჭიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

გივი ქარხნის ეზოს დაბალი ხეების ხეივანს გაჰყვა და პირველივე საამქროს კარში შეეყო თავი, ისე რომ კაცისათვის არაფერი უკითხავს. უზარმაზარ კარში გახილულს უკნიდან მექანიკური ურიკა კინალამ დაეჯახა. გივი გვერდზე გაიწია და ფეხი რკინაზე დაუტყურდა, ფეხსაცმელი დაესვარა.

საამქროში გრძელი კონვეიერი მანქანის ნაწილებს მიაქანებდა. გივიმ უკან წამოსვლა დააპირა, მაგრამ ბუხუტის მოკრა თვალი და შიგ შევიდა. ბუხუტის ლურჯი სპექტანსაცმელი ეცვა. პატარა ვაგონს აწვებოდა და ვილაცის უყვიროდა. გივის გაეცინა.

ბუხუტის გაეხარდა ამხანაგის დანახვა, მაგრამ გაუკვირდა კი.

— რა გინდა, ბიჭო, აქანა?.. გამოდი, არაფერი დაგეჯახოს, — ბუხუტიმ გივი გვერდზე გაწია და მერე ხელი ჩამოართვა.

რალაც დანადგარები გამაყრუებლად რახუნობდა. გივის პირველად ყურის ბარანები ეტკინა. ბუხუტიმ საწნეხები აჩვენა. აუწერელი სიმძიმის წნეხები ხმაურით ეცემოდა.

— თავი შეეყავი შიგ, თუ გინდა! — უთხრა ბუხუტიმ.

ნოდარი იქ არ იყო და სხვაგან დაუწყეს ძებნა. გადადიოდნენ დახვევებულ რკინებზე, დაძვრებოდნენ ამწეებისა და გაუქმებული კონვეიერების ქვეშ. გივის დასცხა პალტოში. რამდენჯერმე ისე ვიწრო გასასვლელში გავიდა, რომ შეეშინდა, — ჰაერი არ მყოფაო.

— ნოდარი არ გინახავს? — ყველას ეკითხებოდა ბუხუტი. ზოგმა აქეთ მიასწავლა, ზოგმა იქით. გივის გაუკვირდა, — ამდენი მუშა საიდან იცნობსო.

ბევრი ფიქრობდა, ბევრს ეგონა, რომ ნოდარი ეშმაკი კაცი იყო. გარდა იმისა, რომ თაღლითური გამოხედვა ჰქონდა, თავისუფლად შეეძლო გაეცურებინა, მშრალზე დაესვა ვინმე, მასხრად აეგდო კაცი, მაგრამ იგი ეშმაკი მაინც არ ყოფილა. უფრო ხშირად თვითონ რჩებოდა მოტყუებული. ქვეყანას ხანდახან გულუბრყვილოდ უყურებდა.

ნოდარის ადგილზე იას სხვა მეტად

მოხიბლავდა. მართალია, ეს ადრე არც მას უჭირდა, მაგრამ იგი თითქოს ერთ ადგილზე შედგა, ამოიწურა და დაიფეხლარ იშველიებდა ახალ ხერხებს, რაიც ქალს მასთან მიაჯაჰყავდა სამუდამოდ. ქალი მასში სიახლეს ვეღარ ნახულობდა და ნოდარი მისთვის დაპატარავდა. ნოდარი ამას გრძნობდა, ვერც გრძნობდა. ახლა იგი უფრო ხშირად ფიქრობდა იაზე, ვიდრე ოდესმე. ბოლო დროს საოცარი რალაც ემართებოდა; როგორც კი მარტო დარჩებოდა, ბოლმა იპყრობდა, რადგან ია მასთან აღარ იყო აღარაფრით და რალაც გაურკვეველ ბურუსში იგონებდა მას. ერთი დღის უნახაობა საუკუნით აშორებდა და ქალი დასაკარგავიდან იზიდავდა. „რა ვქნა, — ფიქრობდა იგი. — ხელი უნდა მოვაწერო, სანამ გვიან არ არი... საჭიროა კი?.. ანდა, როგორ?.. ჯერ ხომ უნდა გავქორწინდე, არადა, ჯავრი გადამიტანს, მოგკვდები, ის ქალი თუ ჩემი არ იქნა!“

ნოდარს ლურჯი ხალათი ეცვა. გულისჯიბეში ქვითრები და ფანქრები ჰქონდა ჩაწყობილი. იგი დაფიქრებულად მოდიოდა. გივიმ იუცხოვა ნოდარი, რალაც სხვა კაცად მოეჩვენა. გარეგნულად სულ არ იყო შეცვლილი, მაგრამ გივიმ ისიც კი იფიქრა, რომ სულ არ იცნობდა იმ ადამიანს. რა მდგომარეობაში არ უნახავს მეგობარი, — ჩოხაში, ფეხბურთელის ფორმაში, ბილიარდის თამაშის დროს, მაგრამ არასოდეს შეცვლილი არ ჩვენებია. მისდამი რალაც პატივისცემით გაიმსჯვალა. „ეს მართლა მშრომელი კაცია, ამიტომ არის ასე გამხდარი“, — გაიფიქრა. შეშურდა კიდევ მისი ყოფა.

ნოდარმა გივის მოტორების ამწყობი საამქრო გააცნო. ეს არის ქარხნის გული, ძმაო, — უთხრა, მასუკან სხვა საამქროებიც დაათვალიერებინა. წელიწადი იწურებოდა და გახურებული შრომობდნენ. ამ სიცივეში ყველა ოფლად იყო გაღვრილი.

— დიდი პრემია გვერგება, თუ გემას გადავაცილებთ! — თქვა ნოდარმა.

— მერე როგორაა საქმე? — კითხა გივიმ.

— ჯერ არ დაუანგარიშებიათ საბოლოოდ, მაგრამ ამის ხელში რა გეგმა შესრულდება! — თქვა ნოდარმა და ბუხუტისკენ გაიხედა.

— წადი, ბიძია, სული რომ აღარ გიდგას, ხომ უყურებ შენ... — გამოდი, არაფერი წააქციო. — გვერდზე გასწია ბუხუტი ნოდარმა და ლაპარაკი გააწყვეტინა.

გივიმ ქარხანაში იმდენი ნაცნობი ნახა, რომ გაცივებული დარჩა. ისეთებიც კი, რომლებიც ეგონა მარტო ბაღის კედელზე იდგნენ, უბრალო მუშებად მუშაობდნენ.

„აი, ვინ შრომობს და ვინ აკეთებს რაღაცას!“ — ფიქრობდა იგი უკან დაბრუნებისას. ჯარში ნაყოფი უსაქმობას არ იყო შეჩვეული, მაგრამ იქაურობამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. „ესენი ქმნიან ხელშესახებ, მატერიალურ საგნებს და ესაა სინტერესო“.

ქარხნიდან დაბრუნებულმა გივიმ საჯარო ბიბლიოთეკაში შეიარა. ლია ქვის კიბეზე ეშვებოდა. გივის გული აუძგერდა. ქალმა გაუღიმა. გივიმ ქვევით შეიცადა. ლიამ წიგნები და პატარა ჩანთა მარცხენა ხელში გადაიტანა და ვაჟს ხელთათმნიანი ხელი ჩამოართვა. გივის თითები გალურჯებოდა სიცივისაგან. ქალის სითბო და იასამნის ნელსაცხებლის სურნელი ეცა. ლიამ მოიკითხა.

— დირექტორმა დამიბარა, არ ვიცი რატომ. — გივიმ პალტოს ჯიბიდან ბარათი ამოიღო. ლიამ გამოართვა.

— ალბათ სადამო აქვთ და რამე მოხსენებას დამავალებს, — ვითომ სხვათა შორის თქვა გივიმ. ლიამ გაუცინა და ბარათი დაუბრუნა. ქალს ხიბლავდა გივის საქმიანობა; მოსწონდა, როცა ვაჟს სხვები აფასებდნენ. გივის თმა ჰქონდა აწეწილი. ქარს მისთვის სახის ფერი შეეცვალა. მზერა ჰქონდა ნათელი და ჰკვიანური. ქალს მოეწონა. ვაჟმა იგრძნო და ეს უპირატესობა რომ არ დაეკარგა, საათზე დაიხედა, გულგრილად თქვა: — ავალ ერთი, არ დამაგვიანდეს!

ქალმა ისევ გაუცინა. გივი ნელა აპყვა ქვის კიბეს; იგი გამარჯვებულად

თვლიდა თავს. „რა კარგ დროს შემიხვდა, — ფიქრობდა იგი. — კაცმა რომ თქვას, რა აქვს ახლა მაგას ისეთი გარემოება... რითი მჯობია მე!“

გივი როგორღაც ამჩაქდა და სახეზე სიმხურვალეც იგრძნო. მთელი სადამო ამ შეხვედრაზე ფიქრობდა და კმაყოფილი იყო.

აიაზი თოვლი მოვიდა

შვიდ იანვარს, ღამით, პირველად მოთოვა. მეორე დღეს განუწყვეტლივ ცვიოდა მსხვილი ფანტელები. მთელი აია რბილი თოვლით დაიფარა. ფაზისი სულ დაჩივდა; საპირები თოვლმა მოუარშია. მდინარის ქვისფერ ზედაპირზე ეცემოდა და ქრებოდა ფიქვები. ყველაფერი გადათეთრდა.

წინა დღით გოგია დავლაძემ, როგორც იქნა, დაიხელთა ია და დიდხანს ელაპარაკა. ამ საუბრის დროს ია აქეთ-იქეთ იყურებოდა, თუ გვიყურებენო, რცხვენოდა; თავი კი ისე ეკვირა, თითქოს სულ უმნიშვნელო რამეზე იყო საუბარი. გოგია ლაპარაკობდა გულწრფელად და, რამდენადაც შეეძლო, დალაგებულად. მან თქვა, რომ ნოდარს მიტოვებული ჰყავდა ცოლი, რომელთანაც ოფიციალურად არ იყო გაყრილი. მართალია, ყველაფერი, რისი თქმაც მას სურდა, ვერ თქვა, მაგრამ მაინც კმაყოფილი მიდიოდა შინ. დღე იყო დაბურული და თბილოდა.

იამ ეს ამბავი ადრევე იცოდა, ოღონდ ყურმოკვრით და ამით მაინც დამაინც არასოდეს დაინტერესებულა. ამ ქალს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რითი გათავდებოდა ეს რომანი და ასეთ სერიოზულ საკითხებს გაურბოდა. ახლა მოეჩვენა, რომ ეს პირველად გაიგო და ვერ მიხვდა, ადრეც იცოდა, თუ არა... მაინც დაწყდა გული.

იას გვიანობამდე არ დაეძინა. იგი მარტო იწვა ოთახში და უზარმაზარ რბილ საწოლში იყო ჩაფლული.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

ტიტემ მანქანა გააჩერა ეზოში. იამ გაიგონა მისი ხმა; ქალს ყური ჰქონდა მიჩვეული. იცოდა, ახლა კარები მოჯახუნდებოდა. ტიტემ რიგრიგობით მიკეტა ყველა კარი. რახ, რახ, ბრახ, ბუზ. ბოლოს ისევ სიჩუმე დადგა. ია თავის ფიქრებს დაუბრუნდა.

ტიტემ იას ოთახში შემოიხედა. იამ გაუცხხა და ტიტე შიგ შემოვიდა. იგი მთვრალი იყო. ხელებს პიჯაკის ჯიბიდან არ იღებდა. ტიტემ ჩახლეჩილი ხმით დაილაპარაკა; გერს მიეაღერსა. უთხრა: თბილისში გადაგიყვან, აქაურობას სულ გავყიდო. უფრო კულტურულ საზოგადოებაში უხდა გამყოფო. ია ილიმებოდა და მამინაცვალს უყურებდა. ტიტე ატყობდა, რომ იას მისი არ ჯეროდა და რაც შეეძლო, სიმთვრალეს მალავდა; ზედმეტად სერიოზულად ეჭირა თავი. გარეთ ვასვლისას დარწმუნებით თქვა, — მოთოვს ამელამ, მაგრამ არაუშვასო.

იას დიდხანს არ დაეძინა. იგი ფიქრობდა თბილისზე და „სხვა საზოგადოებაზე“. ბოლოს გაახსენდა, რომ იგი გოგიას ძალიან უყვარდა და მას არ ჰქონდა უფლება, ამისათვის ანგარიში არ გაეწია. „მაგრამ მე ხომ ძალიან ლამაზი ვარ“, — მსჯელობდა იგი. იმდენად არ უნდოდა ამ კაცის სიყვარული, რომ დაასკვნა: როგორც კარგისმოყველი, ისე მეპყრობაო.

იას რატომღაც ეგონა, რომ მისი სიყვარულით თორნიკე უფრო იყო გატანჯული. იგი ამ საწოლში უკვე ხშირად ფიქრობდა თორნიკეზე. ამ დროს იზმორებოდა და ტანს ავაზასავით ჭიმავდა.

... უცნაური კაცი ჩანდა თორნიკე. ლაპარაკის დროს იას მკლავში უჭერდა ხელს და თვალბეჭდით მოუხილავდად უყურებდა. სახე მის სახესთან მიჰქონდა. სხვა ვაყები ამდაგვარად არ ექცეოდნენ. „აღბათ მის წრეში ასეა მიღებული; მე ხშირად ვფრთხები და შეიძლება ეს უტაქტობას ნიშნავს“. ფიქრობდა ქალი.

ია ბოლოს ისევ გოგიას მოტანილ ამბავს დაუბრუნდა და გულმა ნოდარისა-

კენ გაუწია. შეიძლება ეს ბოლო პოეტიკებაც იყო.

იას არსებაში უკვე იწყებოდა ტენის მოძენტი: ჭიდილი გონებასა და გრძნობას შორის. სიყვარულს იგი პრაქტიკულად მიაღდა.

ვთქვათ, შეირთავდა ნოდარი, მერე? ამით თავდებოდა რაღაც, და გარდა ამისა, წინ რა იყო, რა პერსპექტივა?.. ოჯახი, შვილები?.. ეს ყველაფერი ხომ ადრე იყო. ბოლო ეღებოდა თავისუფლებას, რომლის დაკარგვაც მას არაფრით არ უნდოდა.

ასე საღად მსჯელობდა ია, მაგრამ ეს სულ არ ნიშნავდა იმას, რომ ამაზე დიდ სისულელეს არ ჩაიდენდა. ასეთი ფიქრის შემდეგ მას ეჭვი ეპარებოდა, ნამდვილად უყვარდა თუ არა ნოდარი; კაცი, რომელიც სხვისი და ზოგჯერ მისი აზრითაც, არაფერი არ იყო. ქალი თვითონ გრძნობდა, როგორ აყვედრიდა უკვე ვაჟს თავს.

შეიძლება ამიტომაც დაუახლოვდა თორნიკეს. ეს სიანლოვე ბოლოს მან თეორიულადაც გაამართლა. იგი ფიქრობდა, რომ თორნიკესთან მხოლოდ მეგობრობდა. ამ აზრს, მეტ-ნაკლებად, თორნიკეც უმტკიცებდა. იგი ფრთხილად მოქმედებდა და ქალის სწრაფად გაღიზიანება არ უნდოდა.

გივიმ ერთი ორჯერ დაინახა ია თორნიკეს მანქანაში. ეწყინა. ქალისათვის არაფერი უთქვამს.

ჯუკუ დვალი ვერ იტანდა თორნიკე ფათალადეს. გივი გრძნობდა, პატარა შემთხვევა და ჯუკუ გალახავდა თორნიკეს. შეიძლება გაელახა სულ ტყუილა, ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

თორნიკე პედინსტიტუტში სწავლობდა. კურსიდან კურსზე წვალებით გადადიოდა. ზარმაცი კი იყო, მაგრამ ნიჭიერიყო, არავის უთქვამს. ქალის მონიბვლა მისი ცხოვრების მთავარი გამართლება იყო. ამისათვის იგი თავს არ იზოგავდა და გარკვეულ შედეგებსაც აღწევდა. ქალაქში დონ-ჟუანის სახელიც ჰქონდა დაგდებული.

იას იმ დამით ესიზმრა, რომ ზღაპრულ მწყემსს მოეტაცნა. მწყემსს გრძელი,

თეთრი შკლავები და ქერა თმა ჰქონდა. იგი მუხლებზე უჯდა ქერათმიან კაცს. მწყემსი ეალერსებოდა. მაღალ მთებს ცხვრის ფარა შეფენოდა.

იამ გაიღვიძა, თვალი გაახილა. გათენებულიყო. იგი ისევ სიზმრის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და მოეჩვენა, რომ გარეთ ყველაფერს ცხვარი ძეხვოდა. წამოიხსია და ფანჯრისაკენ შეტრიალდა. წარმოუდგენელმა სითეთრემ თვალი მოჭრა. იამ ხელები აიფარა სახეზე. მერე მუხლებზე დადგა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. თოვლს ყველაფერი დაეფარა. ფანტელები აღარ ცვივოდა და სითეთრე სისხათლეს უხვად ირეკლავდა. თოვლს სახლები გადაეხურა, ხეები დაეზნიქა. ჯაჭვის ხიდს ზევით კლდოვანი გორა და ფერღზე შეფენილი სახლები დინჯად გახვეულიყო თეთრ ნაბადში. უფრო მაღლა სუდარა-მოსხვეული, ლამაზი საყდარი მოჩანდა.

იას ძალიან უყვარდა პირველი თოვლი, იგი მას ამშვიდებდა. ქალი დიდხანს იყურებოდა ფანჯარაში, თოვლს თვალს ვერ ამორებდა. რაღაცაზე დაფიქრდა და გუშინდელი ამბავი მოიგონა; ისიც სიზმარივით გაიხსენა. საწოლში მუხლებზე გაიარა, პატარა მაგიდას გადააწვა და ტელეფონის ყურმილი აიღო.

ნოდარი შინ იყო. როცა იამ უთხრა, სერიოზული საქმე მაქვსო, იგი უკვე მიხვდა ყველაფერს. მან იცოდა გოგიას მზაკვრობა.

იამ ჩაიცვა. დიდხანს ეალერსა ნაძვის გაწყობილ ხეს; იგი მას საახალწლოდ დაუდგეს. ნაძვისზე ცოტა შემპკნარიყო, მაგრამ თოვლის ეშხით მაინც სხვა ელფერი მიეცა. ია ეფერებოდა ოქროსფერ ციყვებს და ბრჭყვიალა მძივებს აუღარუნებდა.

ქალ-ვაჟი ერთმანეთს ქუჩაში შეხედნენ.

იას ძვირფასი, მონაცრისფრო ქურქი და რბილი კაუჩუკისძირიანი ფეხსაცმელი ეცვა. ქურქი ძალიან შვენოდა.

ია და ნოდარი მდუმარედ მიიბიჯებდნენ უკაცრიელ ქუჩაში. ია დადიოდა ფეხაკრეფით და ვეფხვივით რბილად.

მის ფეხქვეშ ფაფუკი თოვლი ხრამუნებდა. ცა ღრუბლებით იყო გადაფარული, მაგრამ მაინც ნათელი დღე გამოვიდა. გამჭვირვალე ჰაერი უანგბადითა და ოზონით იყო გავსებული. ირგვლივ ზღაპრული სიჩუმე იდგა. მაღალი ხაძვი ხანდახან კენწეროს შეარხვებდა და თოვლის დიდი გუზბა დაგაფუხით ვარდებობოდა ისევ თოვლში.

ნოდარი ელოდა, რომ ქალი აგერაგერ ეტყოდა სათქმელს. ია კი არაფრის თქმასაც აღარ აპირებდა. ნოდარი მისთვის ყველაფერზე ძვირფასი იყო იმ წუთას და იმ დიდი სიჩუმისა და სიმყუდროვის დარღვევა სულაც არ უნდოდა.

ნოდარს მაინც უსიამო განწყობა დაუფლებოდა. არ ემზადებოდა პასუხისათვის; არც თავის მართლება ჰქონდა გადაწყვეტილი: უბრალოდ — რა უნდა ეთქვა, არ იცოდა. ბოლოს, როგორც იქნა მიხვდა, რომ ქალს შეიძლებოდა სულაც არაფერი ეკითხა, და გულზე მოეშვა, მოეწონა ასე მდუმარედ სიარული. იგი წამდაუწუმ ეწეოდა სიგარეტს და გათოშილი ხელებით ფერფლავდა თოვლზე.

ნოდარმა პატარა მალაზიაში ისევ იყიდა სიგარეტი. გამყიდველს ცემენტის იატაკზე ფიცრები ჰქონდა დაფენილი, მაგრამ მაინც ცალ ფეხზე ქანაობდა და ხელებს იორთქლავდა. თეთრ ხალატს შიგნით ბევრი ეცვა. ნოდარმა იცნო იგი.

— რა გინდა, შე კაცო, აქ? — ჰკითხა ღიმილით.

— რა გქნათ, ძმაო, ჩვენი ხელობა ასეთია, ხან აქ ვართ, ხან იქ! — გამყიდველმა ნოდარს იას ხათრით უპასუხა ასე მორიდებულად. ნოდარმა სიგარეტი ჯიბეში ჩაიღო და გამყიდველს დაემშვიდობა.

— კარგად, ნოდარი, გენაცვალე! — ზრდილობიანად უთხრა თეთრხალათიანმა. ეს სიტყვები ქალსაც ეკუთვნოდა.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

ნოდა და იამ თავშეკავებულად გაიღიმა. ოღნავ დაუკრა თავი უცნობ მამაკაცს.

ქალ-ვაჟი ახლა ქვევით დაეშვა. ისინი პირდაპირ შუა ქუჩაში მიდიოდნენ. ტრანსპორტი აქეთ მშრალ ამინდშიც იშვიათად მოძრაობდა.

... თოვა დაიწყო. ჯერ წვრილად, მერე თოვლის ფთილები დამსხვილდა. ისევ გადათეთრდა ცა. თითქოს ტყემლის ხიდან ჩამოცვენილი ყვავილების სურნელებაც დადგა. ია და ნოდარი ნელ-ნელა ეხვეოდნენ თეთრ ფანტელებში. მიდიოდნენ, პატარავდებოდნენ და თანდათან ბუნდოვანნი ხდებოდნენ.

ბუხუტის ბებია მოუკვდა

17 იანვარს გარდაიცვალა ბუხუტი გვიმრაძის ბებია. ქალი დიდხანს ავადმყოფობდა. იმდენი იძახა, — ვკვდებიო, შინაურებს ეგონათ, არასოდეს მოკვდებოდა. გარდაიცვალა მართლა მოულოდნელად, დილის ხუთ საათზე; გათენებას აღარაფერი აკლდა.

გივი, ჯუჯუ და თამაზი მხოლოდ გასვენების დღეს მოვიდნენ ბუხუტისთან.

გვიმრაძეების ძველი, აგურის სახლი პატარა ეზოში იყო ჩადგმული. ეზო ხალხით დახვდათ გავსებული. ქალი და კაცი ხის კიბეზე აღიოდა და ჩამოდიოდა. უსაქმური დედაკაცები, მისამძიმრების მერე გარეთ გამოსულნი, მოაჯირთან დგებოდნენ, ხალხს ფეხებში ედებოდნენ.

კიბესთან ნოდარმა მოირბინა. წელზე თეთრი წინაფარი აეკრა, ხელებიც დაკაპიწებული ჰქონდა.

— კიბე, კიბე გაათავისუფლეთ, ჩაიმტვრევა, ბატონო, რკინის კი არაა, ჩამობრძანდით, თუ შეიძლება... ხალხსაც ხელს უშლით! — აყვირდა ნოდარი. ბიჭებს გაუღიმა, შეტრიალდა და სადღაც სირბილით გაუჩინარდა.

კარს ზემოთ შავი სამგლოვიარო ნაჭერი იყო გაკრული:

„გემშვიდობები, ნაკვდავო ოჯახო, თინა ვარლამის ასული

მაჭუტაძე — გვიმრაძე

1867—1953 წწ.

კუბოსთან შავებში ჩაცმული დედა-კაცები ისხდნენ. მათგან ერთი ბუხუტის დედა უნდა ყოფილიყო, მაგრამ რომელი, — გვიმ ვერ იცნო. ამიტომაც ხელი არავისთვის ჩამოუერთმევია. ასევე მოიქცნენ დანარჩენებიც. ქალებს იქით რამდენიმე წვერმოშვებული კაცი იდგა. სოფლელებს ჰვავდნენ. პიჯაკებს შიგნით შავი სატინის ბლუზები ეცვათ და გულზე შავ არშიაშემოყოლებული სურათები ქინძისთავეებით დაემაგრებინათ. ამით მერე ბუხუტი იდგა, მარცხნივ კი მამამისი კოლია, საშუალო ტანის, თხელი კაცი გაჩერებულიყო. კოლიას გვერდით ბუხუტის ძმა იდგა. იგი ისე ჰვავდა მამამისს, თითქოს კოლიას ახალგაზრდობის სურათი ყოფილიყოს კედელზე მიყუდებული. სამთავეს პიჯაკის სახელოზე შავი ლენტები შემოეკერებინათ.

ბუხუტი ამხანაგებს აკვირდებოდა; მიხვდა, როგორ დაიბნენ ამ რიარიაში და ოღნავ გაეღიმა. ბიჭებმა მამასა და შვილებს და გვერდით კიდევ ვიღაცეებს ხელი ჩამოართვეს. ჯუჯუმ ბუხუტის თვალი მოარიდა, შეეშინდა, არ გაცინებოდა.

მზე სუსტად ანათებდა, მაგრამ გარეთ გასულებს ალაპლაპებულმა თოვლმა მაინც თვალი მოჰკრა. ეზოში ხალხს თოვლი დაეტკვნა. თოვლი ალაგ-ალაგ გამდნარიყო და ბევრგან წყალი იდგა.

ერთ ადგილას ღობე გაერღვიათ. ჩანდა, სუფრა მეზობლისას იყო გაშლილი. მართლაც, რამდენიმე უღვაშშეჭადარავებული კაცი ხალხს იქით ებატიეებოდა:

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით!

ბიჭები ფეხს ითრევდნენ, სუფრაზე დაჯდომა არ უნდოდათ.

სახლს უკან, კედელთან, მწვანე ბრენენტით ქოხის მაგვარი რალაც გადახურათ. გვერდზე ცეცხლი ენთო და უზარმაზარ ქვაბებში ლობიო და მაკარონი იხარშებოდა. იქვე, ღია ცის ქვეშ, ძელებზე ორი დიდი კასრი შემოედგათ. ღვინოს კასრებიდან ბოთლებში ასხამ-

დნენ. ბრეზენტის ჩარდახში დიდი მაგი-
და დაედგათ და ქალები მწვანის არ-
ჩევდნენ; ჭიქებსა და თეფშებს ასუფ-
თაებდნენ. ჩარდახის ცალი გვერდი
მოდიავებული იყო და ქვაბებსაც იქი-
დან ადევნებდნენ თვალს. ნოდარი ხში-
რად შერბოდა ამ ქოხში, მერე უკან გა-
მოდოდა და თოვლში დახარაშუნობდა.

— მოდი, ბიჭო, ნუ დარბიხარ ძალ-
ლივით! — ჩუმიად დაუძახა ჯუჯუმ.

ბეოლის ძირში იაშა ბაზაძე და ალიო-
შა გუბელაძე ლაპარაკობდნენ. იაშას
შლაპა ხელში ეჭირა და ოდნავ შეთე-
თრებულ თმას ხელით ისწორებდა. ორი-
ვე ერთი სიმალლისა იყო. გამხდრები და
ყვრიმალებშელეწილნი. სავსენი ენერ-
გიით, სიხალისით, მწუხარებით; საქმით
და უსაქმურობით. ერთი გამტყდარი,
თვალებჩავარდნილი იყო. მეორეს მო-
ელვარე თვალები ჰქონდა, რომელიც
მის შეუპოვარ ხასიათზე ლაპარაკობდა.
იაშას საოცარი სულიერი ძალა ჰქონდა,
რომელსაც ყველა საჭირო შემთხვევაში
ხარჯავდა და შემდეგ ერთი შესვენებით
აღიდგენდა. ხშირად უთქვამს, — მარ-
ტო ტანკს არ გადაუვლია ჩემთვისო.
მთელი ომის მანძილზე ფრონტზე იყო
და იქედან ისე ჩამოვიდა, თითქოს არ-
სადაც არ ყოფილიყოს.

— ჩვენხანობაზე ამათ ქვეყანა იც-
ნობდა. ქუჩაში რომ იჩხუბებდნენ,
მოძრაობა წყდებოდა თურმე! — თქვა
ჯუჯუმ. გივის გაეხარდა, ნათესავეები რომ
„შეუქქეს“.

იაშას გასვენებისათვის აღარ დაუც-
ვია. ალიოშას ხელი ჩამოართვა და წა-
ვიდა; ქუჩაში მანქანა ელოდა.

გუბელაძე ბიჭებთან მივიდა. სამთა-
ვეს ხელი ჩამოართვა. იგი ფხიზელი
იყო და სუფრაზედაც არ ჯდებოდა.
ფერდაკარგული შლაპა ეხურა, გახუნე-
ბული პლაშჩი და კალოშები ეცვა.

ამ ჯგუფს მერე ბონდო ნიქარაძე მო-
ემატა. ბონდოს გვარიანი პალტო და
ახალი ჩექმები ეცვა, მხოლოდ ბოხოხი
შელანძლოდა ცოტა. გივის არ უყვარდა

ეს კაცი და მისი მოსვლა არ ესაიამოვ-
ნა. ეს ცოლ-შვილის პატრონი ადამიანი
ხანდახან ისეთ ნაძირალებში დადიოდა
ბოდა, გაგიკვირდებოდა. ისედაც გაურ-
კვეველი პროფესიის კაცი იყო. ერთხა-
ნობაზე ტროლეიბუსის მძღოლად მუ-
შაობდა. რამდენჯერმე გივის სრულიად
უადგილო ალაგას მასუთში ამოსვრილი
შეხვდა. ხან ესალმებოდა, ხან არა.

დამპატიყებლები ისევ მოვიდნენ.
ერთმა ალიოშას მკლავშიც მოკიდა
ხელი.

— გამოუძეხი ამ პატიოსან ხალხს,
ალიოშა ბატონო.

— არა, ბატონო, — იუარა ალიო-
შამ. — როგორ გეკადრებათ, უცხოები
ხომ არ ვართ; დაჯდომას მერეც მოვას-
წრებთ; თქვენ ჩამოსულებს უფრო მი-
აქციეთ ყურადღება, გულნაკლული არა-
ვინ წავიდეს!

ბრეზენტის კარვიდან ნოდარი გა-
მოდგრა.

— თქვენ არ აბირებთ დაჯდომას?

— რა დროსია, საცაა გამოასვენებენ
მიცვალებულს, საქმე თუა რამე, ის
გვეთხარი შენ! — უპასუხა ალიოშამ.

— მაშინ აქ შემოდით და თითო ჭიქა
დალიეთ!

— არაა საჭირო... — შეყოყმანდა
ალიოშა, მაგრამ სახე შეეცვალა და
სწრაფად თქვა: — თუმცა, თითო ჭიქა
შეიძლება, — კარვის კალთა გადაწია
და სწრაფად შეძგრა შიგ. — მხოლოდ,
ფეხზე, იცოდე! — დაემუქრა ნოდარს.

— აჰა, შემოდით, მიცვალებული ვახ-
სენო!

ყველანი შიგ შევიდნენ.

— ლობიო და მწვანილი! — დაიძახა
ნოდარმა, თვითონ ღვინო ჩამოასხა. ქა-
ლები დატრიალდნენ: თეფშები დაამ-
შრალეს; ჭიქებს წყალი გაავლეს; ცხე-
ლი, წითელი ლობიო მაგიდაზე დიდი
გობით შემოდგეს. მაგიდა ახალი მწვა-
ნილით გაივსო. მწვანილი თოვლქვეშ
იყო დაკრეფილი.

ნოდარმა ჭიქები გაავსო.

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

— მიერთვით, ბატონო, მიერთვით! — იძახდნენ ქალეი.

— აჲ ჭკივთ, ბიჭებო, ხსენება და არ-დავიწყებია იყოს შიცვალეულის! — თქვა ალიოშამ.

— ხამდვილად! — დამეოწმა ნიკა-რაძე, როგელსაც პირი ლოიითი და მწვანხილით აქობდა გამოტეხილი. ალიოშას ჭიქა მიუტრყვა, მაგამ თითები მოიხველია, ოათა სასმიის ხმა არ გავ-ლო და წესი არ დაერღვია.

— ხსენება და არ დავიწყება იყოს შიცვალეულის!

— ხსოვხა და არ დავიწყება!

— საუკუნო ხსენება იყოს შიცვალე-ბულის!

— ხსოვნა და არ დავიწყება!

— ყინვასავით არაა ეს ღვინო?!

— მირონივითაა, პატრიკეთიდან ჩა-მოიტანეს, მეთოდეს სოფლიდან, — თქვა ნოდარმა.

— მეთოდე არ ჩამოსულა? — იკით-ხა ვიდაცამ.

— არა, დეპეშა გამოგზავნა!

— ეს მეთოდე გამაგებინა, ვინაა და მომკლა შერე! — თავისთვის თქვა ჯუჯუმ.

— რა არის, ბიჭო, ეს ლობიო, ცა-რიელი პილპილი არაა?! — ამოიქმინა ბონდომ.

— ამ ჭიქებით, ბიჭებო და ბატონე-ბო, გამარჯვება და დღეგრძელობა იყოს ჭირისუფლების: გარდაცვლილის შვილის კოლიასი და კოლიას ცოლის ანიკოსი; ასეთი მწუხარება უკანასკნე-ლი ყოფილიყოს მათ ოჯახში, აკმაროს ღმერთმა, აწი სულ ღვინში და მხიარუ-ლებაში მოვსულიყოს! — დაღია მო-რიგი სადღეგრძელო გუბელაძემ და ტუჩები მოიწმინდა; ღვინოს ციციქნა პური და პრასის ნაჭერი ჩააყოლა.

— გამარჯვება იყოს ჭირისუფლების, ბატონ კოლიასი და ქალბატონ ანი-კოსი!

— ნამდვილად!

— კოლია ბიძიას და ანიკო დეიდას გაუმარჯოს!

— კარგად იყვნენ და ბედნიერად.

— ჭირისუფლების დღეგრძელობა იყოს!

— ისე, მართალი თუ ვინდა, მარტოა-მა, ბიძია, ბევრი კარგი ხახა ცხოვრება-ში და ბევრი გაჭირვებაც კი გადაიტა-ნა; ტყულია, ქალიატოთ თამაოა? — იკითხა ალიოშამ.

— ტყული რავაა, ბატონო ალიოშა! — ამოიოხრა მაკარონის ქვაბთან მიცუ-ცქულმა პატარა დედაკაცმა.

— იმხანობამდე იყავით ჯანმრთელად თქვენ, ქალბატონო თამარა!

— იმხანობამდე რა შიშაწვევებს, ბა-ტონო ალიოშა! — აწუწუნდა ქალი.

— ახლა ამ ჭიქით, ბიჭებო, ძმებო, ბატონებო, გაუმარჯოთ შიცვალებულის შვილიშვილების ბუხუტის და ჯეძალის, რომლებიც ამ ოჯახის საერთო წუხილს იზიარებენ გულისტკივილით. პატიოსა-ნი, მშრომელი ბიჭებია და რაც ბებია-მისს დღე დააკლდა, მაგათ მიემატოთ სამხიარულოდ.

— ნამდვილად!

ლობესთან თორნიკე ფათალაძის მან-ქანა გაჩერდა. მანქანიდან ია და მისი ამხანაგი გოგო გადმოვიდნენ. თორნიკე იქვე დარჩა და მახანას ბეჭით მიეყუ-და; ხელები უდარდელად ჩაიწყო ჯი-ბეში. ქალიშვილები სამძიმარზე შე-ვიდნენ.

როცა ალიოშა მეზობლების სადღე-გრძელოს სვამდა, ქალები უკანვე ჩა-მობრუნდნენ და ხესთან დადგნენ. იამ დაინახა ჩარდახში გაჩერებული ბიჭე-ბი; ამხანავს რაღაც უთხრა, შერე გივის გაუღიმა. ნოდარი ზურგით იდგა და ქა-ლებს ვერ ამჩნევდა.

— როგორც ვიცით, განსვენებულს დარჩა ორი ქალიშვილი.... ახლა მინდა მამ ოჯახის სიძეები ვადღეგრძელო და ანიკოს ძმები, კუკური და ბუჭუტიც მი-ვაყოლო ზედ.

— ბარემ ქალიშვილები ადღეგრძელე პირდაპირ, — შეახსენა ბონდო ნიკარა-ძემ, ვითომ მისთვის სულ ერთი არ იყო, ვის სადღეგრძელოს დაღვედა პირვე-ლად.

— მადროვე, ბატონო, და მაგასაც მოგახსენებ! — იწყინა ალიოშამ. ბონ-

ლომ ჩაახველა და კრაველის შელანძღუ-
ლი ბოხიხი გაისწორა.

თორნიკე გოგონებს ანიშნებდა, წა-
მოდითო. იას ბიჭებისა მოერიდა და ასე
ადრე წასვლაც არ უნდოდა. ამხანაგს
უთხრა, შენ წადი, თუ გეჩქარებო.
თორნიკე არ ისვენებდა, ქალიშვილებს
ხელს უქნევდა და იცინოდა. ია გა-
ბრაზდა. ნოდარი მიტრიალდა, ია დაი-
ნახა და გარეთ გავიდა. თორნიკე ნო-
დარს შორიდან მიესალმა.

— რა უნდა ამ კაცს! — თქვა ჯუკუმ
და გარეთ გავიდა. ღვინის სმა აღარ
უნდოდა და ალიოშას უფრო გამოექცა.
მომწვანო ქუდი შუბლზე აიწია. ახა-
ლი, ქამრიანი პალტო ეცვა.

ჯუკუ თორნიკესთან მივიდა და ხელი
აგდებულად ჩამოართვა. თორნიკეს
ეგონა ხუმრობსო და გაიცინა:

— რა შვებით, სვამთ?

— ესვამთ!

— რამდენი ჭიქა დაუბარებია?

— თორმეტი.

— კაცია?

— კაცია.

თორნიკემ ხმამაღლა გაიცინა. ჯუკუმ
ვერ გაიგო, რა იყო აქ სასაცილო.

— შენ თორმეტზე მეტი გაქვს და-
ლეული! — თორნიკემ ჯუკუს მუცელზე
გადაუსვა ხელი. ფათალაძეს სუფთა,
თეთრი სახე ჰქონდა. თვალებს ისე ჭუ-
ტავდა, ეტყობოდა, თვალს აკლდა.

— ჩავჯდები მანქანაში და გავატა-
რებ! — უთხრა ჯუკუმ.

— სად უნდა ატარო ამ თოვლში?..
წადი, სუფრასზე დაჯექი, კარგი ლო-
ბიოა?

— კარგი ძალიან.

თორნიკე იცინოდა და სულ ვერ
ხვდებოდა, რა საშიშროება ელოდა.

— წადი ახლა და ის გოგოები გამო-
უშვი, თუ კაცი ხარ. ნოდართან ბოდი-
ში მომიხადე...

ჯუკუმ თავზე გადაუსვა თორნიკეს
ხელი და ვეება მუჭი ჩამოარტყა ნიკაპ-
ზე. მართალია, არც ისე მაგრად, რად-
გან არც უფიქრია, თუ ხელს გაარტყამ-
და, მაგრამ თორნიკეს მაინც დაცვიცხლა
და ნაპერწკლები გაცვივდა თვალთაგან.

თოვლზე ჩაიჩოქა. ეს ისე სწრაფად
მოხდა, რომ ბევრს არაფერი შეუმჩნე-
ვია. თორნიკე წამსვე მოვიდა ^{გოგონებისა}
მოულოდნელობისაგან და სიბრაზისა-
გან გაფთვრდა, სახეზე ხელი მოისვა.
თამაზმა და გვიმ ჯუკუსთან მიიბრბი-
ნეს. ჯუკუ ამ დროს უკან მოდიოდა. მან
ამხანაგებს ხელით გადაუღობა გზა, —
წამოდით, არაფერი მომხდარაო.

— კარგი, ჯუკუ, კარგი ბიჭი ხარ.
ვნახოთ! — დაემუქრა სიბრაზისაგან
ხმაჩაწყვეტილი თორნიკე ფათალაძე.
ჯუკუმ უკანმოუხედავად კრა წიხლი
გაპრიალეებულ მანქანას. კარს დიდი ნა-
ფეხური დააჩნდა.

ია ამ ამბავს შორიდან უყურებდა.
შეეშინდა.

თორნიკე მანქანაში ჩაჯდა. მანქანა
მოტრიალდა და საბურავები თოვლში
აჭრიალდა; ეს ხმა შემდეგ სადღაც ახ-
ლოს მიწყდა. ქალები მანქანაში ჩას-
ხდნენ თუ არა, არავის დაუნახავს; სად-
ღაც კი გაუჩინარდნენ.

ჯუკუ ძალიან გაბრაზდა. ამ კაცს წე-
სიერებისა და ზრდილობისაკენ ჰქონდა
მიღრეკილება. ცდილობდა, კულტუ-
რულ ადამიანად ეცნოთ. მართალია, არ
იყო წინააღმდეგი, თუ კი ვინმე „მსმე-
ლად“ და „დამრტყმელად“ ჩათვლიდა,
მაგრამ ხშირად ამ ეპითეტებს ვერ
იტანდა, განსაკუთრებით მაშინ, რო-
დესაც ეს სიტყვები არც თუ ისე დიდ
ქებას გამოხატავდა.

ყველანი კარავში შებრუნდნენ. თა-
მაში შემთვრალიყო და ჩუმ-ჩუმად ეცი-
ნებოდა. ბონდო და ალიოშა ხმამაღლა
ლაპარაკობდნენ; ერთი ჭიქა ზედმეტიც
დაელიათ.

— ექვსი საათი სრულდება, სადაცაა
გამოასვენებენ! — საათს დახიდა ნო-
დარმა, რომელიც აქამდე შეწუხებული
და დაფიქრებული იდგა.

— ახლა სამჯერ დააბრუნებენ მაჭუ-
ტაძის ქალს და გაუყენებენ გზას იქით,
საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიან. ახლა
გაუშვარჯოს მიცვალებულის წასვლას და

რეზო ჭეიშვილი

ჩემი მეგობარი ნოდარი

არ მოსვლას!.. ჩვენ წასვლასაც გაუმარჯოს, მხოლოდ სასაფლაოდან პირდაპირ აქ დაებრუნდეთ!

— გამოიყვანეს მკვდარი! — სიცილი აუტყდა ბონდოს. ნოდარმა წინსაფარი მოიხსნა და გარეთ გავარდა.

ხის ვიწრო კიბეზე „სასახლე“ ჩამოჰქონდათ.

ალიოშა კიბისაკენ გაიქცა. ბონდო უკან მიყვა.

— ფრთხილად, ამხანაგებო, ფრთხილად! — მისვლისთანავე აყვირდა ალიოშა.

— ნამდვილად, ჩვენ მიგვიშვით! — ხმა შეაწია ნიქარაძემ.

კუბო ქუჩაში გაიტანეს. ბუხუტისა და მის ძმას მამისათვის მკლავში ხელი ჰქონდათ გამოდებული, ნიავმა წამოუბერა და კუბოზე დაწყობილი დეპეშები გადმოყარა. ბუხუტის მამამ მკლავები გაითავისუფლა და დეპეშებს გაეკიდა. ბუხუტომ პალტოში სტაცა ხელი და დროზე გააჩერა. დეპეშები სხვებმა აკრიფეს.

— მე აქ ვრჩები. ათასი საქმეა, აბა, თქვენ იცით! — დაარიგა ნოდარმა ბიჭები.

— აწი ჩვენ ვითავოთ ყველაფერი! — თქვა ალიოშა გუბელაძემ.

ყველანი შემთვრალიყვნენ, ღვინო თანდათან ეკიდებოდათ. ხუთივენი „სასახლესთან“ გაჩერდნენ.

პროცესია ცოტა ხნით შეყოვნდა, რადგან გვირგვინები დაალაგეს მანქანაზე.

კუბოს წინიდან ბონდო ნიქარაძე და ვილაც ერთი დროული ინტელიგენტი შეუდგნენ, უკანა მხარე ჯუჯუმ და ალიოშამ აწიეს და „სასახლე“ ლამაზად დაფერდდა.

სასაფლაო შორს არ იყო, მაგრამ ბუხუტის სახლიდანვე აღმართი იწყებოდა და დაბეკნილ თოვლზე ფეხი სრიალებდა.

შეზარბოშებული მამაკაცები კუბოს-მტვრითველებს ეშვებოდნენ. მალელები უკან დგებოდნენ, დაბლები წინ იჭერდნენ ადგილს. ბონდო ნიქარაძეს მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაეყო და მარჯ-

ვენა ხელსა და ბეჭს კუბოს არ გამო-რებდა.

— ახლა შევეცვალე, ბატონო,  ბატონო, — ატყუებდა ხალხს.

ცალ გვერდზე კი ერთი დროული ინტელიგენტი, თამაზი და გივი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ეს მხარე ამ სამმა კაცმა დაისაკუთრა.

გივისა და თამაზის კუბო პირველად მიქონდათ და ღვინოთ აღგზნებულებს ეს საქმე ძალიან მოეწონათ.

სასაფლაოზე ასვლისას დაბინდდა. გაუკვალავ თოვლში მანქანა ვერ წავიდა და საფლავამდე კარგა მანძილი დარჩა. საჭირო გახდა გვირგვინების ხელით წაღება. ბუხუტის მამამ კიდევ გაიწია, მანქანაზე შეხტომა დააპირა. ბუხუტის ახლა გული მოუვიდა:

— გამოდი, კაცო, აქეთ, სხვა ჩამოიღებს!

მესაფლავე ბუჭას საქმე მოემთავრებინა და საფლავის პირას ნიჩბის ტარზე იჯდა. ალიოშა დაწინაურდა და ფართხუნით გაიქცა:

— რაფერაა, ბუჭუია, საქმე?

— კარგად, ბატონო, ყველაფერი კარგად; ერთ პაპიროსს კიდევ მოვწევ, სანამ მკვდარს დაიტოვებდნენ.

დეპეშები ვილაც ახალგაზრდა ბიჭს წააკითხეს: სტუდენტია, კარგად წაიკითხავსო.

— „ბუხუტი გვიმრამეს ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარებას და გულწრფელ გულისტკივილს დაუვიწყარი ბებიაშენის გარდაცვალების გამო.

მეთოდე“.

— ტექსტს ნუ კითხულობ, საიდანაა, ვის სახელზეა და ვისგანაა! — დაიძახა ალიოშამ.

— აბა, მეტს რას აკეთებდა ეს კაცი! — გაუკვირდა ბონდოს.

— „...პატრიკეთიდან კოლია და ანიკო გვიმრამეებს

ვალკო“

— ემასე! — გაამხნევა ალიოშამ. ჩამობინდდა. სტუდენტი დეპეშების კითხვას განაგრძობდა.

— ალბათ ტყუილებს იძახის, თუ არა

ამ დამეში რას უყურებს, — ჩაილაპარაკა ნიჟარძემ.

მიწაში ჩაშვების წინ მიცვალეზულს სოფელში გათხოვილი ქალიშვილები შემოეხვივნენ: იტირეს და ითავცემეს. შემდეგ კოლიამ დაიჩოქა, მკვდარ დედას ეამბორა, იტირა და წამოდგა.

... კუბოს სახურავზე ბელტები არახუნდა. ხალხმაც ნელ-ნელა იწყო დაშლა. ჭირისუფლებიც წავიდნენ.

დარჩნენ მხოლოდ ბიჭები; ალიოშა, ბონდო და ერთი დროული ინტელიგენტი. ალიოშამ ნიჩაბი აიღო, დანარჩენებმაც მას მიბაძეს და საფლავში მიწის ჩაყრას მიყვეს ხელი. ინტელიგენტს კუბოს თრევით ცალი ბეჭი ტკიოდა, ყრუდ ეწვოდა, მაგრამ მანაც გულდაგულ მუშაობდა. გივი გრძნობდა, ეს უკვე ზედმეტი იყო.

საფლავი მალე მოასწორეს.

— საკმარისია, მეტს ნულარ შეწუხდებით! — იძახდა ბუჭა, რომელიც კარგახანი უხერხულად გრძნობდა თავს.

— შენ არ მოკიდო, ბუჭუ, ბარს ხელი! — მკაცრად აფრთხილებდა ალიოშა. — მე შენ გეტყვი, მეტს გავუკეთებთ აწი რამეს!..

— ბარემ გვირგვინებიც შემოვუწყოთ ირგვლივ, გავალამაზოთ აქაურობა! — დაიქინა წასვლისას ინტელიგენტმა. ამ ინტელიგენტს აქამდე არავინ იცნობდა და, როგორც მერე გამოირკვა, ჭირისუფალთაგანაც არავის ცოდნოდა, ვინ იყო ეს პატროსანი კაცი. ალიოშას მისი ნათქვამი ჭკუაში დაუჭდა.

— ხვალ ამოვლენ, ალიოშა, და გაალამაზებენ და შეასწორებენ კიდევ აქაურობას! — შეახსენა გივიმ.

— მანამდე არ გეტყინა, შენ და მეც არაფერი, სანამ აქ აწი აღარავინ ამოვიდეს! — თქვა ალიოშამ და ბელტებზე გვირგვინი წააფინა. სიბნელეში ჭუკუს ჩაგუდული სიცილი მოისმა.

როდესაც ყველაფერი დაამთავრეს, ქვებზე დასხდნენ და პაპიროსი გააბოლეს.

კარგად დალამდა. გივის მოეჩვენა, რომ მთვარე კი არ ამოვიდა, არამედ აღვილზე დამდგარი გაილანდა. ჯერ იგი

ფერმიხდილი იყო, მერე როდესაც სიბნელე მოეხვია, თანდათან განათლდა. ქვევით თოვლი ალაპლავდა. შესუდრული სასაფლაო გაირინდა. საფლავების თავთან მდგარი მაღალი კვიპაროსები გაშემდნენ და უფერული ჩრდილები ძირს დააწვინეს. რკინის მესრებსა და ქვის ძეგლებს ყინვამ ისე მოუჭირა, თითქოს ძვლები დაამტვრია.

ბუჭუმ პაპიროსი გადააგდო. ამოიოხრა. თავისი ნიჩბები, ბარი და წერაქვი იღლიაში ამოიჩარა.

— კარგად იყავით, ლხინში და ქორწილში მენახეთ! — ბუჭუ თავწაღუნული წაჩანჩალდა.

დარჩენილებს ვილაც მაღალი კაცი წამოადგათ თავს. საიდან, რა გზით მოვიდა, არავის შეუხედა. კაცს შინელი ეცვა და აზიური გარმონი ეკიდა ბეჭზე.

— მოხუცი იყო თუ ახალგაზრდა? — იკითხა მოსულმა.

— მოხუციც იყო და ახალგაზრდაც, ახლა არაფერი არაა, — უთხრა ალიოშამ.

— რას დაეძებ, დაუკარი! — თქვა ბონდომ.

მეგარმონემ დაუკრა, დაამლერა.

— მოიცა, — შეაჩერა ალიოშამ. — სიმლერა არ გინდა, ა, ფული, ჩვენ წავალთ და სანამ ქუჩაში არ გავალთ, მანამდე უკარი, ა, კიდო ფული!

ექვსივენი ერთად წავიდნენ. იმ მხარეს არავის ევლო და გზაც გაუკვალავი იყო.

ყინავდა. ფეხი ხრამუნით ეფლობოდა თოვლში და უკან ღრმა ნაკვალევი რჩებოდა. წელში წახრილები მიაბიჯებდნენ. ოფლი შეამართ, შეცივდათ. ყველაზე წინ ალიოშა გუბელაძე მიდიოდა, ჩრდილი ირიბულად მიყვებოდა. გარმონი სევდიანად, გულისმომკვლელად უკრავდა. ალიოშა მოულოდნელად მოტრიალდა:

— არ მინდა ფეხი დავადგა ვინმეს საფლავს, მაგრამ თოვლში ვერ ვხვდები, სად მივიღივარ. რამდენს გადაუყა-

რეზო ქეიშვილი
ჩემი შეგობარი ნოდარი

რეთ ალბათ გულზე... აქეთ მაინც სულ უპატრონო მკვდრებია. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას: ზოგს გალავანი ავლია, ზოგს მარტო ქვა ადევს გულზე, ზოგიერთი ალიზითაა გადაბრტყელებული — მერე, რა!..

ეს ახოვანი კაცი მოულოდნელად დატრიალდა. ქუდი მოიხადა და აყვირა:

— არაფერი არ მჭერა, ტყუილია, ყველაფერი მოგონილია! ვინ ამბობს, მკვდრები საფლავებიდან დგებიანო! როდის იყო, სად იყო!? ვინ ნახა. აბა მე გამიბედონ, ვინ გამიბედავს, ვინ! ამაღამ აქ ვრჩები, არსად არ მოვდივარ! არ მოვდივარ, თქვენი არაფერი არ მინდა, ჩემთვის დამაყენეთ! თქვენი არაფერი არ მინდა... უხ, ბიჭო!

ალიოშა წაიქცა და თოვლში ჩაემხო. ბონდომ წამოაყენა. ინტელიგენტმა ქუდი მიაწოდა. ალიოშამ ქუდი დაიხურა, ცოტა შეისვენა და მდუმარედ განაგრძო გზა.

მოხუცი მეგარმონე ისევ უკრავდა. შინელიანი კაცი ლანდად ჩანდა. ისინი მიდიოდნენ, შინელიანი კი საღდაც იკარგებოდა, ინთქმებოდა. სევდიანი მელოდია სივრცეში იფანტებოდა. ფოსფორით გავესებული სასაფლაო ბგერებს არბილებდა და უპატრონო საფლავებზე ანაწილებდა.

ეკოიანი მავთულის ღობეში გაძვრნენ. გზაზე გავიდნენ და გარმონის ხმაც შეწყდა.

ბნელ შუქაში სუფთა თოვლი იდო. თოვლი მთვარის სხივებს ირეკლავდა და გზანათელზე მიდიოდნენ.

— ახლა მთელი ხალხი გვიმრამდეების ოჯახშია შეკრებილი. სხიდან თბილად და სვამენ. რა კარგია, ჩვენ მუხლის მოსაკეცი ადგილიც არ დაგვიხვდება; ზოგიერთი რა უსინდისოა, ღვინის დასალეგად მოდის მარტო; ან საქმე თუა, მოხმარება თუ უნდა ვინმის... ზოგი მგონი სასაფლაოზეც არ წამოსულა! — ნილა, ნაღლიანად დაილაპარაკა ალიოშა გუბელაძემ. ხმა წართმეოდა და რამდენჯერმე დაახველა. ამის გახსენებაზე ყველანი გამხიარულდნენ. მხო-

ლოდ დროული ინტელიგენტი ^{გრაბი-}ჯებდა მდუმარედ. იგი უკვე გამოტნიშ-
ლებულიყო და ახლა არც ^{გვეყენს}მკვდრებისად
იყო, ან სად მიდიოდა.

გვიმრამდეების სახლთან ალიოშამ ყველანი გააჩერა. ინტელიგენტი მაინც გაუჩინარდა, სიბნელეში ჩუმად გაიპარა. წვიმაგარეული, უსიამო თოვლი წამოვიდა. მალე ბუხუტიმაც მოიბრინა.

— თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, რომ მობრუნდით. რა კარგი ქენით, რომ იცოდეთ, ფეხი არ გაადგათ ახლა არც ერთმა! რატომ დააგვიანეთ?

— ბუჭუციას ამარა მიატოვეს, ბიჭო, ყველაფერი. ჩვენ რომ არა, კაცი არ იყო გამკითხავი; სულ მოვასწორეთ ყველაფერი. ეს ხალხი დაწყდა მუშაობით. ვინც სუფრაზე გიზის, ნახევარი გარეთაა გასაყრელი!

— მაღლობელი ვარ, ბატონო ალიოშა, ლხინში გადამხადოს. ახლა თქვენ ცალკე ოთახში დაგსვამთ შინაურულად, თუ არ გეწყინებათ!

— რა მეწყინება, მასე მირჩევნია.

ბუხუტი მოსულებს წინ გაუძღვა. უკანა კიბით მომცრო ოთახში ავიდნენ. კიბეზე ასვლისას ალიოშა მობრუნდა და უკანმომავალთ ხელების ფშვნებით უჩურჩულა:

— ახლა ეს დაგვწყვიტავს ღვინის სმით!

პატარა ოთახი ძალიან არეული იყო, ყველაფერი აქ შემოეყარათ. ხის თაროებზე წიგნები იყო მიყრილ-მოყრილი. დანარჩენ ოთახებში სტუმრები ისხდნენ. წყნარად, დარბაისლურად ჰამდნენ და სვამდნენ. გვიმ წიგნებს გადახედა. პირველად ხელში გეოგრაფიის დაგლეჯილი სახელმძოვანელო მოჰყვა. თავფურცელი წარწერებით იყო აჭრილებული: ბუხუტი გვიმრამდე, გვიმრამდე ბუხუტი... და ასე ბოლომდე.

სახელდახელოდ გაშალეს პატარა მაგიდა. მეორე ოთახიდან ნოდარი გამოვიდა. გაუკვირდა მეგობრების დანახვა და გაუხარდა.

— სად იყავით ამდენ ხანს?

— ბუჭუციას ამარა მიატოვეს, ბიჭო,

ყველაფერი, დაწყდით მუშაობით, ნახე, რას ვაგვს ეს ხალხი!

სუფრა სწრაფად გააწყვეს. ოთახში თბილოდა და ყველანი გემრიელად მოკალათდნენ. ბონდო ნიჟარაძემ პაპიროსის ახალი კოლოფი გახსნა, ჩამოარიგა. ყველას მოერიდა ამოღება, რადგან მთელი დღე ამ კაცის პაპიროსს ეწეოდნენ.

— მოწიეთ, აქ ვნახე, ვიღაცას დარჩენოდა. ჩემი არაა, — ცრუობდა ბონდო. — ამოიღე, ამოიღე, რა გენაღვლევა. მხოლოდ კოლოფი დამიბრუნეთ, ბავშვებს მინდა წავუღო სათამაშოდ.

პირველი ჭიქა ბუხუტიმ ასწია.

— მეგობრებო, არ მოგერიდოთ, იჯექით თქვენთვის მყუდროდ, როგორც გაგებარდეთ, ისე მოიქეცით...

ბიჭები შეიშმუშნენ, ვითომდა დროს სატარებლად კი არ მოგვსულვართ აქო.

— ახლა აბა, ბებიჩემს მე არ ვტირი და თქვენც ნუ მოიკლავთ თავს. იმის ხნობამდე ვიყოთ კარგად და დანარჩენს დავანებოთ თავი. ყველა იცნობდით, ძმაო, მიცვალებულს, ისეთი ადამიანი იყო, რომ...

— კაი ყაზახი იყო, კაი, ბიძია! — ჩაურთო ალიოშამ.

— ქალია, ბიჭო! — ჩუმად შეახსენა ბონდომ.

— ქმარზე მოგახსენებთ, ბატონო! — არ დაიბნა ალიოშა.

— ...სხვა დროს ლხინსა და ქორწილში მობრძანებულყოფით, გადამეხადოს პატივისცემა, რაც თქვენ გამიწიეთ, რომ დავგაფასეთ და მოდიოთ... ამ პატარა სუფრას ბატონი ალიოშა გაუძღვება თავისებურად. ვაგამარჯოს, ალიოშა ბატონო, თქვენ იცით!

— მადლობთ, არ გღირსვარ!

— სულ ნათლობაში და ქორწილში მოვსულიყავით, ვაგამარჯოს, ალიოშა!

— ნამდვილად!

— მადლობთ!

— ვაგამარჯოს, ალიოშა ბიძია, ლხინში და ნათლობაში შევხვედროდეთ!

— იცოცხლე, გენაცვალე!

— ვაგამარჯოს ალიოშა, დავაღვლევი-ნე თითო ჭიქა!

— კი, ბატონო!

— ქორწილში და მხიარულებაში, გვიმარჯოს!

— მადლობთ!

— ლხინში და ნათლობაში!

— იცოცხლე!

დილით ალიონზე გაეღვიძა ბუხუტის. ყველას ეძინა. ოთახებში არეულ-დარეულობა სუფევდა. ბუხუტის თავი უსკდებოდა. წუხელ ბევრი სვა, ყველა მაგიდაზე ეძახდნენ და რამდენი დალია, ზომა დაკარგა. საბოლოოდ ალიოშა გუბელაძემ მოუღო ბოლო.

თავი ტკიოდა აუტანლად, ტკივილი ფიქრის საშუალებასაც არ აძლევდა. ადგა, კარადის უჯრები დაქექა. საღდაც პირამიდონი იბოვა. დალია და ლოგინამდე ძლივს მიასწრო: თავბრუ დაეხვა და ოფლმა დაასხა. დაწვა, თავი ბალიშებში ჩარგო, მერე გულადმა გადმოტრიალდა. ირგვლივ აბსოლუტური სიწყყნარე იდგა. ფანჯრიდან ყინვის ლოლუები მოჩანდა.

ბუხუტის გაახსენდა, რომ ბებიამისი აღარ იყო ამ სახლში: აღარც მკვდარი, აღარც ცოცხალი; უბრალოდ, აღარ იყო. ეს იყო პირველი დღე მის ცხოვრებაში, როდესაც ბებიამისი აღარ იყო სახლში და საერთოდ აღარ იყო არსად. შემდეგ წარმოიდგინა, როგორ იწვა გამხდარი, მცივანა ქალი სველი, გაყინული მიწის ქვეშ. ქალი, რომელიც ნიადაგ მზეს და ღუმელს ეფიცებოდა. ყველაფერი ეს წარმოიდგინა და ბებიამისი ძალიან შეეცოდა.

თავის ტკივილი არ უცხრებოდა. ათას რალაცას ფიქრობდა და ეს კიდევ უფრო უძლიერებდა ტკივილს. დააპირა არაფერზე ეფიქრა; იმანაც დაინტერესა, შეიძლებოდა თუ არა ფიქრის შეწყვეტა. პატარა ხანს იმაზე იწვალა და მერე მიხვდა, რომ ფიქრის შეწყვეტა სიკვდილის მერეც არ შეიძლებოდა.

...იყო ბუხუტი გვიმარაძე ქვეყანაზე მარტოდმარტო. წინ იყო სიცარიელე და გზა, რომელსაც იგი ბუნდოვნად ხედავ-

რეზო ჭეიშვილი
ჩემი მეგობარი ნოდარი

და. „რა უნდა ვიქნე?“ — ფიქრობდა იგი და საფეთქლებს ისრესდა, თავი ისევ უსკდებოდა. ფეხბურთელი! ბუხუტი ხტის ადგილზე, კარის ძელს ხელს ურტყამს და ბურთის მოლოდინში ცმუკავს. მერე ხტება, რეზინით იწელება და ბურთს იჭერს. ხალხით გაჰყვდილი უზარმაზარი სტადიონი ზანზარებს. ტაშს უკრავს ბუხუტის; ბუხუტი გვიმრადეს ულამაზესი ქალები უკრავენ ტაშს.

ბუხუტი საბანში შეტრიალდა, თავი არ უსვენებდა. მერე, მერე?.. ის არის ზენიკალი, სახელმოხვეჭილი ოსტატი. კონვეიერზე მოდის მანქანები, დგრიან ლეზენ წნეხები, თითქოს მისი თავის ქალის ძვლებს ამტვრევდნენ. „ეს ყველაფერი კარგი, მარა... ვინ შემრთავს მე ყველაზე ლამაზ ქალს? წამომყვება მე ულამაზესი ქალი ცოლად?“. ბუხუტი ისევ ტრიალებდა და კი აღარ ფიქრობდა, უკვე ხმამაღლა ლაპარაკობდა. იგი მიხვდა, რომ ყველაზე ლამაზს ქალს არავინ შერთავდა და მწარედ ატირდა. ბუხუტი გულამოსკვნილი აღრიალდა:

— ვაი, ჩემო ბები, რატომ მოკვდი, ჩემო ბებია!.. ვაი თავი, ვაი თავი... ჩემო კარგო, ბებია!.. — კვნესოდა და ცრემლებს აღვარღვარებდა.

— რა გაღრიალებს, ბიჭო? — შეეკითხა დედა, რომელიც საწოლი ოთახიდან გაკვირვებული იყურებოდა. ბუხუტის შერცხვა, ტირილი შეწყვიტა.

— თავი მტკივა.

— მერე მაგისათვის ტირი ამხელა კაცი!?

— აბა, რა ვქნა?

— წამალი დალიე!

— დავლიე და არ მიშველა, და რა ვუყო!

— გიშველის, — დააიმედა დედამისმა და დაიძინა. ეგონა, მართლა წამალი უშველიდა.

როდის გაუარა თავის ტკივილმა, ვერ გაიგო. ტბილ ბურუსში გაეხვია და მომღიმარეს ჩაეძინა.

საკვირველი სიზმრები ეზმანებოდა. ბედი არ იყო მის მიმართ უწყალო და მრისხანე. იგი ხედავდა ყველაზე ლამაზ

ქალებს, რომლებიც ოდესმე ქვეყანაზე არსებულან და იარსებებენ. მისი გარენიდან ვიღრე დაქცევამდე.

გარენიდან
დაქცევამდე

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ო, ქ ა რ ი ა ნ ო თ ვ ე ო

სკოლის დირექცია, ეტყობოდა, საწვავს ზოგავდა, — რადიატორები სანახევროდ იყო გამთბარი. დერეფნებში ციოდა. ექვსი საათისათვის ღამდებოდა. ელექტრონათურები სუსტად ანათებდა. მოწაფეები ოთახებში ისხდნენ და მერხებს შესვენებაზეც არ შორდებოდნენ.

გივის ერთი საათი უტვდებოდა. ამის შემდეგ კიდევ იყო ორი გაკვეთილი, მაგრამ ბევრი შინ წავიდა. დარჩენილები წყნარად იყვნენ. ზოგიერთი გამტვრებული მისწოლოდა მერხის საზურგეს და ჰერს უყურებდა.

გივი ლიაზე ფიქრობდა. იმ დღის მერე დიდხანს ვერ ნახა იგი. მხოლოდ გუშინ შეხვდა შემთხვევით. ამ შეხვედრამდე რამდენჯერმე ჩაიარა ქალის სახლის წინ. მესამე სართულის ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოფარებული. ლიას ცალკე ოთახი ჰქონდა სამეცადინოდ და სტუმრის მისაღებად. ეს ქალს მისთვის რამდენჯერმე უთქვამს. გივი ცდილობდა ლიას ოთახის ფანჯრებისათვის არ ეცქირა. თავის ზევით აწევაც არ უნდოდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა და მოპირდაპირე მხარეს პოლიკლინიკის შენობას ათვალეირებდა.

საჯარო ბიბლიოთეკის გვერდით შნოიანად ჩაცმული ბიჭები იდგნენ და ლამაზ ქალებს თოვლის გუნდებს ესროდნენ. ისინი ისროდნენ შორიდან და საოცარი სიზუსტით, თანაც მთელი მონდომებით და სერიოზულობით. საქმიანად აფასებდნენ ნასროლს და იმის და მიხედვით, თუ სხეულის რა ნაწილზე მოხვდებოდა გუნდა ქალს, ერთმანეთს ქულებს ანიჭებდნენ. გივი ბალის გალავანთან გაჩერდა, ამ სურათის ცქერით გაერთო. რას ისვრიანო!? — გაუკვირდა.

შეიძლებოდა ამ დროს აქ ლიას ჩამო-

ველო. იგი ამ გზით ბრუნდებოდა ინსტიტუტიდან. ბუნებით მფრთხალი იყო და თოვლის გუნდების ეშინოდა. ამ ბიჭების გაჩერებას კი ვინ შეძლებდა.

— „თუ ვიჩხუბე, ესენი გამალხავეენ, ბევრნი არიან და თანაც ფეხი მისრიალებს!“ — გაიფიქრა გვიმ და იქაურობას გაეცალა. ქალთან ქუჩაში შეხვედრას ისედაც უფრთხოდა. ეშინოდა, ლიას მხოლოდ სალამი არ ეთქვა. გვიმის სურდა საბოლოოდ გარკვეულიყო მათი საქმე: ან სულ დაშორებოდა ქალს, ანდა რაღაც მომხდარიყო.

გვიმ ლიას იქ შეხვდა, სადაც ყველაზე ნაკლებ ელოდა ქალი თეატრის სალაროსთან ბილეთების რიგში იდგა. მოლარე ისვენებდა და ხალხი სარკმლის გახსნას ელოდა.

სალაროს გაღებამდე ქალ-ვაჟი ძალიან სერიოზულად ლაპარაკობდა ახლად დადგმულ იმ სპექტაკლზე, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია ქალაქ აიაში. ქალი აღშფოთებული იყო ამ ფაქტით და ამბობდა, რომ ეს ქართველი ხალხის გამახსარებელია. სიტყვა-სიტყვით იმეორებდა რომელიღაც კრიტიკოსის სიტყვებს, — ეს არის ისტორია მრუდღე სარკვეში.

მოლარემ სარკმელი ასწია და რკინის ბადეს იქით გაჩეხილი წითელი თმა გამოჩნდა. ლიას წინ ორი სჩელი ქალი იდგა. გვიმ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა უფლები ბილეთი თვითონ აიღო და ქალთან ერთად თეატრში წასულიყო. „მი გამბედაობა არ მყოფონის!“ — თქვა რომბა იგი. თითქოს ამ ფიქრის სპასუხოდ. ჩაღმა უთხრა: ბილეთიბი ჩემთვის არ მინდა, არც მცალია ამისათვის, ერთი გამოაოთა კიოოჯ დამრჩა ჩასაბარებელიო. ამასობაში სალაროსაც მიადგა. გვიმის ცოტა ეშეოათათა. ჩაღმა ბილეთი აიოო და რიგიოან ეამოსულმა ხორდა პატარა სათუღეში ჩადო. იგი ბილეთს დაჩერებოდა, როცა გვიმის ჰკითხა: როგორ ხარო?

— კარგად! — უგულოდ მიოოჯ ვაჟმა, რადგან ქალის უდარდებობა მასაც

გადმოედო. ლიამ გაიღიმა; მოეჩვენა, რომ გვიმ ერთი უსაქმური, არაფერს გამკეთებელი ვინმე იყო, ^{საქმისგან} ^{შეშინებული} იგი ვერ იტანდა. ვაჟს ზრდილობიანად დაემშვიდობა და ისე წავიდა, რომ არც ჰკითხა, შენც ხომ არ მოდიხარო?

გვიმ გვიან მიხვდა, რომ ტყუილა დარჩა. გაბრაზდა. ცოტა დაიცადა და მერე წავიდა.

— „ალბათ სხვა უყვარს, თუ არა ყოვლად შეუძლებელია ადამიანს ასე მოექცე!“ — ფიქრობდა იდაყვებით მერხზე დაყრდნობილი გვიმ. — „ანდარა უნდა მოწონდეს ჩემი, მე რითი გამოვიჩრჩევი სხვებისაგან?.. პალტოც არ მაცვია ხეირიანი... როგორ შეიძლება ქალის რამეში გამტყუნება, სულ უბედური ვარ!“

გოგია დავლაძეს მერხზე ეჩქის წიგნი ეწყო, რომლებზედაც მას თავი ჰქონდა შემოდებული. ჯუჯუ შეტრიალებულიყო და უკანა მერხს გადასწოლოდა. იგი გოგიას უყურებდა. ხედებოდა, როდის ჩათვლემდა და მაშინვე ცივი ხმით იძახდა: — ოო!

გოგია თვალს ახელდა, ფხიზლდებოდა და შემდეგ ისევ თვლემდა. ჯუჯუ ისევ ჩასძახოდა: — ოო! გოგია თავს აქანებდა, გამოფხიზლებდა უჭირდა. დაძინებაც არ უნდოდა და ასე გაძალღებული ცოდვილობდა. ჯუჯუ დრო და დრო ჩაჰკიოდა ყურში. ეს ხმა გოგიას ხან ქარხნის საყვირად, ხან მილიციელის სასტიკის ხმად ესმოდა იგი ხედავდა სიზმარს და ჯუჯუს დაძახილზე ჩვენება უწყდებოდა. თან უკვირდა. — რა აყვირობს ამ ეკრისთავსო.

...გარეთ გაზაფხული იყო. მატარებელი ამწვანებულ ველებზე მიჰქროდა. მარჯვნივ ალვის ხეები ჩანდა, მარცხნივ ჩაის ბუჩქები და ევკალიპტები. ევკალიპტებს იქით იყო ზღვა, ლორჯო ზღვა, და უბერავდა სიო კალიფორნიის. გოგია იჯდა საზაფხულო ვაჯონში და ეცვა გაქათმავებული თეთრი პერანგი. ქარი პერანგს უფარფამებდა. მატარე-

რგზო ჭეიწვილი ჩემი ნეგობარი ნოდარი

ბელმა მოსახვევში მიაკივლა გაბძულად. სინამდვილეში ჭუჭუმ დაიზმუვლა. გოგია მიხვდა და, წადი, შენო... — მიაკურთხა.

შოთა რიკრიკაშვილი ბოლო მერხზე იჯდა. იგი დაფის ერთ წერტილს მიმტერებოდა. მამამისი ნონიკო ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. რატომღაც ალისა შოთას ახლა უფრო მოწყალე თვალით უყურებდა. რაც მამამისი ჩააყუდეს, შოთას საქმე გამოკეთდა.

— „რა კარგი ჰქნეს, რომ მამაჩემი დასაჯეს!“ — გაიფიქრა შოთამ და იმწამსვე თავი გააქნია. შეეცადა ეს აზრი, რომელიც კარგახანი აეკვიტა, ტვინიდან ამოედგო; ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა, მაგრამ უცბად ისევ ალისა გაახსენდა და, — „მამაჩემმა მიშველა, კარგი ქნეს, რომ დაიჭირესო“, — გაიფიქრა. ამაზე შოთა შეინძრა, გამოერკვა. „ღმერთო, არ შეგცოდო, ღმერთო, არ შეგცოდო!“ — გაიმეორა გუნებაში.

გივის უკან თამაზი და კოკი ხმამაღლა საუბრობდნენ. სწავლის გაგრძელებას მოსკოვში აპირებდნენ და ახლა ამაზე ჰქონდათ ლაპარაკი. შიგადაშიგ გივის მათი სიტყვები ესმოდა და ელიმებოდა. კოკი თითქმის გაწოლილიყო მერხზე და შავ ფიცარზე ლოყა ჰქონდა დადებული. მან იცოდა, რომ მიდიოდნენ მოსკოვს უმაღლესში მოსაწყობად. როგორც მედალოსნებს გასაუბრებას მოუწყობდნენ და ან ჩაირიცხებოდნენ, ან არა: ეს იყო სულ. თამაზი კი ამ ამბავს სხვაგვარად უყურებდა. იგი რომანტიულ, ათასგვარი შემთხვევებით სავსე საქმედ მიაჩნდა. გონებაში წარმოიდგენდა დიდ რუსეთს, რომელიც მას არასოდეს ენახა; ვრცელ მინდვრებს, დიდ ორთქლმავლებსა და უმაღლესი სასწავლებლის სუფთა, ნათელ შენობას. რაღაცასი ეშინოდა კიდევ და უკვირდა, რა მარტივად და იოლად მსჯელობდა მისი ბიძაშვილი.

თებერვალი აიაში თოვლქყაბიანი ანდა ქარიანი იცის. აქაური ქარი განთქმულია სიავით და აბეზრობით. ხანდახან ისე გაგიჟდება, ქვეყანას აქცევს

გულსაკლავად ზუის, სახლის სახურავებს სცემს; უფრო საწყალს და გაჭირვებულს ეტანება. იმხანებში მოსკოვი ამინდს პირი არ უცვლია: გასუფხვნილივ თოვდა და თოვდა.

კლასის ღია კარებში ნოდარი იდგა. იგი პირველად გვიმ შეამჩნია. გვიმ მიჩვეული იყო ნოდარის ასეთ დროს გამოცხადებას, მაგრამ მოსული ახლა რაღაც სხვანაირად იყურებოდა: თავისივე ყაბალახით მოებურა, პალტოს ქვევით მწვანე გალიფე მოუჩანდა, ფეხზე გაცვეთილი უძიროები ამოესხიბა. უძიროები ქონით იყო გაპრიალებული. რათა თოვლი არ წაკარებოდა.

ნოდარი კარში იყო გახიდილი და დამცინავი; ოდნავ მოჭუტული თვლებით უმხერდა მოწაფეებს. გვიმ მიხვდა, მისი მეგობარი მთვრალი იყო. იფიქრა, გარეთ გავალ და გავიყოლებო. ადგა, დერეფანში გასვლა დააპირა, მაგრამ ნოდარი გაუძალდა. გვიმ ღონივრად მიაწვა და გარეთ გაავდო.

— აუ! — იყვირა ნოდარმა და გაიცივნა. მოწაფეები კარისკენ შეტრიალდნენ.

— ო, რ!.. — ხმამაღლა გამოეხმაურა დერეფნის ფანჯარასთან მდგარი ბუხუტი. ნოდარი და გვიმ ბუხუტისთან მივიდნენ. ბუხუტისაც ყაბალახი ჰქონდა წაკრული; უძიროებზე კალოშები ჩაეცვა და ტანზე უზარმაზარი, შავი ნაბადი მოესხა. ორთავენი სცენიდან გამოსულ მსახიობებს ჰგავდნენ. მართლაც უხვად გამოეყენებინათ თავიანთი კლუბის ვარდერობი.

— გოგია დავლაძე უნდა მოვკლა, მაგისტვის ვარ მოსული! — სრულიად სერიოზულად თქვა ნოდარმა. გივის გაეცივნა. ნოდარმაც ჩაიცივნა და ჩაილაპარაკა:

— იცინე, შენ! — პალტო გადიწია და გამობეროდა ჯიბეზე მოიფათურა ხელი. გვიმ დააკვირდა და მოეჩვენა, რომ ნოდარს რაღაც საეჭვო ნივთი ელო ჯიბეში.

ბუხუტიმ ნოდარს ხელი გადახვია, დაბალ ხმაზე, სიმღერა დაიწყო. ერთ-

მანეთს პირველ-მეორე უთხრეს. ესენი საერთოდაც კარგად მღეროდნენ. სიმღერის ხმა კლასში გაიგონეს. მოწაფეები რიგრიგობით იხედებოდნენ კარებიდან. ბოლოს ჯუჯუ გამოვიდა; ნოდარს და ბუხუტის ხელი ჩამოართვა.

— კარგად ხართ ძალიან!

— გოგია უნდა მოვკლა! — უთხრა ნოდარმა.

— რისი მომკვლელი ხარ, არ ვიცოდე მინც... სახლში წადი გირჩევენია!

— შენ შემეშვი, ჯუჯუ, ჩემი საქმე მე ვიცი!

იამ გარეთ გამოიხედა, იქვე კარებთან გაჩერდა. ნოდარმა პალტო შეიხსნა. გრძელი, ყვითელი ხალათი გამოუჩნდა. წელზე სიძველისაგან გაშავებული და გაცრეცილი, მოვერცხლილი ქამარი ერტყა. ყვითელი ხალათის ცალი კალთა და გალიფეს მარჯვენა ჯიბე გვერდზე იყო მოქცეული. ნოდარმა ჯიბეში ხელი ჩაიყო და რაღაც პრიალა, მოშავო საგანს თავი გამოუჩინა. ჯუჯუმ ვერ გარკვია რა იყო, მაგრამ მინც სიცილი აუტყდა. „ბომბი აქვს,“ — გაიფიქრა გვიგამ.

— რა არი, ბიჭო, მაჩვენე! — ჯუჯუმ ნოდარს წელზე ხელის მოხვევა დაუპირა, მაგრამ ნოდარმა არ მიიკარა.

— შენც გაქვს? — სიცილით კითხა მერე ჯუჯუმ ბუხუტის.

მართლაც სასაცილო იყო ეს ყველაფერი, მაგრამ ნოდარ პირველი მთლად ხუმრობის მიზნითაც არ იყო მოსული: ქალ-ვაჟი ერთი კვირაა ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს. ქალი აშკარად არიდებდა ბიჭს თავს და ნოდარი გაბრაზდა. იამ — პირიქით, რატომღაც ვაჟი დადანაშაულა და გაღიზიანებული დაშორდა ერთ საღამოს. ნოდარი ყველაფერს გოგიას აბრალებდა.

ია წითლიძე ნოდარისაკენ დაეჭვებულ იყურებოდა. მოეჩვენა, რომ ბიჭმარველოვერი ამოიღო და თვალები გაუფართოვდა. შეკრთა, მერე პირდაპირ ბიჭებისაკენ წავიდა. ნოდარმა ყაბალახი შუბლზე აიწია და ქალს ხელი ჩამოართვა:

— ვილაცას კინალამ მთვრალი ვეგო-

ნები, როგორ ხარ? — ნოდარმა შეიკავა თავი, რომ გვიგამ იფიქრებოდა და ნოდარმა მხოლოდ ერთი წუთით მოახერხა; შემდეგ თვალები აერია და უმიზეზო ქირქილი დაიწყო. ბუხუტიმ იას ხელზე აკოცა. იას მინც გაეცინა.

დერეფანში კლასის დამრიგებელმა, ფეხტივანმა კაცმა ჩამოიარა; მოწაფეებს გაუწყრა: დერეფანში რატომ ღმარობთო. ნოდარსა და ბუხუტის საექვოდ გადახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. თავისი მოწაფეები გაირეკა წინ.

— შედით, სხვა გაკვეთილები დათვალეირეთ, გაწყნეთ, ბევრი იცით!? —

— რა გაკვეთილებზეა, ამხანაგო, აქ ლაპარაკი! — ისეთი ხმით იკითხა ბუხუტიმ, რომ დამრიგებელი შეკრთა.

— გოგია დავლაძე არ არის აქ? — მუქარით თქვა მასწავლებელმა და კლასში შევიდა. ეს კაცი სულ პატარა რამეზეც ბრაზდებოდა და ახლა სულ გაცეცხლდა. გოგიას მივარდა: გადი, ეს ხალხი გააშორე აქაურობასო!

— ვინ არიან, რა უნდათ... სკოლაა თუ ტირია, ეს!?

ნოდარი და ბუხუტი დერეფნიდან გვიდნენ და კიბის თავზე, სადარბაზოში გაჩერდნენ. ნოდარმა ჯიბიდან ტელეფონის ყურმილი ამოიღო, პატარა ხანი ხელში ათამაშა და შემდეგ ისევ უკან ჩააბრუნა, მხოლოდ თავი გამოუჩინა მოხერხებულად.

გოგიამ პირველად ვერ გაიგო, რა ხალხზე იყო ლაპარაკი; მერე მოცოცხლდა, ხალათი გაისწორა და წასვლა დააპირა. ჯუჯუ წინ გადაუდგა, არ გაუშვა. გვიგამაც თხოვა, გარეთ ნუ განხვალა. გოგია გაკვირდა, გულიც მოუვიდა: ეს იყო ის სასკოლო დავალება, რომლის შესრულებაც მას არ უჭირდა და ამაშიდაც ხელს უშლიდნენ.

ია მიხვდა: რა უსიამოვნება, შეიძლება უბედურებაც დატრიალებულიყო. ეს

რეზო ქვიშვილი

ჩემი მეგობარი ნოდარი

მან სწრაფად მოისაზრა: შეუმჩნევლად გააღო კარი და დერეფანში გავიდა. შორიდან ნოდარისა და ბუხუტის ხმა მოდიოდა. ია ცარიელ დერეფანში მიკაკუნობდა და ფიქრობდა. მას უნდოდა ნოდარისათვის რაიმე თბილი სიტყვა ეთქვა; ვაჟთან მიაღერებაც მოესურვა.

როდესაც ია ბიჭებს თავზე დაადგა, ნოდარი მაშინ მოხვედრულ ლეკვერთხს იჭერდა წვივზე. წახრილიყო და ტელეფონის ყურმილი თითქმის სანახევროდ მხოუჩანდა. ია ძაინც ვერ მიხვდა, რა იყო. ის კი არა, გვერდზე გაიხედა, გული არ წამივიდესო. ამან უფრო გააბრაზა.

— ახლავე წადი აქედან! — მკაცრად უთხრა ნოდარს. ნოდარმა თავიც არ აწია. პასუხი რომ არ გასცეს, ქალი დაიბნა, შეეყოყმანდა; როგორ მოქცეულიყო არ იცოდა, მაგრამ მკაცრი გაძოხედვა არ შეუტყვლია. ნოდარმა, როგორც იქნა გადაკვანძა თასმები, წელში გაიმართა; იას ჩალისფერ თმებში წაავლო ხელი, თავი გადაუწია და რაც შეიძლებოდა მაგრად აკოცა ტუჩებში. ია დაბარბაცდა, თვალები დაუბნელდა. როდესაც გამოფხიზლდა, ბუხუტი და ნოდარი კისრიტეხით ჩარბოდნენ კიბეზე. ბიჭები გარეთ გაცვივდნენ და თოვლში გაფართხუნდნენ. ბუხუტის კიბესთან ნაბადი დაუვარდა; მობრუნდა, ნაბადი აიღო და უხეიროდ მოისხა ბეჭებზე.

ნოდარი საშინლად იყო აღგზნებული, სადაც დიდ თოვლს დაიგულბდა, იქით მიიკვლევდა გზას და პალტოს კალთებს აქნევდა, ირგვლივ ბღღვირს აყენებდა. ბუხუტის ფეხი დაუტდა და კალოში გაძვრა. ნოდარმა უყვირა. ყვირილზე ბუხუტის ისევ დაუტურდა ფეხი და აბანცალდა. ბოლოს, როგორც იქნა, ნოდარს წამოეწია.

— აკოცე? — კითხა ქლოშინით ნოდარმა სიხერა დაიწყო. თუხუტე წამსვე აპყვა... სიძღვრით გასცდნენ ეზოს და ქუთაში ტროლეიბუსს გადაუდგნენ. ტროლეიბუსი ისედაც ძლივს მოდიოდა დახვავებულ თოვლში. ძნლოს მეტი გასა აოც კქონდა, ვაგონი გაახერა. თუხუტი და ნოდარი შიგ შეეცვივდნენ.

ია გაკვეთილების დასთავოვებამდე გაშტერებული იქნა. არც გვერდზე გაუხედა, აოც დალაპარაკებია ვისმეს.

გარეთ გადაუღვივლად, ხვავოივლად თოვდა. ცა დალა იყო ჩაიოსული. ითაუხებოდა, თეთრ სამოსელში ეივეოდა ქალაქი აია. რა იყო ეს, რა დიდ-თოვლოია. თოვლს თითქოს მთლიახად სუოდა დაეფაოა ქალაქი, რომელიც მაღლიდახ ისედაც პატარა ჩანდა. მისი სითაოს მოყვარული შოქალაქენი ათასი საქმით იყუეხ დაკავეული. შრომობდნენ; დადიოხეხ, დარბოდნენ; ვერ ისვენებდნენ. მხოლოდ შეღამებო-სას დასხდებოდნენ გაშხიარულებული ცეცხლის პირას და ახალ ამბებს ზღაპრეიოვით ყუებოდნენ.

იას საწოლ თოხანში თბილოდა. სკოლიდან მოსულმა ჩანთა კუთხეში მიაგდო. სწრაფად მიიხურა კარი. კედლის ღუმელი ღულუნებდა. ია თბილ კედელს ზურგიტ შეეყრდნო. ღრმად სუნთქავდა. გათბა, მთელ სხეულში უტენაურმა სითბომ, გაუგებარმა ყრუანტელმა დაუარა. გაიხადა, დიდი, შრიალა ღამის პერანგი გადაიკვა. დიდხანს, დიდხანს იდგა სარკის წინ. ჩაძოწლილ ჩალისფერ თმას ბლუჯად იმწყვდევდა ხელში და სხვადასხვა მხარეს ისწორებდა. დაქინებით მისჩერებოდა თავის მოწიშვლებულ თეთრ გულმკერდს. ბოლოს შრიალიტ შეწვა გაბუმბულებულ საწოლში; თავი ბალიშებში ჩარგო და ატირდა.



ოთარ კუპრაძე

ორი ხმა

ეს ჩემი გული ორია,
ერთში წვიმს, ერთში ღარია...
ხალხური

შენ დაიბადე, როგორც ვარდობა
შვიდი მაისის შრიალა თქეშით.
შენ დაიბადე ფუძის მნათობად,
ამლერებული კვირტებით ხელში.

პეპელას ფრთები გიტოკებს აკვანს,
არ გიფრენია სიზმრებში ჭერაც,
მამაშენი კი მიწას თავს აკლავს, —
არ გააცივოს მშობელი კერა!

დაბადებითვე სიმშვიდე მოგყვა,
ვერ ვგრძნობ, რა ჯაფაც მოგელის მერე,
შენ ვერ ანსხვავებ სიცილს და ოხვრას
და, როგორც კვირტში ჩამალულ ფერებს,
შენს გულში სძინავს უცოდველ ორ ხმას.

ორი ხმა, როგორც ძარტვების ფეთქვა,
ჩუმია, ჩუმად გულს ჩანერგილი.
ვერ გააბამენ საუბარს შენთან, —
არ გააჩნიათ ჭერაც გერგილი,
და იზრდებიან შენს ზრდასთან ერთად.

ენას აიდგამ, გაირბენ ჩქარა
და აიდგამენ ენას ისინიც,
და გაიყოფენ შენს ნორჩ გულს ორად,
და მათი აზრი ჩუმი ნისლივით
მხროლოდ შენს სმენას მისწვდება მარად.

ხის ძირას ბარტყი იქნება ნახო,
ვერ გადაევლოს ჭალებს და ყანებს.
ერთი ხმა გეტყვის: ხელი არ ახლო!..
მეორე გეტყვის: შინ წაიყვანე!..

იქნებ მოტყუვდე პირველად, ბალოო,
ბარტყს მოუსწრაფავ სიცოცხლის წამებს
და ბარტყის დედა მერე შენს ახლოს
ისტვენს და ისტვენს, იტირებს მწარედ...

დედაენასაც აიღებ მალე
სწავლის სურვილით გაბრწყინებული.
— წავიდეთ!—ერთი აღგაფრთოვანებს.
— წავიდეთ!—გეტყვის მეორე გულიც.

და გავლენ დღენი...
და სკოლის კარად
ერთს მოსწყინდება სწავლა და წიგნი,
გეტყვის: ამდენი დუმილი კმარა!
და წაგაქეზებს საცელქოდ იგი.
მეორე გეტყვის: იჯექი წყნარად!..

და დაშორდები სკოლის მერბს მალე,
და ოქროს ხანა ასე გაივლის.
შენს მეოცნებე და ცოცხალ თვალებს
გაჰყვება რხევა ნახი ყვავილის,
სხვაგვარ შეხედავ გზისპირა ალევებს...

პირველად გასულს უსაზღვრო გზაზე
ეგება მარცხიც შეგხვდეს ავბედად.
ერთ გულს ენდობი? — დარდი აგავსებს.
მეორე გაგხდის გმირს და გამბედავს.
ხან ისე ხდება ქვეყნად, ხან — ასე...
და ვიღაც ლექსში ჩააქსოვს სევდას:

„— ეს ჩემი გული ორია,
ერთში წვიმს, ერთში დარია,
ავტირდე — შევეყრი ღრუბლებსა,
რომ გავიციხო — დარია...“
იტყვი: მზევ, დამხსენ ცრემლთა დარიალს?—
გაგიკაჟდება ძალა კუნთებში.
თვალს გაუსწორებ სივრცეს ქარიანს
და ამღერდები სველ სიჩუმეში...

...ღმერთმა მეგობარს ნუ დაგანატროს,
ჭირში გამტანს და ერთგულს ლხინშიაც.
იქნება ბედმა მას უღალატოს,
შენ კი უსმენდე მშვიდად ტყის შრიალს...

ერთი ხმა გეტყვის: თვით არა გიჭირს,
ნუ აიკიდებ უცხო კაცს ტვირთად!..

მეორე ხმა კი მოგძახებს დინჯი:
— ძმას ჭირში უძმო, წესია გმირთა,
არ გააკარო სიყვარულს ხინჯი!..

...ოჯახის ძალას შეიგრძნობ თავად,
დრო გავა ზღაპრულ სინეტარეში.
იქნება ცოლთან მოგიხდეს დავაც,
ვის უცხოვრია ამის გარეშე!

და მაშინ გული მოგძახებს ერთი:
— თვალი შეაღლე სხვა ქალთა იერს,
ვინ იცის, იქნებ სხვა უფრო გეტრფის,
მიენდე, აჰყევ გრძნობებს წამიერს!..
— ოჯახს ნუ დაშლი!—მეორე გეტყვის.

...მტერს თუ სისხლისღვრა მოუვა ფიქრად,
ცეცხლი აიკლებს ამ ხეთა ჩეროს, —
ერთი ხმა წამით მიჩუმდეს იქნებ,
არც აგაჩქაროს, არც გაგაჩეროს.

აბობოქრდება მეორე უმალ
და მშობელ მიწას დაგაკოცნიებს,
გეტყვის: დღეს მხოლოდ ლაჩარნი სდუმან,
აღსდექ, ეომე მტერს და მოცილეს
და მოკვდი კიდეც, საჭირო თუა!..

...ბოლოს მიაღწევ თბემდათოვლილი
სიცოცხლის დღეთა ჩამოზამთრებას.
ყველა განცდა და აზრთა ჭიდილი
შენს გულში სიბრძნედ ჩამოზავდება.

თქვა: დავისვენო აწ მაინც იქნებ
და... მოდავეთა ბრბო შემოგხვდება...
ფრთას მაცდური ხმა კვლავ შემოიქიხევს:
— ნუ ჩაერევი, ვინ გეკითხება,
გაჰყევ შენს გზას და თოვლიან ფიქრებს!..

მეორე ხმა კი წამს შეგაჩერებს:
— შესდექ, განსაჯე, ვალია შენი.
ხედავ? შავსა და თეთრს ვერ არჩევენ,
ვერ მოუწახავთ თითქო საშველი,
გზა სიმართლისა უთხარ, აჩვენე!..

...და ასე ივლი გაჩენის დღიდან,
და არ დაგტოვებს კუბოს კარამდის
თეთრი და შავი, მღვრიე და წმინდა,
ორი ხმა, როგორც ორი არავი.

და თუ ყოველთვის ამ ორი ხმიდას.
ამოაშუქებ კეთილს, მიწიერს,
ახალგაზრდობის მძლავრ გზად და ხილად —
სახელი შენი მარად იბრწყინებს.

ჯერ კი ვერ არჩევ სიცილს და ოხვრას
და, როგორც კვირტში ჩამალულ ფერებს,
შენ გულში სძინავს უცოდველ ორ ხმას...



იოკაპ ქაქავაძე

მამის გახსენება

ჩემთან ცხოვრობდა ვენახის კაცი,
წვებოდა გვიან,
დგებოდა ადრე...
და დილის სხივი თაღხი და ბაცი
წითელ მინებზე ხატავდა ვარდებს.

გავდა ცხოვრება უსაზღვრო სურვილს,
ცხოვრება ჩუმი, ტკბილი და წყნარი...
და თვლემდა ეზო
და იდგა სუნი
კაკლის ფოთლების, მთვარის და ჩაღის.

მერე გზა, სავსე თვლებით და ხალხით,
მერე... სიცივე მოსული ადრე...
და დილის სხივი ბაცი და თაღხი
წითელ მინებზე დაეჭებს ლანდებს.



ს. ნ. ნ. ნ.

მითხარია.

— კაკალა გუნაძე სად ცხოვრობს? —
ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა ბიჭუნას.
ბავშვი კუთხეში ლედმას გადარჩენილ
თოვლს აგუნდავებდა.

— ბებია კაკალა ავად არის. — მიუ-
გო მან და ახლად მოსულს აღმაცერად
შეხედა: კაკალასთან სტუმარი წინათ
არასოდეს არ ენახა და გაუკვირდა.

— ავად რომ არის, ვიცი, ჩემო ბიჭი-
კო! სად წევს, მითხარი!

— აი იქ, იმ ოთახში. — ბიჭმა ხელი
ბნელ დერეფნისაკენ გაიშვირა.

— გმადლობთ, — ქალმა ფარფლიანი
ქუდი ხელით დაიჭირა, რომ ქარს არ
მოეტაცნა. გუბებს ფრთხილად შემოუა-
რა, თუნუქის მილიდან მოთქრიალე
წყალს თავი მოარიდა და კარზე თამა-
მად დააკაკუნა. კაკუნს სუსტი ხმა გამო-
ეპასუხა. ქალმა კარი ფრთხილად შეა-
ლო.

საწოლი აჭრიალდა.

— უბნის ექიმი ვარ! — უთხრა იმ
ქალმა საწოლზე წამოძვდარ ავად-
მყოფს.

— სული კბილით მიჭირავს, ექი-
მო, — ამოიკენესა ავადმყოფმა.

— რა გაწუხებს, დეიდა კაკალა —
ძველი ნაცნობივით დაუყვავა ექიმმა,
სასთუმალთან დაუჯდა და მოხუცის მა-
ჯა სწრაფად იპოვნა.

— სუნთქვა მიჭირს, შვილო! გვერ-

დებში თითქოს სადგისები მჩხვლეტე-
ნო! — მიუგო კაკალამ. ავადმყოფს
ჩქარი მაჯისცემა ჰქონდა.

— სიცხეს თუ იზომავდით?

— უპატრონო ქალს ვინ გამიზომავ-
და, შვილო, — თითქოს თავი იმართლა
მოხუცმა.

— ნუთუ ახლობელი არავინა
გყავთ?!.. — ექიმმა ხელჩანთიდან სი-
ხის საზომი ამოიღო და ავადმყოფს
იღლიაში ჩაუღო: — თქვენს ხანში
მარტოობა ძნელია.

— ძნელია, ძნელი — დაეთანხმა მო-
ხუცი. — შვილები არ მყოლია, ქმარი
კი დიდი ხანია, რაც მომიკვდა, — ამოი-
ოხრა მან. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

ექიმმა თერმომეტრს დახედა და შუბ-
ლი შეიჭმუნხა:

— სიცხე გაქვთ, თქვენი ფილტვების
მოსმენა მინდა, მაგრამ ამ საყინულეში
როგორ გაგინჯოთ — სტეთოსკოპი
მოიმარჯვა და მოხუც ქალს საბანი ისე
შემოახვია, რომ სიცივე არ მოხვედ-
როდა.

— ღრმად ისუნთქეთ! კიდევ! კიდევ!
აბა დაახველეთ! დეიდა, თქვენ ძალიან
გაციებულნი ხართ, ძალიან! — სთქვა
ექიმმა.

— ალბათ მალე მოვკვდები.

— არა, სასიკვდილო თქვენ არაფერი
გპირთ!

საქართველო
პირველი
ნომერი

— თუ მოკვდები, თქვენი ჰირი წამილია, მაგრამ ზამთარში მაინც არ მინდოდა სიკვდილი.

— ნუ გეშინიათ, ბევრ ზამთარს მოიტოვებთ უკან. — გაუღიმა ექიმმა.

— არა, ზამთარში მაინც არ მინდოდა სიკვდილი!

— რა განსხვავებაა, ზამთარი იქნება თუ ზაფხული — გაიცინა ექიმმა.

— ჩემისთანა უპატრონო ქალი ზამთარში არ უნდა მოკვდეს! — ისევ ჯიუტად გაიმეორა დედაბერმა.

— არ მოკვდებით, ნუ გეშინიათ!

— ვერ მოვიგონე, სადღაც მინახიხართ!

— არ ვიცი, დეიდა.

— რა გვარი ხარ, შვილო?

— ჭკადუა...

— „ჭკადუა“, „ჭკადუა“! — წაიჩურჩულა დედაბერმა. გვარი ნაცნობი იყო და შეიძლება ამიტომ ჰკითხა:

— მამაშენს რა ჰქვია, შვილო!

— გვანჯი, — მიუგო ქალმა.

— გვანჯი ჭკადუას გოგო ხარ?! — იკითხა მან და იქიმ ქალს მიაჩირდა. „ნუთუ ის არის?“ გაუელვა თავში და ისევ წამოიწია.

— დიან, გვანჯი ჩემი მამაა. — მიუგო ქალმა.

— ჟუნა და გვანჯი ხომ ბათუმში ცხოვრობენ?

— ახლა აქ არიან. შარშან ბინა მივიღე და ჩემთან ჩამოვიყვანე.

— ნეტავი შენს დედას. — ამოიოხრა კაკალამ.

— მე ვერ გიცანით დეიდა. — თითქოს მოიბოდიშა ახლაგაზრდა ქალმა.

— რამდენიმე წლის წინათ ბათუმში გნახე! ვიკითხე და მითხრეს, გვანჯის ქალიაო. ოჰ, ოჰ, — დედაბერს ხველებამ მოუსწრო და სიტყვა გაუწყვიტა.

— თქვენ ძალიან გაციებული ხართ, დეიდა! მარტო ვერ დაგტოვებ. ახლავე სასწრაფოს გამოვუძახებ და სააუად-მყოფოში გადაგიყვანთ! — უთხრა ექიმმა და კარი მიიხურა.

ხველებისაგან არაქათგამოცლილი კაკალა ბალიშს მიეყრდნო, თვალები დახუჭა და ისევ მოგონებას მისცა თავი.

ეტყობოდა, წარსულის ლანდებს ხედავდა და ჩუმად ესაუბრებოდა. მერე ხმამალა თქვა:

— ხედავ, ღმერთო, როგორ ატრიალებ ადამიანის ბედს! — მისი ხმა ცივად გაისმა სიჩუმეში. ის საყვედურს გავდა, ბედზე გამწყრალი კაცის საყვედურს. მერე იდაყვებს დაეყრდნო და ბალომზე უფრო მოხერხებულად მიესვენა. ჩალამებული თვალები ოთახში მიმოატარა, თითქოს იმ წარსულის ლანდებს დაეძებდა. ფანჯარასთან გაბმულ ობობას მიაჩერდა. გათოშულ ფანჯარას ბელურა მოაწყდა. ჩიტი კარგად ქონდა დაცდილი, მაგრამ ახლა მისთვის სულერთი იყო, სიკეთეს არსაიდან არ მოელოდა. ამიტომ იმ ჩიტის დანახვა არ გახარებია.

...პირ, მაშინ ისინი ბათუმში ცხოვრობდნენ, იქვე, სადგურთან... მეორე სართულზე ორი დიდი ოთახი ეჭირა ცოლ-ქმარს.

კაკალას არ უყვარდა სტუმარი, მოყვრებში მისვლა-მოსვლა. ამიტომ ნათესავები არ ეტანებოდნენ მის ოჯახს, თუმცა ბევრი კი შენატროდა კაკალას ბედს. მისი ქმარი ერმილე დიდი საწყობის გამგე იყო ნავსადგურში. ცოტ-ცოტა ყველაფერი ჰქონდა. მხოლოდ შვილი არ ჰყავდა და ეს უკლავდა გულს ერმილეს.

მათ ქვემოთ ერთ ბატარა ოთახში გზის ოსტატი გვანჯი ჭკადუა ცხოვრობდა. ლამაზი ცოლი ჰყავდა, ჯანსაღი, ფერხორციოთ სავსე, მაგრამ ისიც კაკალასავით უშვილო იყო.

— ვინ გადაგვცა, უძიროდ ამოწყდითო, — იტყოდა ხანდახან ხანში შესული გვანჯი და იმ წუთებში ცოლს ისეთი სიბრალულით შეხედავდა, რომ ჟუნა საკუქნაოში შეიმალებოდა და ტირილით გულს მოიოხებდა. ჟუნას შვილზე სული ელეოდა... რომელ ექიმთან არ იყო, რომელ ექიმმაშთან, მაგრამ არ იქნა და არა, ჟუნამ აკვანი ვერ დაურწია თავის შვილს.

ლამარა გვაზავა
სინანული

— რა გატირებს, ქალო! მოგცლია ერთი შენც! — ეტყოდა ხანდახან კაკალა ტირილისაგან თვალმდებრილ ყუხნას და ისეთი პაკაპუკით აირბენდა კიბეს, თითქოს ოთახში სუთი შვილი ერთად უცდისო. მისი ოთახიდან ბავშვების ხმა არა და — შაში-ბეშისა და დორ-ჩარის ძახილი კი გამოდიოდა. დამდებოდა თუ არა, გამოძინებული ერმილე ჩაუჭდებოდა თავის ამფსონებს და შუალამემდე ნარდში შეასკდებოდნენ ერთმანეთს.

ერთხელ ერმილე საოცრად აღელვებული შემოვარდა ეზოში. ხელში თოთო ბავშვი ეჭირა, ზეწარში გახვეული.

— ეს რა არის! — შეჰკვივლა კაკალამ.

— წარმოიდგინე, დერეფანში ვიპოვე... ალბათ იცოდნენ, უშვილო, რომ ვიყავი და... — ღიმილით მიუგო ერმილემ და ცოლს ქაღალდის ნახევი გაუწოდა: — „გამზარდეთ, თქვენი შვილი ვიქნები“, ეწერა იმ ქაღალდზე.

— შე სულელო, ბავშვს ძუძუ რომ უნდა, არ იცი?! — დაუცაცხანა კაკალამ ქმარს.

— ძროხის რძით გავზარდოთ! — პასუხი შეაგება ერმილემ და ჩვილს სიყვარულით დახედა.

— ენა გააჩუმე! ეს მაკლია ახლა, საწვალებელი და სადარდელი სახლში გავიჩინო!

— სამაგიეროდ, ქალო, სიბერე სამოთხედ გვექცევა. დამტირებელი მაინც გვეყოლება.

— სიბერემდე მაცოცხლე და შემდეგ, თუ გინდა, ღობეზე გადასკიდე!

— აბა, რა ვუყოთ ამ საცოდავს — შეწუხება ერმილე.

— მილიციას ჩავაბაროთ. მორჩა და გათავდა!

ოთახში ყუნა შემოვიდა. ეტყობა,

იგი ყურს უგდებდა ცოლ-ქმრის დევას. სახეზე მღელვარება ეტყობოდა.

— ქალბატონო კაკალა, თქვენს კარ დაიტოვებთ, მაშინ მე ავიყვან ამ ბავშვს! — სთქვა მან.

— შე ქალო, იმ ერთ ოთახში თქვენ თვითონ ვერ ეტყვიოთ და იქ აპირებთ ბავშვის გაზრდას! — უთხრა კაკალამ.

— აბა ვისაც პატარა ოთახი აქვს, ბავშვი ვერ გაუზრდია! — მკვახედ მიუგო გვანჯი.

— კი, კი... ნამდვილად შენ უნდა იშვილო, გვანჯი! დიდი ქონების პატრონი ხარ და უძეოდ რომ დარჩე, პირდაპირ ცოდვის კითხვა იქნება, — მოუბრძობლად დასცინა კაკალამ.

გვანჯი გაბრაზდა და ის-იყო ავგულა ქალისთვის მწარე სიტყვა უნდა ეთქვა, რომ ერმილემ ბავშვი გაუწოდა.

— აჰა, წაიყვანე, ნამდვილად თქვენ ხართ შვილის ღირსი და ღმერთმა გავიზარდოთ!

გვანჯი დაიბნა. ბავშვის ალერსს მიუჩვეველი ხელებით ჩვილი მკერდზე გაუბედავად მიიხუტა და ცოლს ბედნიერი ღიმილით გაუღიმა.

გოგონას ციციწო დაარქვეს.

* * *

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას აქტო. და აი, დაქვრივებული, მტერ-მოყვრებში გამოწყვეტილი, დავრდომილი კაკალა კვლავ შეხვდა ციციწოს. დაგვიანებულმა სინანულმა გული მოუწამლა მოხუც ქალს.

— „განა არ შეიძლებოდა, ეს ღამე-ში გოგო ჩემი შვილი ყოფილიყო, მაგრამ სად იყო ჭკუა!“ ფიქრობდა კაკალა და მოუთმენლად იცქირებოდა კარისაკენ, რომ ერთხელ კიდევ დაენახა იგი, ვისაც შეიძლება ყველაზე დიდი ამქვეყნიური სიხარული მოეტანა მისთვის.





ტარას შევჩენკო

კაკასი

იაკობ დე ბელმენს

ვინ მოსცეს თავსა ჩემსა წყალი, და თვალ-
თა ჩემთა წყარო ცრემლთა, და ვტიროდი ერ-
სა ამას დღე და ღამე მოწყალეთა ასულსა
ერისა ჩემისასა.

იერემია.

(თავი 9, ქება 1)

მთების იქით მთებრ, დაბურული ნისლით,
მწუხარებით სავესე და მორწყული სისხლით.

ძველთაგანვე პრომეთეოსს
აქ არწივი სძიძგნის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს
ნაკადული სისხლის.

ეწაფება და ვერ აშრობს
სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხლდება,
ძველებურად ხარობს.
და სიმართლევ არ მოკვდება,
ვერ ჩაკლავენ ლაღებს,
რაგინდ ხარბი გული გქონდეს,
ვერ გადახნავ ტალღებს,
ვერ შებორკავ კაცის სიტყვას,
სიმართლეს რომ ერთვის,
ვერ შებილწავ ღმერთის სახელს,
მარად ცოცხალ ღმერთის.

როგორ გავბედოთ შენთან კამათი,
ვინ გკვითხავს შენთა საქმეთა განსჯას!
თავს დაგვტრიალებს შავი ჯალათი
და წილად გვერგო ცრემლი და ტანჯვა.
და პური ჩვენი არსებობისა
ცრემლსა და ოფლში მოვზილოთ უნდა,
რადგან სიმართლე ჩვენი შრომისა
გადაქცეულა ძილისა გუდად.

ნეტავ როდის გაიღვიძებს იგი, —
და შენ როდის დაიძინებ, ღმერთო,
რომ შესწყვიტო ჩვენი ქვეყნის ირგვლივ
დამპყრობელის კოცონები ენთოს.
ხარ სიმართლის ბობოქარი ნება,
გვჯერა, მარად უძლეველი მოხვალ, —
მოიტანო ჭეშმარიტი შვება
თვითეული დაჩაგრულის ქობთან.

და საუკუნო
ბედნიერებით
ყოველი ერი გიმღერებს ქებას...
დღეს კი მიჰქრიან მდინარეები...
სისხლი ქცეულა მდინარეებად.

მთების იქით მთები, დაბურული ნისლით,
მწუხარებით სავსე და მორწყული სისხლით.
ლარიბ-ლატაკებს მიუვალ მთებში,
ჩვენი წყალობის თვალი დაჰყურებს.
მთებს დავატეხეთ ტყვიების თქეში,
თავისუფლება გავანადგურეთ.
ვერსად გაექცნენ სისხლიან ტორებს,
იყო წამება, ცრემლი მრავალი!
იგი ათრობდა იმპერატორებს,
ძღებოდა მათი შთამომავალი.
ქვრივების ცრემლი, დედების გლოვა
და ქალწულების ფარული მოთქმა —
ო, ყველა ერთად რომ მოაგროვა, —
ჩაიხრჩვებოდა ხელმწიფის მოდგმა.
ცეცხლის მდინარე მთებს ეკიდება,
მამებს, მოხუცებს, ბავშვებს ატირებს,
მწყალობელ მამას — მეფეს დიდება,
დიდება მწევრებს და მონადირეს!

დიდება თქვენს ვაჟკაცობას,
თოვლიანო მთებო,
თქვენ — დიდება, არ დანებდეთ
მოძალადე სვავებს.
სიმართლე თქვენს მხარეზეა,
შორეულო ძმებო,
ზეცის მაღლი ეფინება
თქვენს ჭაღარა თავებს.

შენი პური — შენი სარჩო
არ მოსულა როგორც ძღვენი,
არ მოსულა მოწყალებით,
შრომით გქონდა შენაძენი.
ყანა, ქოხი, — ყველაფერი
შეუქმნია გამრჯე მკლავსა,

ჩემიო ვერვინ გეტყვის,
 და ციხეში ვერვინ ჩავსვამს.
 ჩვენთან წესი სხვაგვარია,
 ჩვენ მივიღეთ სწავლა სრული.
 ჩვენ ვკითხულობთ საღვთო წერილს,
 რომ გვიცხონოს ღმერთმა სული.
 ნახე ჩვენი საპყრობილე,
 აგერ მეფის ტახტი ელავს,
 ჩვენ ყველანი ოქროში ვართ
 და შიშველნი ვდგავართ ყველა.
 მოდიოთ ჩვენთან, შეგასწავლით
 რა ფასი აქვს პურს და მარილს.
 ჩვენ გვაქვს სკოლა, ეკლესია
 და სიკეთე ათასგვარი.
 თვითონ ღმერთიც ჩვენ გვემხრობა —
 მორწმუნეთა გვიცემს გული.
 მხოლოდ თვალში გვეჩხირება
 უენი ქოხი ღარიბული.
 იგი ჩვენ არ მოგვიცია
 და ამიტომ ვაგასახლებთ.
 პურს წაგართმევთ და უკანვე
 გადმოგიგდებთ როგორც ძაღლებს.
 მზე ხომ გათბობთ, ამისათვის
 უნდა მოგვცეთ საფასური,
 ჩვენ ბოშები ხომ არა ვართ,
 ქრისტიანის ვვიდგას სული.
 მცირედითაც მაძლარი ვართ,
 არ ავიღებთ ზედმეტ ქრთამებს,
 დავმეგობრდეთ და სანაცვლოდ
 შეგასწავლით ათას რამეს.
 სწორედ მისთვის ვაგვაჩნია
 ამოდენა მიწა-წყალი.
 მარტო ციმბირს რომ გახედოთ,
 ვერ გასწვდება კაცის თვალი.
 მოლდაველთა მინდვრებიდან
 ფინეთამდე ყველა ხარობს,
 ყველას ენა დავადუმეთ,
 რომ ლოცვებით ინეტარონ,
 ჩვენ ბიბლიას გვასწავლიან,
 რომ მორწმუნე მრევლი ვიყოთ...
 ერთხელ, თურმე ვილაც მეფე
 ღორის მწყემსად დამდგარიყო.
 შემდეგ მოკლა მეგობარი,
 ვერაგულად დასცა დანა
 და ლამაზი ქერივი მისი
 თავის ხასად წაიყვანა.
 და ამაღლდა მერე ცაში
 ღვთის კურთხევით და ბრძანებით...

საიქიო სავსე არის
 სულ ასეთი წმინდანებით.
 თქვენ კი ისევ ბნელეთში ხართ,
 თქვენ არა გწამთ ქრისტეს მცნება.
 ჩვენგან უნდა შეისწავლოთ
 წაგლეჯა და მითვისება;
 მერე შეხვალთ სამოთხეში,
 თუნდ მოყვრებიც წაიყვანეთ...
 ყველა ვიცით, რა და როგორ...
 ფრანგს ვაგინებთ, ვთესავთ ყანებს.
 და ხანდახან კარტში ვაგებთ,
 ან გავყიდით ჩალის ფასად
 არა ზანგებს, — ადამიანს,
 ყველაფერში ჩვენსა მსგავსსა.
 ჩვენ არა ვართ ურიები,
 რომ ჩარჩობა აგვეჩიია,
 ჩვენ ჭაკეთებთ მხოლოდ იმას,
 რაც კანონის ფარგლებშია.

განა მოძმე შეიყვარეთ
 მოციქულთა წესით,
 ცბიერებო. ახლა სტკბებით
 დაჩაგრულთა კენესით.
 არა სული, — ტყავი გიყვართ,
 გიყვართ მოძმის ზურგი,
 და ატყავენთ, რომ ქალიშვილს
 შეუჟეროთ ქურჭი,
 ცოლს, — ლამაზი ფეხსაცმელი,
 ბავშვებს, — სახლი სავსე,
 დანარჩენი მოხმარდება
 ლოთობას და ხასებს.

რისთვის ეწამე, მაღალო ღმერთო,
 ნუთუ ამისთვის აზიდე ჯვარი!
 ჭეშმარიტება გსურდა აგენტო
 და სიმართლისა გაგელო კარი,
 იქნებ გინდოდა ხალხი გაგერთო,
 როგორც მასხარას?
 ეს უკვე არის.

ყოველ ტაძარში ლოცვად დგებიან,
 იწვის სანთელი და საკმეველი,
 ხატებას შენსას ევედრებიან —
 ყაჩაღობაში შეგვიწყვე ხელი.
 ომი და სისხლი ახრჩობდეს ერებს,
 ძმების გათიშვა სწყურია მტარვალს.
 და მოგართმევენ საჩუქრად მერე
 ომის ცეცხლიდან მოპარულ ნადავლს.

ჩვენ გავნათლდით, გავანათლებთ,
 არ ვიქნებით უქმად,
 დე, ჩახედოს ბრმების თვალებს
 სიმართლისა შუქმა.
 ჩვენ ყველაფერს შეგასწავლით
 მორჩილსა და საწყალს,
 საპყრობილის აშენებას
 და მათრახის დაწვნას.
 შეგასწავლით — როგორ უნდა
 ატარებდეთ ბორკილს,
 როგორ უნდა გამოისკვნას
 სახრჩობელას თოკი.
 ოღონდ მთები ჩაგვაბარეთ.
 ამოგვიშვით ზევით...
 დანარჩენი დავიპყარი, —
 მინდვრები და ზღვები.

ჩემო იაკობ, ერთადრეთო, ძმაო კეთილო,
 შენი ფეხის ხმაც სამშობლოში აღარ გაისმის,
 დაღვარე სისხლი, უცხოეთში გადახვეწილო,
 და ის არ იყო უსაყვარლეს უკრაინისთვის.
 ძმაო, სასჯელი უმკაცრესი ბედმა გარგუნა,
 და მოსკოვური აზარფეშა შხამით გალესეს,
 დიდების შვილო, უკვდავება არ დაკარგულა,
 უკვდავი სულით უკრაინას მიუალერსე.
 გაპყვე კაზაკებს, მდინარეებს, ნახე მთა-ველი,
 გათხრილ ყორღანებს მიმოავლე თვალი მტირალი
 და როცა ძლიერ მოგაწვება გულზე ნადველი,
 მეც მომიგონე ნაცემი და ნაციმბირალი.

მანამდე კი უნდა ვთესო
 ფიქრი, დარდი მწარე,
 ამოვიდეს, ესაუბროს
 უკრაინის ქარებს...
 ყველა ფიქრებს შენ მოგიტანს
 ქარი ჩვენი ქვეყნის...
 შენ მიიღებ ძმური ცრემლით,
 რასაც იგი გეტყვის;
 წაიკითხავ ჩუმი დარდით,
 გაათენებ თეთრად,
 მოიგონებ მთებს, ყორღანებს
 და მეც მასთან ერთად.

თარგმნა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ





აღსრულდა, უკვე გავშალეთ აფრა
და დავაჯახეთ მოლურჯო ტალღას.
სირღარიაში ლაქაშებს შორის,
დიდი სანდალი, კარაბა სწრაფად.
მე ვეთხოვები ლატაკ კოსარალს,
შენ ორი წელი შველოდი თითქმის
ჩემს წყვეულ ბოღმას, ბოღმას ონავარს
და, მეგობარო, მადლობას გითვლი.
ხომ შეუძლია აწ დაიქადოს
ქვეყნის წინაშე შენმა მიწამაც,
რომ ადამის ძემ მოგნახა სანდოდ
და სასარგებლო ქვეყნად გიწამა.

გემშვიდობებები, არ გამიკილავს
და არც მიქია უდაბნო შენი,
მაგრამ ეგების, უცხო მხარეში,
მე მოვიგონო ტანჯულნი დღენი...

თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა.



ვცხოვრობ მარტოკა საპურობილეში,
გული ვერ ვანდე ვერვის, მზარავი.
და ჩემს ფიქრებში სულ მთლად ჩავეშვი
და მობაასეც არ მყავს არავინ.
მე ღმერთს დავეძებ და ვერ ვპოულობ,
როგორიც მინდა... რაც უნდა იყვეს.
რა მიყვეს წლებმა შეუპოვრებმა
მე უბედობის ხვედრი გამიყვეს.
ჩემი ზაფხულის დღეების წყება
გაყვენ ღრუბლების პირქუშ ყიამეთს.
და აღარ მრჩება ერთი შემთხვევაც,
რომ მომაგონოს ქვეყნის სიამე.

სული თხოულობს სიხარულს სრულად.
სიტყვას წყნარსა და... არ ესმის ჩქამი
და თითქო მინდვრად თოვლში ჩაფლულა
ჯერ კიდევ თბილი, საბრალო გვამი.

თარგმნა სიმონ ჩიქოვანმა



ისევ ფარულად ლექსები ვწეროთ,
ვიდრე ძგერს გული ახლის ტრფიალით.
მოდით და ისევ ჩვენ ვასხვავებოთ
უფლის ქვეყანა ძველი, ტიალი,
თორემ დახავსდა... აწ ვით გასმინოთ,
როგორ გადმოგცეთ სიმართლის უღერა...
მოდით და ისევ, რისხვით აესილნო,
დავწყველოთ ხალხი და ბედისწერა.

ხალხი მისთვის, რომ ესმოდეს ვალი,
პატივისცემა რომ ჰქონდეს ჩვენი.
ბედი მისთვის, რომ გააღოს თვალი,
ჩვენზედ ზრუნავდეს სიკეთის მჩენი.
თორემ ხომ ნახეთ, რაც ჩაიდინა,
გზაზედ პატარა დააგდო მარტოდა;
ბედმა უგულომ არ მისცა ბინა
მას და, ღარიბი, უმისამართო,
თეთრგარეული აბურღულ თმაში,
თუმც ახალგაზრდა ჯერ ისევ ბავშვი,
ბოგინით გაჰყვა სხვის ღობეს ნელა,
არ უნათებდა ცისკარი გზაში,
გასცდა ურალს და... შორს, სატანჯველად
უდაბნოშია და ტყვეობაში.
ჰეი, ცბიერო, შენ ბედო ჩემო,
რად არ დაგწყველო და შეგაჩვენო...

მაგრამ არასდროს დაგწყველი, არა,
მხოლოდ ოცნება რომ ჩამიქროლებს,
ქვიშის ბორცვს ვნახავ თავშესაფარად
და მალევით დავწერ ლექსის სტრიქონებს.
ვიწუხებ, ვივლი სევდით, უბარი,
და ტყვეს მექნება იქ საიმედოდ
ფართო დნეპრიდან, როგორც სტუმარი
რომ მოფრინდები, შენ, ჩემო ბედო.

თარგმნა დავით გაჩეჩილაძემ

ზამზახნი

— „ნეტავ რისთვის არ ვუყვარდი
ბავშვობის დროს არვის?
ან რად მომკლეს და ცხოვრებას
ველარ მოვესწარი?“

ახლა რატომ პალატებში
დამდგეს, შემიყვარეს,
მეფის ასულს მიწოდებენ,
ხოტბა დამაყარეს,

არ იციან, ხან სად დამდგან,
სად რა მიჯობს მარტო;
მითხარ, რისთვის, ძმაო ჩემო,
მითხარ მეფის ვარდო“

— „მე არ ვიცი, დაო ჩემო!“ —
ეტყვის მეფის ვარდი
და მეგობარს მეწამულ თავს
ძირს დაუხრის, დარდით.

ძირს დაუხრის, თეთრკაბიანს,
ზამზახს დაბლა დახრილს
და ზამზახი ატირდება,
ცვარის ცრემლებს დაღვრის.

ცრემლით ეტყვის — „რა ხანია
გვიყვარს ერთმანეთი,
და არ მითქვამს, ძმაო ჩემო,
ლღემდე ჩემი ბედი:

რომ გოგონა ვიყავ ქვეყნად,
არა მინდვრის ვარდი,
რომ დედაჩემს მუღამ დიდი
წვადა რალაც დარდი.

ცუგრუმელა გოგო მისთვის
ვანათებდი მზედა;
მიცქეროდა, მიცქეროდა
და სტიროდა დედა.

ძმაო ჩემო, ერთადერთო,
არ ვიცოდი მაშინ,

რატომ ვყავდი საგოდებლად
დედას ჩვილი ბავშვი.

მე ვხტოდი და ვთამაშობდი,
ის ტიროდა ცრემლით...
და ბოროტ პანს, ბოროტ ბატონს
იგონებდა წყევლით.

ასე მოკვდა... მე ბატონმა
წამიყვანა მასთან,
პალატებში ვიზრდებოდი
გოგო ახალგაზრდა.

უკანონო თუ ვიყავი,
რა ვიცოდი მაშინ,
თუ ბატონის შვილი ვიყავ
მე პატარა ბავშვი.

ერთხელ შორ გზას გაემგზავრა,
მე დამტოვა შინა,
მაშინ აღსდგა ხალხი წყევლით,
დასწვა მისი ბინა.

რატომ, ახლაც კი არ ვიცი.
მოკვლით მე არ მომკლეს,
მხოლოდ გრძელი ნაწნავები
შემპკრეს, შეამოკლეს.

მდევნიდა და დამცინოდა
ხალხი ყოველ კუთხით,
თავზე ჩვრები დამახურეს,
მომაყარეს ფურთხი.

ასე ვიყავ მე იმ ქვეყნად
ტანჯვით — არა ლხენით,
როგორ ადრე შემიმოკლეს
სიყმაწვილის დღენი.

მოვკვდი, მიწას მიმაბარეს
და ცივ ზამთრის გარდა,
გაზაფხულზე დაბლა ველში
ვიშლებოდი ვარდად.

ვიშლებოდი თეთრ ყვავილად,
როგორც თეთრი თოვლი.
ის მინდორი გავახარე,
არც გამაჩნდა ტოლი.

ზამთრით ქოხში არ მიშვებდა
ხალხი ღმერთო დიდო,

გაზაფხულზე ჩემს ვარდობას
დაჰხაროდნენ თითონ.

ერთავდი ველს და გოგონები
ეწვეოდნენ ამ ბაღს,
თოვლის ვარდი დაეკრიფოთო;
მეძახოდნენ ზამბახს.

ვიწლებოდი, ვყვავილობდი
თავმომწონის ეშხით
სათბურებში, დიდ ეწრებში
და თეთრ სასახლეში.

მითხარ, ძმაო მეგობარო,
მითხარ მეფის ვარდო,
რისთვის უნდა ღმერთს ამ ქვეყნად
ვარდად რომ ვიზარდო.

იქნებ მისთვის, რომ ის ხალხი
გავახარო ერთობ,
ვინაც მომკლა მეც და დედაც,
ღმერთო, სად ხარ, ღმერთო.“

და ზამბახი ატირდება,
მხოლოდ მეფის ვარდი
ქალ-მეგობარს შენამულ თავს
ძირს დაუხრის დარდით.

ძირს დაუხრის თეთრკაბიანს
ზამბახს დაბლა დახრილს
და ზამბახი ატირდება,
ნამის ცრემლებს დაღვრის.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ





რომანი

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ი

დილის ათ საათზე ჰარი უკვე ფრედის ბარში იყო, სხვა ოთხ-ხუთ კაცთან ერთად ისიც დახლს მისდგომოდა; საბაუოს მოხელეები კი — ორი კაცი — ახლახან გასულიყვნენ ბარიდან. კარჭაპის ამბავი გამოჰკითხეს, მაგრამ ჰარიმ შორს დაიჭირა — არაფერი ვიცო.

— წუხელ სად იყავი? — ჰკითხა ერთმა.

— ჯერ აქ, მერე შინ.

— აქ რომელ საათამდე იყავი?

— მანამ არ დაიკეტა.

— გნახა ვინმემ აქა?

— ვინ აღარ ნახა, — მიუგო ფრედიმ.

— რაო ვითომ, — იწყინა ჰარიმ, — ჩემს საკუთარ კარჭაპს მე ხომ არ მოვიპარადღი? რაში მჭირდებოდა?!

— მე გეკითხები, — სად იყავი-მეთქი, — უთხრა საბაუოს მოხელემ, — რას გაცხარდი!

— გაცხარება რაში მეტყობა, — თქვა ჰარიმ, — გაცხარება მაშინ გენახა, სულ ტყუილუბრალოდ რომ წამართვეს გემი, ვერც ალკოჰოლის გადატანა დამიმტკიცეს და ვერც ვერაფერი.

— წერილობითი ჩვენება გვექონდა, ხატზე დაიფიცეს, — თქვა საბაუოს მოხელემ, — მე ხომ არ მიმიცია ის ჩვენება, შენ თვითონაც ხომ იცი, ვისი ჩვენება იყო.

— კარგი, კარგი, — უთხრა ჰარიმ, — ოღონდ ჩვენს შეკითხვაზე გაცხარდაო, ამას ნუ იტყვი. ნეტა, ისევ თქვენთან იყოს ის კარჭაპი. უკან დაბრუნების იმედი მაინც მექნებოდა. მოპარულს ვილა დამიბრუნებს?!

— ეგვეც კი მართალია, — დაემოწმა საბაუოს მოხელე.

— მაშ წადით. ის თქვენი ქალაღები ქექეთ, — უთხრა ჰარიმ.

— ნუ ჭიჭყინებ, — შეუტია საბაუოს მოხელემ, — თორემ ისე გაგხდით საქმეს, რომ სულ სხვა ადგილზე მოგიწევს ჭიჭყინი.

— თხუთმეტი წელიწადია სულ ეგ მესმის.

— არც გიჭიჭყინია ამ თხუთმეტ წელიწადში.

— არც ციხეში ვმჯდარვარ.

— ჭიჭყინს მოეშვი, თორემ ახლა ჩაჯდები.



— არხენად იყავი, — უთხრა ჰარომ. ამ დროს ბარში ის შტერი კუბელი ტაქსის შოფერი შემოეხეტა, თან ვილაც ახლდა, თვითმფრინავით ახლახან ჩამოსული. აყლაყულდა როჯერი ამ შოფერს მიუბრუნდა.

— ჰეისუს, ბავშვი შეგძენია.
— დიახ, სერ, — ამაყად მიუგო ჰეისუსმა.

— ცოლი როდის შეირთე? — ჰკითხა როჯერმა.

— იმ თვეში. არა, იქითა თვეში. ქორწილზე არ ყოფილხარ?

— არა, — მიუგო როჯერმა, — ქორწილზე არა ვყოფილვარ.

— ბევრი დაგიკარგავს, — უთხრა ჰეისუსმა, — კაი ქორწილს გამოკლებიხარ. რა მოგივიდა, რატომ არ მოხვედლი?

— როდის მთხოვე!

— მართალი ხარ, დამავიწყდა. არ მათხოვნია... ნახე, რაც გინდოდა? — მიუბრუნდა იგი უცხოელს.

— ჰო, მგონი, ვნახე. ამაზე ძვირიანი ბაკარი არა გაქვთ?

— არა, სერ, — უპასუხა ფრედიმ, — ნამდვილი carta del oro-ა.

— მოიხედე, ჰეისუს, საიდან იცი, რომ შენი შეილია? — აღარ მოეშვა როჯერი, — სულაც არ არის შენი შეილი.

— როგორ თუ არ არის?! რას მიჰქარავ? იცოდე, მაგისტანა რამეს არ მოგიტმენ! როგორ თუ ჩემი არ არის. ძროხა იყიდო და ხბო შენი არ იყოს?! ჩემი ბავშვია ღმერთმანი, ჩემია. ჩემი ბავშვია. მე მეკუთვნის. ასეა ეს, სერ!

გადის, უცხოელიც თან მიჰყვება ბაკარდით ხელში, და ბოლოს მაინც როჯერს იგდებს მასხრად. კაი ვინმე კია ეს ჰეისუსი. ესეც და ის მეორე კუბელიც, სუიტუოტერიც.

უცებ ენაგატლეკილი ვეჭილი შემოდის და ჰარის ეუბნება:

— ეს წუთია, საბაჟოს მოხელეები შენი კარჭაპისკენ დაიძრნენ.

ჰარიმ შეხედა და, ხელადვე შეატყობდი, თვალები მკვლელებით აემღვრა.

ენაგატლეკილმა კი, ვითომც არაფერიც, ისევე მშვიდად განაგრძო:

— საბარგო მანქანის ძარიდან ნაგავს ვილაცას ბუჩქებში და საბაჟოსათვის შეუტყობინებია. ჰერმან ფრედერიხსი შემხვდა და იმან მითხრა.

ჰარის ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ აშკარად შეატყობდი, როგორ თანდათანობით დაეწმინდა თვალები. მერე კი წყნარად მიუგო ენაგატლეკილს.

— შენ რომ არ გაიგო, ისეთი რა იქნება!

— მაღლობის მაგიერია? — უთხრა ენაგატლეკილმა ისევე მშვიდად.

— მე რა, — თქვა ჰარიმ, — ცოტა უფრო გაფრთხილებოდნენ კარჭაპს.

იღგნენ ასე დახლთან და არც ერთს კრინტი აღარ დაუძრავს, მანამ აყლაყულდა როჯერი და დანარჩენები არ გაილაღენ. მერე დახლში შევიდნენ.

— შხამი ხარ, — უთხრა ჰარიმ, — რასაც არ უნდა გაეკარო, შხამად აქცევ.

— მანქანიდან რომ დაინახეს, ეგეც ჩემი ბრალია?! შენ თვითონ არ აირჩიე ის ადგილი! შენ თვითონ იქ არ დამალე შენი კარჭაპი!..

— მოკეტე! — შეუღრინა ჰარიმ, — რატომ აქამდე არ გაუვლიათ იქით მაგსიმალღე საბარგოებს? უკანასკნელი სახსარიც დავკარგე, რომ ცოტაოდენი ფული ალალი შრომით ვიშოვო. ეგლა მქონდა იმედად დარჩენილი, იქნებ ცოტა ფული გამოდნეს-მეთქი.

— აიღეს თუ არა სუნი, მაშინვე შეგატყობინე.

— ნამდვილი ყვავი ხარ.

— კარგი, ერთი, — უთხრა ენაგატლეკილმა, — დღეს აპირებენ გამგზავრებას, საღამოხანს.

— ჯანდაბას მაგათი თავი.
— რატომღაც მოსვენება დაკარგეს.
— რომელ საათზე აპირებენ?
— ხუთზე.

— ვუშოვი ნავს. ჯანდაბამდე მივაცილებ.

— კარგს იზამ.

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

— ახლა მაინც ნულარ მოჰყვები ჩხა-
ვილს. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ, ნეტა
რას დამჩხავი!

— შენ მართლა მკვლელი და წუწ-
კო, — შეუტია ენაგატლეკილმა, —
ვცდილობ რაიმე სახარი გამოგიძებნო,
რაიმე....

— და მშხამავ არა! მოკეტე ერთი! ვი-
საც არ უნდა გაეკარო, იმ წუთში მოშხა-
მავ ხოლმე.

— კარგი, ერთი რას ვადიდგულდი.

— კარგი, — უთხრა ჰარიმ, — მოვი-
ფიქრებ. ამდენი ხანი ვფიქრობდი ამაზე
და როგორც იქნა მოვიფიქრე. ახლა
უნდა ავდგე და სულ სხვა რამეზე და-
ვიწყო ფიქრი.

— რატომ არ გინდა დაგეხმარო?

— შენ თორმეტ საათზე მოხვალ აქ
და იმ ფულს მომიტან, ნავის საგირავ-
ნოს.

დახლიდან რომ გამოვიდნენ, ბარში
ელბერტი დახვდათ. მაშინვე ჰარისკენ
გაემართა იგი.

— ძალიან კი ვწუხვარ, ელბერტ,
მაგრამ ვერ წაგიყვან, — უთხრა ჰარიმ.
ეს უკვე დიდხნის მოფიქრებული
ჰქონდა.

— ბევრს არ გადაგანდევენებ.

— ძალიან ვწუხვარ, — გაუმეორა ჰა-
რიმ, — მაგრამ ამჯერად შენ არა მჭირ-
დები.

— ამ ფასად ხეირიანს ვერავის იშო-
ვი, — არ მოეშვა ელბერტი.

— მარტოკა მივდივარ.

— მაგისტანა საქმეზე მარტო რას
განდები.

— გეყოფა! — შეუტია ჰარიმ, — ჩე-
მი საქმეებისა შენ რა გაგეგება. თუ
ბირუჯზე გასწავლიან მაგას?

— ჯანდაბაში წასულხარ.

— იქნებ მართლაც წავიდე, — მიუ-
გო ჰარიმ. ვისაც არ უნდა შეეხედა, ხე-
ლადვე მიხვდებოდა, რომ რალაცაზე
გამწარებით ფიქრობდა, და, ხელს რომ
უშლიდნენ, ნერვები ეშლებოდა.

— ნეტა წაგეყვანე, — უთხრა ელ-
ბერტმა.

— არ შემოდია-მეთქი, გეუბნები.
დამანებე თავი. აღარ მომეშვები!

ელბერტი გავიდა, ჰარი კი წაშურდა
დახლთან, ხან ნიკელის ავტომატს შეხე-
დავდა, ხანაც კიუსტერის „უკანასკნელ
შესვენებას“, რომელიც კედელზე იყო
გაკრული. ისე მიშტერებოდა, თითქოს
პირველად ხედავსო.

— ჰა, ზორბად კი მოუჭრა ჰეისუსმა
იმ აყლაყულა როჯერს, არა? — თქვა
ფრედიმ და ყავის ფინჯნები საპნიან
წყალში ჩაუშვა.

— ერთი ჩესტერფილდი მომეცი, —
უთხრა ჰარიმ. სიგარეტის კოლოფი
ილიაში ამოიღო, ზედ გადაჭრილი
მკლავის ტაკვი დააჭირა, ცალი მხარე
მოსხია კოლოფს, სიგარეტი გამოაძრო და
პირში ჩაიდვა, მერე კოლოფი ჯიბეში
ჩაიგდო და პაპიროსს მოუყიდა.

— კარჭაპი თუ გივარგა, ფრედი? —
ჰკითხა მან.

— სწორედ ახლახან ვიმგზავრე, —
მიუგო ფრედიმ, — დიდებულად დაცუ-
რავს.

— არ გააჭირავენ?

— საით უნდა წავიდეს?

— კუბაში.

— მთელ საფასურს თუ დამიტოვე-
ბენ გირაოდ, კი.

— რა ღირს მაინც?

— ათას ორასი დოლარი.

— მე ვჭირაობ, — უთხრა ჰარიმ, —
ისე არ მენდობი?

— არა.

— წინდად ჩემი სახლი იყოს.

— სახლი რად მინდა. ათას ორას დო-
ლარს ჩამოდი.

— რა გაეწყობა.

— ჯერ ფული მომიტანე, — უთხრა
ფრედიმ.

— ენაგატლეკილი რომ მოვა, უთხა-
რი დამიცადოს, — თქვა ჰარიმ და გა-
ვიდა.

თ ა ვ ი მ ი მ მ მ მ ს ი

მარი და გოგონები საუზმეს შეეჭყე-
ოდნენ.

— მამას გაუმარჯოს, — შესძახა
უფროსმა გოგომ, — მამა მოვიდა.

— რას ჰამთ? — იკითხა ჰარიმ.
 — შემწვარ ხორცს, — უპასუხა მარიმ.
 — მართლა მოიპარეს, მამი, შენი კარჰაპი?
 — მიაგნეს, — მიუგო ჰარიმ.
 მარიმ ჰმარს შეხედა.
 — ვინ მიაგნო?
 — საბაყოს მოხელეებმა.
 — ო, ჰარი, — სიბრაღულით თქვა ქალმა.
 — უფრო კარგი არ არის, თუკი მიაგნეს! — გაიკვირვა მეორე გოგომ.
 — ჰამის დროს ლაპარაკი არ შეიძლება, — უთხრა მას ჰარიმ, — მეც მომიტანე საქმელი, რაღას უცდი!
 — ახლავე.
 — მეჩქარება, — თქვა ჰარიმ, — მორჩით, და ადექით, — მიუბრუნდა იგი გოგონებს, — რაღაც უნდა ვუთხრა დედას.
 — თეატრის ფულს არ მოგცემ, მამა?
 — საბანაოდ წადით, უფასოა.
 — რას ამბობ, მამი, ისე ცივა. თან თეატრშიაც გვინდა წასვლა.
 — კარგი, — უთხრა ჰარიმ, — აგრე იყოს.
 გოგონები რომ გავიდნენ, ჰარიმ ცოლს მიმართა.
 — ბარემ დამიჭერი.
 — ახლავე, ჩემო ტკბილო.
 წვრილად დაუჭრა ხორცი, როგორც პატარა ბავშვს.
 — მადლობელი ვარ, — უთხრა ჰარიმ, — რა თავისმომაბეზრებელი გავხდი, არა? ამ გოგონებში დიდი ვერაფერი სიკეთე ყრია.
 — რას იზამ, ჩემო ტკბილო.
 — საოცარია, ერთი ბიჭიც არ გავიჩნდა.
 — იმიტომ, რომ მაგარი ვაჟკაცი ხარ. შენისთანა ვაჟკაცებს სულ გოგონები უჩნდებოთ.
 — რაღა ვაჟკაცი ვარ, — თქვა ჰარიმ, — მოიხედე, მუშტრები ვიშოვე, რაღაც ჯოჯოხეთი საქმე ჩანს.
 — ჯერ კარჰაპის ამბავი მითხარი.
 — საბარგო მანქანის ძარიდან დაუ-

ნახავთ. მაღალი მანქანა ყოფილა — ჯანდაბა!
 — კიდე უფრო უარესი. d...
 — უჰ, ჰარი! სახლში ამისთანა სიტყვების თქმა სად გავგონილა,
 — მაგაზე უარესებიც რომ გითქვამს ლოგინში!
 — ეგ სხვა საქმეა. სუფრაზე კი სულაც არ მსიამოვნებს მაგისთანა სიბინძურის მოსმენა.
 — თუკი სიბინძურეა!
 — ო, ჩემო ტკბილო, რა საძაგელ გუნებაზე ხარ! — უთხრა მარიმ.
 — სულაც არა. ისე ვფიქრობ, ჩემთვის.
 — იფიქრე, ჩემო კარგო. მე მჯერა შენი.
 — მეცა მჯერა ჩემი თავისა. მეტი რაღა დამრჩენია.
 — არ მეტყვი, რა საქმეზე მიდიხარ?
 — არა. ოღონდ, რაც არ უნდა გაიგონო, ნუ შეშინდები.
 — არ შეგშინდები.
 — ახლა მაღლა ადი და ჩემი „თომპსონი“ ჩამომიტანე. ხის ყუთში ვაზნები მიყრია, გასინჯე, დატენილი თუა.
 — ნუ წაიღებ თოფს.
 — დამჭირდება.
 — ვაზნის კოლოფებიც გინდათ?
 — არა. გატენას მაინც ვერ მოვახერხებ. ოთხი თან მიმაქვს.
 — მითხარი მაინც, ჩემო ტკბილო, ისეთი საქმე ხომ არ არის?..
 — საშინელი საქმეა.
 — ო, ღმერთო, — შესძახა ქალმა, — ღმერთო დიდებულო! ნეტა კი ამისთანა საქმეს მოეშვებოდე.
 — წადი და ჩამომიტანე. ყავაც მომიმზადე.
 — ახლავე, — უთხრა მარიმ. გადაიხარა და მაგიდის მეორე მხარეს ჰმარს ტუჩებში აკოცა.
 — მომეშვი ახლა, — უთხრა ჰარიმ, — უნდა ვიფიქრო.
 იჯდა სუფრასთან, შესცქეროდა პიანინოს, განჯინას, რადიოს, კედელზე გაკ-

ერნესტ ჰემინგუეი
 ჰარი მორგანი

რულ სურათებს — „სექტემბრის დილაო“ თუ მშველდმომარჯვებული კუპიდინოს სხვადასხვა გამოსახულებანი — მუხის პრიალა მაგიდას და მუხისავე პრიალა სკამებს, ფანჯრებზე ჩამოშვებულ ფარდებს... შესცქეროდა და ფიქრობდა. ნეტა თუ მეღირსება, რომ ოჯახური ცხოვრებით დავტკბე? რატომ სულ უფრო და უფრო უკან მიმდის საქმე? თუ ეს თამაშიც არ მოვიგებ, მორჩა — წასულია ჩემი საქმე. ჯანდაბას! სამოცი დოლარიც კი აღარ შემირჩენია, ამ სახლის გარდა, მაგრამ მაინც უნდა გავრისკო. ეს ოხერი გოგოები. ამის მეტი ვერაფერი გამოგვივიდა მე და ჩემს ბებრუხანას. ვინ იცის, ბიჭების ძალა იქნება გამოლეულიც ჰქონდა, როცა მე შევხვდი!

— აბა, — უთხრა მარიმ. ტილოს ღვედით ეჭირა ხელში თოფი, — ოთხივე კოლოფი გატენილია.

— წავედი, — თქვა ჰარიმ. ზეთით გაზინთული ბოხჩა აიღო, შიგ გადახსნილი თომპსონი იღო, — წინა სავარძლის ქვეშ ამოდე, მანქანაში.

— ნახვამდის, — უთხრა მარიმ.

— ნახვამდის, ჩემო ბებრუხანა.

— მე კი არ შემეშინდება... მაგრამ თავს გაუფრთხილდი.

— აბა, შენ იცი.

— ოჰ, ჰარი, — წამოიძახა ქალმა და მკერდზე მიეკრა.

— გამიშვი. მაგვიანდება.

მკლავის ტაკვი ბეჭებზე მოუთათუნა.

— ჩემი კუს თათი, — თქვა ქალმა, — ო, ჰარი. ჰკუთი იყავი.

— წავედი. ნახვამდის, ჩემო ბებრუხანა.

— ნახვამდის, ჰარი.

იდგა შეჭყურებდა, როგორ გავიდა იგი სახლიდან — მაღალი, მოსული, მხარბეკიანი, წელში გამოწკვერტილი, მკვირცხლი. ახლაც კი რალაც ცხოველს მაგონებს, გაიფიქრა ქალმა, სულაც არ დაბერებულა, ისევ შემორჩა ის სიციქვიტე და მოქნილობა. რა მარდად დასრიალებს, გაიფიქრა მან. მანქანაში რომ ჯდებოდა, ქალს თვალში მოხვდა მზეზე გამოხუნებული მისი ქერა თმა,

მონღოლივით ყვრიმალზე გამოხუნული სახე და ვიწრო თვალები, ჩატეხილი ცხვირი, ბრტყელი პირი და მთავარ-ლებული ნიკაპი, მანქანაში რომ ჩაჯდა, გაუცინა და ქალს ტირილი აუვარდა. „რამდენს დავინახავ ამ ოხერ სახეს, სულ ტირილი მინდება“.

თ ა ვ ი მ ე ზ ვ ი დ ე

ფრედის ბარში სამი ტურისტი მისჯდომოდა დახლს, თვითონ ფრედი ემსახურებოდა. ერთი მათგანი მაღალ-მაღალი, გამხდარი, მხარბეკიანი კაცი იყო, მუხლებამდე შარვალი ეცვა, სქელშუშებიანი სათვალე ეკეთა, მზით გარუჯულს, შეწითლებული უღვაშები მოკლედ ჰქონდა დაყენებული. მის თანამგზავრ ქალს ხუჭუჭა ქერა თმა ბიჭურად შეეკრიჭა, შეუხედავი იყო და, მოყვანილობით, მოჭიდავე ქალსა ჰგავდა. მასაც მუხლებამდე შარვალი ეცვა.

— სულ მიქარვია ყველაფერი, — ეუბნებოდა ქალი მესამე ტურისტს, მოქანგისფერო უღვაშიან, სახეწამოშუპებულ, მწითურ კაცს, რომელსაც მწვანე ცელულოიდის საჩიხიანი ტილოს თეთრი ქუდი ეხურა, და ლაპარაკის დროს ისე უცნაურად აცმაცუნებდა ტუჩებს, თითქოს პირში ცხელი საჭმელი უღევსო.

— რა დიდებულაია! — შესძახა მწვანე საჩიხიანმა კაცმა, — პირველად მესამის ლაპარაკში ეს გამოთქმა. მე ეს უკვე მოძველებული გამოთქმა მეგონა, სალაპარაკო ენიდან ამოვარდნილი და... მხოლოდ მწერლობაში შემორჩენილი.

— მიქარვია, ნამდვილად მიქარვია, სულ მიქარვია ყველაფერი, — განაგრძო მოჭიდავე ქალმა, რომელსაც ერთბაშად კეკლუცობის ტინმა წამოუარა და მოსაუბრეს პატივისცემის ნიშნად დამუწუქებული პროფილი მიუშვირა.

— რა მშვენიერია, — თქვა მწვანე საჩიხიანმა კაცმა, — ისე ლამაზად გამოთქვამთ! ბრუკლინური ხომ არ არის ეს გამოთქმა?

— არ გეწყინოთ, ჩემი ცოლია, —

უთხრა მაღალმაღალმა ტურისტმა, — არ იცნობდით ერთმანეთს?

— თვითონ ხომ მიქარვაა, მაგასთან ნაცნობობა კი ორჯერ მეტად მიქარვა, — თქვა ცოლმა, — როგორა ხართ?

— არა მიშავს რა — უპასუხა მწვანე საჩიხიანმა, — თქვენ როგორა ხართ?

— მშვენიერად არის, — მიუგო მაღალმაღალმა, — აგერ, თვითონვე ნახათ.

უცებ ჰარი შემოვიდა და მაღალი ტურისტის ცოლმა შესძახა:

— რა დიდებულია, არა? სწორედ ამისთანა მინდოდა. მიყიდე რა, მამიკო.

— საქმე მაქვს შენთან, ვერ მოიცული? — მიმართა ჰარიმ ფრედის.

— მაგას რა კითხვა უნდა! ბარემ მითხარი, რა გინდა? — უთხრა მაღალი ტურისტის ცოლმა.

— მოკეტე, კახავ! — შეუღრინა ჰარიმ, — შიგ შევიდეთ, ფრედი.

შიგნითა ოთახში ენაგატლეკილი მისჯდომოდა მაგიდას და იცდიდა.

— გამარჯობა, ძმობილო, — უთხრა მან ჰარის.

— მოკეტე, — შეუღრინა ჰარიმ.

— მოიხედე, — უთხრა ფრედიმ, —

გეყოფა, კაცო. ასე გამიგონია?! რას მილანძღავ ამ მუშტრებს! ამისთანა აღგილას ქალს კახპას ეძახი, სად გაგონილა.

— სწორედ რომ კახაა, — თქვა ჰარიმ, — ვერ გაიგონე, რა მითხრა?

— ჰო, მაგრამ პირში მანინც არ უნდა მიახალო ამისთანა რამე.

— კარგი, კარგი. ფული თუ მომიტანე?

— აბა რას ვიზამდი! — უთხრა ენაგატლეკილმა, — რატომ არ უნდა მომეტანა? აკი შეგპირდი!

— მაჩვენე.

ენაგატლეკილმა გადასცა. ჰარიმ დათვალა—ათი ას დოლარიანი და ოთხი ცოცინი.

— ათასორასი უნდა ყოფილიყო.

— ვახში გამოვქვითე, — უთხრა ენაგატლეკილმა.

— მოიტა.

— არა.

— მოიტა-მეთქი.

— ნეტა რას სულელობ.

— ახ, შე მდილო!

— აბა, აბა, მოზვერო, — შესძახა

ენაგატლეკილმა, — წართმევა არც იფიქრო, იმიტომ რომ თან არა მაქვს.

— ეხედავ, — უთხრა ჰარიმ, — აღრევე უნდა მეფიქრა. მოიხედე, ფრედი. რამდენი ხანია მიცნობ. ვიცი რომ ათას ორასი ღირს ის შენი კარჭაპი. ასოცი დოლარი მაკლია. გამომართვი და დანარჩენ ფულსა და ქირას მენდე.

— ეს კაი სამას ოცი დოლარი გამოდის, — თქვა ფრედიმ. სამძიმო საქმე იყო ამდენი ფულის გარისკვა, და ამის გაფიქრებაზე ოფლმა დაასხა.

— მანქანა მაქვს, სახლში რადიო მიდგას... საგირავნოდ ეგვეც კმარა.

— საგირავნო ფურცელს მე შეგივსებ, — უთხრა ენაგატლეკილმა.

— ფურცელი რად მინდა, — თქვა ფრედიმ. ისევ დაასხა ოფლმა და ხმაც გაეზარა. მერე განაგრძო, — კარგი, გავრისკავ. ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, კარჭაპს გაუფრთხილდი. ჰა, ჰარი?!

— საკუთარივით გაუფრთხილდები.

— საკუთარი ხომ დაკარგე, — უთხრა ფრედიმ და ისევ დაასხა ოფლმა. ამ გახსენებამ კიდევ უფრო გაამწარა.

— ერთი სიტყვით, გაუფრთხილდები.

— ფული ბანკში მექნება, ჩემს სეიფში, — თქვა ფრედიმ.

ჰარიმ ენაგატლეკილს შეხედა.

— საიმედო აღგილია, — თქვა მან და გაიჭყანა.

— ბარმენ, — გამოსძახა ვილაცამ ბარიდან.

— შენ გეძახიან, — უთხრა ჰარიმ.

— ბარმენ, — კვლავ მოისმა ბარიდან. ფრედი შებრუნდა.

— მაგან მე შეურაცხყოფა მომაცუნა, — მოესმა ჰარის წრიბინა ხმა, მაგრამ იგი უკვე ენაგატლეკილს ელაპარაკებოდა.

— ქუჩის ბოლოში ვიქნები, ნავსად-

ერნესტ ჰემინგუეი

ჰარი მორგანი

გომზე. ეს სულ ნახევარი კვარტალის საქმეა.

— კარგი.

— მეტი არაფერი.

— კარგი, ძამიკო.

— ნუ ნეძამიკოები.

— როგორც გენებოს.

— ოთხი საათიდან ვიქნები იქა.

— მერე?

— უნდა მომცვიდნენ და ძალით წა-
მართვან კარჭაპი, გაიგე? მე ვითომ არა-
ფერი ვიცი. ჩემთვის ვარ და ძრავს ვა-
მოწმებ. გემზეც კი არაფერი მაქვს მო-
მზადებული სამგზავროდ. ფრედისგან
ვიჭირავე კარჭაპი, მოხალისე მეთევზე-
ების წასაყვანად. რევოლვერით უნდა
დამადგნენ თავზე და ძრავა ჩამართვე-
ვინონ, საბელიც თვითონვე უნდა გა-
დასჭრან.

— ფრედის რაღა ვუთხრათ? მართლა
სათევზაოდ ხომ არ დაგიჭირავენბია
ფრედისაგან!

— ფრედის მე ვეტყვი.

— არ გირჩევ.

— ვეტყვი.

— არ გირჩევ.

— რას ამბობ, ფრედისთან ერთად
ჯერ კიდევ ომის დროს რამდენი საქმე
გამირიგებია. ორჯერ ვყოფილვართ საქ-
მის მოზიარეები და ერთხელაც არ წაგ-
ჩხუბებულვართ, შენ მაინც ხომ იცი,
რამდენი საქონელი გადმომიტანია მაგი-
სთვის. რაც ქალაქში ძაღლის გაგდებუ-
ლებია, იმათგან ერთადერთს მაგას თუ
ვენდობი.

— მე თუ მკითხავ, არავისაც არ ვენ-
დობოდი.

— შენ ჰო. საკუთარი გამოცდი-
ლებით ზომავ.

— მე მომეშვი.

— კარგი. ახლა წადი და შენი მეგობ-
რები ნახე. რას ეტყვი მაინც?

— ეგენი კუბელები არიან. სასტუმ-
როში შევხვდი შემთხვევით. ერთ მათ-
განს დამოწმებული ჩეკი დასჭირდა
ბანკში. რა არის აქ დაუჭერებელი?

— შენ ვერაფერს ამჩნევ?

— ვერა. ბანკთან შევიპირებ.

— იქ გინ მოიყვანს?

— ტაქსი.

— მერე შოფერი რას იფიქრებს? —
ვინ არიანო, მევიოლინეები?

— ჩვენც იმისთანა შოფერს გამოვ-
ძებნით, სულაც არა ჰქონდეს ფიქრის
თავი. მაგისთანა ხალხს რა გამოლევს ამ
ქალაქში! ჯერ მარტო ჰვისუსი!

— ჰვისუსი ჰკვიანი გახლავს. ისე
ისულელებს თავს.

— გავაფრთხილებ, რომ რაც შეიძ-
ლება შტერი შეარჩიონ.

— უშვილო შეარჩიონ.

— მაგისთანა ვინ იქნება! სად გინა-
ხავს, რომ ტაქსის შოფერს შვილები არ
ჰყავდეს!

— მელაძეა ხარ ნამდვილი, მოლალა-
ტე და გამცემი.

— კაცი მაინც არ მომიკლავს ჩემს
დღეში, — უთხრა ენაგატლეკილმა.

— ვერც მოკლავ. წამო, გავიდეთ
აქედან. შენთან რომ ვარ, მთელი ტანი
მეჭაეება.

— იქნებ ტილები გახვევია!

— ლაპარაკით ხომ არ გადმოვიდო-
და?

— პირი თუ არ მოკუმე, იქნებ მართ-
ლაც გადმოვიდეს.

— მაშ მოკუმე, მე კი წავალ და ცო-
ტას დავლევ, — თქვა ჰარიმ.

ბარში კვლავ ის სამი ტურისტი იჯდა
მალალ ტაბურეტებზე, დახლთან. ჰარი
რომ მიუახლოვდა, ქალმა ზიზღის ნიშ-
ნად პირი გვერდზე მიაბრუნა.

— რას დაღევ? — ჰკითხა ფრედიმ.

— ეს ქალბატონი რასა სვამს? —
იკითხა ჰარიმ.

— კუბა ლიბრს.

— მაშ მე სუფთა ვისკი დამისხი.

წითელ უღვაშა და სქელთვალემა მა-
ლალა ტურისტმა თავისი ბრტყელი სი-
ფათი ჰარისკენ მიღრიცა და უთხრა:

— შენ რა გაუბედე ჩემს ცოლს?!..

ჰარიმ ერთი ახედ-დახედა და ფრე-
დის მიმართა:

— რას დაემსგავსა ეგ შენი ბარი?

— ვითომ რაო? — გამოეხმაურა მა-
ლალაძე.

— დამწვიდდი, კაცო. — უთხრა მას ჰარიმ.

— ჩემთან მაგისტანები არ გაგივა.

— მოიხედე, — უპასუხა ჰარიმ, — თქვენ ხომ აქ გასაჯანსაღებლად და გასამაგრებლად ჩამოხვედით? ჰოდა, დამწვიდდი, — თქვა და ბარიდან გავიდა.

— უნდა გამერტყა, — თქვა მალალ-მალალმა, — ჰა, რას იტყვი, ჩემო ძვირფასო?

— ეჰ, ნეტა მამაკაცი მქნა, — მიუგო ცოლმა.

— ამისთანა ჩასკვნილ კაცს წინ რაღა დაგიდგებოდათ! — ლუდის ტოლჩაში ჩაიღუღლუნა მწვანე საჩიხიანმა.

— რაო, რა სთქვით? — ჩაეკითხა მამალმალალი.

— რა ვთქვი და, გაიგეთ მისი გვარი, მისამართი, და მისწერეთ, რასაც ფიქრობთ მასზე.

— სხვათა შორის, ჯერ თქვენი გვარი მითხარით. მასხრად მიგდებთ?

— შეგიძლიათ პროფესორ მაკ-უოლსი მიწოდოთ.

— ჩემი გვარი ლაფტონია, — უთხრა მალალმალალმა, — მწერალი ვარ.

— ძალიან სასიამოვნო, — თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, — ბევრსა სწერთ?

მალალმალალმა მიიხედ-მოიხედა.

— წავიდეთ აქედან, ჩემო ძვირფასო, — უთხრა მან ცოლს, — როგორც ვატყობ, აქ ვინც შემოდის, ან ტუტუ-ცია, ან შტერი.

— უცნაური ადგილი გახლავთ, — თქვა პროფესორმა მაკ-უოლსიმ, — მართლაც რომ მომხიბლავია. ამერიკის გიბრალტარს ეძახიან, ქაიროს სამხრეთით სამას სამოცდათხუთმეტ მილზე მდებარეობს. თუმცა ამ ბარის მეტი ჯერ არაფერი მინახავს აქ, ვერ მოვასწარი. ისე, კარგი ბარი ჩანს.

— თქვენ მართლა პროფესორი უნდა იყოთ, — უთხრა ქალმა, — მომწონხართ, იცი.

— მეც მომწონხართ, ჩემო ძვირფასო, — მიუგო პროფესორმა მაკ-უოლსიმ, — მაგრამ ახლა უნდა წავიდე.

გავიდა და თავის ველოსიპედს დაუწყო ძებნა.

— ყველა შტერია აქა, — თქვა მალალმალალმა, — აღარ დავლიოთ, ჩემო ძვირფასო?

— მართლა მომეწონა ეს პროფესორი, — თქვა ქალმა, — მომხიბლავი კაცია.

— ის მეორე...

— ო, რა ლამაზი სახე აქვს! — შესძახა ქალმა, — ნამდვილი თათარია. უზრდელი რომ არ იყოს!.. ისეთი სახე აქვს, ჩინგიზ ხანი გეგონება. იფ, რა ზორბა ვინმე იყო!

— ცალხელაა, — უთხრა ქმარმა.

— არ შემინიშნავს. აღარ დავლიოთ? ნეტა, ვინ შემოვა კიდევ?

— იქნებ ტამერლანი შემოვიდეს.

— იფ, რა ნაკითხი ხარ, — შესძახა ცოლმა, — მაგრამ მე ჩინგიზ ხანიც მეყოფა. ეს „მიქარვა“ რატომ მოეწონა ნეტა პროფესორს?

— რა ვიცი, ჩემო ძვირფასო, — უპასუხა მწერალმა ლაფტონმა, — მე კი ჩემს ღღეში არ მომწონებია და.

— ეტყობა, ნამდვილად მოვეწონე — თქვა ქალმა, — ეჰ, რა კარგი ვინმე იყო.

— კიდევ ნახავ, ალბათ.

— სულ აქ არ არის, როცა არ უნდა მოხვიდეთ! — უთხრა ფრედიმ, — აქვე ცხოვრობს. აგერ, ორი კვირა იქნება, აქ არის.

— ის ვილა იყო. უწმაწურ სიტყვებს რომ ისროდა?

— ისა? ჰო, აჭაურია.

— რას აკეთებს?

— ყველაფერს, ცოტ-ცოტას, — უპასუხა ფრედიმ, — მეთევზეთა.

— მკლავი სად დაკარგა?

— რა ვიცი. სადღაც დაისახიჩრა.

— იფ, რა ლამაზი ვინმეა, — თქვა ქალმა.

ფრედიმ გაიცინა.

— რა არ გამიგონია მავაზე, რა არ უთქვამთ, მაგრამ, ლამაზიაო პირველად მესმის.

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

— ვითომ რა, არ არის ლამაზი?

— ნეტაი თქვენ, ქალბატონო, — მიუგო ფრედომ, — ლორს მიუგავს სახე. თან ცხვირიც ჩაჭყლეტილი!

— ოჰ, რა სულელები არიან კაცები! — თქვა ქალმა, — სიზმარში რომ მოგელანდება, ისეთი კაცია.

— მტრისას, მაგისტანა კაცის დასიზმრება, — უპასუხა ფრედომ.

მწერალი კი იჯდა და შტერივით აცეცებდა თვალებს, მხოლოდ მაშინ თუ გადაუვიდოდა სახეზე სიშტერე, როცა ცოლს შეხედავდა აღფრთოვანებით. მართლაც მწერალი უნდა იყო ან საზოგადოებრივ სამუშაოთა სამმართველოს თანამშრომელი, რომ ამისთანა ცოლი შეირთო, გაიფიქრა ფრედომ. ღმერთო, რა საშინელებაა!

ამ დროს ელბერტი შემოვიდა ბარში.

— ჰარი სად არის?

— ნავსადგომისკენ წავიდა.

— მადლობა, — უთხრა ელბერტმა.

ელბერტი წავიდა, მწერალი და მისი ცოლი კი იქვე ისხდნენ, ფრედიც იქვე იდგა და ნავს მისტიროდა, თან იმასაც ფიქრობდა, მთელი დღე ფეხზე დგომით ფეხები სულ დამიავადმყოფდნო. ხის ლარტყული დაადგო ცემენტის იატაკზე, მაგრამ ბევრი ვერაფერი უშველა. ტეხდა და ტეხდა ფეხები. საქმე კი კარგად მისდიოდა, ყველაზე უკეთესად მთელს ქალაქში, ხარკებიც სხვებზე ნაკლები ჰქონდა. მაინც, რა მიამაზია ეს დედაკაცი. ან ეს ვაჟბატონი რა უნდა იყოს, ამისთანა ქალს რომ გამოძებნის და შეირთავს! თვალდახუჭული რომ იყო, მაშინაც არ უნდა შეგეშალოს კაცს, ფიქრობდა ფრედი. მაგისტანა ქალთან არც უნდა გაიარო. სმით კი ბევრსა სვამენ. კაი ძვირფას სასმელებს. ეგეც ხეირია.

— კი, ბატონო, — წამოიძახა მან, — ახლავე.

შემოვიდა მზით გარუჯული, ქერათმიანი, ჩამოსხმული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მეზღვაურის ზოლებიანი პერანგი და მიხაკისფერი მოკლე შარვალი ეცვა, თან შემოჰყვავა შალის

თეთრ სვიტრსა და ლურჯ შარვალი ჩაცმული მშვენიერი ქალი.

— ეს ხომ რიჩარდ გორდონმა! — შესძახა ლაფტონმა და წამოხტა, — რიჩარდ გორდონი და მომხიბლავი მისს ელენი!

— გამარჯობა, ლაფტონ, — მიესალმა რიჩარდ გორდონი, — მთვრალი პროფესორი ხომ არსად გინახავთ?

— ფეხად გაგასწროთ, — მიუგო ფრედომ.

— ვერმუთს არ დაღევ, ჩემო სყვარელო? — ჰკითხა რიჩარდ გორდონმა თავის ცოლს.

— შენც თუ გინდა, — მიუგო ქალმა. მერე ლაფტონებს მიესალმა, — გამარჯობათ. ჩემთვის ფრანგული-იტალიური შეაზავე, ფრედი, ნახევარ-ნახევარი.

მაღალ ტაბურეტზე შესკუბდა, ფეხი ამოიყეცა და ქუჩაში დაიწყო ცქერა. ფრედი აღფრთოვანებით შეჰყურებდა. ამისთანა ლამაზი არავინ ჩამოსულა ამ ზამთარს კიე-უესტშიო, ფიქრობდა. საჭკეყნოდ განთქმული მზეთუნახავი მისის ბრედლიც კი ვერ მოვა მაგასთანო. ცოტა არ იყოს, დასქეღდა ის მისის ბრედლი. ამ ქალს კი ეშხიანი ისლანდიური სახე ჰქონდა, მხრებზე ჩამოშლილი შავი ხუჭუჭა თმა, რბილი, სუფთა კანი... ფრედომ მის ბრინჯაოსფერ ხელს შეხედა, ქალს ჰქვა ეპყრა ხელში.

— საქმე როგორ მიგდით? — ჰკითხა ლაფტონმა რიჩარდ გორდონს.

— კარგად, — მიუგო გორდონმა, — თქვენ?

— ჯემსს მუშაობა აღარ ეპიტნაგება, — დაასწრო მისის ლაფტონმა, — სმა ურჩევნია.

— ეგ პროფესორი მაკ-უოლსი ვინ არის? — იკითხა ლაფტონმა.

— ეკონომიკის პროფესორი უნდა იყოს. ახლა, მგონი, ერთი წლის შეგბუღლება აქვს, თუ რაღაც ამგვარი. ელენის მეგობარია.

— მე ძალიან მომწონს, — თქვა ელენ გორდონმა.

— მეც მომწონს, — არ ჩამორჩა მისის ლაფტონი.

— პირველად მე მომეწონა, — ბედნიერი ღიმილით თქვა ელენ გორდონმა.

— ინებეთ, თქვენი იყოს, — უპასუხა მისის ლაფტონმა, — თქვენისთანა ლამაზ გოგონებს წინ ვინ დაუდგება, რასაც მოიწადინებთ — თქვენი.

— იმიტომაც ვართ კარგები, — ჩაილაპარაკა ელენ გორდონმა.

— კიდევ მინდა ვერმუთი, — თქვა რიჩარდ გორდონმა, — თქვენ არ დალევთ? — ჰკითხა მან ლაფტონებს.

— რატომაც არა, — უპასუხა ლაფტონმა, — ერთი ეს მითხარით, ხვალ ბრედლის დიდ მეჯლისზე არ აპირებთ?

— როგორ არა, მიდის! — მიუგო ელენ გორდონმა.

— მომწონს, იცით, ის ქალი, — თქვა რიჩარდ გორდონმა, — ჯერ ერთი, როგორც ქალი ისე მიტაცებს, და მეორეც — როგორც სოციალური ფენომენი.

— იფ, — შესძახა მისის ლაფტონმა, — თქვენც ისე განათლებულად ლაპარაკობთ, როგორც ის პროფესორი.

— გაუნათლებლობით ყოყოჩობა არ ვარგა, ჩემო ძვირფასო, — უთხრა ლაფტონმა.

— სოციალურ ფენომენებსაც უწვებიან ხოლმე ლოგინში? — იკითხა ელენ გორდონმა და კარებში გაიხედა.

— ნეტა რას სულელობ! — წაულაპარაკა რიჩარდ გორდონმა.

— ეგეც მწერლის მოვალეობაში თუ შედის-მეთქი, მაინტერესებს?

— მწერალმა ყველაფერი უნდა იცოდეს, — თქვა რიჩარდ გორდონმა. — ბურჟუაზიული დონით ვერ შემოზღუდავს თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

— ოჰ, — შესძახა ელენ გორდონმა, — მწერლის ცოლს რაღა ევალება?

— ათასი რამე, როგორც ვაკვირდები, — მიუგო მისის ლაფტონმა, — თქვენ ის უნდა გენახათ, ვიღაც კაცი რომ შემოვიდა აქ და შეუტაცხყოფა მოგვაყენა მე და ჯემსს. საშინელი რამე იყო.

— უნდა გამერტყა, — თქვა ლაფტონმა.

— ნამდვილი საშინელება იყო, არა ცხრებოდა მისის ლაფტონი.

— შინ მივდივარ, — თქვა გორდონმა, — შენ არ წამოხვალ, დიკ?

— ცოტა ხანს ქალაქში მინდა გავლა, — მიუგო რიჩარდ გორდონმა.

— ჰოო? — თქვა ელენ გორდონმა და სარკეში ჩაიხედა, რომელიც ფრედის თავზემოთ ეკიდა.

— ჰო, გავივლი, — უპასუხა რიჩარდ გორდონმა.

ფრედიმ ქალს შეხედა და გაიფიქრა, ახლავე ატირდებო. ნეტა კი ჩემს ბარში არ ატირდესო, ინატრა.

— სხვას არაფერს დალევ? — ჰკითხა რიჩარდ გორდონმა ცოლს.

— არა, — თავი გააქნია ქალმა.

— რა მოგივიდათ? — ჩაეკითხა მისის ლაფტონი, — არ მოგწონთ აქაურობა?

— აქ ყოფნას რა სჯობს, — მიუგო ელენ გორდონმა, — მაგრამ მე მაინც შინ მიჩქვნი.

— მეც მალე მოვალ, — უთხრა რიჩარდ გორდონმა.

— ნუ შეწუხდები, — მიუგო ქალმა. ადგა და გავიდა ბარიდან. ტირილით არ უტირია. არც ჯონ მაკ-უოლისს შეხვედრია.

თ ა მ ი მ მ რ მ ე

ჰარი მორგანმა მანქანა ნავსადგომთან გააჩერა, სწორედ იქ, საცა ფრედის კარჭაპი იდგა, მიიხედ-მოიხედა, და რაკი ირგვლივ არავინ ჩანდა, წინა სავარძელი ასწია, ზეითით გაზინთული გახე-შეშებული ტილოს ბოხჩა გადმოიღო და პირდაპირ გემბანზე მოიქნია. თვითონაც გადავიდა კარჭაპზე, ძრავს ხუფი ახადა და თოფის ბოხჩა დამალა. მერე სარკველები გახსნა და ორივე ძრავა ჩართო. მარჯვენა ძრავა ორიოდე წუთში თანბარი გუგუნით ამუშავდა, მარცხენასი კი მეორე და მეოთხე ცილინდრი ითიშებოდა — ფალიები გაბზარულიყო. ახლებს დაუწყო ძებნა, მაგ-

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

რამ ვერ იპოვნა. „უნდა ვიშოვო და გამოვცვალო, ბენზინიც უნდა ჩავასხა“, გაიფიქრა მან.

ძრავებს არც მოშორებია ისე, თოფის ბოხჩა გახსნა და ლულა კონდახს დაამაგრა. მერე ორი ღვედის ნაჭერი და ოთხი ხრახნი მოძებნა, ღვედები რამდენიმე ადგილას დასერა და კოკპიტის ქვემოთ ზედ მარცხენა ძრავასთან თოფის სამაგრი გააკეთა. მოშვებულად იღო შიგ თოფი, თავისუფლად ქანაობდა. ბოხჩის ჯიბეში იმ ოთხ სავაზნე კოლოფთაგან ერთ-ერთი ამოარჩია და მოარგო. მერე ძრავებს შორის მუხლებზე დაეშვა და თოფს გადაწვდა. ერთი წამის საქმე იყო: კონდახის სამაგრ ღვედს გადახსნიდა და წინა ღვედიდან ლულას გამოაძრობდა. სცადა ამის გაკეთება და ცალხელამაც ადვილად მოახერხა. მერე საკეტი ნახევარავტომატიდან სრულავტომატზე გადაიყვანა და შეამოწმა, მცველი ხომ დაკეტილიაო. ბოლოს ისევ თავის ადგილზე დაამაგრა თოფი. ველარ გადაწყვიტა, თავისუფალი ვაზნის კოლოფები სად დაემალა და ისევ ბენზინის ავზის ქვეშ შედო ბოხჩა, საიდანაც ადვილად დაითრევდა; კოლოფის ბოლოები მარჯვედ დააწყო, რომ სწრაფად წაევლო ხელი. ზღვაში რომ შევალთ, მერე, როგორც კი მოვახელთებ, ორ ცალს ჯიბეში ჩავიდებ, გაიფიქრა მან. თუმცა საშიშია, ჩხაკუნი არ დაიწყოს.

წამოდგა. მშვენიერი დღე იყო, სასიამოვნო ამინდი იდგა, არ ციოდა, დასავლეთის სუსტი ზღვაური უბერავდა. ერთი სიტყვით, მშვენიერი დღე იყო. ზღვის უკუქცევა დაწყებულიყო და ზედ სრუტის სათავეში, ხომინჯებზე ორი ვარხვი ჩამომჯდარიყო. თევზის ბაზრისკენ მეთევზეთა მწვანე ნავი მითხზთხზებდა, კიჩოზე, საქესთან ზანგი მეთევზე იჯდა. ჰარიმ ნაშუადღევის მზეზე ნაცრისფრად მოლივლივ წყალს გახედა, იქვე არხის გაღრმავების დროს დაზვიანული სილა მოჩანდა. კუნძულის თავზე თეთრად დასრიალებდნენ თოლიები.

„წყნარი ღამე იქნება“, გაიფიქრა მან, „ნამდვილი სამგზავრო ღამე“.

ძრავებთან რომ საქმიანობდა, თავისუფალი, გაოფლიანებული და ახლა, როცა წამოდგა, სახე მუშაობდა.

ნავსადგომთან ელბერტი იდგა.

— ჰარი, — უთხრა მან, — წამიყვანე რა.

— რა მოგივიდა?

— ბირჟაზე ახლა კვირაში მარტო სამი დღე უნდა გვამუშაონ. ამ დილას გავიგე. სხვა საქმე უნდა გავიჩინო.

— კარგი, — უთხრა ჰარიმ. ეტყობოდა, ისევ გადაეფიქრა, — კარგი, წამიყვან.

— ავაშენა ღმერთმა, — გაეხრდებოდა ელბერტს, — შინ მისვლისა მეშინოდა, ჩემს ბებრუხანას როგორ დავენახვო მეთქი. ისე შემახურა ამ დილას, თითქოს ეს სამდღიანი კვირა მე შემომეღოს.

— რა ღმერთი უწყურება მაგ შენს ბებრუხანას, — სიცილით უთხრა ჰარიმ, — შენც ადექი და მიადებ ერთი.

— შენ თვითონ მიადებ, თუ კარგია, — მიუგო ელბერტმა, — ერთი მომასმენინა, რა პასუხს მიიღებდი. იმისთანა ენის პატრონია, რომ მტრისას.

— ელ, იცი, რა ქენი, — უთხრა ჰარიმ, — ჩემს მანქანაში ჩაჯექი. აჰა, ესეც გამომართვი. რკინეულობის საწყობში მიხვალ და ექვს ამისთანა ფალიას მიყიდი. იქიდან მალაზიაში შეიბინე და ოცი ცენტის ყინული და ექვსი-ოდე კეფალიც წამოიღე. თან ერთი-ორი ქილა ყავა, ოთხი ხორცის კონსერვი, ორი პური, ცოტაოდენი შაქარი და ორი შედედებული რძეც იყიდე. მერე სინკლერთან გამოიარე და უთხარი ორმოციოდე ბალონი ბენზინი მომიტანოს. რაც შეიძლება მალე დაბრუნდი და მარცხენა ძრავში მეორე-მეოთხე ცილინდრებს ფალიები გამოუცვალე. ბენზინის ფულს, მოვალ და მე თვითონ გადაგიხდი-თქვა, ჩემმაგიერ უთხარი. უნდათ — დამიცადონ, — უნდათ — ფრედისთან მომიტანონ. ხომ არაფერი დაგავიწყდება? ხვალ ტარპონებზე სათევზაოდ მიგყავს ხალხი.



— რაღა დროს ტარბონია ამ სიცივე-
ში! — გაიკვირვა ელბერტმა.

— მაგათ რომ ჰკითხო, სწორედ
ახლა დრო, — უთხრა ჰარმი.

— კეფალი ერთი დუჟინი ხომ არ
წამომეღო? — ჰკითხა ელბერტმა, —
ვაი თუ ქარიყლაპიებმა დაგვიგლიჯონ!
თელი სრუტე სულ ქარიყლაპიებითაა
ცატენილი.

— დუჟინი იყოს. ოღონდ ერთ საათ-
ში უკანვე დაბრუნდი, ბენზინიც ჩაასხი.

— ამდენი ბენზინი რად გინდა?

— დილაადრიან გავალთ ხოლმე,
ვიან დავბრუნდებით, ბენზინის ჩასხ-
ის დრო იქნებ აღარ დაგვრჩეს.

— იმ კუბელებს რაღა მოუვიდათ, გა-
დაყვანას რომ შეჰპირდი?

— იმის მერე აღარც გამოჩენილან.

— კარგი საქმე კი იყო.

— ეგვეც კარგი საქმეა. აბა, ჩქარა.

— რამდენს გადამიხდი?

— დღეში ხუთ დოლარს, — უპასუხა
ჰარმი, — თუ არ მოგწონს, შენი ნე-
ხაა.

— კარგი, იყოს, — უთხრა ელბერტ-
მა, — რომელი ფალიებით?

— მეორე და მეოთხე, — მიუგო ჰა-
რმი. ელბერტმა თავი დაუქნია.

— დავისხომებ, როგორმე, — თქვა
ჰან. მანქანაში ჩაჯდა, მიაბრუნა და ქუ-
ჩაში გასრიალდა.

ჰარი კარჭაბიდანვე გარკვევით ხედავ-
და პირველი ამერიკული სახელმწიფო-
საკრედიტო ბანკის აგურ-ქვის შენობა-
სა და მის მთავარ შესასვლელს. ქუჩის
ბოლოში იდგა ეს ბანკი, ნავსადგომი-
დან ერთი კვარტალის დაშორებით.
გვერდის შესასვლელი არა ჩანდა. სა-
ათს დახედა. სამი დაწყებულყო. ძრავს
ხუფი დაახურა და ნავსადგომის ბაქან-
ზე გამოვიდა. რაც მოსავალია მომივი-
დეს, გაიფიქრა მან. ყველაფერი გავაკე-
თე, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა.
ახლა წავიდე, ფრედი ვნახო. მოვბრუნ-
დები იქიდან და იმათ დავუტედი. ნავ-
სადგომიდან გამოვიდა, მარჯვნივ შეუ-
ხვია და ვიწრო მოსახვევებს დაადგა,
ბანკის წინ გავლას მოერიდა.

სურდა გულახდილად ეთქვა ფრედ-
სათვის ყველაფერი, მაგრამ არ გამოუ-
ვიდა. ბარში კაცის ჰაჭანება არ ყოფი-
ლა, იჯდა ტაბურეტზე და ცდილობდა
გული გადაეხსნა, მაგრამ ვერა და ვერ
მოახერხა. როცა გადაწყვიტა, ახლა კი
ნამდვილად ვეტყვიო, იგრძნო, რომ
ფრედი არ იზამდა ამას. ძველად შეიძ-
ლება ექნა კიდევ, მაგრამ ახლა—არას-
დიდებით. იქნებ არც ძველად დათანხმე-
ბულიყო. მანამ ფრედისათვის გამხელას
გადაწყვეტდა, არც უფიქრია, რა საში-
ნელი საქმე იყო ეს. მოდი აქვე დავრ-
ჩები, და არაფერიც არ მოხდება, გაი-
ფიქრა ერთი პირობა. ვიჯდები აგერ
ჩემთვის, დავლევ, შევთვრები და აღა-
რაფერში არ გავერევი. ეს არის,
რომ თოფი დამრჩა გემზე. მერე რა, ჩე-
მი ბებრუხანის გარდა კაციშვილმა არ
იცის, რომ ჩემი თოფია. კუბაში მაქვს
ნაყიდი, ერთ-ერთი რეისის დროს, კონ-
ტრაბანდა რომ გადამქონდა. ვინ რა
იცის, რომ ჩემია! დავრჩები აგერ და
სულაც არ გავერევი მაგ საქმეში. მაგ-
რამ ცოლშვილს რა ჯანდაბა ვაკამო?
მარი და გოგოები რითი შევიწახო,
ფულს ვინ მომაქვავებს? გემი მე აღარ
შემრჩა, ფული არ მიჰყავის, სწავლა-
განათლება არა მაქვს! რას უნდა გახ-
დეს ცალ-ხელა კაცი?! ვიქნები აგერ
ერთ ხუთ ჰიქას კიდევ დავლევ. დროს
გავაჩანჩალებ. დავიგვიანებ. არ დავე-
ძებ, რაც მოხდება, მოხდეს.

— რამე დამისხი, — უთხრა მან
ფრედის.

— ახლავე.

სახლს გავყიდი და ბინას ვიქირავებ
სადმე, მანამ რამე სამუშაოს გამოძებ-
ნიდე. რა სამუშაოს? არავითარი სამუ-
შაო ჩემთვის არ არსებობს. მივალ ბანკ-
ში და დავასმენ... რას მივიღებ მერე?
მადლობას. მაშ არა და. მადლობა! კუ-
ბელმა მოხელეებმა აიღეს და თოფი და-
მიშინეს. მკლავი მომგლიჯეს, როცა სუ-

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მიორგანი

ლაც არ იყო საჭირო სროლა; ამერიკელებმა კარჭაპი წამართვეს. ახლა სახლსაც გამოვეთხოვო და სამაგიეროდ მადლობა მივიღო? რა თავში ვიხლი მაგ მადლობას. ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ, გაიფიქრა მან. სხვა გზა არ არის.

ფრედის ვეტყვიო, იფიქრა, უნდოდა სხვა ვინმესაც სცოდნოდა მისი გადაწყვეტილება, მაგრამ ვერ მოახერხა. იგონებო, რომ ფრედი არ იზამდა. ფული არ აკლია. მართალია დღისით იშვიათად შემოიხედავს კაცი ამ ბარში, მაგრამ სამაგიეროდ საღამოობით გაიქედება ხოლმე და ღამის ორ საათამდე ტევა არ არის. თავი ქუდში აქვს ფრედის. არა, არასდიდებით არ დათანხმდება. ისევ მე უნდა ვქნა, გაიფიქრა მან, იმ უბედურ ელბერტს ვავიყოლებ. ღმერთო, რა საცოდავად იღვა ნავსადგომზე შიმშილით გამოლასლასებული. რამდენი კონჩაა, შიმშილით მოკვდება და ქურდობას კი არ იკისრებს. ჯერ ჩვენს ქალაქშიაც რამდენს აქვს შიმშილით კუჭი მიმხმარი, მაგრამ თითსაც არ ვაანძრევენ. ნელ-ნელა ელევით ხოლმე შიმშილით სული. დაბადებიდანვე ასე მოსდვამთ. ზოგიერთებს, რა თქმა უნდა.

— იცი რა, ფრედი, — გასძახა მან, — ორი ბოთლი უნდა მომცე.

— რა?

— ბაკარდი.

— მოგართმევ.

— ოღონდ საცობებს მომიხსნი, არა? ხომ იცი, კუბელების გადასაყვანად დავიჭირავე შენი კარჭაპი.

— აკი მითხარი.

— ოღონდ არ ვიცი, როდის აპირებენ. იქნებ ამალამვე. ჯერ არ უთქვამთ.

— კარჭაპი მზად არის, როცა არ უნდა მოუნდეთ. ღამესაც კარგი პირი უჩანს, ამაღამ თუ წახვალთ.

— დღეს, მგონი, სათევზაოდ უნდოდათ გასვლა ზღვაში.

— ბადეც გემზეა, ვარხვებმა თუ არ მოიბარეს.

— არა, იქვეა.

— მით უკეთესი, ბენდინგად გემზე ზავროს, — უთხრა ფრედმა.

— მადლობელი ვარ. ერთხელ ვინმე ცემ?

— რასა?

— ვისკი იყოს.

— აკი ბაკარდისა სვამდი?

— ღამე თუ შემცივდა ზღვაში, ამას დავლევ.

— სულ ზურგქარი გაგაქროლებს, — უთხრა ფრედმა, — ამისთანა ღამეში მეც სიამოვნებით ვიმგზავრებდი.

— ჰო, ღამეს კარგი პირი უჩანს. ჰა, არ მომცემ იმ ერთსაც?

ამ დროს მაღალი ტურისტის და მისი ცოლი შემოვიდნენ.

— ჩემი საოცნებო ვაჟკაციც აქ არ ყოფილა, — თქვა ქალმა და ჰარის მიუჯდა გვერდით.

ჰარიმ ცერად გადახედა და წამოხდა — ისევ შემოვივლი, ფრედი, — უთხრა მან, — ახლა კარჭაპს მივხედავ, იქნებ სათევზაოდ გასვლა მოინდომონ.

— ნუ მიდიხარ, — შესძახა ქალმა, — ნუ წახვალ, თუ ღმერთი გწამს.

— რას მაიმუნობ! — უთხრა ჰარიმ და გავიდა.

ქუჩაში რიჩარდ გორდონი გამოჩნდა მისის ბრედლის დიდი საზამთრო სახლისკენ მიემართებოდა. იმედი ჰქონდა რომ მისის ბრედლი მარტოკა დახვდებოდა. ალბათ, მარტოკა იქნება, მისის ბრედლი მწერლებსაც ისევე აგროვებდა ხოლმე, როგორც მათ წიგნებს, მაგრამ რიჩარდ გორდონმა ჯერ ეს არ იცოდა. მისი საკუთარი ცოლი ამ დროს ზღვის სანაპიროს მიჰყვებოდა და შინისკენ მიდიოდა. ჯონ მაკ-უოლსის კი მაინც ვერ შეხვდა. ალბათ, იმათი სახლის წინ ჩაივლის ჯონი.

მ ა მ ი მ ე ა მ ი

ელბერტი გემზე დახვდა, ბენზინს უკვე ჩაესხათ.

— ძრავს ჩავრთავ და ის ორი ცილინდრი შევამოწმოთ, — უთხრა ჰარიმ, — ყველაფერი ჩაალაგე?

— ჰო.

— მაშ, საქნიერა მოამზადე.

— დიდი საქნიერა?

— დიდი იყოს. ტარბონისათვის.

ელბერტი საქნიერებს ამზადებდა კი-
ნოზე, ჰარი კი საჭესთან ტრიალებდა,
ძრავებს ახურებდა. უცებ რღაცამ
იფეთქა, თითქოს მანქანის საბურავი
გასკდაო. ჰარიმ ქუჩას გახედა და დაი-
ნახა, რომ ბანკიდან ვიღაც გამოვარდა,
ხელში პისტოლეტი ეჭირა და მირბო-
და. მალე მიეფარა თვალს. მას ორი კა-
ცი მოჰყვა, ცალ ხელში ამათაც რევოლ-
ვერები ეჭირათ, მეორეში კი — ტყავის
პორტფელეები. ესენიც იმავე მიმართუ-
ლებით გარბოდნენ. ჰარიმ საქნიერების
მომზადებაში გართულ ელბერტს გახე-
და. შეოთხეს, იმ ზორზოხას, ხელში
თომპსონის ავტომატი ჰქონდა მომარ-
ჯვებული. რომ გამოდიოდა, პირით შე-
ნობისაკენ იყო მიქცეული და უკან ფეხ-
აკრეფით იხევდა. გამოვიდა თუ არა შე-
ნობიდან, ბანკში სირენა აწვილდა, ჰა-
რიმ დაინახა როგორ ატოკდა ავტომა-
ტის კონდახი და სირენის გაბმული წი-
ვილი როგორ გაჰკვეთა თოფის წყვე-
ტილმა და მკახე ბათქმა — ტიუ-ტიუ-
ტიუ. ერთხელ კიდევ ისროლა ბანკის
კარებისაკენ, მერე შებრუნდა და გაიქ-
ცა. ხოლო როცა ელბერტი წამოდგა და
წამოიძახა: — „ღმერთო ჩემო, ბანკი
გაძარცვეს. ღმერთო, რა გვეშველე-
ბაო“, ჰარიმ მოსახვევში მანქანის ხმა
გაიგონა და დაინახა, როგორ დაიძრა
ნავსადგომისკენ ფორდის ტაქსი.

ერთი კუბელი შოფრის გვერდით
იჯდა, სამნი კი — უკან.

— კარჭაბი სადაა? — იყვირა ერთმა
ესპანურად.

— ეგერ, შე სულელო, — უთხრა
მეორემ.

— ეს სხვა კარჭაბია.

— კაბიტანი კი იგივეა და.

— ჩქარა, ჩქარა, თუ ღმერთი გწამს.

— გადმოდი! — შესძახა ერთმა კუ-
ბელმა შოფერს, — ხელები მაღლა!

როცა შოფერი გადმოვიდა და მანქა-
ნისთან გაჩერდა, იგი მივარდა და დანა
ჩაურჭო ქამარში, მოსწია და გაუჭრა
ღვედი. შარვალი მუხლებამდე ჩაუ-

კურდა შოფერს. ჩასწია და ბოლომდე
ჩახადა.

— არ გაინძრე! — უბრძანა მისთვის

იმ ორმა კუბელმა პორტფელეები გემ-
ბანზე მოიქნიეს და ამის შემდეგ ოთხი-
ვენი ფაცხა-ფუცხით გადახტნენ კარ-
ჭაპზე.

— აბა, წავედით, — ბრძანა ერთმა
მათგანმა, ზორზოხამ. ზურგზე თოფის
ლულა ამოჰკრა ჰარის.

— ჩქარა, კაბიტანო, — შესძახა
მან, — წავედით!

— წყნარად, — მიუგო ჰარიმ, —
ესეც სადმე სხვაგან გაიშვირე.

— აუშვი ბაგირი, — ბრძანა ზორზო-
ხამ, — შენ გეუბნები! — დაუღრიალა
ელბერტს.

— დაიცადე! — შეჰყვირა ელბერტმა
ჰარის, — არ ჩართო. ამათ გაძარცვეს
ბანკი!

ზორზოხა კუბელი მოტრიალდა, თო-
ფი შეიქნია და ელბერტს დაუმიზნა.

— ნუ! ნუ! — იღრიალა ელბერტ-
მა, — ნუ მესვრი!

ლულა ისე ახლოს იყო მკერდთან,
რომ სამივე ტყვია თითქოს ერთ ნახვ-
რეტში ჩაჯდა. ელბერტი ჩაიკეცა, თვა-
ლები გადმოკარკლა, პირი დაალო, თით-
ქოს კიდევ ერთხელ უნდოდა ეთქვა,
„ნუ მესვრიო“.

— ანკი რად გინდა დამხმარე! —
თქვა ზორზოხა კუბელმა, — შენ გეუბ-
ნები, ცალხელა ძაღლო! — მერე ესპა-
ნურად განაგრძო, აიღეთ ეგ დანა და
ბაგირი გადასჭერით, — და ინგლისუ-
რად დასძინა, — აბა, წავედით!

მერე ისევ ესპანურად: — რევოლვე-
რი ზურგზე გქონდეთ მიბჯენილი, —
და კვლავ ინგლისურად: — აბა, ჩქარა,
წავედით! თავს წაგაცლი!

— ახლავე, — მიუგო ჰარიმ.

ერთ-ერთმა კუბელმა, რომელიც
ინდიელს ჰგავდა, რევოლვერი მიუშვი-
რა, სწორედ დაზიანებული ხელის მხრი-
დან, და ლულა ლამის გადაჭრილი
მკლავის ტაკვს შეახო.

ერნესტ ჰემინგუეი

ჰარი მორგანი

კარჭაბი რომ დასძრა და ჯანსაღი ხელით საჭე დაატრიალა, ჰარიმ თან უკან მოიხედა, რათა ხიმიან არ წამოდებოდა; კიჩოზე ჩაკეცილ ელბერტს თავი გვერდზე გადაჰკიდებოდა და სისხლის ტბორში იჯდა. ნავსადგომზე ტაქსი იდგა, ტაქსის გვერდით კი ტრუსების ამარა, კოჭებამდე შარვალჩამძვრალი შოფერი, რომელსაც ხელები კვლავ მალდა ჰქონდა აწეული, ამასაც ელბერტივით დაედო პირი. ქუჩაში კაცის ჰანება არ ჩანდა.

კარჭაპმა ხიმიანები უკან ჩამოიტოვა, შექურას გაუპირდაპირდა და სრუტეში შევიდა.

— ცოცხლად! ჩქარა! — ყვიროდა ზორზოხა კუბელი, — მთელი სიჩქარით წაიყვანე.

— იქით გასწი ეს რევოლვერი, — უთხრა ჰარიმ. თავისთვის ფიქრობდა: კროუფიშ-ბარის მეჩჩეზე შეევსამდი გემს, მაგრამ ეს კუბელი მაშინვე დამცხრილავს.

— უფრო ჩქარა, — ყვიროდა ზორზოხა კუბელი. მეჩე ესპანურად თქვა: — გაწექოთ ყველანი, კაპიტანი მიზანში გაყვდეთ! — თვითონ კიჩოზე გაწვა, ელბერტი დაითრია და დაბლა ჩაავლო. დანარჩენები კოკპიტზე გაიშლართინენ. ჰარი საჭესთან იჯდა. მიაპობდა წყალს და წინ იყურებოდა. გაიარა ნავსადგურის ყელი, საცა იახტები დგას ხოლმე, გასცილდა მწვანე ციმციმას, ფორტს ჩაუარა, წითელ ციმციმასაც გასცდა... უკან მოიხედა. ზორზოხა კუბელს ჯიბიდან მწვანე სავაზნე კოლოფი ამოელო და ტენიდა. თოფი გვერდზე ეგდო, ისე აწყობდა ვაზნებს, რომ არც უყურებდა, ხელის ცეცებით სტენიდა და უკან იყურებოდა, კიჩოსაკენ. სხვებიც უკან იმზირებოდნენ, გარდა იმ ერთისა, რომელსაც ჰარის გუშაგობა ჰქონდა დავალებული, და ამან ხელადვე ანიშნა რევოლვერით, წინ იყურეო. მღვეარი ჯერ არა სჩანდა. ძრავები კარგად მუშაობდნენ და ზღვის მოქცევის წყალობით კარჭაბი თავისუფლად მისრიალებდა.

ორ სწრაფმავალ ნავს შეუძლია ჩვენს

დაწევა, ფიქრობდა ჰარი. ერთი ჩრების ნავი, ფოსტას რომ დაატარებს მატეკუმბიდან, მეორე სად უნდა წაიყვანოს ახლა? ედ ტელორის ნავმისადგომზე ვნახე ამ ორი დღის წინ, გაიხსენა მან. სწორედ ამ ნავის დაქირავება მინდოდა, ენაგატლევილს მიუვუგავანი-მეთქი, ვფიქრობდი. არა, კიდევ არის ორი ნავი, უცებ მოაგონდა. ერთი საგზაო დეპარტამენტს დაუდის კუნძულებზე. მეორე გარიზონ ბაიტზე უდგათ. ნეტა რამდენი გავიარეთ? მოიხედა.

ფორტი კარგა შორს ჩამოეტოვებოდათ, სამხედრო ნავსადგურის შენობებიდან უკვე კარგად გამოიკვეთა წითელი აგურისაგან ნაგები ძველი ფოსტა, სასტუმროს ყვითელი შენობაც ყველაზე უფრო დიდი მოჩანდა ქალაქის დავიწროებულ ჰორიზონტზე. მკაფიოდ გამოჩნდა ფორტის უბე და დიდი საზამთრო სასტუმროს გასწვრივ გაწეკაბულ შენობებზე წამომართული შექურა. სულ ცოტა, ოთხი მილი გაგვივლია, გაიფიქრა მან. ეგერ, მღვერებიც! ორმა თეთრმა სათევზაო ნავმა ზვირთსაქცევს შემოუარეს და ახლა მათკენ მოემართებოდნენ. ეგენი ხომ ათ მილსაც ვერ გაივლიან საათში, გაიფიქრა მან. უბადრუკები არიან.

კუბელები ესპანურად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში.

— რა სისწრაფით მივდივართ, კაპიტან? — გამოსძახა ზორზოხამ და თავი მოაბრუნა.

— თორმეტამდე, მიუგო ჰარიმ.

— მაგ ნავეებს რა სიჩქარე აქვთ?

— ათი, ალბათ.

ყველას იმ ნავეებისათვის მიეშტერებოდა თვალი, იმასაც კი, ვისაც ჰარის გუშაგობა ჰქონდა დაკისრებული. მაგრამ რა უნდა ვქნა? ფიქრობდა ჰარი. ჯერ რას ვავზღვებ.

ის ორი თეთრი ნავი მეტად აღარ იზრდებოდა.

— იქ შეხედე, რობერტო, — წამოიძახა თავაზიანმა კუბელმა.

— სადა?

— აი, იქ?

შორს, უკან, ძლივს გასარჩევად, პატარა თეთრი ჰავლი აიზიდა წყალზე.

— ჩვენ გვესვრიან, — თქვა თავაზიანმა. — რა სისულელეა!

— ღმერთმა დალაზროს! — შესძახა პირბრტყელმა, — სამი მილის მანძილიდან.

„ოთხი“, გაიფიქრა ჰარიმ, „ოთხი იქნება“.

წყნარი წყლის ზედაპირიდან ასვეტილ თეთრ ჰავლებს კი ხედავდა ჰარი, მაგრამ სროლის ხმა არ ესმოდა.

„ეს საწყალი კონჩები“, გაიფიქრა მან, „რას უნდა ვახდენ, რა სასაცილო ხალხია“.

— მთავრობას თუ დაუდის აქ ნავი? — იკითხა პირბრტყელმა და თავი მოაბრუნა.

— სასაზღვრო ნავი.

— რამდენს გადის?

— თორმეტს, ალბათ.

— მაშ გადავრჩენილვართ!

ჰარის არაფერი უპასუხნია.

— ჰა, გადავრჩით?

მაინც არაფერი უპასუხა ჰარიმ. სანდკიეს ზევით ამოზიდული, ფართოდ გაწოლილი შვერილი მარცხნივ მოიტოვა მან. ათი წუთიც და მეჩეჩების ზონას სულაც გაეცლებოდნენ.

— რა მოგივიდა? რას ჩაგვიარდა ენა?

— მკითხეთ რამე?

— ვილას შეუძლია ახლა ჩვენი დაწვევა?

— სასაზღვრო დაცვის თვითმფრინავს, — მიუგო ჰარიმ.

— ტელეფონის ხაზები გადაჭრილი გვაქვს, ქალაქში შესვლისთანავე გადავჭერთ, — თქვა თავაზიანმა ყმაწვილმა.

— რადიოსაც ხომ ვერ გადაჭრილია?

— აქაც მოგვევდება ვითომ თვითმფრინავი?

— მანამ დაბნელდებოდეს, ყველაფერი შეიძლება, — მიუგო ჰარიმ.

— შენ მაინც როგორ გგონია? — ჰკითხა რობერტომ, იმ პირბრტყელმა.

ჰარის არ უპასუხნია.

— ჰა, შენ როგორა გგონია-მეთქი?

— რას მოაკლევინე ჩემი თანაშემწე, მაგ ძაღლის გაგდებულს? უთხრა ჰარიმ თავაზიან ყმაწვილს, რომელიც ახლა მის გვერდით იდგა და კომპასს აკვირდებოდა.

— მოკეტე, — დაუყვირა რობერტომ. — შენც მოკლავ.

— ფული რამდენი წამოიღეთ? — ჰკითხა ჰარიმ თავაზიან ყმაწვილს.

— არ ვიცით, ჯერ არ დაგვითვლია. ჩვენი მაინც არ არის.

— ვატყობ, — თქვა ჰარიმ, შუქურა გვერდზე მოიტოვა. გეზი 225°-ით აიღო, ჰავანისკენ სულ ამ გზით დადიოდა ხოლმე.

— ესე იგი, პირადად ჩვენი არ არის. ორგანიზაციისათვის მიგვაქვს.

— თანაშემწეც მაგისტრის მომიკალით?

— ძალიან ვწუხვარ, — უპასუხა ყმაწვილმა, — ველარც კი მომიხერხებია გამოვთქვა, როგორა ვწუხვარ.

— ძალიანაც ნუ ეცდები.

— ეს რობერტო, — უთხრა ყმაწვილმა წყნარად, — ცუდი კაცია. კარგი რევოლუციონერია, მაგრამ კაცად არ ვარგა. ისე პანტა-პუნტად ხოცავდა ხალხს მაჩადის დროს, რომ შეეჩვია. ახლა გართობად მიაჩნია. თუმცა საქმისთვის ჰკლავს, კარგი საქმისთვის, — რობერტოს გახედა. იგი პატარა სკამზე იჯდა, მუხლზე თომპსონი ედო და თეთრ ნავეებს გაჰყურებდა, რომლებიც ჰარის ახლა ვაცილებით უფრო დაპატარავებულეები ეჩვენებოდა.

— დასაღვეი რა გაქვს? — გამოსძახა რობერტომ კიჩოდან.

— არაფერი, — უპასუხა ჰარიმ.

— რა გაეწყობა, ჩემსას დავლევ, — თქვა რობერტომ. ერთ-ერთი კუბელი უკვე წამოწოლილიყო. საწოლი ბენზინის ავზზე იყო დამაგრებული. ეტყობოდა, გემს მაგრად დაერწია და გული ერეოდა. მეორეც მაგრად დანჯღრეული

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

ჩანდა, მაგრამ ჯერჯერობით იჯდა და უძლებდა.

ჰარიმ უკან მიიხედა და ტყვიისფერი ნავი დაინახა, რომელიც ფორტს გამოსცილებოდა და ახლა იმ ორ თეთრ ნავს ეწეოდა.

„სასაზღვრო ნავია“. გაიფიქრა მან, „ეგეც კაი უბადრუკი რამეა“.

— საზღვაო თვითმფრინავი გამოჩნდება ვითომ? — ჰკითხა თავაზიანმა ყმაწვილმა.

— ნახევარ საათში დაბნელდება, — უთხრა ჰარიმ. კვლავ საქვს მიუჯდა. — მე რას მიპირებთ? მომკლავთ?

— ღმერთმა ნუ ქნას, — თქვა ბიჭმა, — მძულს ხოცვა-ჟლეტა.

— რას აკეთებ? — გამოსძახა რობერტომ, რომელსაც ახლა ვისკის ბოთლი მოემარჯვებინა ხელში, — კაპიტანს უძმაკაცდები? რაო, ვითომ? კაპიტანის სუფრაზე მოგინდა სადილი?

— საქვსთან მიდი, — უთხრა ჰარიმ ყმაწვილს, — კომპასს ხომ ხედავ? ორასოცდახუთით მივდივართ, — თვითონ წამოდგა და კიჩოსკენ გასწვია.

— მეც დამალევი, — მიმართა მან რობერტოს, — ეგერ სასაზღვრო ნავიც გამოგვიდგა, მაგრამ ვერ დაგვეწევა.

გაბრაზება, სიძულვილი და წყენა — როგორც გაუმართლებელი ფუფუნება — მან გვერდზე გადასდო და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას შეუდგა.

— მართალი ხარ, — კვერი დაუკრა რობერტომ, — რალას დაგვეწევა. ერთი ამ განაზებულ ღლაპებს შეხედე, როგორ დაარწია! რა მითხარი? დამალევივინეო?! სხვა სურვილებიც ხომ არ გექნებათ, კაპიტანო, ამ სიკვდილის წინ?

— ნეტა, რას სულელობ, — უთხრა ჰარიმ. დიდხანს არ მოუშორებია პირიდან ბოთლი.

— გეყოფა! — შესძახა რობერტომ, — მეტი აღარ მაქვს.

— სამაგიეროდ, მე მაქვს, — უთხრა ჰარიმ, — გაგაცურე.

— მაგისტანა გაცურებას მოეწვი, — თქვა რობერტომ და დაეკვებით ახედა.

— ანკი რაში მკირდება!

— რა სასმელი გაქვს?

— ბაკარდი.

— გამოიტანე.

— გული დაიწყნარე, — უთხრა ჰარიმ, — ნეტა რა გეჩქარება.

ელბერტის გვამს გადააღაჯა და ქიმიკენ წავიდა. საქვსთან რომ მივიდა, კომპასს დახედა. თითქმის ოცდახუთი გრადუსით ასცდენოდა ყმაწვილი აღებულ გეზს, კომპასის ისარი ქანაობდა. არ ყოფილა მეზღვაური. გაიფიქრა ჰარიმ. მაშ, დრო კიდევ მქონია. ერთი, კილვატერს გავხედოთ.

კილვატერის ორი აქაფებული სვრელი იგრიხებოდა და უკან ვარბოდა, იქითკენ, სადაც ახლა ცაში კონუსისებურად აჭრილი შუქურის მკრთალი მოყავისფრო სილუეტი მოსჩანდა ჰორიზონტის თავზე. ნავები თითქმის აღარ ჩანდა. იმ ადგილას, საცა ქალაქის რადიო-ანძები ეგულებოდა, ახლა იგი ბუნდოვან ლაქასდა ხედავდა. ძრავები შეუფერხებლად მუშაობდა. ჰარი დაიხარა და ერთი ბოთლი ბაკარდი აიღო. კიჩოზე გავიდა, ჯერ თვითონ მოსვა და მერე რობერტოს გადასცა ბოთლი. ელბერტის გვამს რომ გადახედა, ტანში გააყრჟოლა. „უბედური“, გაიფიქრა მან.

— რა მოგივიდა? შეგამინა? — ჰკითხა პირბრტყელმა კუბელმა;

— მოდი, ზღვაში ჩაუშვით, — უთხრა ჰარიმ, — გემზე რილას ძაქნისია!

— აგრე იყოს, — დაეთანხმა რობერტო, — ჰკუხე მოსულხარ.

— შენ მხრებში მოკიდე ხელი, — უთხრა ჰარიმ, — მე ფეხებს დავიჭერ. თოფი კიჩოზე დადო რობერტომ, მერე დაიხარა და გვამს მხრებში სწვდა.

— მკვდარზე უფრო მძიმე არაფერი არ არის ქვეყნად, იცი! — თქვა მან, ავიწევია როდესმე მკვდარი კაცი კაპიტანო?

— არა, — მიუგო ჰარიმ, — შენ მკვდარი ქალი თუ ავიწევია?

რობერტომ კიჩოსკენ გაათრია გვამი.

— კაი მამაძალი ყოფილხარ, — უთხრა მან, — რაო, სასმელი მაქვსო?

— მიდი, მიდი!

— მართალი თუ გინდა, გული მწყდე-



ბა, ეს ბიჭი რომ მოგვალი, — თქვა რობერტომ, — შენ რომ მოგვალავ, კიდევ უფრო დამწყდება გული.

— რეებს ბოდავ, — უთხრა პარიმ, — ნეტა, რაში გპირდება მაგნაირი ლაპარაკი.

— აბა, მოვიქნით, — თქვა რობერტომ, — ჰე!

მანამ დაბლა დახრილები გვამს ეჭაჭგურებოდნენ, პარიმ თოფს გამოჰკრა ფეხი და ძგიდისკენ მიაცურა. ელბერტთან ერთად ისიც გადაუშვა წყალში. მაგრამ ვიდრე კიჩოსთან თეთრად აქაფებული წყალი გვამს ერთი-ორჯერ გადაატრიალებდა და ჩაიხვევდა, თოფი პირდაპირ ფსკერისკენ წავიდა.

— ესეც ასე, — თქვა რობერტომ, — საქმე მოთავებული ჯობს. — მერე როცა შენიშნა, თოფი აღარ იყო, იყვირა: — სად წავიდა? რა უყავი?

— რას რა ვუყავი?

— Ametralladora! — ზედმეტი აღელვებისაგან ესპანურზე გადავიდა.

— რაო?

— ძალიან კარგად იცი.

— თვალით არ დამინახავს.

— შენ თვითონ გადაავდე კიჩოდან. ახლავე მოგვალავ.

— კარგი ერთი, — უთხრა პარიმ, — რას მერჩი რატომ უნდა მომკლა?

— რევოლვერი მომაწოდე, — ესპანურად გასძახა რობერტომ საწოლზე გამხლართულ ამხანაგს, — ჩქარა რევოლვერი!

იღგა პარიმ გემბანზე, და უცნაური გრძნობა ეუფლებოდა — თითქოს ერთბაშად გამაღლდა, ბეჭებშიაც უჩვეულოდ გაიშალა; გრძნობდა როგორ გამოჰონა ოფლმა იღლიებში, როგორ გადმოეღვენთა მხრებსა და ბეჭებზე.

— აღარ გაძეხი ამდენი მკვლევლობით?! — ესპანურადვე უპასუხა ამხანაგმა, — ჯერ თანაშემწე მოუკალი. ახლა თვითონ კაპიტანი გინდა მოკლა. კუბაში ვინ ჩაგვიყვანს?!

— თავი დაანებე, — კვერი დაუკრა მეორემაც, — ჯერ ჩაგვიყვანოს და მერე მოჰკალი.

— თოფი გადამიგლო ზღვაში.

— ფული უკვე წამოვიღეთ, თორბო რალა ჯანდაბად გინდა! თოფის შეტორბ გვაქვს კუბაში.

— სანანებლად გაგვიხდება, ეგ რომ ახლა არ მოგვკლათ. მე მითქვამს და აგერ ნახავთ. მომეცი რევოლვერი!

— კარგი ერთი, მოკეტე. დამთვრალხარ და ჰკუა დაგიკარგავს. რამდენს დალევ, ვინმე რომ არ მოკლა არ იქნება.

— ცოტა კიდევ დალიე, — უთხრა პარიმ, რომელიც გოლფსტრიმის მორუხო სერელს გაჰყურებდა შორს ჰორიზონტზე, საცა მრგვალი წითელი მზე ის იყო ზღვას შეეხო, — აბა, შეხედე. როცა სულ დაიმალება, ზღვას მომწვანო ფერი გადაეკვრის.

— ზღვას რა თავში ვიხლი, — არა ცხრებოდა პირბრტყელი კუბელი, — შენ გგონია ასე ჩაგივლის ეს?

— სხვა თოფს გიყიდი, — უთხრა პარიმ, — მაგისთანა თოფი კუბაში ორმოცდახუთი დოლარი ღირს. დამშვიდდი, რა მოგივიდა. უკვე სამშვიდობოს ხართ. სასაზღვრო თვითმფრინავიც კი ველარაფერს დაგვაკლებს.

— მაინც უნდა მოგვლა, — თავით ფეხებამდე შეათვალერა რობერტომ, — განგებ გადამიგდე. გვამიც იმიტომ ამაწვივინე.

— ჩემი მოგვლა რა ხეირს დაგაყრის, — უთხრა პარიმ, — კუბაში ვინლა ჩაგიყვანთ?!

— აღრევე უნდა ჩამეძალეებინე.

— კარგი დამშვიდდი, — უთხრა პარიმ, — მე წავალ, ძრავებს დახვდავ.

ხუფი ახადა, ქვეით ჩავიდა, საზეთეები შეამოწმა და თომპსონის კონდასს ხელი შეეხო. ჯერ არა, გაიფქრა მან. ჯერ აღრეა. ღმერთო შენ გამაღლობ, ძალიან კი გამიმართლა. ელბერტი ხომ მაინც მკვდარი იყო და რალა მნიშვნელობა ჰქონდა? დამარხვის ფული დაეზოგება მის დედაბერს. ეს თავგასიებული ნაბუშარი! თავგასიებული სისხლის მსმელი ნაბუშარი! ო, ახლავე გამაგორებინა!.. მაგრამ დაცდა სჯობს.

ერნესტ ჰემინგუეი
პარი მორგანი

უბასუხა ბიჭმა, — შენი თანაშემწის საქმე სულ სხვა იყო. გული მეწურება, რომ გავიხსენებ. ვანა ცული უნდოდა რამე. რა ვუყოთ, რევოლუცია ასე მოითხოვს ამ ეტაპზე.

— ცული კაცი არ უნდა ყოფილიყო, — თქვა ჰარიმ. და მაშინვე გაიფიქრა: ღმერთო, ეს რა თქვა ჩემმა ენამ! ენასაც რომ ჭკუა მოეკითხება! როგორმე ეს ბიჭი უნდა დავიმძაკავო, ვინ იცის...

— რა რევოლუციას ამზადებთ, მაინც? — ჰკითხა მან.

— ჩვენ ერთადერთი ნამდვილად რევოლუციური პარტია ვართ, — უბასუხა ბიჭმა, — გადაწყვეტილი გვაქვს ბოლო მოვუღოთ ძველი პოლიტიკური ხელმძღვანელობის თარეშს; ბოლო მოვუღოთ ამერიკულ იმპერიალიზმს, რომელიც გვანაჩობს, სამხედრო ტირანიას. გადაწყვეტილი გვაქვს ყველაფერი თავიდან დავიწყოთ და ყოველ ადამიანს ცხოვრების სახსარი მივცეთ, გადაწყვეტილი გვაქვს ბოლო მოვუღოთ guajiros, — ესე იგი გლეხობის მონობას, დიდი შაქრის პლანტაციები იმათ გავუნაწილოთ, ვინც ნამდვილად მუშაობს შიგ. მაგრამ კომუნისტები არა ვართ.

ჰარიმ კომპასს მოაშორა თვალი და ბიჭს გადახედა.

— მერე როგორ გინდათ ეგ ვააკეთოთ? — ჰკითხა მან.

— ხომ ხედავ, ფულს ვაგროვებთ ბრძოლისათვის, — მიუგო ბიჭმა, — ისეთ ხერხებს მივმართავთ ახლა, რასაც შემდეგ აღარასოდეს არ გამოვიყენებთ. ისეთი ხალხის დახმარებაც დაგვიჭირდება, რომელთაც მერე ურთიერთობას აღარ ვიქონიებთ. მიზანი ამართლებს საშუალებას. მეფის დროინდელ რუსეთშიაც ასე იყო.

რადიკალი ჩანს, გაიფიქრა ჰარიმ. კი, ნამდვილი რადიკალია.

— კარგი პროგრამა გქონიათ, — თქვა მან, — თუკი მუშა კაცის დახმარება გაქვთ გადაწყვეტილი. მე თვითონაც რამდენჯერ მიმიღია მონაწილეობა გაფიცვებში, ძველად, თამბაქოს ფაბრიკები როცა გვქონდა კიე-უესტ-

ში. ადრევე რომ მცოდნოდა ვინ ^{აქა-} ვით, მეც სიამოვნებით დაგეხმარებოდი, თუკი რამე შემეძლებოდა ^{მეც ვინაშენ}

— დახმარების სურვილი ბევრსა აქვს, — უბასუხა ბიჭმა, — მაგრამ ისეთ ეტაპზეა ამჟამად ჩვენი მოძრაობა, რომ ხალხს ადვილად ვერ ვუნდობთ. საქმის საჭიროება მოითხოვს ამ ეტაპს, თუმცა ძალიან კი მწყდება გული რომ ასეა. მძულს ტერორი. ფული კი საჭიროა, მაგრამ ამნაირ შოვნას ვერ ვიტან. სხვა გზაც რომ არ არის! ვერც კი წარმოიდგენ, რა ხდება ახლა კუბაში.

— ვიცი, რომ ძალიან ცუდ დღეში იქნებთან.

— არა, შენ ამას ვერ წარმოიდგენ. სისხლიანი ტირანია მძინვარებს. უბრალო სოფელს ვერ ნახავ, რომ ეს ტირანია არ ახრჩობდეს. ქუჩაში სამ კაცს ვერ ნახავ ერთად. ამის ნება არა აქვთ. კუბას გარეშე მტერი არა ჰყავს და ჯარი სულაც არ სჭირდება. მიუხედავად ამისა, ოცდახუთათასიან არმიას ინახავს და მთელი ეს ჯარი, კაპრალეებიდან დაწყებული, ერსა სწოვს სისხლს. უბრალო ჯარისკაცი რომ აიღო, ისიც კი გამდიდრებაზე ფიქრობს. ახლა სამხედრო რეზერვი! ამდენი ყალთაბანდი, თავზეხელაღებული და ჯაშუში, ჯერ კიდევ მაჩადოს დროიდან შემორჩენილი!.. ჯარს თუ რამე გადარჩა, ესენი ხვეტავენ. მანამ ჯარისაგან არ გავთავისუფლდებით, არაფერი სახეირო არ შეიძლება მოხდეს. ადრე კეტებით გვაშინებდნენ, ახლა თოფი, ტყვიამფრქვევი და ხიშტი — ყველაფერი ჩვენსკენ არის მომართული.

— მართლაც ცუდად ყოფილა საქმე, — თქვა ჰარიმ და კიდევ აღმოსავლეთისკენ გადასწია საჭე.

— ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ცუდად, — შესძახა ბიჭმა, — მე მიყვარს ჩემი ტანჯული ქვეყანა და ღონეს არ დავიშურებ, არაფერს არ დავიშურებ, რომ ამ ტირანიისაგან გავათავი-

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

სუფლო. ისეთ რამეს ვაკეთებ, რაც მძულს, მაგრამ ათასჯერაც უფრო რომ მძულდეს, მაინც ვაკეთებ.

ნეტა რამე დამალევინა, გაიფიქრა ჰარიმ. მაგისი რევოლუცია მე რაში მენადვლება. ერთი მაგისი რევოლუცია! მუშა კაცს უნდა დავეხმარო, და ბანკს ძარცვავს, თან იმასაც არ ინდობს, ვინც ამ საქმეში უშველა. მერე დგება და იმ საცოდავ ელბერტსა ჰკლავს, თავისი დღეში იოტის ოდენა ცოდვა რომ არ ჩაუდენია. მუშა კაცსა ჰკლავს. ვითომც არაფერიო. ცოლ-შვილიან კაცს. კუბაში კუბელები ბატონობენ. ლამის შეჭამონ ერთმანეთი. ერთმანეთის გაყიდვასაც არ ერიდებიან. ახია, რაც მოუვათ. ჯანდაბან მაგათი რევოლუცია. მე რაში მეკითხება, ჩემი საკუთარი ცოლ-შვილი ვერ გამომიკვებავს. კიდევ რევოლუციაზე მელაპარაკება. ჯანდაბან მაგისი რევოლუცია.

— მართლაც რომ ცუდადაა საქმე, — უთხრა მან ბიჭს, — საქვს ვერ გამომართმევ ცოტა ხანს? წავალ, დავლევ.

— როგორ არა, — მიუგო ბიჭმა, — რამდენზე მეჭიროს?

— ორას ოცდა ხუთზე.

უკვე ბნელოდა და გოლფსტრიმის მიმართულებით ამ სიშორეზე შეჭრილი გემი ფრთონაში მოჰყვა. ჰარიმ საწოლებზე გაშხლართულ კუბელებს ჩაუარა და რობერტოს მიუახლოვდა, რომელიც ისევ იმ სკამზე იჯდა. კიჩოს უკან წყალი ტყლაშუნობდა სიბნელეში. რობერტოს მეორე სკამი გადაებრუნებია და ზედ ფეხები შეეწყო.

— ცოტა მეც დამალევინე, — უთხრა ჰარიმ.

— თავიდან მომწყდი! — შეუღრინა პირბრტყელმა, — ჩემია.

— კარგი, — ჩაილაპარაკა ჰარიმ და მეორე ბოთლის მოსატანად გაემართა. ქვემოთ, სიბნელეში, ბოთლი გადაჭრილი მკლავის ქვეშ ამოიღო, მეორე ხელით საცობი მოხსნა, — რომელიც ადრე ფრედიმ ამოაძრო და უფრო სუსტად დაუცო, — და მოსვა.

— ახლა კი ნამდვილი დროა, თქვა მან გუნებაში. დაცდას რაღა აზრი აქვს.

ამ პატარა ბიჭმა თავისი სათქმელი უკვე თქვა. ის თავგასული ნაბუშარი გაღლეშილი გღია. იმ ორსაც გულაღიროვდა. სწორედ რომ დროა.

ერთი კიდევ მოსვა, ბაკარდომ გაახურა და გაამხნევა, მაგრამ მუცელში მაინც სიცივეს გრძნობდა. გულგვამი გაყინული ჰქონდა.

— არ დალევ? — ჰკითხა მან საქვს-თან მიმჯდარ ბიჭს.

— არა, მადლობელი ვარ, — მიუგო ბიჭმა, — არა ვსვამ. ნაგტუიზის შუქზე ჰარიმ დაინახა, როგორ იღიმებოდა ბიჭი. მართლაც რომ სანდომიანი ბიჭი იყო. კარგი მოლაპარაკეც.

— მაშ, მე დავლევ, — თქვა ჰარიმ. და ამჯერად კარგა ბლომად მოსვა, მაგრამ გაყინული გულგვამი მაინც ვერ გაუთბო. ბოთლი ისევ ძირს დადო.

— ასე გეჭიროს, — უთხრა მან ბიჭს, — მე ძრავებს დავხედავ.

ხუფი ახადა და კიბეს ქვევით ჩაჰყვა. მერე გრძელი კაუჭით გაამაგრა ხუფი. დაიხარა, ჯანსაღი ხელი გაზის გაყვანილობასა და ცილინდრებს მოუსვა, ჩობალსაც გადაწვდა. საზეთეებს კარგა მაგრად მოუჭირა. ძალიან მაგრად მიდის, თქვა გუნებაში. ცოტა უფრო დინჯად და ნელა. სად წავიდა შენი ცეცხლი? ნაცარი გადააყარეს?

ზემოთ აიხედა. აქედანვე ადვილად მისწვდებოდა ორივე საწოლს, რომლებზედაც ის ორი კუბელი იწვა. ბიჭი პირშექცევით იჯდა, მომადლო სკამზე, და ნაგტუიზის სინათლეზე გარკვევით ჩანდა მისი გამოსახულება. შემობრუნდა და კიჩოსკენ ქნა პირი; ჩამუქებული წყლის ფონზე მან დაინახა სკამზე ულახათოდ ჩაკეცილი რობერტოს სილუეტი.

კოლოფში ოცდაერთი ვაზნაა, ეს იქნება, დიდი-დიდი, ოთხი ჯერი, ხუთ-ხუთი ზედიზედ, გაიფიქრა მან. ციბრუტივით უნდა დაგტრიალდე. კი, ბატონო. მაშ, დავიწყოთ. რაღას ზოზინობ, შე გულგვამგამოცლილო! ჰოი, რად მიღირს კიდევ ერთი ყლუპი! კარგი ერთი, რაღა დროს ყლუპია. მარცხენა ხელი გადაჰყო, კონდახს დვედი

ახსნა და თოფი გამოაძრო. მერე იქვე ჩაცუცქდა და მიზანში ამოიღო ნაგტუ-
იზის შუქით განათებული ბიჭის კეფა.

ცეცხლმა სიბნელეში გაიკვესა და
დაცლილმა ვაზნებმა ახდელ ხუფსა და
ძრავებზე მოადინეს ტკაცანი. მანამ ბი-
ჭის სხეული სკამიდან მოწყდებოდა,
ჰარი მიბრუნდა და მარცხენა საწოლზე
გამსლართულ სხეულს ესროლა; აძიგ-
ძიგებულ-ალმოდებულ ლულა ისე
ახლოს მიიტანა კაცთან, რომ ტრუსის
სუნი დადგა. მერე შებრუნდა და მეორე
საწოლს დაუმიზნა, რათა ახლა მე-
ორე კაცისთვის დაეხალა, რომელიც
წამოძვარიყო და ხელი რევოლვერის-
კენ წაეღო. ამის შემდეგ გაწვა და კი-
ჩოს გახედა. პირბრტყელი კუბელი იქ
აღარ დახვდა. სკამების სილუეტები
ჩანდა. ბიჭი გაუნძრევლად ეგდო ჰარის
უკან, ამაში დასაეჭვებელი აღარაფერი
იყო. ერთ-ერთი კუბელი საწოლზე
ფართხალებდა, მეორე კი, საწოლიდან
ნახევრად ჩამოკონწიალებული, პირ-
ჩამხობილი იწვა.

ჰარი ცდილობდა სიბნელეში ის პირ-
ბრტყელი მოეძებნა. კარჭაბი ახლა ერთ
ადგილზე ბრუნავდა და კოკპიტში ცო-
ტა უფრო მეტი სინათლე იდგა. სული
განაბა. ყურადღება დაძაბა. რაღაც შა-
ვი შენიშნა კუთხეში, იატაკზე. ნამდვი-
ლად ის იქნება. კარგად დააკვირდა და
ნახა, რომ ცოტათი ინძრეოდა. ის იყო.

მისკენ მოცოცავდა. არა, მისკენ არა,
საწოლზე გადმოკიდებულ ამხანაგის-
კენ. რევოლვერისთვის მიცოცავდა.
თითქმის სულ განერთხო ჰარი იატაკს,
მოდრავ ფიგურას უყურებდა და მარჯ-
ვე მომენტს უცდიდა. როცა უფრო
მკაფიოდ გამოიკვეთა, დაახალა. ცეცხ-
ლმა ხელები და მუხლები გაუნათა და,
როგორც კი ტა-ტა-ტა-ტა შეწყდა, ჰა-
რის მისი მძიმე ფართხალი შემოესმა.

— ძაღლის გაგდებული, — ჩაილა-
პარაკა ჰარიმ, — თავგასიებული მკვლე-
ლი ნაბუშარი.

სიცივის ყრუანტელმა გაუარა და
ახლა ჩვეულ ყრუ ბგერებს გრძნობდა
გულში. ბენზინის ოთხკუთხა ავზთან
დაიხარა და ახალი ვაზნის კოლოფი გა-

მოიღო. დასველებული ხელი ერთბაშად
შად აუორთქლდა და სიცივე იგრძნო.
ავზი გამიხვრეტია, გაიფიტა და
ძრავები უნდა გამოვრთო. რას გაიგებ,
ხაიდან წვეთავს.

— დაცლილი ვაზნის კოლოფი გა-
მოიღო, ახალი ჩადო და ზევით ამო-
ცოცდა.

გამართა და, ხელში თოფმომარჯვე-
ბულმა, მიიხედ-მოიხედა, მოკვეთილი
ხელის ტაკვით ხუფის დახურვა სცადა,
მაგრამ უცებ საწოლზე "მწოლი, სამი
ტყვიით ბეჭდაცხრილული კუბელი წა-
მოჭდა, ფრთხილად ამოიღო ჰარი ნი-
შანში და შიგ მუცელში დაახალა.

თითქოს კეტი ჩასცესო. ერთბაშად
ჩაიკეცა და რკინის ჩარჩოს მიეყრდნო,
რაზედაც სკამი იყო დამაგრებული.
კუბელმა კიდევ ესროლა და ამჟამად
სკამის ანატექიმა თავზე გადაუქროლა
ჰარის. იატაკზე ხელი მოაფათურა,
თოფი მოძებნა, ფრთხილად აიღო,
კონდახი გადაჭრილი მკლავის ტაკვით
მიიკრა მკერდზე და დარჩენილი ვაზ-
ნები საწოლზე ნახევრად ჩამხობილ
კაცს დააცალა; კაცი მოწყვეტით გაი-
შოტა საწოლზე, ჰარიმ კი იატაკზე ხე-
ლის ცეცებით პირბრტყელი კუბელი
მოძებნა, რომელიც პირქვე ჩამხობი-
ლიყო; ტაკვით გადმოაბრუნა, ლულა
ზედ სახეზე დაადო და ჩახმასს ფეხნი
გამოუშალა. გოგრას რომ კეტი დაუ-
შინო, ისეთი ხმა გაიღო ტყვიებმა. მე-
რე თოფი იატაკზე დადო და თვითო-
ნაც იქვე გაწვა.

„მეც ძაღლის გაგდებული ვარ“, ია-
ტაკს წასაჩურჩულა ჰარიმ, „ძაღლის
გაგდებული ვარ და ჩემი აღსასრულიც
მოვიდა. ძრავები უნდა გამოვრთო, თო-
რემ ერთიანად გამოვიბუგებით. ჯერ
კიდევ არის რაღაც იმედი. ჯერ კიდევ
ვინ იცის. ღმერთო ჩემო. როგორ მო-
ულოდნელად გაფუტდა საქმე. ყველა-
ფერი უკუღმა დატრიალდა. დასწყევ-
ლოს ღმერთმა! ო, ღმერთმა შეაჩვენოს

ერნესტ ჰემინგუეი
ჰარი მორგანი

ეს კუბელი ნაბუშარი. მეგონა ჩავაძალ-
ლე, და რას ვიფიქრებდი!..“

ფორთხვით მიუახლოვდა ხუფს, ხე-
ლი ჰკრა, ხმაურით დახურა და მერე
საქესთან მიბობდა. სკამს მოეჭიდა,
წამოიმართა და გაკვირვებით გაიფიქ-
რა, კიდევ რამდენი შემძლებიაო. ერთი
წამით იდგა ფეხზე და ხელადვე მოუ-
სავათდა, გული შეუღონდა; წინ გადაი-
ხარა და მოჭრილი მკლავის ტაკვით
კომპასს დაეყრდნო, ორივე ძრავი გა-
მორთო. გუგუნი შეწყდა და ახლა გა-
რკვევით გაიგონა ტალღების ტლაშუ-
ნი. სხვა არაფერი ისმოდა. ახლად ამო-
ჭრილ ჩრდილოეთის ქარს კარჭაპი შე-
ებრუნებია და წამოქოჩრილ ზვირთებ-
ში არწევდა.

საქეს მოეჭიდა, მერე სკამზე დაეშვა
და ზურგით მიესვენა. გრძობდა, გუ-
ლისრევისაგან როგორ თანდათანობით
ეცლებოდა ძალა. ჯანსაღი ხელით პე-
რანგი გაიხსნა და ჭრილობა მოისინჯა,
მერე თითი დააჭირა. სისხლი ცოტადა
მოდინდა. სულ შიგნით წავიდა, გაი-
ფიქრა მან. დავწვები, იქნებ შეწყდეს.

ცაზე მთვარე გამოჩნდა და კოკპიტი
განათა.

ჯოჯოხეთი, გაიფიქრა მან, ნამდვილი
ჯოჯოხეთი დატრიალდა.

ბარემ ჩემით დავწვე, მანამ დავვარ-
დებოდე. გაიფიქრა და იატაკზე და-
ეშვა.

ცალ გვერდზე დაწვა. ტალღების
რწევით კარჭაპი ისე შეებრუნდა, რომ
მთვარის სინათლეზე ყველაფერი გარ-
კვევით გამოჩნდა.

გვამებით გაიჭედა, თქვა მან. სულ
გვამებით გაიჭედა მთელი კარჭაპი. ნე-
ტა რას იზამს?! რა უნდა ქნას მარიმ?
რა ეშველება?! ვინ იცის, იქნებ ჯილ-
დოც მისცენ. ღმერთმა შეაჩვენოს ეს
კუბელი. თავს როგორმე გაიტანს. ჰკვი-
ანი ქალია. თავს ყველა გავიტანდით
როგორმე. დიდი სისულელე მომივი-
და. იმისთანა რამეს მოვეჭიდე, რომ
ძალა აღარ მეყო. სულაც არ უნდა მო-
მეკიდა ხელი. თუმცა ბოლომდე კი
მქონდა ყველაფერი მოფიქრებული. აქ
რაც მოხდა, ამას კაციშვილი ვეღარ

გაუგებს ასავალ-დასავალს. ნეტა მა-
რისთვის გამეკეთებინა რამე. ქვეყნის
ფული ყრია აგერ კარჭაპზე! არაფერი
ცი რამდენია. ეს ფული კაცს ააშენებს.
სასაზღვრო გუშაგები გაიტაცებენ. ნა-
წილობრივ მაინც. ნეტა შემეძლოს,
ჩემს ბებრუნხანას გავაგებინო, რაც აქ
მოხდა. საინტერესოა, რას იზამს! ვინ
იცის. სხვა რამე საქმისთვის უნდა მო-
მეკიდნა ხელი, ბენზინის საწყობში ან
სხვაგან სადმე. ნავით წაწვალს სულ
უნდა მოვშვებოდი. ჩვენს დროში ნა-
ვით ვის მოუპოვებია ალალი ლუქმა!
ნეტა ასე არ ინჯღრეოდეს ეს ოხერი!
ნელა მაინც ირწეოდეს. ლამის გულ-
გვამი ამომიტრიალდეს. მე, ენავატლე-
კილი და ელბერტი... ერთი სიტყვით,
სუყველა, ვინც კი ამ საქმეში გაერია.
აგერ, ეს ნაბუშარებიც. ეტყობა უკუღ-
მართი საქმეა. უკუღმართი და უბედუ-
რი საქმე. ჩემისთანა კაცისთვის ბენზი-
ნის საწყობია ზედგამოჭრილი. მეც
რომ მაგის კაცი ვარ! მარის ჰო, მარის
შეუძლია. დაბერდა უკვე, საიმისოდ
აღარ ვარგია. რანაირად ანჯღრევს ეს
ოხერი! არ უნდა გაინძრე. როგორმე
მშვიდად უნდა იწვე. ასე გამოიგონია.
წყალს თუ არ გაეკარები და არ გაინძ-
რევიო. რაც მთავარია, წყალს თუ არ
გაეკარებო.

კიდევ მოავლო თვალი მთვარით გა-
ნათებულ კოკპიტს.

ალაგება აღარ მომიწევს, გაიფიქრა
მან. მშვიდად იწეკი. მეტი არაფერი არ
მოგეთხოვება. იწეკი შენთვის მშვი-
დად. როგორმე ნუ გაინძრევი. იქნება
გადარჩე კიდევ. წყალს თუ არ გაეკა-
რე და არ გაინძერი.

ზურგზე გადაბრუნდა და სცადა თა-
ნაბრად ესუნთქა. კარჭაპი გოლფსტ-
რიმში ირწეოდა და ჰარი მორგანი
გულაღმა იწვა გემბანზე. ერთი პირო-
ბა, თავის ერთადერთ ხელზე დაყრდ-
ნობა სცადა, რათა ნაკლებად ეგრძნო
ნჯღრევა. მერე გაინაბა და ბედს შეუ-
რიგდა.

თარგმნა ვახტანგ ქელიძემ

გაგრძელება იქნება.

გუგამ კანაკვი

თემის მიზნების საიღუმლო

ჟურნალ „ცისკარის“ მეშვიდე და მერვე ნომრებში მერაბ ელიოზიშვილმა გამოაქვეყნა ორი მოთხრობა, სადაც ცხადი გახდა, რომ კინემატოგრაფის ენამ, რომლის შესწავლასაც მწერალმა რამდენიმე წელი დაუთმო, მასზეც მოახდინა გავლენა. ეს გავლენა უფრო შესამჩნევია მოთხრობაში „სინოს წითელი ხარები“. ნაწარმოების სიუჟეტი უფრო კომპაქტურია, კომპოზიციის გრძობა მახვილი, თხრობა ლაკონური. ერთი სიტყვით, მერაბ ელიოზიშვილის ნოველა მხატვრულად გამდიდრდა, უფრო მოქნილი და მრავალწახანგოვანი გახდა, პლასტიკური კულტურა ამოღლდა. მწერალმა წერის ერთგვარ კინემატოგრაფიულ მანერას მიმართა ვარკვეული მონოტონურობის დასაძლევად, რაც მას, როგორც ნოველისტს, ახასიათებდა.

„სინოს წითელ ხარებში“, ისე როგორც სხვა მოთხრობებში, ავტორი ფერწერის საშუალებებიდან დოკიმდე ერიდებოდა ნახაზის ფაქიზ დამუშავებას და ძირითადად საღებავს იყენებდა. ამ მხრივ მის ფერწერას საკმაოდ ნატურალისტური იირი დაჰკრავდა.

ასეთი იყო მისი ფერწერა, მაგალითად, „ბებერ მეზურნეებშიც“, სადაც უკვე ნათლად ჩანდა მისი ფუნჯის კოლორიტულობა, რაც მხოლოდ ნაწილობრივ ახალისებდა ფერწერული მანერის ოდნავ მოძველებულ ხერხს;

„ეჰ, გულგატებილები იყვნენ, თორემა! — თორემა ბუთბუზას რაღა ბუთბუზა დაეძახებოდა. საღდა ჰქონდა კვერცხწასმული ნაშუქივით დაბრაწულ-დატიკინილი ლოყები. ლოყების მაგივრად ახლა გაცრეცილი, ცარიელი ქისებიღა ჩამოკონწიალებოდა. და ეს ქისებიც სახანხვროდ მაშინაც კი ველარ ებერებოდა, როცა ძველი საბერველივით დაქაიქებული ბუთბუზას ფილტვები მთელი მონდომებით აქშუტუნებდა სოლმე“. „სინოს წითელ ხარებში“ ფერმწერი ოდნავ თუ ჩამორჩება კომპოზიციის ოსტატსა და მთხრობელს. იმ ორიოდვე ფერადოვანი დეტალიდან, რომელიც „სინოს ხარებშია“ მიმობნეული, ჩანს, რომ ავტორი არაა კმაყოფილი თავისი წინა მოთხრობების ფერწერით, მაგრამ ეს დეტალები ჯერჯერობით „შტრიხის“ ღონეზე დგას და საერთო სურათს ვერ ქმნის: „ეინვით შეკრული ჰაერი ნაღვერ-ღალზე დაწვეთებულმა სისხლის სუნმა გასტეხა“... ასეთი დეტალი იმაზე მეტყველებს, რომ მწერალი ახალი პლასტიკური ენის გამომუშავებისათვის იბრძვის. მისი მხატვრული ენერგია უფრო ფაქიზ და მხატვრულად კონდენსირებულ სახეებში ვლინდება.

თუ თხრობის კინემატოგრაფიულობაზე სათქმელს ბოლომდე ვიტყვით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ როგორც მხატვარს, ისე მწერალსაც აინტერესებს „ღიდი“ და „მცირე პლანის“ გა-

მოყენების ეფექტი, როგორც ვიცით, ეს უკანასკნელიც კინემატოგრაფიული ხერხია. მაგრამ „დიდი პლანის“ ინდივიდუალური მანერით გამოყენება ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. აი ამის მაგალითი მოთხრობიდან „სინოს წითელი ხარები“. ამ სცენაში სინოს ცოლი, ნანა, ქმარს უყვება თავის ავადმყოფობის ამბავს. ისე მტკივა „თითქოს მიწა ვიყო და ხის ფესვები ჩამწრდოდეს ფერდში, აგერა ისე...“ და ქმარს დანახვა ფესვებგაშინებულული გამხმარი ძირკვი, რომელსაც თოვლიანი მიწა სანახევროდ ჩამოშლოდა. ეს დინამიზმით სავსე სცენა „მცირე პლანით“ იწყება, სადაც სინოს მარხილის კონტურები ალბათ მთის ხეობის გამოიღო ფონზე ჩანს: „მარხილი წრიბინით მიჰყვებოდა ლილისფერი მდინარის ხეობას. მარცხნივ და მარჯვნივ ირწეოდა სინოს წითელი ხარების რქები; სინოს მხარბეჭივც გადადგადმოდიოდა. ძარღვიანი ტორი იწვედა უღელს. სინოს „ჰო, ნანა, ჰოი, ნანა“ აყრუებდა ქალას. მოწნულ მარხილში ჰრელ საბანქვეშ უძრავად იწვა სინოს დედაკაცი, მის გვერდით ჭერ ისევ ფართხალბდნენ სულმობრძავი კალმახები. მთის ერთი ქიმიდან მეორეზე ხტოდა მზე და ძუნწი სხივი ხან ჩაიპარებოდა ხეობაში, ხანაც ისევ აიკრიფებოდა. მერე სულაც გაქრა სხივი, თუმცა შუაღლე ახალი გადასული იყო.“ ხეობის „კადრებს“ უშუალოდ მოჰყვება სინოსა და ნანას დიალოგი, სადაც უკანასკნელი თავს მიწას ადარებს, ტკივილის განცდას კი — ფერდში ჩაზრდილ „ფესვებჩახლართულ გამხმარ ძირკვს“. და ამას მოჰყვება „დიდი პლანი“ სიუჟეტურად ყველაზე დრამატული, დასამახსოვრებელი კადრებისა, რის გამოც ის მოტივირებული და მხატვრულად გამართლებულია:

— „ევა? — კუნძს მიჩერებულმა სინომ უღელზე დახვეული ჯაჭვის გაშლა იწყო. მერე წელში გარჭობილი კრიალა ნაჯახი გაიძრო, კუნძს მიუახლოვდა და ქდეები გაუკეთა, რომ ჯაჭვი კარგად 98

მოსდებოდა. ჯაჭვის ცალი ბოლო კუნძს შემოახვია და შეჭკრა.

— ეგ არი ჰო, ნანა?

— ჰო, სინო.

— კარგი, უყურე! — სინომ დედაკაცს გაუღიმა და სახრე შეათამაშა.

— ხიო, ხი, წიფელა, ხიო, ხიი! — დასჭყვივლა სინომ და უღელს მიაწვა. — კარგა უყურე, ნანა, კარგა! ხიო, ხიო, ხი, წიფელა!

ხარებმა უკან-უკან დაიხიეს. ჯაჭვი დაიჭიმა. ტკაცატკუცით წყდებოდა ღრმად ჩამჯდარი ფესვები. ჭირკმა ამოიწია, ამოიწია და, ბოლოს, დედაფესვ-მოვლეჩილი გაგორდა ქათქათა თოვლზე.

— ახლა? ახლა, ნანა? — სინომ ცოლს დახედა.

ნანამ ოდნავ გაიღიმა და თავი დააქნია.

— წითელი ვაშლები, ნანა!..

კალმახები უსულოდ ეყარნენ მოწნულ მარხილზე.

ნანა იღიმებოდა.“

თხრობის ლაკონურობის მასშტაბებს მერაბ ელიოზიშვილი ზოგჯერ აროევეს. ეს ეხება ამ მოთხრობის ფინალურ სცენას. ლაკონურობა აქ რამდენადმე სქემატური და ზედმეტად სწორხაზოვანია. მამისა და ინსპექტორი ვაჟის შეხვედრა ავტორის ჩანაფიქრით მეტად ძუნწი ფერებით უნდა იყოს გადმოცემული, მაგრამ ეს სიმუნწე ან თუ შეიძლება ასე ითქვას, სიმშრალე, ვრცელდება თვით ავტორის გამომსახველობით ხერხებზე. ავტორის ლაკონიზმს პლასტიკური გამომსახველობა, ქვეტექსტის სიმდიდრე, შინაგანი მხატვრული მოტივირება ერთგვარად აკლია. მაგრამ საშიში ამაში არაფერი არ უნდა იყოს: ავტორმა თავისი მხატვრობის ამ ახალ ხერხს კი არ უნდა შეხედოს ეჭვის თვალთ; არამედ მას მომავალში უფრო კარგად უნდა დაეუფლოს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ფაქტები ახალი მოვლენაა მის პროზაში, ხოლო ავტორი მხატვრული ზრდის პროცესშია, მაშინ ეს არც თუ ისე სახიფათო ნაკლია.

ამასთან არ შეიძლება გაგვირვება არ

გამოწვიოს მოთხრობის ბოლო ფრაზამ — „**კარგ სიზმარსა ხედვდა ნანაც**“... რა გადატანითი თუ ემბლემატური აზრი უნდა იმალებოდეს ნანას ამ „**კარგ სიზმარს**“ მიღმა? ნუთუ ავტორს სურს თქვას, რომ ცოლი მაინც კმაყოფილი დარჩა ქმრის უტეხი, კერპი, თავქეივა ხასიათით?!

ავტორი ერთ წინადადებაში აქცევს ინსპექტორი ვაჟის სულიერ დრამას, უფრო სწორად, ერთ წინადადებაში აქცევს ვაჟის განცდების მთელ წყებას. აქ ყოველი მოკლე წინადადება აზრობრივად და პლასტიკურად დასამუშავებელია, გასაგრძობია. ისინი უფრო მეტად გამომხატველი უნდა ყოფილიყო: — „**ჩხივებს რათა ხოცავ, ბერიაცო?** — **ჰეჰ! — წამოსცდა სინოს.**“

ინსპექტორმა ყური სცვიტა, სახე გაეხსნა, თივაში შეყოფილი ხელები გაუშეშდა, მაგრამ სინოს სიტყვა აღარ დასცდენია.

ნანას ისევ მაგრად ჰქონდა დახუჭული თვალები.

სინომ მარხილი დასძრა. ინსპექტორმა აწითლებული სახე ღონიერი ხელით მოიწწრა და მარხილს სწრაფი ნაბიჯით მოშორდა...“

შეილს აღეკვეთა დედასთან დალაპარაკების საშუალება; ის ვერ შერიგებია მამის კირბ უსიტყვობასაც, ხოლო დედის უნახაობა, მით ჟმეტეს იმის მიხედვრის შემდეგ, რომ დედა საავადმყოფოში დასაწიყენად არის ჩამოყვანილი, მას უღრმეს ზნეობრივ-სულიერ წუხილს უნდა აღუძრავდეს. ამის მხატვრული კვალი მოთხრობაში თითქმის არ ჩანს. პლასტიკური ენა აქ უფრო მოძრავი, ღრმა და დრამატულად მდიდარი უნდა იყოს.

ჩვენი შენიშვნა მოთხრობის იდეურ-მხატვრულ მხარესაც ეხება. ავტორმა არსებითი ყურადღება დაუთმო სინოს გოროზი ხასიათის ჩვენებას. ამდენად, ჩვენი აზრით, ბებერი სინოს ქცევა თუ ხასიათი ავტორის მკაცრი ზნეობრივი განსჯის ობიექტი უნდა გამხდარიყო. ავტორის ფიქრით, სინო მონოლითური, მთლიანი პიროვნებაა, რომელიც

ჩვენი ქალაქური მორალისათვის, ასე ვთქვათ, შეუვალცი კია. თუ ეს ასეა, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ოდნავ ეგზოტიკური შეხედულებაა ზნეობაზე, რადგან დღეს ვერაფერ დაუშვებს „ორგვარი“ ზნეობის არსებობის ფაქტს. არა გვეგონია, ავტორი განმაზოგადებელ მნიშვნელობას აძლევდეს თავის ბებერ, მაგრამ კლდეკაცი სინოს ზნეობრივ იმპერატივებს. ამიტომ უფრო საოცრად ისმის ის ბოლო ფრაზები, რომლებიც ნაწარმოებში საბოლოო მორალურ აკორდებსაც წარმოადგენს. ავტორი და მასთან ერთად, ცხადია, მკითხველი, შეიძლება აღტაცებული დარჩენილიყო სინოს ხასიათის მთლიანობით, შეუდრეკლობით და ნებისყოფით, მაგრამ ავტორს ეს ხელს არ უნდა უშლიდეს ცოტა შორიდან, მხატვრული დისტანციის დაცვით უყურებდეს თავისი გმირის ხასიათსა და ქცევას. როგორი გულწრფელიც არ უნდა იყოს ავტორი, როგორ აღტაცებულიც არ უნდა იყოს იგი თავისი გმირით, რა ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ სრულყოფასაც არ უნდა ხედავდეს მწერალი თავისი გმირის ხასიათში, მაინც მათ შორის რჩება ის „მანძილი“, სადაც დახატული ხასიათის, მოქმედების განვითარების მიღმა ჩანს ავტორის ობიექტური თვალსაზრისი და პოზიცია, მისი მხატვრულ-მსოფლმხედველობითი დამოკიდებულება. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვფიქრობთ, რომ მერაბ ელიოზიშვილის ობიექტური მორალურ-ეთიკური მრწამსი უკრიტიკოდ უდგებოდეს ან არ განსხვავდებოდეს სინოს ზნეობრივი დოგმატებისგან.

ჩვენ ბებერი კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვით მერაბ ელიოზიშვილის ამ მოთხრობის გამო, მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ 1963 წლის ქართულ ნოველებში იგი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია. ამ მოთხრობის მხატვრული ღირებულება უდავოდ თვალსაჩინო და მნიშვნელოვანია.

გურამ კანკავა
თემის მიგნების საიდუმლო

ძალზე სასიამოვნოდ იკითხება „ჩიტას ჩივილი“, ცოცხალი, ტემპიანი თხრობა, ჰუმორის გრძნობა, ახალგაზრდული გატაცების გულიანად ჩვენება და სოფლის კილოს ერთგვარი სტილი-ზაცია კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ჩვენ ამჯერადაც ზოგი ხარვეზების აღნიშვნა მიგვაჩნია უფრო საყურადღებოდ, მით უმეტეს, რომ ისინი ამ ნოველის კარგ მხარეებს ჩრდილს აყენებენ.

„ჩიტას ჩივილი“ ლიტერატურული ხასიათის მოთხრობაა, მაგრამ იდეურ-აზრობრივი ჰორიზონტით და ჩარჩოვებით ნარკვევის უნარს არ სცილდება. „ჩიტას ჩივილი“ სამი-ოთხი საზოგადოებრივად მანკიერი ფაქტის თუ ამბის და ერთი ნახევრადანეგდოტური შემთხვევის მხატვრულ მონტაჟს წარმოადგენს. ამიტომ ძალზე ბუნებრივია, რომ ეს მოთხრობა-ნარკვევი სულ ადვილად იშლება შემადგენელ რგოლებად, რომელთაც ცალ-ცალკე და ერთად წმინდა საზოგადოებრივი ქედრადობა უფრო აქვთ, ვიდრე ლიტერატურული.

„ჩიტას ჩივილის“ ძირითადი „ტენდენციები“ ზედმეტად გამოყოფილია მხატვრული ქსოვილიდან. ყოველი ცალკეული ამბავი მოთხრობაში ერთი ახალი საზოგადოებრივი ბრალდება კანონის დამრღვევთა მიმართ. ისინი ნამდვილად მახვილგონიერად და ცოცხლად არის ჩართული საერთო თხრობაში.

დაიწყეთ იმ საკითხების ჩამოთვლით, რომელიც მოთხრობაშია აკინძული. მათ შორის ძირითადია თივზზე მონადირე ბრაკონიერთა ბარბაროსული ხრიკების მხილება. მერაბ ელიოზიშვილი, ვგონებ, ერთ კონკრეტულ პიროვნებასაც კი ასახელებს, რომელიც თურმე თივზს უმოწყალოდ ანადგურებს: „ერთმა ბრეთელმა მითხრა, ვინმე ბრეთელი შუბითიძე ქლორითა და ნიკოტინით წამლავს ფრონესაო... ქვებიც კი დახეთქეს დინამიტებით გაღმავამოღმა სოფლებმა. ცხინვალელმა და გორელმა ბრაკონიერებმა. — მზის ამოსვლა მზის ჩასვლა ეგონოთ, მარჯვენაში

აჭვითქედბოდეთ მორევში ხასროლი დინამიტი, ქლორით მოწამლული წყალი ენატრებოდეს წყალმოწყურებულს თქვა პავლემ. — ამინ! — ვთქვით მე და შოთამ.

მოტოციკლის ბორბლებმა ხრეში აახრიალა. დინამიტი, ქლორიანი კირი, ნიკოტინი, ციანმჟავა! ხუთასი წლით უნდა გადაასახლო ამ საშინელი საწამლაების გამნიავებელიცა და ამგვარი მომხმარებელიც“. ამას ერთვის ცნობა, რომ ზოგან თევზს ელექტროდენით ავლებენ მუსრს და ა. შ. ყოველივე ეს, როგორც ითქვა, დაწერილია სხარტად, მახვილგონიერად, მსუბუქად...

შემდეგ ავტორი ეხება კულტურის ძველი ძეგლებისა და ნაგებობების დაცვის საკითხს. მართალია, ეს საკითხი ავტორს უფრო მოკლედ აქვს გადმოცემული, მაგრამ მაინც საფუძვლიანად ლაპარაკობს ძეგლების მოუვლელობის ზოგ ფაქტზე.

მოთხრობაში ანეგდოტური ფორმითაა დამუშავებული ერთი უტაქტო ჩვეულება — საქეიფოდ სტუმრობა ნახევრადუცნობ თუ მთლად უცნობ ოჯახში. ავტორი მარჯვედ იყენებს გროტესკს და საკითხს ამბის გაშარყებით. ჰუმორისტულ-მამხილებელ ასპექტში გადასწყვეტს.

არსებობს ლიტერატურული და არალიტერატურული თემები, რომელთა განზოგადება შესაძლებელია ან შეუძლებელია. ასეთი პირობითი დაყოფა მით უფრო საჭირო ხდება, რომ ახალგაზრდა მწერლები ხშირად სწორად ვერ ირჩევენ თემებს და ზოგჯერ ამ თემებს იყენებენ იმგვარად, რომ მათი განზოგადებულად, ფართო ასპექტში დამუშავება შეუძლებელი ხდება.

წვრილმანი თემა იმდენად სახიფათო არაა მწერლისათვის, რამდენადაც ზერელობა თემის არჩევაში, რაც ავტორს თავისი კონცეფციის გაშლის საშუალებას არ აძლევს და ზღუდავს მის მხატვრულ შესაძლებლობებს. აქვე დავძენთ, რომ კონცეფციის გაუშლელია ყოველთვის თემის სივიწროვით, მისი უმნიშვნელობით როდია გამოწვეული.

უფრო ხშირად თემათა არასწორი შე-
რჩევა იმით აიხსნება, რომ მწერლის
მსოფლადქმა ჯერ კიდევ არაა მომწი-
ფებული, მხატვრული თვალთახედვა
ჩამოყალიბებული. რამდენადაც მწერ-
ლის წარმოდგენები ცხოვრებით იქნება
შემოწმებული, გამოცდილებით ერთ-
გვარად გამართლებული, ან თუნდაც
გარკვეული მხატვრული პრაქტიკით
დადასტურებული, — მით უფრო მო-
სალოდნელია, რომ იგი სწორად მიაგ-
ნებს თემას.

თუ ახალგაზრდა მწერლების მხატვ-
რულ კონცეფციასზე მიდგება საქმე, უნ-
და ითქვას, რომ ამ მხრივ მათ საკმაოდ
მერყევი ან მოუმწიფებელი წარმოდგე-
ნები აქვთ შემუშავებული. რა დასამა-
ლია, რომ მათი მხატვრობა, ორიოდ
გამონაკლისის გარდა, ზედაპირულ ემ-
პირიზმს ან მარტივ ემოციურ ლოგიკას
არ სცილდება. მათ ყოველთვის როდი
ახსოვთ, რომ შემუშავებულ კონცეფ-
ციაში იკვრება და შინაგან სახეს იძენს
ყოველი მხატვრული თემა. მათ თითქ-
ოს ჯერ ვერ მოუმარჯვებიათ თემის
მიგნების საიდუმლოს ეს უმნიშვნელო-
ვანესი გასაღები.

მერაბ ელიოზიშვილი საერთო კონ-
ცეფციის, განმაზოგადებელი შეხედუ-
ლების ჩამოყალიბებას ყოველთვის ვერ
ახერხებს, ეს შეეხება არა მარტო „სი-
ნოს წითელ ხარებს“, აგრეთვე „ბებერ
მეზურნეებს“, „მოლოდინს“, „ივანეს
სიცოცხლეს“, „ქარვისფერ დღეს“ და
„პაპა სიმონს“.

ამ მოთხრობებში პერსონაჟთა უმე-
ტესობა მოხუცია და ყველა მათგანი
შესაბრაალისი. ჩვენ ძირითადად სწო-
რედ ეს გარემოება გვქონდა მხედვე-
ლობაში, როდესაც ამ წერილის დასაწ-
ყისში ვწერდით, რომ მერაბ ელიოზი-
შვილის მოთხრობებს მონოტონურო-
ბის საფრთხე ელოდა. მაგრამ ეს ამჟა-
მად მისთვის განვლილი ეტაპია; თუმცა
ჩვენ კვლავ გვსურს ვისაუბროთ ამ

„ეტაპზე“, რადგან იგი ჩვენი ახალგაზრ-
და მწერლების შემოქმედების ერთ-
მნიშვნელოვან მხარეს მოიცავს წარმართული
კულტურის

სიბრაალულის განცდა რომ უდიდესი
ესთეტიკური ძალის მქონეა, ეს ტრადი-
ციის პირველმა თეორეტიკოსებმა შე-
სანიშნავად იცოდნენ. მაგრამ აქ, უდა-
ვოდ, გასარჩევია ერთმანეთისაგან ის.
თუ რა არის სიბრაალულის მიზეზი —
გარდუვალი, ობიექტურად შექმნილი ან
საბედისწერო მძიმე ვითარება, რაც
გმირის სულიერ და ზნეობრივ სასო-
წარკვეთას იწვევს, თუ თვით გმირის
პიროვნებაა საცოდავი და დაჩივებუ-
ლი — მიუხედავად ყოველგვარი საბე-
დისწერო მოვლენებისა და ცხოვრების
გარდუვალი კანონებისა.

ხელოვნების ქმნილებაში სიბრა-
ლულს უნდა იწვევდეს ის გარემოება,
რომ შესაბრაალისი ხდება ადამიანი, რო-
მელსაც ეს საბრალო მდგომარეობა არ
დაუშასაშურებია. ადამიანი სიბერეში
სიბრაალულის გრძნობას არ უნდა
იწვევდეს, შეიძლება მხოლოდ დასაწა-
ნი გახდეს, რომ ის დაბერდა, მაგრამ
მწერლობაში ამ ფიზიკურ-ასაკობრივ
ვითარებას სხვა, უფრო ფასეული და
ღრმა მნიშვნელობის სულიერ-ზნეობ-
რივი მხარეები უნდა აქდიდრ. კბდეს და
აცოცხლებდეს. ამ ტიპის მოთხრობები-
დან გამოიყოფა და განცალკევებით
დგას „ბებერი მეზურნეები“, რომელ-
შიც ავტორის ჰუმანიზმმა და კაცთმო-
ყვარე გულმა სრულად გამოანათა. მიუ-
ხედავად ავტორის მხატვრული თვალ-
თახედვის ერთგვარი სიმარტივისა, მო-
თხრობაში ბევრი კარგი სცენა და მხა-
ტვრული დეტალია ნაპოვნი. და ბოლოს
უნდა აღვნიშნოთ, რომ მისასაღმებე-
ლია ავტორის გადასვლა ამ შემბრალებ-
ული თვალთახედვიდან ნამდვილად
მძაფრ და ღრმად ადამიანურ ლიტერა-
ტურულ პრობლემატიკაზე.

გურამ კანკავა
თემის მიგნების საიდუმლო



„მზის საათი“

თამაზ ჭილაძე ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო და თავისებური შემოქმედია. ეს გამოქმედება არა მარტო მისი ლექსის გარეგან თვისებებში, არამედ აზროვნების, სიტყვასთან დამოკიდებულების, მხატვრული სახის თავისებური აგების მხრივაც.

თამაზ ჭილაძის ლექსების ფორმა თითქმის ყოველთვის ეხამება ლექსის შინაარსსა და განწყობილებას. ამის მაგალითი ბევრია როგორც თ. ჭილაძის ადრინდელ პოეტურ კრებულებში, ასევე „მზის საათშიც“:

თითქოს შენი ხმა პირველად მესმის...
თითქოს შენი ხმა პირველად მესმის...
და პაწაწინა მზე ოქტომბერის
სულში დაცურავს, ვით ოქროს თევზი.

საიდან მოდის ეს საკვირველი,
დამატობელი ფერადი ხმები...
კლდეებზე ელავს მზე და კუნელი
და „მოდი-ნახეს“ დაღლილი მხრები.

ეს ლექსი იმერეთისადმი მიძღვნილი, მაგრამ რომც არ ერქვას „იმერეთი“, მკითხველს მაინც არ გაუჭირდება ამის მიხედვრა, მით უმეტეს, თუ მას ოდესმე უნახავს საქართველოს ეს ლამაზი კუთხე. ამ ნაწარმოების ფორმა უაღრესად სადა და მარტივია, რაც შესანიშნავად ეხამება იმ გულწრფელ, ადამიანურ აღტაცებას, რამაც პოეტს ეს ლექსი შთააგონა.

სულ სხვა მოვლენებთან გვაქვს საქმე, როდესაც თამაზ ჭილაძე უფრო

მძაფრ და ზოგად განწყობილებებს გადმოგვცემს, — მაშინ ფორმაც სხვა ელფერს იღებს, ინტონაციაც მძიმე და მონოტონური ხდება, ლექსიკაში პროზაიზმები ერევა, მაგრამ ყველაფერი ეს გამართლებულია ლექსის შინაარსით, მისი დანიშნულებით. ამიტომაც ასეთ შემთხვევებშიც არ ირღვევა პარმონია და ისევ და ისევ წესრიგი და კანონზომიერება სუფევს. ეს პირველ რიგში ითქმის „ინგლისურ რვეულზე“ („ტაუერი“, „პოეტების კუთხე ვესტმინსტერში“ და სხვ.) და ზოგიერთ ცალკეულ ლექსზე, მაგალითად — „ჩამოდის თოვლი“, „ფიქრში ვის უხმობ“, „არ შემიძლია დაგიძახო“ და სხვ.

პოეტს სიტყვასთან მეტისმეტად სათუთი, ფაზიჩი დამოკიდებულება აქვს. იგი ისევე განიცდის ცალკეულ სიტყვებს, როგორც დამთავრებულ პოეტურ სახეს. თამაზ ჭილაძის ყველა ლექსი ენობრივად მეტად დახვეწილია, რაც უდაოდ მაღალ პოეტურ კულტურაზე მეტყველებს.

საინტერესო და თავისებურია თ. ჭილაძის პოეზიის მხატვრული სახეების სპეციფიკაც. მისი სახეები თითქმის არასოდეს არ არის განყენებული, კონტექსტიდან ამოვარდნილი, ერთი სიტყვით, იგი პოეტურ სახეს ქმნის არა ეფექტისა და მოჩვენებითი სილამაზისათვის, არამედ შინაარსისა და განწყობილების სინატიფისა და თვალსაჩინოებისათვის:

აქარიუმში ცხოვრობდა თევზი...
ვით დაკარგული, ძვირფასი მძივი —
იწვა ბალახით დაფარულ ფსკერზე...
და იღვა წყალი, ვით მშვიდი ძილი.

რეკდა საათი და სარკეები,
ვით საიდუმლოს, ამხელდნენ კედლებს
და სარკეებში არეკლილები
თევზის სამყოფელს ირიბად ჰკვეთდნენ.

და ყოველ დილით ჰადარა ქალი
შეფოთებული, მძიმე თვალებით
დიდხანს უტყერდა... ბრწყინავდა წყალი
იმქვეყნიური იდუმალებით.

რეკდა საათი... ბრწყინავდა წყალი,
ბრწყინავდა, როგორც ციკლოპის ცრემლი,
რეკდა საათი და წყნარზე წყნარი
ძღვის მოისმობდა ხმა გულისცემის.

რეკდა საათი და მთელ ოთახში
დაძრწოდა თევზის ვეება ჩრდილი,
თითქოს ტიროდა დედის კალთაში
დაბრუნებული ჰადარა შვილი.

და სარკეებში ჰატარა თევზი
ხედავდა მის მსგავს განაბულ თევზებს...
ვით დაკარგული ძვირფასი მძივი —
იწვა ბალახით დაფარულ ფსკერზე...

ერთი შეხედვით, ლექსი თითქოს მე-
ტისმეტადაა გადატვირთული სახეებით,
მაგრამ თუ გულდასმით დაფუკვირდებ-
ით, ლექსს ახასიათებს საკმაოდ ნათე-
ლი და მკაფიო თხრობა, რომელიც ნა-
ხევარტონებშია მოქცეული.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელ-
შიც არა ნაკლებ მყლავნდება მხატვრის
შემოქმედებითი მრწამსი: დამოკიდებუ-
ლება წარსულის სულიერ მემკვიდრეო-
ბასთან. თამაზ ჭილაძის პოეზია ამ
თვალსაზრისითაც არ არის ინტერესს
მოკლებული. მან წარსულიდან აიღო
ქართული ლექსის საუკეთესო თვისე-
ბები. მაგალითისათვის დავასახელოთ
თუნდაც პირობითობა.

ქართული პოეზიის მაღალი ტრადი-
ციები არასოდეს არ გამორიცხავდნენ
პოეზიის ზოგიერთი მომენტის პირობი-
თობას, რაც თამაზ ჭილაძემ, გარკვეუ-
ლი სუბიექტური გარდაქმნების შემ-
დეგ, თითქმის სისტემად აქცია.

როდესაც თამაზ ჭილაძის ლექსებზე

ვლაპარაკობთ, მისი შემოქმედების
თვისებაც უნდა გავითვალისწინოთ.
როცა თ. ჭილაძე წერს:

არქონული
გონიერება

ჰგავს ფოთოლცენა შემკრთალ სიჩუმეს...

ანდა:

გემებს, რომლებიც გადივლიან ჩემს სამარზე,
ვარქმევ სახელებს,
მათი დროშები ფრიალებენ მზეში და ქარში,
ვით ჩემი სული,
სიკვდილისგან დაუთრგუნავი. —

იგი ენდობა მკითხველის ინტუიციას,
მას სჯერა, რომ მკითხველი ამ პირობი-
თობის მიღმა დანახავს ნამდვილ ცხოვ-
რებას, პოეზიის სპექტრში გატარე-
ბულს და ამიტომ უფრო მეტად ამა-
ღელვებულს, ფერადსა და საინტერე-
სოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ზემოთაღ-
ნიშნული თვისებების გარეშე აზრი
შიშვლდება, იღებს ერთგვარ ნატურა-
ლისტურ-აღწერილობით ხასიათს და
პოეზია ჰკარგავს მთელ მომხიბლობას,
იგი ჩვეულებრივი და შემთხვევითი
მოვლენის უბრალო აღწერად იქცევა.

თამაზ ჭილაძის პოეზია თავისი არ-
სით მეტაფორულია. პოეტი მკაფიოდ
გამოხატული ფერწერული სახეებით
აზროვნებს და ხშირად ისე შორს მი-
დის, რომ არა თუ ნივთებს, არამედ
მოვლენებსაც კი მხატვრულ ტილოებად
აქცევს (რაც, შეიძლება, ფერწერაში
ბუნებრივი და კანონზომიერი, მაგრამ
სიტყვიერი პლასტიკით ძალზე ძნელი
გამოსახატავია).

პოეტის ყურადღება თითქმის არასო-
დეს არ ჩერდება დიდხანს ერთსა და
იმავე საგანზე. მას ამის საშუალებას არ
აძლევს აზროვნების მანერა — ახლო-
ბელი და შორეული ასოციაციების სა-
შუალებით გადმოსცეს აღებული საგა-
ნი, რაც სრულიად არ ნიშნავს, თითქოს
ამის გამო თამაზ ჭილაძის პოეტურა
ხილვები ზედაპირული იყოს:

ფაშა ციციაშვილი

„მზის საათი“

კართლად ჟინვალის სველი სინათლე და დაბმულ დათვის შუშის თვალეზი... და, როგორც ქვებზე ცხენის ნალები; ჩვენი ფიქრები ბნელში ბრწყინავდნენ.

და ღრუბელივით არ გვექონდა ბინა, ელავდა წვიმა და გუბებში... და წკრიალებდა არაგვის პირას შენი მწუხარე საყურეები.

გარდა ამისა, მოყვანილი ნაწყვეტის ბოლო ორი სტრიქონი ერთ მნიშვნელოვან მომენტზე მიგვიბრუნებდა, — თამაზ ჭილაძეს შეუძლია უბრალო ცხოვრებისეული დეტალი მნიშვნელოვან პოეტურ სახედ აქციოს. ამის მაგალითები სხვაც ბევრია მის ლექსებში.

აქვე უნდა ითქვას, რომ პოეტური სახე თამაზ ჭილაძისათვის არაა თვითმიზანი. გარდა იმისა, რომ მას გარკვეული აზრობრივი დატვირთვა აქვს, აკისრია მეორე ფუნქციაც, — განწყობილების შექმნა:

შენით ვარ, ქვეყნად შენ მეგულები ჩემი შემწე და ზარის მრეკავი და ვარსკვლავები, ვით ბელურები, თითქოს შენს მკერდზე ხორობას კენკავენ.

თამაზ ჭილაძის თვითეული ლექსი ფიქრს ჰგავს, — დაძაბულ, მომხიზლავ, საინტერესო ფიქრს.

მისი პოეზიის ლირიკული გმირი თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანია, — მოუსვენარი, მოაზროვნე, მაძიებელი, მუდამ ცხოვრების შუაგულში მყოფი. ეს მკაფიოდ ჩანს მისი ლექსების ქვეტექსტებშიც, ანდა, როგორც იტყვიან, სტრიქონებს შორის.

მიუხედავად ამისა, თუ კარგად ჩავუყვირდებით თამაზ ჭილაძის შემოქმედებას, ადვილად შევნიშნავთ ერთ გარკვეულ თვისებას: მართალია, პოეტი ჩვენი ცხოვრების აქტიური მონაწილეა, მაგრამ შემოქმედების პროცესში იგი თითქოს მოვლენების მიღმა დგება, რათა უკეთ დაინახოს იმავე მოვლენების თუ საგნების ჭეშმარიტი არსი, მათი განვითარების მთელი სირთულე, ე. ი. შორდება მათ და ეძებს მოხერხებულ პერსპექტივებს, უშუალო მიმართებას

და, რაც მთავარია, ცდილობს კონკრეტულად აღებული ნივთი ან მოვლენა დაგვანახოს არა სტატიკურ, მდგრადობაში, არამედ მოძრაობაში. საილუსტრაციოდ დავასახელოთ თუნდაც „ადამიანმა შეჰბედა კოსმოსს“, რომელშიც გაგარინის უმაგალითო გმირობა დანახულია თუმც კონკრეტულად, მაგრამ ადამიანის გონების, მისი სულიერი სიძლიერის საუკუნოებრივი განვითარების ფონზე:

ადამიანმა შეჰბედა კოსმოსს...
რამდენს ეძახდნენ ეს ვარსკვლავები!
ანთებდნენ რამდენ უჩინარ კოცონს!
და სებასტიან ბახის ხელებით,
და რუსთაველის დიდი თვალებით
ადამიანმა შეჰბედა კოსმოსს...

თ. ჭილაძის ლექსების ინტონაცია ძირითადად მეტყველი და ამალღებულია, რაც ნათლად შეეფერება მისი პოეზიის გმირის ლირიკულ-რომანტიკულ სულისკვეთებას. (თუმცა ამავე წიგნში არის ორიოდე გამონაკლისი, როდესაც ლექსის ხასიათი ვერ იგუებს ამგვარ ინტონაციას).

„მზის საათში“ ბევრი კარგი ლექსია. მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ამ მცირე წერილის მოცულობა და დანიშნულება საშუალებას არ იძლევა განვიხილოთ და გავანალიზოთ თ. ჭილაძის ბევრი საყურადღებო და საინტერესო ლექსი, თუნდაც ისეთები, როგორც არის: „ანთია ცეცხელი“, „მე ვკარგავ დღეებს“, „იმერეთი“, „თოვლი“, „ძველი ტალინი“, „იპოდრომი“, „ზამთრის მზიანი დღე“, „შესანიშნავი, მრავალმხრივ საინტერესო და საკამათო ციკლი „ინგლისური რველი“ და სხვ. ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გავვემახვილებინა იმ ძირითად მხატვრულ პოზიციაზე, რომელიც თ. ჭილაძეს, როგორც პოეტს, შედარებით მკვეთრად ახასიათებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თ. ჭილაძე შესანიშნავად ფლობს ლექსის ფორმას ან, როგორც ხშირად უწოდებენ, — ლექსის ტექნიკას. ამ მხრივ მას ძნელად თუ ვინმე გამოედავება. მაგრამ დღეს

მომთხოვნი მკითხველი ტექნიკას მაინც-
და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევს
და უმთავრესად პოეტის სათქმელი,
მხატვრული ნაწარმოების შინაარსი
ანტირესებს. თუ ამ თვალსაზრისით
შევხედავთ თამაზ ჭილაძის ზოგიერთ
ლექსს, დავინახავთ, რომ ისინი ვერ
დგას პოეტის მხატვრულ შესაძლებლო-
ბათა სიმადლებზე. მაგალითად, „ფი-
როსმანი“, რომელიც გარეგნული ღირ-
სებებით თითქმის წუნდაუდებელია,
ლექსში გვხვდება ასეთი გაუმართლე-
ბელი სტრიქონები:

... თითქოს ჩირაღდნით და ამნისტით
გაღო სულის მოვლემარე ციხე...

ჩვენი აზრით, გაცილებით ბევრს ამ-
ბობს ფიროსმანზე თ. ჭილაძის ერთი
სტრიქონი მისი ძველი ლექსიდან:

ფიროსმანი ხატავდა გაბრუებულ დათვებს.

ამ ერთ სტრიქონში უკეთ ჩანს ეპო-
ქის სულიც, მხატვრის განწყობილებაც,
ვიდრე მთელ „ფიროსმანში“...

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თამაზ
ჭილაძის პოეზიის კიდევ ერთი თვისება.
იგი ზოგჯერ ძალზე ძუნწად, გაკვრით
ლაპარაკობს ადამიანზე, მის ძლიერ
ვნებებზე, რის გამოც ზოგიერთ მის
ლექსს აკლია სიმძაფრე.

... და ამქვეყნიურ უამრავ ვნებას,
როგორც ველურ წაბლს, ვაცილიდი ეკაღს...

წერს ერთ-ერთ ლექსში თ. ჭილაძე,
და მის ვნებას სწორედ ეს ეკლები და
სიმწარე უფრო სჭირდება, ვიდრე მის-
თვის დამახასიათებელი სრული ჰარმო-
ნია და „წესრიგი“.

სხვა მხრივ „მზის საათი“ ჭეშმარი-
ტად თანამედროვე წიგნია, თანამედ-
როვე, როგორც მხატვრული აზროვნე-
ბით, ემოციებისა და განცდების სიმ-
დიდრით, ასევე თემატიკითა და ღრმა
იდეურობით.

პოეტის ყოველი ლექსი ჩვენი ხვა-

ლინდელი დღის ნათელი რწმენით არის
გაუღნითილი. არ შეიძლება არ აღვნიშ-
ნოს მამულისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები
გემოვნებითა და სიყვარულით დაწერი-
ლი მისი ლექსები — „იმერთი“, „თბი-
ლისი“, „სამასი კაცი“, „ისეთ ვარსკე-
ლავზე თუ დავიბადე“, განსაკუთრებით
ეს უკანასკნელი:

ისეთ ვარსკლავზე თუ დავიბადე,
ჩემო თბილისო, ჩემო გელათო,
რომ ჩემი ხმა და თვალის სინათლე
ერთი დღის სუნთქვად შემოგემატოთ.

გვაკვდა ცა, მიწა, მაგრამ ოცნებით
ჩვენ არ გვექონია გული ნაკლული,
სხვა ღმერთი გვეყავდა პატიოსნების,
კაეკაისონის ქედზე გაკრული.

რა გვექონდა: კალო ნაბდის ქუდივით
და მზის თოკივით მტკვარი გაბმული,
დავკანკალებდით ნატვრას უდიდესს,
მას, რასაც ერქვა ჩვენი მამული...

ეს ლექსი განსაკუთრებულ ინტერესს
იმითმაც იწვევს, რომ აქ ზოგადი და
სუბიექტური ზომიერად ერწყმის ერთ-
მანეთს.

იგივე შეიძლება ითქვას „სამას კაც-
ზეც“.

სამასი კაცი,
სამასი კაცი,
სამასი ფიქრი —
ცეცხლივით მწველი.
შემატებული თბილისის მიწას,
როგორც ახალი სამასი წელი.
ერიალებს მტკვარი,
წრიალებს ძერა,
ღია თვალეში ცახცახებს ქარი,
სამასი კაცი,
სამასი ძელი,
სამასი საღტე
თბილისის კარის.
და იხლართება
გზები და ბედი...
და უყვდავებას მაწვდიან პეშვით...
და მძიმე,
როგორც ცრემლები დედის,
ყაყაჩოები სკდებიან მზეში...

ფაშა ციცია ჰვილი
„მზის საათი“

თამაზ ჭილაძის ეს ნაწარმოებები
ნამდვილად დგას ჩვენი პატრიოტული
ლირიკის ბრწყინვალე ტრადიციების
სიმაღლეზე, როგორც პოეტური აზროვ-
ნების სიღრმითა და სიმახვილით, ასევე
მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით.

საერთოდ, თამაზ ჭილაძის მხატვრუ-
ლი შესაძლებლობების თანდათანობითი
განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯე-
ლებთ, თამაზად შეიძლება დავასკვნათ,
რომ მისი პოეტური ხმა მომავალში კი-
დეც უფრო დაიწმინდება და ამაღლ-
დება.



ბიოგრაფიული

ორი ბილი

წერილი მეორე

კონფლიქტი ძველსა და ახალს შორის „ვაზის ყვავილობაში“, ძირითადად, ორი ძალის დაპირისპირებით გაიშალა. ეს ბუნებრივიც არის. სხვადასხვაგვარია ოცი-ოცდაათიანი წლებისა და ორმოციანი წლების ადამიანთა სოციალური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობა. რევოლუციის შემდგომს მახლობელ პერიოდში, ბუნებრივად, იყვნენ ემხვარის ტიპის ადამიანები, რომლებიც ორ სამყაროს შორის გამოკიდებულნი აღმოჩნდნენ, თავიანთი წოდების წარსული ბარკით დამძიმებულნი. ბევრმა მათგანმა სცადა ახალ ცხოვრებასთან მისვლა, მაგრამ ვერც ისინი შეეგუენ მათთვის უცხო სიმართლეს და არც ამ სინამდვილემ მიიღო ისინი. ამდენად, ზედმეტი აღმოჩნდნენ ეს ადამიანები ახალი საზოგადოებრივი ყოფისათვის. მათ ვეღარ მოაღწიეს ორმოციანი წლების ვითარებამდე, როდესაც ჩვენი საზოგადოება, მისი იდეურ-პოლიტიკური მონოლითურობა უკვე საბოლოოდ განმტკიცდა. ამ საზოგადოებას ძველი ყოფიდან შემორჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც მიიღო მისი ნორმები და აღიარა მისი მორალი ან დროებით დატრგუნა საკუთარი ნება, გაუძლო დაწოლას და დაელოდა ხელსაყრელ ვითარებას ახლის წინააღმდეგ ამხედრებისათვის. თარაშისებური მერყევი სულისა და ნიადაგგამოცილი ადამიანი აქ უკვე აღარ იყო.

კ. გამსახურდიას ორი რომანის გმირების ხასიათთა და მდგომარეობის სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩვენ წინა წერილში მაინც მივუთითებდით მათ შორის არსებულ ერთგვარ მსგავს პარალელებზე.

ერთი ასეთი პარალელი გავაგვით თარაშ ემხვარსა და ვახტანგ კორინთელს შორის. ეს პარალელი, რასაკვირველია, პირობითია, რადგანაც ამ ორი ადამიანის სულიერი სამყარო თუ სოციალური მდგომარეობა, წარსული თუ დღევანდელი დღე სხვადასხვაა. მაგრამ ზოგი რამ მათ მაინც აახლოვებს. ეს არის მათი ინტელექტი, აზრისა და ფიქრის ფართო ჰორიზონტი, დასავლეთის უნიდაგო ცივილიზაციის ხილვა კრიტიკული თვლით, ცხოვრების ტრაგიკული აღსასრული.

მაგრამ ეს გარეგნული ნათესაობა შინაგანად სხვადასხვა ასპექტით არის გამოვლენილი და ჩვენც ეს მიგვაჩნია რომანისტის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამარჯვებად, მისი თვალთახედვის მნიშვნელოვან ევოლუციად.

თუ პირველ შემთხვევაში გმირის დიდი ინტელექტი, ცოდნა და გამოცდილება უკვალოდ ილუპება, გამოუსადეგარია ხალხისათვის, მეორე შემთხვევაში იგი სავსებით ხმარდება ამ ხალხს. მის კეთილდღეობას, მისი ეკონომიკის აღმავლობასა და კულტურის განვითარებას. ამდენად, მათი ცხოვრების ფი-

ნალიც სხვადასხვაგვარია თავისი შინაარსით. სტიქიასთან უაზრო ჭიდილში იღუპება ემხვარი და თან მიაქვს თავისი ცოდნა. იღუპება საერთო კეთილდღეობისათვის, დიდი მიზნისათვის სტიქიას შებმული კორინთელიც. მაგრამ იგი აქ, დედამიწაზე სტოვეებს თავის მგზნებარებას, ცოდნასა და გამოცდილებას, ხალხისათვის ჩირაღდნად გადაცემულს.

ხალხთან ყოფნა, მისი ჭირვარამის გაზიარება, მისი სიყვარული ვახტანგ კორინთელს თავიდანვე მოსდგამდა, როგორც ხალხისავე წრიდან გამოსული ძველი ინტელიგენტის შვილს. ეს გრძნობა მას მუდამ თან ახლდა უცხოეთში ხანგრძლივი ყოფნის დროსაც და ვაჩნაძეთა უცხო გარემოცვაში მოქცევის წლებშიც. „ვანუზომელმა შრომამ, უხცობობასა და მარტობაში თეთრად გათენებულმა დამეებმა... ათზე მეტი შრომის დაწერამ, ათსგვარმა უსიამო განცდამ, რომელნიც უდარაჯებენ ადამიანს თავისი ცხოვრების გზაზე“ თუმცა მოღალა მისი გული, მაგრამ კიდევ მეტი სიმძაფრით ანთო იგი სამშობლოს, ხალხის სიყვარულით. ეს სიმძაფრე განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მშობლიური მიწა-წყლის აყვავებისათვის ბრძოლის დღეებში.

მშობლიურ მიწასთან შეხებას თარაშ ემხვარისათვის უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს მიწა მისთვის ისეთივეა, როგორც სხვა ქვეყნებისა. იგი ვერც წარიტაცებს და ვერც სამოქმედოდ აღანთებს მის კოსმოპოლიტურ სულს. ემხვარი ყოველთვის მოწყვეტილი იყო მშობლიურ მიწა-წყალს. კორინთელს კი ანთეოსივით ესაჭიროება მშობლიურ მიწასთან კავშირი. ეს მისი განუყოფლობაა თავის ხალხთან, იდეასთან, მიზანთან. ამიტომაც ასე გატაცებით უყვება იგი გოდერძი ელანიძეს როჭოს მართვესთან შეხვედრის ამბავს, იმას, თუ როგორი საშინელი წივილით შეეგება აქამდე მასთან შეთვინიერებული მართვე მიწისაგან აყვანის ცდას. ამ ამბავში გაცხადებულია მშობლიური მიწიდან

ადამიანის მოწყვეტის დიდი უბედურების იგავი.

ეს უსაზღვრო სიყვარული, განუწყვეტელი მოწოდების შეცნობა განსაკუთრებით გაააქტიურებს კორინთელს, რომლისთვისაც უცხოა ემხვარისეული გულცივობა თუ უიმედობა. ეს აქცევს მას ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელ მრავალმხრივ მოღვაწედ, არაშენდა — გველეთის აღორძინების ნამდვილ ორგანიზატორად.

მთავარი მისი სტიქია ვაზის კვლავ დამკვიდრებაა ამ გველურებულ მიწაზე. მაგრამ ფართოა ამ შესანიშნავი საქმის მასშტაბი, რომელშიც მოქცეულია აგრეთვე სოფლის ყოფის გარდაქმნის, ადამიანთა ახალი ფსიქიკის დამკვიდრების, თანამედროვე სიკეთით სოფლის აღჭურვის (ელსადგურის აგება, ახალი სახლების გამართვა, წყლის გამოყვანა, კულტურის კერების შექმნა, სამეცნიერო კვლევის ორგანიზაცია და ა. შ.) პრობლემები.

„ეჰ, დავიღალე... სხვის ქვეყნებში ხეტიალით, — ამბობს ერთ ადგილას კორინთელი, — ...მე დავსნეულდი იმ ქვეყანაში, ახლა ჩემი ნატვრა ესაა — ჩვენი ქვეყნის სილამაზით დავტკბე, ჩვენი მიწის სუნით გავძღვ. ჩვენი ჩქერალების ჩხრიალი, ჩვენი ტყეების დუმილი, ჩვენი ვენახების ბიბინი თუ მამარჩენს...“.

ეს დიდი მისწრაფება და იმედი, რომელმაც ახალი ძალით იფეთქა პატრიოტისა და თავისი ქვეყნის შვილის გულში, სასწაულებრივ საქმეებს ჩაადენინებს უკვე ჯანგატეხილ მეცნიერს. ჩინებულად არის ერთ პასაჟში გახსნილი დიდი აზრი ცხოვრებას შეჭიდებული ადამიანის თვითგამოცდისა. როდესაც კორინთელი მიუჯდება ცუდ ამინდში გზაკვალაბნეულ და ხევში ჩაცურებულ მანქანის საჭეს. „მე მინდა ვცადო ამ აღმართის ავლა“, — ეუბნება იგი თავის შოფერს ანდროს; შემდეგ ზიგზაგური სვლით გადალახავს ძნელ აღმართს და ზეგანზე ასული, საჭეს უბრუნებს მძღოლს.

აქაც სიმბოლიკის ხერხია რომანის-

ტის მიერ მოშველიებული იმ სირთულეთა განხატებისათვის, რომლებიც უნდა გადალახოს სამშობლოში მობრუნებულმა და მშობლიური მიწის განახლებისათვის ამოქმედებულმა ადამიანმა.

ეს ისეთივე ორიგინალურად გააზრებული პასაჟია, როგორც გველეთის ზეგანზე პირველი მოსახლის დამკვიდრების შთამბეჭქდავი და მიმზიდველი სურათი.

გველეთში ახალი სიცოცხლის მოსვლა — ვენახის კვლავ აღორძინება მტრისაგან ძველად გვერანებულ, ოდესღაც შეჩვენებულ მიწაზე, რომანში პარალელიზებულია თვით ამ სიცოცხლის მომტანი ადამიანის — ვახტანგ კორინთლის მამუკასეული ციხის შემოგარენში დამკვიდრების ფაქტით. ამას ბუნებრივად უნდა მოჰყვიოს ძველი ადამიანების შეგნებაში განმტკიცებული ცრურწმენის მსხვერვეა, ხოლო ახალი ფსიქიკის ადამიანთათვის იგი ცხოვრების უდიდესი სიყვარულის მიმზიდველ მაგალითად უნდა იქცეს.

კორინთელის „ცხოვრების ნამდვილი გაზაფხულის დასაწყისი“ არის არა მხოლოდ მინდელის ქალის სიყვარულით მონიჭებული ბედნიერება, არამედ უპირველესად მთელი ეს დიდი მოღვაწეობა, ცხოვრების შუაგულში ტრიალია, რასაც ახალგაზრდული ენერგია შთაუნერგავს მისთვის და შრომა-სიყვარულის დიად გრძნობა-მოვალეობად განსახიერებულა მის არსებაში.

შრომას, ისევე როგორც სიყვარულს კორინთელი ვანიხილავს უდიდეს ბედნიერებად ყველასათვის, ვისაც კი აქვს ამ ბედნიერების შეცნობის უნარი. „მშვენიერია ეს ცხოვრება, გოდერძი, — ეუბნება იგი ელანიძეს. — მხოლოდ მთავარი ისაა, ადამიანმა ისწავლოს, თუ როგორ იცხოვროს კარგად. უდიდესი ბედნიერებათაგანი, რაც კი განგებას მოუნიჭებია ადამიანისათვის, ეს არის შრომა...“ სპეტაკი სიყვარულის გრძნობა აკავშირებს მას ხანდაზმულობის პერიოდში შეცნობილ დიდ ბედნიერებასთან, და ამ ბედნიერებით

მონიჭებული სიხარული ტკბილი სიზმარივით ეცხადება მას სინამდვილეში. ბევრი უნახავს, შეუსწავლა, მარამ უგია მას თარამ ემხვარივით. მარამ სხვაგვარად აღუქვამს, შეუშეცნებია. შეუთვისებია ნახული თუ ვაგონილი. ირგვლივ სამყარო მის შემეცნებაში შემოსულა როგორც ფართო მასშტაბები, მოვლენათა კანონზომიერება, დაუცხრომელი დუღილი ადამიანთა ვნებებისა; ცხოვრების ბედნიერება-სიხარულისა და უბედობა-სიმწარის გამუდმებულ ჭიდილში კეთილის დიდი პერსპექტივა უხილავს, შრომასა და სიყვარულთან სისხლხორცეულად შეკავშირებული.

ამიტომაც უცხოა მისთვის თარამ ემხვარის სული, შეპყრობილი მკეთარი ინდივიდუალიზმის, უკურნებელი სევდისა და უიმედობის სენით;

ამიტომაც ასე ჭეშმარიტად მაღალია მისი შთაგონება — ყოველ პატარა საქმეში დაინახოს მისი დიდი ფონი („სამშობლოს უმცირესი კუნჭულის სამსახური, ეს იგივეა, მთელ ქვეყანას შეაწიო ძალა“);

ამიტომაც ასე გახარებული შესცქერის იგი გველეთის დასამორჩილებლად ამხედრებულ ხალხს და თავის გუნებაში გრანდიოზული საქმეების შესასრულებლად მოუწოდებს მას („აღსდექ, ჩემო ხალხო, და ჟრამულით შესძარი ნაციხარების, ნასაყდრალებისა და ნასახლარების გულისმომწყვლეელი დუმილი. აღსდექ, ჩემო ხალხო, და სიცოცხლე დაამკვიდრე იქვე, სადაც იგი შეუწყვეტია ჩვენი ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალს“).

ძლიერად გამოხატულ სიხარულს — ცხოვრებაში განმტკიცების ამ აუცილებელ პათოსს, სიცოცხლისადმი სიყვარულის უდიდეს გზნებას, რომელმაც მასები დასძრა და ვაზის აყვავებულ წალკოტად აქცია არემარე, — ბოლოს მაინც ამძიმებს გმირის ცხოვრების ტრაგიკული დასასრულით გამოწვეუ-

გიორგი მერკვილაძე
ორი ბედი

ოვით ვარკვეული ძირითადი ტენდენციის შინაგანი არსებული სხვაობა თვალთახედვისა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებისა.

„ვაზის ყვავილობაში“ ახლისადმი დაპირისპირებული ძველი სამყარო თავისი შინაგანი ძალებით თუ ტენდენციით ერთგვარი როლია. სულ სხვაა, მაგალითად, „ავსიტყვა“ აბრია უჯირაული თავისი უტეხი, ჯიუტი ნებით, ახალი ცხოვრების ადამიანებისადმი მტრული განწყობით და სხვაა „ლაღბაწა“ — სტეფანე მარტიაშვილი, ახალი ყოფისადმი თავიდან ასევე არაკეთილად განწყობილი, მაგრამ კეთილი ნების ადამიანი. სხვადასხვაგვარად ვითარდება კიდევ მათი ცხოვრება.

ამ სხვაობას ვამჩნევთ ჩვენ ქეთუასა და კანკრეს, ვარასა და მედიკოს, ცეროდენასა და კობერიძის, ფელიქს თუ ფრიდა შტამლერებს შორის და ა. შ.

ეს — შინაგანი წინააღმდეგობებით გამსჭვალული, სხვადასხვა განწყობილებებით აღსავსე სამყაროა. მაგრამ საერთო ტენდენციაში იგი გაერთიანებულია ახალ ძალასთან დაპირისპირებით, მის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანით.

ახალი ანადგურებს. შინაგანად შლის მას; ბიკრს ვარდაქმნის. ახალი ძალით აღავსებს და თავისი ბანაკის ადამიანთა შორის შემოიყვანს. ასეთი გარდატეხა ხდობა, მაგალითად, ლაღბაწას ცხოვრებაში, ვინც საბოლოოდ აქცევს ზორას აბრიას „სიბრძნეს“ და ახალ სიმართლეს დაუკავშირდება; ან სოლომონ გულუხაიძის ისტორიაში, ვინც მიწისქვილი ნიორთავადან სამამულო ომის გმირად იქცევა.

აბრია უჯირაული მეტად მკვეთრი ფერებით განხატებული რთული სახეა, რომელშიც კონცენტრირებულად აღქმულია ძველ-ბოზოლოური სტიქიისა და რელიგიურ ცრურწმენათა ძალა. იგი მეტად მკვეთრი განსახიერებაა ინდივიდუალისტური და ამ ცრურწმენათა მხეცურ-ფარისევლური ჩვევებისა. მართალია, ის ეკონომიურად ნია-

დაგამოცლილია, მაგრამ ინდივიდუალისტის სული მასში ძლიერად არის გამჯდარი; ეს სული ამოძრავებს მასწავლებლისა და მოძრაობის წინააღმდეგ.

„ქვეყანა ყირაზე დაღა, ჩემმა მზემ, — შესჩივის იგი უსინათლო პაპა მიქელას. — დაიკარგა უმცროს-ფეროსობა. მე ბედნიერი მაშინ ვყოფილვარ, როცა ჩემს ცხვარს უკან დავსდევდი ტყე-ღრეში... როგორც ცოფიან ძაღლს — წყლისა, ისე მეშინია ხვალისდელი დღისა. სიკვდილი მომნატრება, მიქელავ. შენ ბედნიერი ხარ, საკუთარი თვალთ რომ ველარა ჰხედამ ქვეყნის წახდენას“.

ყველაფერი ახალი, უცხო და მტრულია მისი სულისათვის, რადგან ამ სულს გამსჭვალავს ბოზოლოური ინსტიქტი, რომელსაც ასე მტკიცედ ნერგავდა მასში მისი იგი ძველი მდგომარეობა საზოგადოებაში. მაშინ აბრიას მრავალი ათასი სული ცხვარი ჰყავდა, მოჯამაგირეებს ამოშავებდა. ახლაც დაუძლეველი აღმოჩნდა მისთვის ეს ჩვევა და საერთო სახალხო ქონებას წაუპოტინა მისი ხარბი სული — კოლმეურნეობის ხუთასი ცხვარის მისაკუთრება სცადა; ამ სულმა გადაისროლა იგი ცივ ალაზანში, რომ ბორანიდან გადაცვენილ ცხვრებს შორის საკუთარი თოხლი გადაიჩინა; ამ სოლმა უბიძგა მას სამას მანეთად სასწორზე შეიგდო სიკოცხელი და შხამიანი ვიურხას დასაჭერად გასულიყო.

ახალმა ყოფამ ყირამალა დააყენა აბრია უჯირაულის ცხოვრება. მისთვის მიუღებელია ყოველივე, რაც კი ამ სინამდვილესთან არის დაკავშირებული. ამიტომ ასე გაბოროტებითა და ნიშნის მოგებით შენიშნავს იგი ახალი ცხოვრების ვითარებაში ბედნიერების მოპოვების პათოსით გამსჭვალულ კორინთელს: „კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვინ მოგვიტანს ამ ბედნიერსა და საამურ ცხოვრებას?“ ან ასეთივე გესლნარევი დაცინვით „მოშინეობს“

გიორგი მერკვილაძე
ორი ბელი

ძველი თბილისის ნგრევასა და ახლის აშენებაზე; ამიტომ ასე გამწარებული წყევლის იგი საკუთარ ცოლსაც, შვილებსა და შვილიშვილებსაც, რომელთაც რღვევა შემოაქვთ მის ოჯახში. ახლა იგი ეპოტინება ძველ წეს-ჩვევებსა და რელიგიურ ცრურწმენებს, მათი დახმარებით სურს სამყაროში კვლავ განმტკიცება.

აი იგი, „მწყემსურ ტყავებაში შეფუთვნილი დევკაცი თავშიშველა დგას ცხრამუხის ზეგანზე“ იმით გაოგნებული, თუ როგორ გადააბრუნეს მანქანებით სოფლის ახალგაზრდებმა წმინდა გიორგის ადგილები და როგორ „განარისხეს“ ქვაკაცა; დგას და მოღუშული ეუბნება გოდერძის: „ჯერ ქადილი ნაადრევია, ბიჭავ, მუხის ფესვებს მოერიეთ, მაგრამ თქვენ ის ნახეთ, რა დღე გაყართ ქვაკაცს წმინდა გიორგიმ“; ან იგი, რელიგიური ცრურწმენის სამყაროს უკანასკნელ მოპიკანთა სათავეში ჩამდგარი, ძველის ლოცვითა და ახლის წყევლა-შეჩვენებით რომ მიჰყვება მამუკას ციხისაკენ მიმავალ ბილიკებს და მის შემეცნებაში ცოცხლდება წარსული პატრიარქალური ყოფის სურათები, ახლა მხოლოდ მონგონებაში აღდგენილნი.

ოსტატურად არის რომანში გავლილებული პარალელი ამ პასაჟსა და აბრია ჯიჯირაულის სიზმარს შორის. ორივეგან იგი ძველსა და სანატრიელ ცხოვრებას ხედავს. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში ჯიჯირა ახალი ყოფა მის შემეცნებაში სიზმრად ქცეოლა, ხოლო ნამდვილად სიზმარში ნანახი ძველი სამყარო არ შერყეულა (აბრია ითვლის ხუთი ათას საკუთარ თეთრ თუშურ ცხვარს და დარწმუნებულია, რომ „სიზმარი აღმოჩნდა ყველაფერი, რაც აქამდე მოხდა ამქვეყნად“), მეორე შემთხვევაში მის გონებაში მწარე სინამდვილედ იჭრება ცხრამუხის ზეგნის საიერიშოდ დაძრულ თანასოფელთა შემართების დიდი პათოსი, როგორც მისთვის უცხო სინამდვილის მკვეთრი სურათი.

ამ უკანასკნელ სცენაში დაბირისპირების

მანერით არის განსწავლული ორი ბედი ადამიანების, მათ ორი გზა: აბრიას პროცესია მთელი მია ძველი სამყაროს აღმართს და, ცხოვრების მიერ უარყოფილს, თან მიჰქვს ძველის სიმძიმე, რომლის ქვეშაც უნდა გაისრისოს იგი; მეორე გზით კი მოდის დიდი ძალით ამოქმედებული ახალი ცხოვრების მშენებელთა დიდი რაზმი და თან მოაქვს ურყევი რწმენა მომავლისა.

აბრიას და კანკრეს, ცეროდენასა და კობერიძის ბედი, ისივე როგორც გვანჯაფაქიძის, ქორა მახვშის, ტარიელ შარვაშიძის თუ არლან არენბას ბედი თანაბარხვედრია: ისინი მკვეთრად უპირისპირდებიან ახალ სიმართლეს და მარცხდებიან ამ სიმართლესთან ბრძოლაში.

ახლისა და ძველის ეს დაბირისპირება მისი პერსპექტივის ჩვენებით „ვაზის ყვავილობაში“ გამოვლინდა აგრეთვე ბევრი სხვა ბედის ადამიანთა პორტრეტის ხატვისას.

აქ ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით „კენიია“ ვარა და მისი სამყარო იქცევს. მისი პორტრეტის უკან ორი სხვადასხვა ფერის მკვეთრად განსხვავებული ფონია. ერთზე მოჩანს „თავად დადიანის ამპარტავანი ქალი“, ასული „სამეგრელოს დიდი თავადისა და გენერლისა“ მისი მაღალი მდგომარეობით და წინანდილი დამახასიათებელი „სომნაბულისტური“ ბიოგრაფიით. პორტრეტის ამ ფონზე მკრთალ სილუეტებად მოსჩანან მისი ხელის მძიებელნი — ქართველი დიდგვაროვანი ოფიცრები თუ უცხოელი მილიონერები. ბარონი მანტოიფელი თუ თავადი შუხრან-ბატონი, ბერძენი მილიონერი დიმიტრიადი თუ თავადი ჯორჯაძე... და ამ ვითარებაში იხადება მისი ამორალური „მრწამსი“.

ახალი სინამდვილე უცხოა ვარას მორალისათვის, ანადგურებს მის ეთიკურ ნორმებს, რომელთაც ეს სიმართლე უპირისპირდება თავისი სპეტაკი, ჯანსაღი, ძლიერი და უძლიველი სულით. ამ სიმართლეს ვერ შეუთავსდებ-



ბა „დადიანის ქალის“ სული არა მარტო იმიტომ, რომ იგი შინაგანად უცხოა მისთვის, არამედ იმიტომაც, რომ მან უღმობლად დაანგრია დადიანთა, ჯორჯაძეთა და ვაჩნაძეთა მატერიალური და სულიერი სამყარო და აღასრულა მათ მიმართ ისტორიის მკაცრი განაჩენი. „მე რევოლუციამ დამსაჯა, — ამბობს ვარა. — კოლმეურნე ქალების ტრიკოებს მაქსოვინებენ დადიანის ქალს“. და გაბოროტებული ნაწიერი ძველი წოდებისა ოცნებობს ომზე, რომელიც, მისი რწმენით, ახალი სულის ადამიანთა „წითელ პარასკევად“ უნდა იქცეს.

მას ეზიზღება ჩვენი სინამდვილე მისი ისტორიული სამართლიანობითა და სიმართლით, ეზიზღება ყველა და ყველაფერი, რაც კი დაკავშირებულია ახლთან, ახლის შექმნისათვის ბრძოლასთან და შრომასთან. მის სულთან უფრო ახლო დგას პარიზელი ლოველასი მუსიო შარკუტიე, ვიდრე თელაველი მეცნიერი ვახტანგ კორინთელი. მას არ მოსწონს კორინთელის „მანერები“ (ასეთ კაცს მის ღროში თურმე „მაღალ საზოგადოებაში სუფრაზე არც კი დასვამდნენ პურის საქმელად“!), თუმცა რაოდენ დაცემულია იგი ზნეობრივად, გონებრივად, სულიერად ვახტანგ კორინთელთან შედარებით!

რომანისტმა „კენიანა“ ვარას გვერდით მოხატა აგრეთვე მეორე დამახასიათებელი პორტრეტი — მკვეთრი სახე გარდასულ დროთა უკანასკნელი ასულის — მედიკო ვაჩნაძისა.

საერთოდ, ვაჩნაძეების ბედი მხატვარმა გამოიყენა წარსულის იმ მუქ ფონად, რომელზეც უფრო ნათლად უნდა აისახოს ახლის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. ამიტომ დაგვანახვა მან რომანის პროლოგში არა მარტო შაჰ-აბასის ბარბაროსული სისასტიკე — მოსახლეობისა და ვენახების განადგურება კახეთში (რასაც მოჰყვა არაშენდას ზეგანის გაუკაცრიელება და ამ ადგილების „გველეთად“ მონათვლა), არამედ ედიშერ ვაჩნაძისა და მის უნი-

ათო შთამომავალთა მიერ ვახტანგ დგენის ცდის სასტიკი კრახიც. ვაჩნაძე მედიკო ვაჩნაძე, როგორც ერთადერთი გილას უკვე შევნიშნეთ, ბევრად ენათესაება თამარ შარვაშიძეს, ისევე როგორც რევაზ ვაჩნაძის ცხოვრებაში, ჯამსულ ემხვარის ისტორიის მსგავსადვე არის გაცხადებული უცხოეთს გადახვეწილი ქართველი თავადაზნაურობის მწარე ხვედრი. ისიც თამარივით უპერსპექტივოა ცხოვრებაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი სული საბოლოოდ მაინც დაიმორჩილა დასავლეთის თანამედროვე „ცივილიზაციის“ მორალმა.

ვახტანგ კორინთელსა და ვარას სამყაროს ადამიანთა შორის ღრმა უფსკრულია, რომლის გადალახვა ვერ შესძლო მედიკოსადმი თავდაპირველი მგზნებარე სიყვარულის გრძნობამაც კი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როდესაც ისინი უშუალოდ შეეხნენ მშობლიურ მიწას და პირდაპირ შეხვდნენ ახალ ცხოვრებასა და მის ადამიანებს, მათს სულში გაჩენილი ბზარი კიდევ უფრო იზრდება; ღრმავდება უფსკრული ორი სხვადასხვა სამყაროს ადამიანთა შორის.

მედიკოს კოსმოპოლიტური ბუნებისათვის მშობლიურ მიწას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ისევე, როგორც ვერ აღაფრთოვანებს ეს მიწა თარაშ ემხვარს. ვაჩნაძის ასული ვერ გრძნობს მიწის არომატს, არ განიცდის მის შთამაგონებელ ძალას, რადგანაც ამ მიწას დიდი ხანია მოსწყდა მისი ფესვები. ხალხი კი მისი ახალი ყოფით, დიდი პატრიოტული სულით, ჭეშმარიტი ცხოვრების დამკვიდრების ფანატიკური გატაცებით, სავსებით უცხოა მისთვის. მისი სამშობლო იქ არის, სადაც უზრუნველყოფილია მისივე პირადი ფუქსავატური ბედნიერება. მასში ძლიერია შთამომავლობით მიღებული და დასავლეთში პარაზიტული ცხოვრებით განმტკიცებული გრძნობა სას-

გიორგი მერკვილაძე
ორი ბედი

ტივი ეგოიზმისა. ამიტომაც ეძებს იგი, ამ უცხო ვითარებაში მოხვედრილი, სულიერად მის მონათესავე ადამიანებს; ამიტომ ექცევა იგი მთლიანად „კენინა“ ვარას გავლენაში; ამიტომაც უახლოვდება ცეროდენას.

ვახტანგ კორინთელი კი, როგორც დავინახეთ, სრულიად საწინააღმდეგო მორალისა და მრწამსის ადამიანია. მისთვის ისევე უცხოა ეგოიზმი, როგორც უთვისტომობა, კოსმოპოლიტიზმი; მისთვის არ არსებობს საერთოსაგან იზოლირებული პირადი ბედნიერება; იგი თავის სამშობლოს, ხალხს, ცხოვრებას უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანია. „რა ცოტა რამ უნდა ბედნიერებას ამ ქვეყნად, — ამბობს იგი: — შრომობდე და გიხაროდეს, თვალნათლივ სკვრეტდე მიწის აყვავებას, ლოყებზე გცემდეს მოუღალავი მზის მცხუნვარება და გესმოდეს ამ ფერთა სიუხვით განარებულ მიწაზე ნაბიჯების ჩქამი“.

ეს „ცოტა რამ“, რაც ესოდენ გრანდიოზულია თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით, მიუღწეველია და შეუცნობი მედიკოსათვის, რომლის წარმოდგენასაც ბედნიერებაზე შესანიშნავად ხსნის რომანის ის ადგილი, სადაც აღბეჭდილია მდიდრული გარდერობის ჩარჩოებში მომწყვდეული მისი სული. იგი უდიდესი სევდით დასცქერის ბერმუხაში ჩამოტანილსა და გამზეურებულ თავის აბრეშუმის კაბებს, მაკინტოშებს, ქურჭებსა და მოსასხამებს, რომლებიც მოაგონებენ მას პარიზში უქნარობასა და გართობაში გატარებულ დღეებს, იქაურ სპექტაკლებს, დარბაზობებს, აგარაკებსა და მოგზაურობებს, ფლორტებს, შეხვედრებს და „უქნარა ყოფის“ სხვა „უცილო ატრიბუტებს“*.

* სხვათა შორის, შესანიშნავად არის დაპირისპირებული ამ პასაჟთან სურათი სუსკია მინდელის უბრალო გარდერობისა, რომელსაც იგი ალაგებს ვახტანგთან გადმოსვლისათვის მზადების დროს. მედიკო ვანაძის გარეგნულ ბრწყინვალეობასთან, მის ეგოისტურ-ფუქსავატურ ბუნებასთან, რომელიც რომანისტს მრავალ

ასე, ორი სხვადასხვა თვალთარის დანახული არსი ბედნიერებისა და გახსნილი ერთმანეთის სრულად სპონანალმდეგო ორი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, მოვლენებისადმი, მთელი გარემომცველი სამყაროსადმი.

რაც უფრო ახლო მიდიან ვახტანგი და მედიკო სამშობლოში დამკვიდრებულ ახალ სინამდვილესთან, მით უფრო უიშვლდება მათი წინააღმდეგობრივი ხასიათები და უფრო ნათელი ხდება ამ ხასიათთა შეუთავსებლობა, შინაგანად დაფარული ბრძოლა.

თავისებურად, სიმბოლური ძალით არის გახსნილი ერთ-ერთ პასაჟში ხასიათთა წინააღმდეგობრიობის ეს გაშიშვლება შიშველი სხეულის პარალელური ნახაზის მოშველიებით. ღამით შინ დაბრუნებული კორინთელი თავს წასდგომია მძინარე მეუღლეს. მის თვალთა წინაშე ქათქათებს უცნაური სითეთრით აელვარებული ვაჩნადის ასულის თეთრი შუბლი, ლოყები, მკერდი, მხრისთავეები, გრძელი მკლავები. ხედავს კორინთელი ამ გარეგნულად უზადო სხეულის ელვარებას და მის წარმოდგენაში ცოცხლდება იმ ვეებერთელა კონტრასტის სურათი, რასაც ქმნის სხეულის ამ გარეგნული სილამაზის შეპირისპირება მასში გასუდრულ სულთან. და ერთხელ კიდევ შეიცნობს იგი, თუ რაოდენ უცხოა მისთვის ოდესღაც სათაყვანებელი ეს ქალი, რომლის სილამაზეც ახლა მის შემეცნებაში არაბუნებრივ, არახორციელ მოვლენად ქცეულა.

ან მოვიგონოთ მედიკოსა და ვახტანგის საუბარი ახლად მოასფალტებული გზით მოგზაურობის დროს. მანქანის ფანჯრებიდან მოჩანს თელავის გზის ორივე მხარეს გადაშლილი თვალწარმტაცი სანახები. ორი სხვადასხვა თვალთ არის დანახული ეს მიდამოები

ვალ პასაჟში აქვს მოხატული კონტრასტულად, აქაც დაპირისპირებულია ადამიანის უბრალო მდგომარეობა, გარეგნული სისადავე თუ შინაგანი უშუალობა და მგზნებარე გული, რომლის ყოველი ჩქროლვა საერთო კეთილდღეობას, საერთო საქმეს ხმარდება.

და უკანასკნელ ხანებში აქ მომხდარი განსაკუთრებული ცვლილებები. ვახტანგ კორინთელის გონება ალტაცებით შეიმეცნებს ყოველ სიახლეს და ეს სიახლე მასში განსაკუთრებულ განწყობილებას ჰქმნის, დიდ ენთუზიაზმს ბადებს. მედიკო ვაჩნაძისათვის კი უცხოა ყოველივე, რაც ვერ უთავსდება ეგოიზმის ბუნებას, უკიდურესი ინდივიდუალიზმით გაყენილი მის სულს. ამიტომაც, თუ ერთისათვის მიმზიდველი გამხდარა გარე სამყარო მისი ყველა კონკრეტული გამოვლინებით, მეორეში იგი საწინააღმდეგო, ანტიპატიურ განწყობილებას ბადებს. ახალი მანქანის ქროლვა ახალგუდრონიან გზაზე კორინთელისათვის საამურია ისევე, როგორც სხვა ახალი ცვლილებებით მიღებული შთაბეჭდილებანი ასე რიგად ესიტყვება მთელ მის შინაგან განწყობილებებს. მედიკოსათვის კი ყოველივე ამას ან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ან იგი ხშირად სრულიად საწინააღმდეგო განწყობილებებს აღძრავს მასში. მას აღიზიანებს კიდევ ეს ახალი გზა თავისი სპეციფიკური სუნით, და ამ გზაზე მოყრილი ქვიშის მონოტონური წიკწიკიც მანქანის ქროლვაში. ამიტომაც იგი თუმცა ხედავს, მაგრამ ვერ აღიქვამს ვერც კრამიტით გადაკრიალებულ ახალ სახლებს, მიმზიდველად გამართულ ზვრებს, აყვავებულ ბაღებს და ახალ სკოლებს, ვერც ამ სკოლების ეზოებში გამოფენილ ბავშვთა ყრიამულს. მაშინ, როდესაც ყოველივე ეს აგრე რიგად ელამუნება კორინთელის გრძნობასა და სმენას.

ამ ორი ხასიათის დაპირისპირებით გახსნილია შინაგანი სულეირი მდგომარეობა არა იმდენად ქმარზე გააჯერებული ცოლისა (რომელსაც ასეთი გაღიზიანება, ბუნებრივად, უბიძგებს საწინააღმდეგო განწყობილებისაკენ), არამედ ცხოვრებაზე, სამყაროზე სრულიად სხვა შეხედულების აღამაზნისა. მთელ ამ კონკრეტულ დაპირისპირებაში მხატვარი ერთხელ კიდევ ძლიერად უსვამს ხაზს ორი სხვადასხვა სულისა და იდეოლოგიის აღამაზნითა წი-

ნააღმდეგობრივ ხასიათს და ამხადებს მათი აუცილებელი გათიშვის აუცილებლობას.

როდესაც ხასიათთა ეს წინააღმდეგობა უკიდურესად იძაბება (დეიდასთან ერთ-ერთ საუბარში მედიკო გულახდილად აღიარებს: „მე შემძულდა კიდევაც ჩემი ქმარი და აღარც მას ვუყვარვარ უკვე“), დგება ამ „კურონულ პანტომიმად“ ქცეული ურთიერთობის ლოგიკური დასასრულიც.



ჩვენს ყურადღებას იქცევს ზემოაღსანიშნავი რომანების ფართობილითი კონცეფცია, საერთოდ დამახასიათებელი თანამედროვე ფართო პლანის პროზაული ეპოსისათვის.

აქ ერთმანეთს ეხამება, როგორც თავისთავად გრანდიოზულ ისტორიულ მოვლენათა (ახალი ყოფის დამკვიდრება, საკოლმეურნეო მშენებლობა, სანამულო ომის დიდი მასშტაბები, კლასთა ბრძოლა და ა. შ.) ხატვის, ისე მცირე, ხშირად სხვა თვალისათვის შეუმჩნეველი ფაქტების (მრავალი დამახასიათებელი დეტალის გამოტანა გმირთა და პერსონაჟთა პირადი ცხოვრებიდან, ყოფაცხოვრებითი შტრიხები და სხვ.) აღქმის მანერა. ეს მანერა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპს: როგორც დიდ მოვლენებში, ასევე „მცირე“ ფაქტებში აქ ნაპოვნია მათი მთავარი შინაარსი და ისინი დაქვემდებარებულია მონუმენტური ხილვის ერთიანი ამოცანისადმი. მწერალი როგორც დიდში, ისევე მცირედშიც ხედავს მთავარს, დამახასიათებელს. ამიტომაც მისი „მცირე“ დეტალები და ფაქტები — არიან ისინი ფსიქოლოგიური, ყოფაცხოვრებითი თუ სხვა ხასიათისა — ძირითადად, ისეთი აუცილებელი „მასალა“, რომელსაც აგრეთვე ეყრდნობა გრანდიოზული მონუმენტურის ხატება. გარდა

ვიორგი მერკვილაძე

ორი ბედი



ზოგიერთი გამონაკლისისა, კ. გამსახურდიას დიდი რომანების კომპოზიციურ-სიუჟეტური დეტალები გააზრებულია, როგორც სინამდვილის გასხნის, ამასთან, მისი ტიპური რთული ისტორიული, სოციალური თუ ფილოსოფიური შინაარსის მონუმენტურ-გრანდიოზული ხატოვანი წარმოქმნის საშუალება. ამიტომაც ვხედავთ ჩვენ აღნიშნულ რომანებში ფართო ეპიკური ხატვის მანერის შეხამებას ადამიანთა ყოფაცხოვრების „მცირე“ დეტალების, მათი ფსიქოლოგიური ცხოვრების ერთი შეხედვით თითქოსდა „უმნიშვნელო“ ფაქტების ძიება-გამომზეურებასთან (ეს ნიშანდობლივია მისი ისტორიული რომანებისათვისაც!). ამით აღწევს რომანისტი შექმნას ფართო მოცულობის ეპიკური ტილოები, რომელთა გმირების, პერსონაჟების, სახეების სიუჟე გაპირობებულია მრავალპლანიანობით, ფართომასშტაბურობით, გამოხატვის საგნად აღებული მოვლენების ისტორიული მნიშვნელობითა და რთული ხასიათით, რაც თავის მხრივ მოითხოვს მხატვრულ საშუალებათა რთულ კომპლექსს.

„მთვარის მოტაცებისა“ და „ვახის ყვავილობის“ ფართო მასშტაბურობა იმითაც არის საინტერესო, რომ მხატვარი არ შემოიფარგლა მხოლოდ ქართული კონკრეტული ეროვნული მასალით. ორივე აღნიშნულ რომანს მან ფართო ფონი მისცა. მათი ძირითადი ტენდენციები, ძირითადი იდეა რომანისტმა გაიტანა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმაც და შექმნა მათი გრანდიოზული საყოველთაოების მხატვრული წარმოსახვა.

ამ ფართო ტილოებზე ჩვენ ვხედავთ არა მარტო უცხოეთში მოხეტიალე ჯამსულ ემხვარის ან რევავ ვაჩნაძის და მათი ბედის ადამიანთა მკაფიოდ მოხატულ ფიგურებს, არამედ საერთაშორისო რეაქციის ძალებსაც და ძველი ყოფის მთელ გადაგვარებულ თა-

ობებს, რომელთაც უკანასკნელი აგონიის ვითარებაში ერთი ძირითადი ტენდენციით განაწყობს ახალი ძალებისადმი მძაფრი სიძულვილი ან იმედგაცრუების სიმწარე.

აღნიშნული რომანების ორბიტაში მოქცეულია გერმანიის, ინგლისის, ამერიკის, იაპონიის რეაქციული წრეების მოქმედებისა თუ დასავლეთის ძველი ყოფის ამსახველი ბევრი საინტერესო პასაჟი, რომელთა შემწეობით წარმოსახულია ორი სამყაროს ანტაგონიზმი, მოცემულია მათი მკვეთრი დაპირისპირება.

ჯამსულ ემხვარის, რევავ ვაჩნაძისა და სხვ. ხვედრის ჩვენებისას ჩვენ პარალელურად ვხედავთ კოლონიური ხალხების წინააღმდეგ მებრძოლ იტალიელ ვიქტორ ემანუელსაც და აღმოსავლეთ ევროპის რეაქციის ერთ-ერთ მამამთავარს პოლონელ პილსუდსკისაც; ვგებულობთ კოპენჰაგენის რეაქციული წრეების ზრახვებსაც და რიფთა აჯანყების ჩასახშობად ფრანგი კოლონიზატორების მხეცური მოქმედების ამბებსაც; რომანის ფურცლებიდან გვესმის ლოიდ ჯორჯის „პითიასებური ლულულდიც“ და ჰინდენბურგის რევანშისტული მუქარაც; ვეცნობით კირილე რომანოვის პარიზულ „ბუტაფორულ სასახლესაც“ და ინგლისელ ჯონსონ ხიკის საექსპედიციო კორპუსის ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის მომზადების დეტალებსაც; ვგრძნობთ ფრანგი და იაპონელი მილიტარისტების ათი ათასი სამხედრო თვითმფრინავითა და ძლიერი საბრძოლო დრედნოუტებით გამოწვეულ ფსიქოზს ომისა; ვტყობილობთ ამერიკელ იმპერიალისტთა ზრახვებს, ვეცნობით ჰიტლერის კაცთმოძულე თეორიებს და განვიცდით ფაშისმის მიერ გაჩაღებული გამანადგურებელი ომის საშინელებებს; ჩვენს წინაშე იშლება იაპონელი ჯაშუშის მზაკვრობის ამბები თუ მილიონთა ხელებით შექმნილი დოვლათის მხეცი დამტაცებლების — გერმანელი შტაინბახის, ინგლისელი საიმონის, შვეიცარიელი შტოლ-

ბერგისა და ჰოლანდიელი ვან ჰოვენის ნამდვილი ყაჩაღური ბუნება; ერთგვარად, დანახულია ფრანგი ბანკირის დემასპეროს სულიც და ნაჩვენებია სიტროენის ქარხნის საამქროებში შექმნილი მდგომარეობაც.

და ამგვარად, სულ უფრო ფართოდება მთელი ძველი სამყაროს სულის გამომხატველ პერსონაჟთა გაღერვა. ასპარეზზე ჩნდებიან რომის პაპიც თავისი ჯვაროსნული ლაშქრობების იდეებით და ქართველი მენშევიკებიც საქართველოს „განთავისუფლების“ თავიანთი გაკოტრებული გეგმებით.

მხატვარი ააშკარავებს სიყალბეს კოლონიზატორთა მიერ შეთხზული მითისა შავ და ყვითელკანიანთა ქვეყნებში თითქოსდა „განათლების“ შეტანის „კეთილშობილური მისიის“ შესახებ; ნათელჰყოფს ამ მისიის ნამდვილ შინაარსს მადამ ვიტელის სეიფებში ასე მონდომებით ჩაკეტილი, ბეიბინიდან. ბომბეიდან, სტამბოლიდან, სმირნიდან მიტაცებული, ძველი ხელოვნების უნიკალური ნიმუშებისათვის შუქმიფენით. ამავე მიზნით აწივლებს მწერალი „თავმოტველებილი, ჯუჯა, ღიბიანი, მოკლეფეხება“ მუსიო რიშეპენის გაუმადლარ სულსა და მხეცურ ინსტრქტებს.

ჩვენ ვხედავთ რომანთა ფურცლებიდან აღმდგარს იეზუიტი და დომინიკანელი ფანატკოსი ბერების მთელ ლაშქარს თუ სხვადასხვა სექტანტურ-პროტესტანტული მასონური ორგანიზაციების მთელ წყებას, თავისი არსით მიმართულს სიბნელისა და უვიცობის დამკვიდრებისაკენ.

დაბოლოს, მკითხველის წინაშეა კიდევ ერთი ჯგუფი ადამიანებისა (ელენ რონსერი, ანა მარია ფესტნერი, ელზე ფაილერი, ანტუანეტე გრიზონი, მის ჰემილტონი, ელვირა ფოკონიერი და სხვ.). მათი, ისევე როგორც „კოლხეთის ასულის“ ხელის მამიებელთა (პარიზელი ბანკირები თუ იტალიელი გუდამშიერი ბარონები, ამერიკელი ბიზნესმენები თუ ფრანგი ლოველასები, სნოუდენები თუ შარკუტიეები) სათავადასავლო — „პიკანტური“ ისტორიე-

ბით გააშკარავებულია თანამედროვე გადაგვარებული ბურჟუაზიული მთროლისა და დაცემული ზნეობის ^{მარტინული} ტრეპნული რი ნიშნები.

ასეთი დამოკიდებულება ცხოვრების მასალისადმი, სინამდვილის მხატვრული აღქმა მისი კლასობრივ-სოციალური წინააღმდეგობებით, ახალი იდეებისა და ახალი ყოფის დაპირისპირება ძველის, დრომოჭმულისა და გარდასულის თუ გარდამავლისადმი, აგრეთვე ახალი კომუნისტური ფსიქოლოგიის გახსნა მისი მიზეზობრივ-შედეგობრივი ასპექტით, ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საბჭოთა პროზაული ეპიკური ნაწარმოების სიუჟეტურ-კომპოზიციურ ორიგინალობას, სიახლეს. ეს სიახლე ბევრი თანამედროვე რომანის ანალიზის დროს მართებულად არის შენიშნული ამ ბოლო დროს მთელი რიგი საბჭოთა ლიტერატორებისა და ლიტერატურის-მცოდნეების მიერ (ბ. ბურსოვი, ს. კასტორსკი, გ. ბერეჟკო, ტ. ტრიფონოვა, გ. ბელაია და სხვ.), რომელთაც ბევრი საბჭოთა რომანის იდეურ-მხატვრულ თავისებურებად მიაჩნიათ ცხოვრების რევოლუციური განვითარების ტენდენციის დიდი სიმართლის დაცვა, სოციალური ცხოვრების დიალექტიკას დამყარებული კონფლიქტი, როგორც სიუჟეტის მამოძრავებელი ტენდენცია და ა. შ. ეს შემდგომი განვითარებაა იმ ხაზისა, რომელიც შექმნა სოციალისტური რეალიზმის რომანმა მისი გამოჩენის პირველი პერიოდიდანვე და რომელიც, თავის მხრივ, აგრძელებდა და ავითარებდა კლასიკური რეალისტური რომანის შესანიშნავ ტრადიციებს. ჩვენს რომანს ხომ, ჯერ კიდევ განსაკუთრებით ლ. ტოლსტოის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად გამსჭვალავს „სინამდვილის ძალიან ფართო, საყოველთაო სახალხო ჩვენების დემოკრატიული პრინციპი“ (გ. ბერეჟკო).

თავის ორივე რომანში კონსტანტინე

გიორგი მერკვილაძე
ორი ბელი

გამსახურდია შეეხო საერთაშორისო ცხოვრების ბევრ საკვანძო პრობლემას; ასეთი თემატური სიუხვე, ტიპების, პერსონაჟების სიმრავლე ბუნებრივად მოითხოვს ფართო „ტეკადობის“ რომანს, ისეთს, როგორც ოცნებობდა, მაგალითად, პ. პავლენკო, რომელიც აღნიშნავდა: „თახამედროვე სოციალისტური რომანის უშინშვხელოვანესი პრობლემაა ახალი ტეკადობის გამოჩენა. საჭიროა ისეთი სტრუქტურის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ბევრი რამ გვეთქვა ბევრზე“.

პრობლემათა სიუხვემ, თემების სიმრავლემ, უმნიშვნელოვანესი ისტორიული პერიოდების მხატვრული აღქმისადმი სწრაფვამ, საზოგადოებრივი განვითარების შეტად მწვავე საკითხების გაშუქებამ და დიდმა მასშტაბებმა მრავალპლანხიანობის ფართო დიაპაზონი მისცა კ. გამსახურდიას ზემოაღნიშნულ რომანებს.

„მთვარის მოტაცებისა“ და „ვაზის ყვავილობის“ თემატიკურ პრობლემატიკაში წამოჭრილია, მაგალითად, ისეთი მთავარი საყოველთაო პრობლემა და მოცემულია მისი მხატვრული გადაწყვეტის გაბედული, ორიგინალური ცდა, როგორცაა ომისა და მშვიდობის საკითხი. ამ თემის ნაირსახოვანი ხილვა ისე დიდია, რომ რომანისტს შეუძლებელი გადაწყავს როგორც შორეულ წარსულში (მოავრუნებს მას პომპეუსის თუ მაკედონელის ლაშქრობებს, მაკაბასისა თუ ალა-მაჰმად-ხანის სისასტიკეს), ასევე, უფრო მახლობელ დროსაც მიანიშნებს ნაპოლეონის მარშლის მიურატის გახსენებით და პირველი მსოფლიო ომის საშინელებებსაც აღიქვამს სვანი მურზას თავგადასავალში. შემდეგ იშლება კონდენსირებულად შეკრული სიტუაციები ახალი ხოცვა-ჟლეტის მომზადებისა (მილიტარისტული ევროპის ბობოქრობა, ჰიტლერის მუქარა, იარაღის ავბედითი ყლარუნი; ლონდონის, პარიზის, ბერლინის მთავრობათა ნოტებისა და დეკლარაციების მშფოთვარე შინაარსი მოაქვს ბერძენ-

ხაში მრავალი ათასი კილომეტრის კორინთელის რადიომიმღებს; შემდგომი თემატური სულის რხევაა ბერძენული დარაჯის მათეს ნაღვლიან შეკითხვებში მოსალოდნელი ომის თაობაზე; მას ხომ ორი შვილი პირველ მსოფლიო ომში დაუკარგავს და ახლა ერთადერთ ვაჟს შესჩერებია ბერიცაქი). და აი ომიც; რადიოს პირველი შემზარავი ცნობა, რომელიც „დამდულ-რულივით“ წამოვადებს ლოგინიდან ვახტანგ კორინთელს. შემდეგ — გოდერძის, სოლომონის, ანდროს და სხვათა წასვლა სოფლიდან და გაზეთებით ან ფოსტალიონ გეოს მიერ მოტანილი წერილებით გაგებულნი ამბები ბერძენულთა გამირობისა თუ ტრაგიკული ბედისა. რომანში შემოდის მთელი რიგი პასაჟები, სცენები და ისტორიები მეორე მსოფლიო ომისა, რომლებიც ხილულია შორეული ზურგიდან და რომელთაც ენაცვლება აქ — ბერძენულში დატრიალებული საინტერესო ამბები.

ომის ამსახველ პასაჟებში განსაკუთრებული დინამიკურობით სცვლიან ერთმანეთს სხვადასხვა სიტუაციები, მოვლენები, ხასიათები. აქ გამოყენებულია მოვლენათა მონაცვლეობის მანერაც და პიროვნებათა სულში წვდომის, მძაფრი ფსიქოლოგიური გახსნის ხერხიც; უშუალო რეალისტური ხატვის ასპექტიც და რომანტიკულ-სიმბოლური მონახაზიც.

ომის გრანდიოზული მასშტაბების, მისი საყოველთაობის და სიმძიმის აღქმა რომანში განხორციელებულია ორიგინალური მანერით: მონაგარიშე გამეზარდაშვილის დაღუპვით ბელორუსიაში, კოლმეურნე ძმების მირიანაშვილების სიმამაცით უკრაინაში, სამი ძმა გოდერძიშვილის ტრაგედიით ფინეთის ფრონტზე, გოდერძის თავგანწირვით კავკასიაში და ბურჟინსკის მამაცური სულის ხილვით თუ ფაშისტთა ტანკების ამფეთქებელ კაპიტან ჯორჯაძისა და მრავალ სხვათა რთული ბედის ჩვენებით. მრავალგვარი განწყობილებისა და ჩვევების ხალხს

ხედებიან რომანის გმირები ფრონტზე თუ საკონცენტრაციო ბანაკის რთულ ვითარებაში (მელოტი ინგლისელი და მწითელი ელზასელი, ნიდერლანდელი შავგვრემანი ვაჟკაცი და მოლაღატე ვალტერი, პერანგშემოფხრეწილი პოლონელი და საბანწამოსხმული ფრანგი, უწვერო შვეიცარიელი ბიჭი და კავკასიელი წიკლაური...). ამ თავისებური კინეტიკურ-კონტრასტული მანერით მოხატულ მასობრივ სცენებში დანახულია ბევრი ხალხი მათი უდიდესი ტრაგედიით თუ ურჩხულს შეჭიდებული მამაცური სულით.

ჰიტლერული ომის კაცთმოძულე ხასიათი რომანში ორიგინალურად არის გახსნილი „გიყების იროდის“ — გაცოფებული ნაცისტი პროფესორის შტამლერის (მამა) — კლინიკის კედლებში ჩადენილ საშინელებათა შემზარავი სურათებით. პროფესორი შტამლერი ის ბოროტი სულია ნაცისმისა, რომლის ჯოჯოხეთურ ბარბაროსობაში ტიპურ გამოხატულებას პოულობს მთელი ერების უღმობელი გაყლეტის ფაშისტური გეგმები.

რუდოლფ შტამლერის (შვილი) აღსარებით დანახულია ბედი გერმანიის ინტელიგენციისა, რომელიც ჰიტლერმა ომის ქარცეცხლში შეჰყარა და მსოფლიო ცივილიზაციას დაუპირისპირა. შტამლერის ამ აღსარებაში რომანისტი იყენებს მებრძოლი პუბლიცისტიკის ელემენტებს, რომელნიც მას ორგანულად შეურწყავს ხატოვანი მეტყველება-აზროვნების ქსოვილთან.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის არსის გამოხატვა და საბჭოთა ადამიანების გმირული სულის ხილვა „ვაზის ყვავილობაში“ ხშირად სქემატიზმის დაღს ატარებს.

ჩვენ, ცხადია, ვითვალისწინებთ, რომ ომის პრობლემა აქ დაქვემდებარებული თემაა და არა ძირითადი. იგი იმდენად ესაპირობება მხატვარს, რამდენადაც რომანის გმირების დიდი გზა

ამ ომის ქარცეცხლშიც ვაივლი. ამიტომაც შესაძლებელი იყო მისი მეორე პლანში გადატანა და დაშორებული

ექსპოზიციური გამართვა. მაგრამ რომანისტმა აირჩია ომის მთელი მრავალმხრივი პრობლემის უშუალო გადაწყვეტა და აქ თითქოს არაფერია დასავლობი, რომ ომის ამსახველი ადგილები რომანში სხვა თავების თანაბარწილი მხატვრული სიძლიერით იყოს დაძლეული. საქმე ის არის, რომ რომანის ომის თემისადმი მიძღვნილ თავებში ხშირად ირღვევა ის შინაგანი კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს, ერთი მხრივ, გმირის, პერსონაჟის ფსიქიკასა და, მეორე მხრივ, მოვლენას, ფაქტს შორის. ამბავი, მოვლენა რომანში ზოგჯერ შიშვლად არის წარმოდგენილი და ჩვენ ვერ ვხედავთ, რა გავლენას ახდენს იგი ადამიანის სულზე, როგორ აისახება გმირის ფსიქიკაში. ამიტომ არის, რომ „ვაზის ყვავილობის“ ავტორს სქემატიზმისა და უფერულობის ელემენტებიც შემოეპარა საერთოდ მდიდარ-მხატვრული ფერებით გამართულსა და მრავალწახნაგოვანი დიდი შინაარსით ამეტყველებულ ეპიკურ ტილოზე.

მისი ეს დიდი შინაარსი კი გამოვლინდა, გარდა ზემოთხსენები პრობლემებისა, ისეთი თემების მხატვრულ გადაწყვეტაშიც, როგორცაა კულტურისა და ხელოვანის ბედი და ადამიანის სულის, მისი მორალის შერყვნა ბურჟუაზიულ დასავლეთში; ბურჟუაზიული „დემოკრატიული“ პარტიების გადაგვარება და იდეური გაკოტრება; ერების პრობლემა და კოსმოპოლიტიზმის სენით დაავადება უცხოეთში; კოლონიალიზმის მხეცური არსი; ოქროს მიერ დამონებულ ადამიანთა მხეცური ინსტინქტები და სრული გადაგვარება და ა. შ.

მთელი ეს ვეებერთელა გაღერება მხატვრის მიერ დანახულია, როგორც წარმავალი სამყარო თავისი განწირული სულით. იგი აღქმულია ერთ მთლიან კომპლექსად თავისი მრავალი დამახასიათებელი დეტალით თუ ძირითა-

გიორგი მერკვილაძე
ორი ბედი

დი ტენდენციით. თვალსაჩინო ლაკონურობით და კონკრეტულ ნიშანთა მკვეთრი ხატვის მანერით შესრულებული მთელი ეს პასაჟები თუ სცენები ორგანულად ერწყმიან ერთ მთლიან იდეას— ახლის მიერ ძველის ლოკალიზების და მისი თანდათანობითი დეგრადირებისა და მოსპობის იდეას.

ამასთან, არ შეიძლება თვალში არ მოგვხდეთ ერთგვარი ცალმხრივობა საზღვარგარეთის ცხოვრების ხატვისას. მთელი ამ ცხოვრების წარმოდგენა მხოლოდ უარყოფითს ასპექტში თვალსაჩინოდ ვნებს კ. გამსახურდიას ორივე რომანს.

აქაც, რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რომანისტიც ამოცანას არ შეადგენდა უცხოეთის ყოფის ყოველმხრივი ჩვენება. ამ მხრივ იგი უთუოდ შეზღუდული იყო. მან ეს ყოფა გამოიყენა, ერთ შემთხვევაში, თავისი გმირების (ვახტანგ კორინთელი, ზურაბ არადელი და სხვ.) შინაგანი ბუნების საპირისპირო ფონად, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ამ გმირთა (თარაშ ემხვარი, მედეა ვაჩნაძე, კაროლინა შარვაშიძე და სხვ.) სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების პროცესის ჩვენებისათვის. მაგრამ მაინც არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ თანამედროვე საზღვარგარეთისადმი მთლიანად ასეთი ნეგატიური განწყობა, მით უმეტეს, რომ ძველსა და ახალს შორის ბრძოლა იქაური მძაფრი ანტაგონიზმის პირობებში განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება.

ეს ისევე უმართებულოა, როგორც „ვაზის ყვავილობის“ დადებითი გმირის ვახტანგ კორინთელის პირით გაცხადებული ძაგება ყოველივე ამერიკულისა: „რაც შეეხება ამერიკას — ამბობს ერთ-ერთი საუბრის დროს კორინთელი, — მას არც ისე დიდი კულტურა აქვს, არც მხატვრობა გააჩნია, არც მუსიკა. თუ თქვენ დამისახელებთ ორიოდ ამერიკელ დიდ მწერალს, ესენი ინგლისური ლიტერატურის ინერციის გამომჟღავნებაა და სხვა არაფერი... ეს უს-

ტილო, უწარსულო ქვეყანა, ენაბრუნული ბაბილონი, თავის მრავალსაბრუნოლიან ქორედებზე წამოყუნებული მამაყად გადმოსცქერის ყველას, ვისაც უოლ სტრიტი და ბრუკლინის ხიდი არ უნახავს“.

როგორ მკვეთრად გამოსქვივის ამ ქედმაღლური თუ ნილილისტური ტონი, რაც ზოგ შემთხვევაში დამახასიათებელია კ. გამსახურდიას ნაწერებისათვის!

კ. გამსახურდიას რომანების თვალსაჩინო ნაკლად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ეროტიზმის ერგვარი გამოვლინება განსაკუთრებით „მთვარის მოტაცების“ მთელ რიგ პასაჟებში (ეროტიზმის გავლენით არის დაწერილი თარაშ ემხვარის დღიურების ბევრი ადგილი; ეროტიული ხილვის ასპექტი გადატანილია ცხოველთა სამეფოზეც). საერთოდ, ამ მხრივ კ. გამსახურდიას რომანებში ფროიდიზმის ერთგვარ გამოვლინებასაც კი ვამჩნევთ.

ტენდენცია ძველის, გარდასულისა და წარმავალის მკვეთრი ფერებით ხატვისა საერთოდ ნიშანდობლივია კ. გამსახურდიას ორივე რომანისათვის და ამ მხრივ სასაყვედუროც არაფერი იქნებოდა, რომ ასეთი შთამბეჭდავი და ძლიერ—ხატოვანი იყოს მთელი ის ხაზი, რომლითაც ნაჩვენებია ახლის ზეცვა. ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ამ საკითხს, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ერთგვარად დარღვეულია დადებითი და უარყოფითი ტენდენციების რეალური პროპორციული შეპირისპირების ის პროცესი, რომელიც ფაქტიურად ახასიათებდა 20—30-ანი თუ 30—40-ანი წლების ჩვენს სინამდვილეს. რასაკვირველია, კ. გამსახურდიას თავის აღნიშნულ რომანებზე მუშაობის პროცესში ეყრდნობოდა ადამიანთა ხასიათების გახსნის იმ პრინციპს, რომელიც მოითხოვს მათი რთული შინაგანი სულის ყოველმხრივს ჩვენებას. ამ პრინციპზე მიუთითებდა ა. ტოლსტოი ჯერ კიდევ ოციან წლებში, როცა ამბობდა: „რომანში (ლაპარაკია მის ცნობილ ტრილოგიაზე. გ. მ.)

მე ვიღებ ცოცხალ ადამიანებს ყველა მათი სისუსტით, მთელი მათი სიძლიერით, და ეს ადამიანები აკეთებენ ცოცხალ საქმესო“. მაგრამ ამ პრინციპის გამოყენების დროს არასოდეს არ უნდა გვაეიწყებოდეს პროგრესული ახლის ძლიერ გამოხატული მთავარი ტენდენცია და ნისი ძალები. ხომ ფაქტია, რომ ახალი ძალის, ახალი ყოფის განმხატოვნებელი გმირები, პერსონაჟები, ხასიათები კ. გამსახურდიას აღნიშნულ რომანებში ვერ არიან ამოქმედებულნი ისეთივე ძლიერი შინაგანი ძალით, როგორითაც, ვთქვათ, საჩხაშვილი და თამარ შარვაშიძე, გვანჯ აფაქიძე და აბრია უჯირაული. ხატვის დროს საღებავთა პროპორციული განაწილების ეს დარღვევა განსაკუთრებით „მთვარის მოტაცებაში“ იგრძნობოდა. მაგრამ „ვაზის ყვავილობაშიც“ ახალი თაობის ბედის ტიპიურ გამომხატველთა — გოდერძი ელანიძის, ნუნუ უჯირაულის და სხვათა პორტრეტები შედარებით მკრთალია.

მინც, ახალი ცხოვრების, ახალი ფსიქიკის ადამიანთა ბევრი ნიშანთავისებურება აქ ხშირად ძლიერი ხატოვანი ძალით არის აღქმული. დადებითი გმირების ხატვის პროცესშიც ავტორი თავის რომანში, ძირითადად, იყენებს სახეთა ფართო პლანით გაშლის მისთვის ჩვეულ მანერას, რომელიც ეხმარება მას გახსნას მთლიანი ხასიათის სირთულე როგორც მისი მთავარი, ძირითადი ნიშნების ხაზგასმული აქცენტაციით, ასევე ყოფაცხოვრებითი თუ ფსიქოლოგიური დეტალების გააშკარავებით.

ჩვენ ზევით ერთგვარ პარალელსაც ვაკლებდით არზაყანსა და გოდერძის, ძაბულისა და ნუნუს შორის და ვხედავდით მათ ახალი ისტორიის სხვადასხვა ეტაპების ვითარებაში. საერთოა მათი ბედი და ასევე საერთოა მათი ადგილიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთია ის პათოსი, რომელიც საგმირო საქმეებისათვის აღან-

თებს თვითმეულ მათგანს და ერთი მათი იდეური მრწამსი, თუმცა სხვადასხვაა რომანებში დახატულად ლოკალი.

არზაყან ზვამბაიასათვის უდიდეს გამოცდას წარმოადგენს ბრძოლა ოცდაათიანი წლების კლასობრივი მტრისა და ძველი მახინჯი ტრადიციების წინააღმდეგ. იგი გამარჯვებული გამოდის ამ ბრძოლაში. ძველ ჩვევებთან და სამშობლოს მტრებთან სასტიკი შეჭიდება გამსჭვალავს გოდერძი ელანიძის ცხოვრებასაც. მაგრამ ეს უკვე ორმოციანი წლების გმირია, სხვა ვითარებაში მოხვედრილი. მისი გმირული პათოსი ვლინდება არა იმდენად ახალი სოციალური ურთიერთობების დამკვიდრებაში, რამდენადაც ამ ურთიერთობათა, ახალი ყოფის შემდგომს განმტკიცებასა და საერთაშორისო რეაქციის ძალებისაგან მის დაცვაში. იგი უშუალო მონაწილეა, როგორც ბერძენ-გველეხთის განახლებისა, ისე ფაშისმის წინააღმდეგ ხალხთა საერთო ბრძოლისაც.

ასე თანდათან იჭედება მისი ხასიათი და დამოკიდებულება მოვლენების, ადამიანების, მთელი ცხოვრებისადმი. რთულია მისი, როგორც შრომისა და ბრძოლის ჰეროიკით აღსავსე ადამიანის, ბედი, რომელიც დაკავშირებულია დაბრმავებული, მაგრამ გამჭრიახი და კეთილგონიერი პაპა მიქელას თუ ცხოვრების მდიდარი ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი, ჰუმანიზმით გამსჭვალული და ახალგაზრდული შემართებით ანთებული ვახტანგ კორინთელის ბედთან; ცხოვრების მიერ ამოძრავებული და გმირად ქცეული, უქრობი ოპტიმიზმის ძალით გამსჭვალული სოლომონ გულუხაიძისა თუ მასავით გაჭირვებაში აღზრდილი და ათასგვარ დაბრკოლებას მამაცურად შეჭიდებული ნუნუ უჯირაულის მდგომარეობასთან.

გიორგი მერკვილაძე
ორი ბედი

გოდერძი ელანიძის სახეში განხატუ-
ბულია ქართველი გლეხის უტეხი ნე-
ბა, დიდი სული და შრომისადმი გან-
საკუთრებული სიყვარული. იგი იმ
გარდასულ თაობათა ღირსეული შთა-
მომავალია, რომლებიც ჯერ კიდევ ყი-
ზილბაშთა ურდოებს ერკინებოდნენ და
არავის მოასპობინეს „ბერმუსხაში ვა-
ზის გასაგისი“. მისი პირადი ცხოვრება
ექვემდებარება ხალხის საერთო ბედ-
ნიერებას, საყოველთაო საზოგადოებ-
რივი კეთილდღეობისათვის ბრძო-
ლას (გაგინსენოთ ამბავი მისი სახლი-
სა, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა
საერთო საქმეებისაგან მოუცლელო-
ბის გამო).

როგორც არზაყან ზვამბაიას გამოჩე-
ნით იწყება „მთვარის მოტაცება“, ასე-
ვე გოდერძი ელანიძის კოლორიტული
ფიგურა წარმოდგება „ვაზის ყვავი-
ლობას“.

ჩვენ ეს არ მიგვაჩნია შემთხვევი-
თად. მხატვარი ორივე რომანის პირ-
ველ ექსპოზიციურ სურათებში ეპიკუ-
რი თხრობის სადავეს როგორღაც თით-
ქოს სიმბოლურად გადასცემს ახალი
ცხოვრების შემოქმედ აქტიურ ახალ-
გაზრდა ადამიანებს და ამით ერთგვა-
რად ხაზს უსვამს კიდევ თავისი რომა-
ნების ერთ-ერთ მთავარ ტენდენციას.

რომანთა ფინალებშიაც არზაყანისა
და გოდერძის განსაკუთრებული პერს-
პექტიული ძალა ხილვაც ასევე შემ-
დგომი კანონზომიერული განვითარე-
ბაა ახალი სინამდვილის ამ ტენდენ-
ციისა.

„მთვარის მოტაცებაში“ რომანისტმა
სცადა პარტიული ხელმძღვანელის ტი-
პის დახატვა. მაგრამ მისი ჩალმაზი
ფერმკრთალი და ერთგვარად ტრაფა-
რეტულიც გამოვიდა. იგი ჩვენ ვერ ვი-
ხილეთ მოქმედებაში. მისი პრინციპუ-
ლობა, საქმიანობა მხოლოდ ავტორი-
სეულ რემარკებში ან დეკლარაციუ-
ლი განცხადებებით იყო გააშკარავე-
ბული.

„ვაზის ყვავილობაში“ ამ მხრივ მწე-
რალმა საყურადღებო ნაბიჯი გადად-
ვა. რაიკომის მდივანი ციხისთავი აქ

დახატულია კოლორიტულად. ცრუ-
ლად, ცოდნით, როგორც ტიპური
პარტიული ხელმძღვანელი პრინციპუ-
ლობა, მთავარი მისთვის არის პრინციპულო-
ბა, მოქმედება, ახლის შეცნობა და მის-
თვის მხარდაჭერა, ხალხთან კავშირი,
ხელმძღვანელობის უნარი.

ნუნუ უჯირაული თავისი მდგომარე-
ობით უფრო აქტიური და რთული სა-
ხეა, ვიდრე ძაბული. მათი ბედიც ერ-
თია და მათი მომავალიც ერთი კუთხით
არის დანახული, მაგრამ უჯირაულის
მთელი ცხოვრება სასტიკი გამოცდაა
მიმე განსაცდელში მოქცეული ქალი-
სა. მისი არსება შესჭიდებია როგორც
თავისი გვარისა და სისხლის ძველ
ადამიანთა ცრურწმენას, ბნელ ტრადი-
ციას თუ ხულიგურ ძალადობას, ისე
ჯერ ოზლად და შემდეგ უქმროდაც
შთენილი ქალის მწარე ხვედრს.

ქეთუა-კანკრე-აბრია-კობერძის წი-
ნააღმდეგობას, სოფლად დარხეულ
ჭორს თუ ძვირფასი ადამიანის დაღუპ-
ვის ცნობას, მიღებულს ფრონტიდან,
ეს ერთ წელიწადში გაქაღარავებული
ქალი უპირისპირებს სიცოცხლისადმი
სიყვარულის, სპეტაკი რწმენისა და ქა-
ლური ამტანიანობის ძალას, რომელიც
ავრე რიგად გაუძლიერებია მასში ახა-
ლი ცხოვრების ნათელ სიმართლეს.

ტყუილად როდია რომანში განხორ-
ციელებული მისი ხვედრისა და სუსქია
მინდელის ბედის მონათესაობის პარა-
ლელური ხილვა. ამ ორი სახით განსა-
კუთრებით მევეთრად არის გახსნილი
ქართველი ქალის დიდი ზნეობრივი
სისპეტაკე, მგზნებარე გული, მისი შე-
უბღალავი გრძნობა მეგობრული ურ-
თიერთობისა, მაღალი შეგნება დედისა
და მოქალაქის მოვალეობისა.

სუსქია მინდელის მთელ საინტერე-
სო ოპტიმისტურ-ტრაგიკულ ბიოგრა-
ფიაში დანახულია ცხოვრება თავისი
ხალხის უსაზღვროდ მოსიყვარულე ინ-
ტელიგენტი ქალისა, რომელმაც მთე-
ლი მისი სიცოცხლის მანძილზე ბედის
უკუღმართობას დაუპირისპირა უდიდე-
სი მოვალეობის გრძნობა. ეს გრძნობა
დაატარებს მას ძნელად მოსათოკავ

გზებსა თუ ბილიკებზე, გადაალახვი-
ნებს უამინდობის თუ უგზობის სიძ-
ნელებს; ეს გრძობა მოიყვანს მას
ბერძნულში და იგივე გრძობა დაატო-
ვებინებს თვითონ მიძივე ავადმყოფს
ახლადშობილი ბედნიერების თავშესა-
ფარს, რათა სხვას შეუმსუბუქოს ავად-
მყოფობით მიყენებული მიძივე ტკივი-
ლები.

რაოდენი ენერგია და სითამამე, კდე-
მამოსილება და სიყვარული დაგუბე-
ბულა ამ ქალის სულში და როგორ
არის ყოველივე ეს შერწყმული თავ-
დადების გრძობასთან!

მისი მოქმედებით განხატებულია
ქეშმარიტი თავგანწირვა სიცოცხლისა-
თვის. ნუნუ უჯირაულის პატარა მიქე-
ლას გადარჩენას ეწირება ეს დიდი სი-
ცოცხლე.

და ჩვენს წინაშე იშლება კიდევ ერ-
თი პარალელური ხაზი ამჯერად უკვე
მკვეთრად დაპირისპირებული ხასიათე-
ბისა. როგორც კორინთელსა და ემ-
ხვარს შორის გავლებული პარალელი
გვიჩვენებს ორი ბედის სხვადასხვაგვარ
აღსასრულს, ასევე სუსქია მინდელისა
და მედიკო ვაჩნაძის ცხოვრებაშიც და-
პირისპირებულია ორი სხვადასხვა სუ-
ლის ადამიანთა ხვედრი.

იღუპება მინდელის ქალი, მაგრამ სა-
უკუნეებში სასიცოცხლოდ სტოვებს
თავის განუსაზღვრელ სიყვარულს ად-
მიანებისადმი, ამქვეყნად არსებობისად-
მი; სტოვებს დიდებულ მაგალითს გმი-
რულად შემართული მამაცური სული-
სა, რომელშიც ერთმანეთს შერწყმია
მოვალეობის, სიყვარულის, გამბედაო-
ბის, სისათუთის დიადადამიანური
გრძნობები;

ვარბის ამ ცხოვრებიდან ვაჩნაძის
ასული თავისი უცხო ფსიქოლოგიით
და უარყოფილი ამ ცხოვრების მიერ.

ამ ორ სხვადასხვაგვარ ფინალურ გა-
დაწყვეტაში არის ხილული ნამდვილი
ტრაგედია თუმცა ცოცხლად დარჩენი-
ლი, მაგრამ ძალადშორეტილი, უიმედო,
მალალი სინამდვილისაგან გარიყული
ერთი ადამიანისა და უკვდავება ტრა-
გიკულად დაღუპული, მაგრამ თავისი

საქმითა და სულით ცოცხალი მეორე
ადამიანისა.

პირველის მორალური კოდექსის
დნობა პარაზიტისმისა და სასტიკი
ეგოიზმის პრინციპს, შეუთავსებელს
ახალი ცხოვრების მდიდარ შინაარს-
თან. ამ კოდექსის ტიტულზე ჩვენ ვკი-
თხულობთ: „მე იმისათვის როდი და-
მითმია პარიზული სალონების ბრწყინ-
ვალე ცხოვრება, რათა ბერძნულში,
დათვების ამ ბნელ ბუნაგში დავლიო
ჩემი ცხოვრების დღენი“.

მეორის მორალი ამადლებულია ადა-
მიანებისა და ბუნების დიდი სიყვარუ-
ლით, უბრალოებითა და უშუალოებით,
ბედნიერების ძიებით შრომის ადამიან-
თა შორის, სამშობლოს ბედის გაზი-
არებით. „მე ყოველი სულიერი მიყვარს
ამ ბუნებაში“. რა ღრმად ჰუმანურია
სუსქია მინდელის ეს სიტყვები! მთელი
მისი მოქმედება, ღრმა შინაარსით აღ-
სავსე ცხოვრება კი პრაქტიკული
ზორცმესხმია ამ ჰუმანური იდეალისა.

სუსქია მინდელის, ისევე როგორც
ვახტანგის, არზაყანის, გოდერძის, ნუ-
ნუს, ძაბულის და ამ რიგის სხვა პერ-
სონაჟთა, სულის მამოძრავებელი მთა-
ვარი ძალა, — ეს არის უდიდესი გატა-
ცება შრომით, ბრძოლით, სიყვარუ-
ლით, საკუთარი ხალხისათვის თავდა-
დებით, ერთი სიტყვით, სიცოცხლეში
გაცხადებული მარადიულობით.

არზაყანის უტეხ ნებაში, მოუდრე-
კელი სულის შეუბრკოლებელ მისწრა-
ფებაში თუ ნუნუ უჯირაულის ვეებერ-
თელა ძალის ამტანობაში, ვახტანგ კო-
რინთელის ახლგაზრდულ გატაცებაში
თუ გოდერძი ელანძის ზღაპრულ მა-
მაცობაში, სუსქიას თუ ძაბულის წლე-
ბის მანძილზე გულით ნატარებ და
დიდხანს გაუმეღავნებელ მგზნებარე
სიყვარულში ჩვენ ვხედავთ ადამიანთა
დიდი გრძნობებისა და კეთილშობილე-
ბის ნაირსახოვან გამოვლინებას, ამ
გრძნობათა დიდებულობის დაღადის.
შრომის, სიყვარულის, ბრძოლის —

გიორგი მერკვილაძე
ორი ბედი

ცოცხალ სამყაროში ადამიანის განმტკიცების ამ აუცილებელ პირობათა უშესანიშნავესი აპოლოგიაა მოცემული რომანთა მთელ თავებში.

შრომა უპირველესი გმირობაა ადამიანისა და მის გარეშე არ არსებობს სიცოცხლისა და სიყვარულის ჭეშმარიტი სიხარული. ასეთ ადგილს იჭერს შრომის პათოსი „ვაზის ყვავილობის“ მრავალი პერსონაჟის თუ გმირის, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგ კორინთელის, სუსქია მინდელის, გოდერძი ელანძის, ნუნუ უჯირაულის მთელს მოქმედებაში. წარმოვლდგინოთ, რა აუტანელი იქნებოდა სუსქია მინდელის პირადული ცხოვრების მძიმე ხვედრი იმ თავდავიწყებული შრომის გარეშე, რასაც იგი ეწევა ადამიანთა კეთილდღეობისათვის და რაც ესოდენ უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს მას; გონების თვალთ განვკვირვოთ ვახტანგ კორინთელის მთელი ცხოვრება და წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა იგი იმ უდიდესი მგზნებარებისა და სიხარულის გარეშე, რაც მისთვის მიუნიჭებია ბერძენულში გაწეულ შრომას. ვერაფერი ვერ მისცემდა მას ასეთ ბედნიერებას, ასეთ განუზომელ სიხარულს: ვერც კარჩაკეტილი მეცნიერის კარიერა, ვერც მსოფლიოს მოვლა და მრავალი ქვეყნის ხილვა, ვერც დიდი ხნის ნანატრი ოჯახური ბედნიერების მიღწევა, რომ მთელი მისი სული გამსჭვალული არ იყოს სწორედ შთაგონებული შრომის დიდი პათოსით.

გოდერძისა და ნუნუს წმინდა სიყვარულიც ასევე შრომაშია დაბადებული. მით არის გასპეტაკებული ამ ორი სულის განსაკუთრებული უშუალობა, რწმენა, ურთიერთნდობა, იმედის ჩაუმქრალი სხივი და არაადამიანური ამტანობაც მძიმე განსაცდელის ეამს.

შრომისა და სიყვარულის ეს ყოვლისმძლე ხასიათი ოსტატურად არის დანახული თეთროსა და ლალბაწას ბედითაც (რომელთა მომავალი სიხარული მათსავე მარჯვენას ეყრდნობა) და შრომაში დაბერებული პაპა მიქელას მეტად მკვეთრად გამოყოფილ კოლო-

რიტულ ფიგურაში განსახებული სულითაც.

შრომის აპოლოგია, მისი ^{მარტოვანი} ძალის ხილვა, ასე ძლიერად ^{მზის} აქცენტირებული განსაკუთრებით „ვაზის ყვავილობაში“, ამ რომანს მნიშვნელოვანწილად გამსჭვალავს ხალხური შინაარსით და რომანისტს ისტორიაში ხალხის მასების როლისა და ადგილის პრობლემის სწორი ხატოვანი გადაწყვეტის საშუალებას აძლევს. რომანის მასობრივი სცენები, ძირითადად, სწორედ ამ პათოსის გამოხატვას ეყრდნობა. მით არის ამოქმედებული მამუკასეული ციხე-ქალაქის საიერიშოდ დაძრული ხალხის შემართება — ყველა ამ ხუთი ძმა დემეტრავილის თუ სახელმოხვეჭილ კალატოზ ჯოხაძეების; ვანო ხელაშვილის, ნიკა უჯირაულისა და კოლია სოკოლოვის ტრაქტორისტების თუ თხუთმეტი კომკავშირელი უჯირაულის; ტურბინს შექიდებული თორმეტი ვაჟაკისა თუ ერეკლე მეფის მეომართა შთამომავლების — ცისკარიშვილების, თორღვიძეების, ნაბაიძეების, ხეცოძეების, ალადაშვილების, მახარაშვილების, მახაშვილებისა და სიფროშვილების; მწკრივში ჩამდგარი, მასალის მიმწოდებელი ხუთასი კაცის თუ უკვე ახალ მიწაზე დამკვიდრებული ხევსურებისა და რაჭველების თავგანწირული შრომა.

ამ შრომაში დანახულია დროისა და ადამიანის ურთიერთობის კანონზომიერება; ახალი შრომის ახალი მრწამსი, ახალი შინაარსი და ჭეშმარიტი ჰუმანური ბუნება. აბრია უჯირაულისათვის შრომას ახლა ყოველგვარი ძალა დაუკარგავს, რადგან მისთვის უცხოა შრომის ახალი შინაარსი. მისი შრომისა და მის მიერ მითვისებული სხვისი შრომის ნაყოფი მას ძველად განამტკიცებდა ინდივიდუალიზმის სამყაროში. შრომის საყოველთაო ხასიათი აბრია უჯირაულისათვის ისევე უცხოა, როგორც გვანჯ აფაქიძისათვის შემადრწუნებელია ამ „გადაბრუნებული დროების“ არსი, როდესაც ასპარეზზე გამოსულან გრიგოლიები, აშხვაცაეები, ქო-

ივეები, ხოლო შარვაშიძე-ემხვარ-აფა-
ქიძე-დადიანების დიდება მწუხრის აჩ-
რდილს დაუფარავს.

ისტორიათა მანძილზე უძლეველი და
უკვდავი ხალხი, რომელიც სისხლხორ-
ცეულად იყო დაკავშირებული შრო-
მასთან და მით მონიჭებულ სიხარულ-
თან, ჩვენი აზრით, ხილულია პაპა
მიქელას პორტრეტისა და ძველი მუ-
ხის პეიზაჟური სურათის პარალელუ-
რად განხორციელებულ სიმბოლურ-
მეტაფორულ შეწყვილებაში.

დროთა სიღვეს გადარჩენილი, მკა-
ფიო ფერით ამეტყველებული მეცხრე
ბერი მუხა, რომლის ხვედრიც „ვაზის
ყვავილობის“ პროლოგში პარალელი-
ზებულია ვაზის ბედთან („ვერც უწყ-
ლობამ და ვერც ყოილობაშების ვერა-
გობამ ვერ მოსპო ბერმუხაში ვაზის
გასაგისი. შამ-აბასის მიერ ამოძირკვულ
ვენახების ნაფესვარებმა კვლავ იფეთ-
ქეს მიწიდან და მათმა გავერანებულმა
ნაშიერებმა ჩვენს დრომდის მოაღწი-
ეს“), ეპილოგში უკვე პაპა მიქელას
პორტრეტის ფონზე ცოცხლად და „სა-
ამოდ შრიალებს“. წინა პლანზე გამო-
სულ თვითონ უსინათლო პაპა მიქელას

ბერმუხის ამ საამო შრიალში მზისკენ
აღუმართავს თავისი შვილიშვილი
იც მიქელა!).

ჩინებულია თავისი ფერით და ღრმა
თავისი შინაარსით რომანის ეს ადგილი.
პაპა და შვილიშვილი—დანახულნი გო-
დერძის, ნუნუს, სოლომონის, ხირჩ-
ლას, ბაბლიას, მასწავლებლებისა და
ექიმების გარემოცვაში, მათთან ერთად
წარმოქმნიან სასტიკ ომში გამოვლი-
ლი, შრომასა და სიხარულს ახალი ძა-
ლით დაწაფებული ხალხის გმირულ
დღევანდელ სულს. მაგრამ მხატვარს
ესაჭიროება გმირული წარსულის სა-
ხედაც, რომ კიდევ უფრო ნათელი და
გამართული იყოს ხალხის მთელი გზა,
შორეული ისტორიიდან დაწყებული
და მზისაკენ აშვერილი ჩვილი მიქე-
ლას დღევანდელ დამთავრებული. და ამ
მეორე პლანად აქ გამოყენებულია
სწორედ ბერმუხის ალეგორიული წარ-
მოსახვა: „კვლავინდებურად საამოღ
შრიალებდა ბერმუხა, შეუდრეკელი
ბერმუხა, რომელიც მარად დარჩება
ჩემს წარმოდგენაში როგორც სიმბო-
ლო ქართველი ხალხის უკვდავი და
შეუმუსვრელი სულისა...“



ომონიმი და მხატვრული თარგმანის საკითხები

ყოველ ენაში მოიპოვება სიტყვები, რომლებიც გარეგნულად, ბგერათა შემადგენლობით, არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შინაარსი კი სრულიად სხვადასხვა აქვთ: სხვადასხვა სიტყვის ფორმათა დამთხვევას შეიძლება მომენტობრივი ხასიათი ჰქონდეს, ე. ი. სიტყვები ერთმანეთს დაემსგავსონ მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, სიტყვათწარმოებისა ან ბრუნება-უღვლილების დროს. ესენი არიან ნაწილობრივი ომონიმები ანუ ომოდორმები. მაგრამ მათ გვერდით საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი სიტყვებიც, რომელთაც ერთნაირი ბგერითი შემადგენლობა და სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა მაინც შერჩებათ, როგორც გნებავთ ვაბრუნოთ და ვცვალოთ ისინი. ასეთები წარმოადგენენ ნამდვილ ომონიმებს¹.

სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ბგერითი შემადგენლობა ერთმანეთს ემთხვევა რამდენიმე მიზეზის გამო. ერთი ასეთი მიზეზთაგანია ფო-

ნეტიკური ცვლილებანი, რომელთა მეშვეობითაც სიტყვა დროთა განმავლობაში გადასხვაფერდება და შესაძლოა სხვა სიტყვას დაემსგავსოს. მაგალითად, ძველ ქართულში სხვადასხვაგვარად გამოითქმოდა და იწერებოდა ხელი — გიჟი, გადარეული და ქელი — სხეულის ნაწილი, ხერხი — იარაღი და ქერკი — ფანდი, შოხერხება. დღეს ამ სიტყვებს შორის განსხვავება აღარ არის იმის გამო, რომ სალიტერატურო ქართულში ბგერა კ დაიკარგა, იგი ხ-მ შეცვალა.

ასევე განსხვავებული სახე ჰქონდა წინათ სიტყვებს: ასული — ქალიშვილი და აღსრული — ვინც ავიდა. ამ უკანასკნელმა დროთა განმავლობაში თანდათანობით იცვალა სახე და პირველს დაემსგავსა.

ხშირად ომონიმების გაჩენა სიტყვის სესხების შედეგია: ნასესხებ სიტყვას ენაში უკვე ხვდება გარეგნულად ისეთივე, მაგრამ სხვა შინაარსის მქონე სიტყვა და ამგვარად ვღებულობთ ომონიმებს. მაგალითად, სიტყვა ბალიხილის მნიშვნელობით ქართულია და ძველთაგანვე იხმარება ჩვენს ენაში: მიწისძვრის, ქარისა და ზღვის ღელვის საზომი ერთეულის, აგრეთვე საზეიმო წვეულების მნიშვნელობით კი ეს სიტყვა შემოსულია ფრანგულიდან (რუსულის მეშვეობით). თვითონ ფრანგულში იგი სხვადასხვაგვარად იწერება იმის მიხედვით, წვეულებას აღნიშნავს თუ საზომს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ერთ დროს მათი გამოთქმაც გან-

1 უნდა ითქვას, რომ ომონიმების თაობაზე მეცნიერებაში ერთსულოვნება არ სუფევს. ბევრის აზრით, წმინდა წყლის ომონიმებთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, თუ გარეგნულად მსგავსი სიტყვები შინაარსთან ერთად წარმომავლობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. ბ. ფოჩხუა, ომონიმია და პოლისემია: იბერო-კავკასიური ენათმეცნიერება, IX—X, 1958, გვ. 13—38). მაგრამ ამჟერად ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და ამ ცნებას ფართო მნიშვნელობით ვხმარობთ.

სხვაებული იყო (ამრიგად, ფრანგულში ეს ომონიმი ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილა).

ქართული ენის ლექსიკურ ფონდში დიდი ხანია არსებობს სიტყვები ბოტი, ლომი, პარკი, ზარი და სხვ. ამავე დროს გარეგნულად ზუსტად ასეთივე სიტყვები ქართულმა სხვა ენებიდანაც შეითვისა. სახელდობრ, ფრანგულიდან არის შემოსული ქალის მაღალყელიანი რეზინის ფეხსაცმლის სახელი ბოტი, ინგლისურიდან მომდინარეობს კულტურული დასასვენებელი ადგილის სახელწოდება პარკი, რუსულია რკინის კეტის, ძალაყინის სახელი ლომი, სპარსულიდანაა ნასესხები ზარი ტირილის, გლოვის მნიშვნელობით.

გვხვდება ისეთი ომონიმებიც, რომელთაგან ერთი ნასესხებია ერთი ენიდან, მისი ტყუპი მეორე სიტყვა კი — სხვა ენიდან. მაგალითად, ოდა ნიშნავს ხის სახლს და სახოტბო ლექსს. პირველი მნიშვნელობით ეს სიტყვა უკავშირდება თურქულს, მეორე კი ბერძნულიდან მომდინარეობს. ატლასი არაბულად ნიშნავს გლუვს, პრიალას. ქართულში ეს სიტყვა შემოვიდა აბრეშუმის პრიალა ქსოვილის აღსანიშნავად. ამავე დროს ატლასი ბერძნული მითოლოგიური გმირის სახელის მიხედვით დაერქვა გეოგრაფიული რუკების კრებულს. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა დამკვიდრდა მსოფლიოს მრავალ ენაში, მათ შორის ქართულშიც.

ამგვარად, ომონიმების ერთი ნაწილი წარმოშობილია იმის შედეგად, რომ გარეგნულად მსგავსი სიტყვები ერთად იყრიან თავს რომელიმე მათგანის ან ორივეს სესხების გამო.

ომონიმების წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზია ტაბუ და ევფემიზმი, აკრძალვა ამა თუ იმ სიტყვების ხმარებისა, რომლებიც ჩვეულებრივ სხვა სიტყვებით იცვლება. ამ გზით არის ქართულში გაჩენილი ომონიმური სიტყვები: ბატონები (ავადმყოფობა), ყვავილი, ბედნიერი (დიდი მუწევი) და სხვ.

ვილი, ბედნიერი (დიდი მუწევი) და სხვ.

ზოგჯერ სხვადასხვა საგნისათვის ერთი სახელის შერქმევას ხელს უწყობს საერთო მნიშვნელობითი მომენტი. მაგალითად, როგორც ცნობილია, ბევრ ენაზე თვეს და მთვარეს ერთი და იგივე ან მსგავსი სახელი ჰქვია (გერმანული Mond — „მთვარე“ და Monat — „თვე“, რუსული месяц, მეგრული თუთა). ეს იმიტომ, რომ თავდაპირველად თვე დროის ერთეულად გამოიყო მთვარის მოძრაობის მიხედვით. ასეთივე წარმოშობის ომონიმია ქართულში კვირა, რომელიც აღნიშნავს როგორც კვირადღეს, ისე მთელ შვიდდღიურსაც.

დასასრულ, ომონიმების გაჩენას ხელს უწყობს სიტყვის მრავალმნიშვნელობა ანუ პოლისემიურობა. ერთ სიტყვას შეიძლება საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობა მიეცეს იმის მიხედვით, თუ როგორ კონტექსტში იქნება იგი ნახმარი. მაგრამ ასეთ შემთხვევებში მეტწილად მაინც იგრძნობა სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობათა კავშირი ერთ ძირითად, მთავარ მნიშვნელობასთან. ზოგჯერ კი პოლისემიურმა განტოტებამ შეიძლება ისეთი სახე მიიღოს, რომ მნიშვნელობათა შორის კავშირი დაიჩრდილოს და სიტყვებს მხოლოდ გარეგნული ფორმა შერჩეს საერთო. ასე, მაგალითად, კუტი ჩვენს ენაში აღნიშნავს საპყარს, დავრდომილს და აგრეთვე თონეში ჩავარდნილ პურს. ამ მნიშვნელობათა შორის საერთო თითქოს არაფერია და საქმე გვაქვს ნამდვილ ომონიმებთან. მაგრამ თუ დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ეს ომონიმები სწორედ მნიშვნელობათა დიფერენციაციის გზით არის მიღებული: კუტი — დავრდომილი, დავარდნილი, ლოგინად ჩავარდნილი — თონეში ჩავარდნილი (პური). მნიშვნელობათა ასეთივე ცვლის შედეგად მწვა-

ზურაბ ჭუმბურიძე
მხატვრული თარგმანის საკითხები

ნე ამჟამად აღნიშნავს არა მარტო ფერს, არამედ ყურძნის ჯიშსაც.

ამ სხვადასხვაგვარ მიზეზთა წყალობით შეიძლება გარეგნულად ერთნაირი აღმოჩნდეს არა მხოლოდ ორი, არამედ ზოგჯერ სამი-ოთხი სიტყვაც. მაგალითად, დოლი ეწოდება დასაქრავ ინსტრუმენტსაც, ბატკნის მოგვების დროსაც და პურის ჯიშსაც; კილო ეწოდება კუთხურ მეტყველებას ანუ დიალექტს (ქართლური კილო, იმერული კილო...), ცალკე პირის მეტყველებას („მისი კილო არ მომწონს“, „კილოზე შეგატყვე“...), აგრეთვე დილის შესაბნევს — სალილეს; თვალის კილო ჰქვია ქუთუთოს კბდეს, თვალის კრილს, ხოლო ხალხი შემოკლებით ხმარობს აგრეთვე კილოგრამის მნიშვნელობით. ბანი ნიშნავს სახურავსაც („ჩაუხტეთ მუხრან-ბატონსა, თავს დავაქციოთ ბანია“), დაბალ ბონ ხმაც სიმღერაში („თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“). იგივე სახელი ჰქვია აგრეთვე ქართული ანბანის მეორე ასოსაც („ეს არის ანი, ეს არის ბანი“).

ასეთივე სურათს დავინახავთ მთელ რიგ სხვა სიტყვებშიაც, როგორცაა: ბარი, გაზი, დაყურსული, ზარი, კავი, კილო, კოჭი, მახვილი, მური, ნამგალა, ნარდი, სერი და სხვანი. წყვილი მნიშვნელობის გავრცელებულ ომონიმთაგან შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე: ალი, ალალი, ანკარა, ასლი, გენია, გლახა, და, დალალი, დარი, დასაბამი, დაფა, დედოფალა, ვადა, ვარია, თოლია, კვერი, კილი, ლარი, მადა, მანდარინი, მანიაკი, მახარობელი, მილი, ჟამი, როქი, სადა, საზამთრო, სელი, სილა, სველი, სვიანი, ტოლი, ტომი, ჩინი, ძაძა და სხვანი.

გარდა სახელებისა, ომონიმებად შეიძლება შეგვხვდეს ზმნებიც, როგორცაა, მაგალითად: აგება, აწყობა, გაყრა, გაგება, გაყოფა, გახდომა, დაღევა, დართვა,

დაქცევა, დაშლა, დაწევა, დაჭერა, დახევა, კითხვა, კრეჭა, მოსხმა, მოსმადობა, დომა, მოყოლა, სმა და სხვანი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ომონიმები ქართულში საკმაოდ დიდი რაოდენობით გვაქვს. მაგრამ ქართლისათვის უცნოა ე. წ. ომოგრაფები ანუ ისეთი სიტყვები, რომელთა დაწერილობა, ასოებრივი გამონატულება ერთნაირია, გამოთქმა კი — სხვადასხვანაირი. არ გვხვდება აგრეთვე ომოფონები, ე. ი. ისეთი სიტყვები, რომელთაც დაწერილობა სხვადასხვა აქვთ, გამოთქმა კი ერთნაირი ომოგრაფებისა და ომოფონების არარსებობა ქართულში აიხსნება ჩვენი დამწერლობის დიდი ღირსებით — მეტყველებისა და წერის ზუსტი შესატყვისობით.

ბევრ ენათმეცნიერს ომონიმები ენის ავადმოფობად, ნაკლად მიაჩნია. მართლაც, გარეგნულად სავესებით ერთნაირი, მაგრამ მნიშვნელობით ძალზე განსხვავებული სიტყვების არსებობა ხელს უნდა უშლიდეს ადამიანთა ურთიერთობას, აზრის სწორად გაგებას. ამიტომ ენა ცდილობს განთავისუფლდეს ომონიმისაგან, დროთა განმავლობაში ინარჩუნებს ომონიმის მხოლოდ ერთ მნიშვნელობას და ივიწყებს მეორეს.

ასე, მაგალითად, ქართულში ერთ დროს ომონიმებს წარმოადგენდნენ სიტყვები: ბჭე, გოდოლი, ეზო, ერი, ჟამი და სხვ. ბჭე ნიშნავდა როგორც კარს, ასევე მოსამართლეს; გოდოლი ნიშნავდა კოშკსაც და სახლის სახურავსაც; ეზო ნიშნავდა ეზოსაც და ფარდას ან ზოგჯერ აფრასაც. ერი ნიშნავდა ხალხსაც და ჯარსაც, ჟამი დროსაც და საათსაც. დღეისათვის ეს სიტყვები თითო მნიშვნელობით შემოგვრჩა, მეორე მნიშვნელობით კი ენაში სხვა სიტყვები დამკვიდრდა, ე. ი. ომონიმები გაქრა.

მაგრამ ენა ომონიმთა მეშვეობით წარმოქმნილ ორაზროვნებას ადვილად სძლევს არა მარტო ერთ-ერთი წყვილ-

თავანის დაკარგვისა და შეცვლის გზით. უნდა ითქვას, რომ ომონიმების არსებობის დროსაც წყვილთა შორის მხოლოდ ერთი არის ენაში ჩვეულებრივ აქტიური, ხშირად ხმარებული, მეორე კი უფრო იშვიათად, მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში იჩენს თავს. მაგალითად, ცალკე რომ ვახსენოთ სიტყვა ხელი, პირველ რიგში ჩვენ მოგვაგონდება სხეულის ნაწილი და არა „გიჟი“, „გადარეული“. ბოტი ქალაქის მკვიდრისათვის ფეხსაცმელია, მეცხვარეს კი, პირიქით, ამ სიტყვაზე ალბათ ფარის მეთაური, ამჟამად წინ მიმავალი თხა მოაგონდება.

ენას აქვს უნარი ომონიმების გასარჩევად გრამატიკულ საშუალებებსაც მიმართოს. მაგალითად, თვალი მხედველობის ორგანოს მნიშვნელობით ქართულში უკუმშველია, მაგრამ სხვა შემთხვევაში კი იკუმშება („ძვირფასი თვლები“, „ურმის თვლები“) ასევე ბალი („ბლის ხე“, მაგრამ „ქარი ხუთი ბალის სიძლიერით ჰქროდა“) და სხვ.

ყველაზე მეტად ომონიმების გარჩევას შველის კონტექსტი: ფრაზაში ომონიმის მნიშვნელობა ნათელია და იგი იშვიათად გამოიწვევს ორაზროვნებას, თუკი მთქმელი ამას საგანგებოდ არ ცდილობს.

ამიტომ ომონიმები მნიშვნელოვან საფრთხეს არ წარმოადგენენ ენისათვის, და თუ მათ მაინც მეტყველების დეფექტად ან ავადმყოფობად მოვანათლავთ, უნდა დავუმატოთ, რომ ეს ავადმყოფობა სურდოსავით იოლია.

სამაგიეროდ, ომონიმები თვალსაჩინოდ დადებით როლსაც ასრულებენ ენაში, განსაკუთრებით კი მხატვრულ ნაწარმოებში: ხშირად მათზეა აგებული სიტყვის თამაში, კალამბურები, ზმა და ნაკვესები, მათი მეშვეობით იქმნება მაჯამური რითმები. ამ მხრივ ომონიმებს გვერდში უდგანან აგრეთვე ომონიმები და ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ბგერით შემადგენლობით ერთგვრიან ორ ან რამდენიმე სხვა სიტყვას (მაგალითად: რაჭა და რაჭა, სუ-

ლელი და სულ ელი, „სადმე სადგურია, სად მე, სად გურია“ და სხვანი).

მახელსიტყვაობიდან ცნობილია, რომ ორი ნაკვესი სწორედ ამგვარ ზმებსა და სიტყვის თამაშზეა აგებული. ასეთია, მაგალითად, აკაკის არა ერთი ნაკვესი. ეს ხერხი დიდ პოეტს მხატვრულ შემოქმედებაშიც აქვს გამოყენებული. (სახელდობრ, ცნობილია ზმების ტყორცნა-გამაირება პოემა „თორნიკე ერისთავში“).

„მალთ წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან, თავიდან,
ფეხებამდე მასხა რაო!“...

...ხუმარადაც ვარგებულხარ,
ვაჯაკობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადვილს სულ ელიო!“

სიტყვის თამაშის როგორც მხატვრული ხერხის მიზანია, შექმნას გარკვეული განწყობილება, წარმოდგენა მოგვეცეს გმირის ხასიათზე და მის დამოკიდებულებაზე გარემოსთან, ამავე დროს, მძიმე და დაძაბული მოქმედების შემდეგ შეასვენოს მკითხველი, გადაახალისოს მისი განწყობილება, ახალი მიმართულება მისცეს თხრობასა თუ ამბის განვითარებას.

ნაწარმოებს მხატვრული სამკაული ემატება, როცა ომონიმები და ომონიმები გამოყენებულია რითმად, ე. ი. საქმე ვაქვს მაჯამსთან. საინტერესოა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ამგვარ რითმად გამოყენებული აქვს თვითონ ეს სიტყვა — მაჯამა:

ვიწყო წერა მაჯამით,
დამვრეს ჩემი მაჯამით.

მაჯამა განსაკუთრებით დამახასიათებელია ძველი ქართული პოეზისათვის. მაჯამური რითმები ხშირად გვხვდება ჯერ კიდევ შავთელთან და ჩახრუხაძესთან. ამგვარი რითმის დიდი ოსტა-

ზურაბ ჭუმბურიძე
მხატვრული თარგმანის საკითხები

ტია რუსთაველი. მაგალითისათვის მო-
ვიყვანოთ ერთი სტროფი „ვეფხისტყა-
ოსნიდან“.

„ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი
ასად აგეს,
ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშვარი
ასადაგეს;
ყმა ეტყვის, თუ: „შენთა მკვრეტთა თავი ხელი
ა, სად აგეს!
ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი
ასად აგეს“.

ომონიმურ რითმებს ხშირად მიმარ-
თავდა და ოსტატურად იყენებდა თეი-
მურაზ პირველი. მისი „სოფლის სამღუ-
რავე“ თითქმის მთლიანად მაჯამას
წარმოადგენს: მისი დასაწყისი, სხვათა
შორის, ძალიან მოგვაგონებს რუსთა-
ველის ზემოთ მოყვანილ სტროფს:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე
მქმენ დასად აგე?
გლახ, ლახვარი სასიკვდილე ყველა მე მკარ,
დასად აგე!
ღამიკარგე ძე, ასული, ძმა, არ ვიცო,
დასად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე
დასად აგე?

სანიმუშოდ შეიძლება მივიჩნიოთ
აგრეთვე იმავე ნაწარმოების შემდეგი
სტროფები:

გრძლად მატირა საწუთრომან, ცრემლთა
ღვარი დამელია,
მიჯობდა თუ სიკვდილისა, გლახ, სასმელი
დამელია;
მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძო,
და მელია,
აწ, სოფელო, ვარდთა ზრობად მოვალ,
რადგან დამელია...
მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა
მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის
მომძულდა მეყოფა.
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც
მეყოფა!
გული სახე მექვს ლახვრითა, სხვა კიდევ...
ალარ მეყოფა?

ცნობილია, რომ ძველ ქართულ
მწერლობაში დიდი ხნის მანძილზე ბა-
ტონობდა რუსთაველური შაირი, სა-
დაც ოთხ-ოთხი სტრიქონი იყო შერით-
მული. ოთხი სავსებით ერთნაირად
ბგერადი რითმის მოქმეზნა საკმაოდ ძნე-
ლია და ამიტომ ზოგჯერ პოეტები მა-

ჯამისათვის ხელოვნურ ფორმებსაც მი-
მართავდნენ. ახალ ქართულ პოეზიაში
კი გართმულია უმეტესად ~~საპირისპირი~~
სტრიქონი, რაც მაჯამური რითმების
შერჩევას აადვილებს. თავიდან ბო-
ლომდე ასეთ რითმაზეა აგებული, მა-
გალითად, აკაკი წერეთლის „მუხამბა-
ზი“.

აღმართ-აღმართ მივლიოდი მე ნელა,
სერზე შევდექე, ჭმუნვი; ალი მე ნელა დაა. შ.

სამ-სამი ომონიმური რითმა აქვს
ნახმარი გალაკტიონ ტაბიძეს ლექსში
„უცნაური სასახლე“, რომელიც ასე
იწყება:

ამნაირი დარებით,
კილით-კიდე დარებით
ფერის ფერთან დარებით
შენობების შენება.
ცამაც ქარვალ მიქარვა
და ოცნება მიქარვა
მწუხარებით მიქარვა...
მტანჯავს მე უშენობა.

ასეთია ზოგიერთი ნიმუში ომონიმე-
ბის გამოყენებისა ჩვენს პოეზიაში.
ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამდენ-
ნად ძლიერსა და ემოციურს ხდის იგი
მხატვრულ ნაწარმოებთა ენობრივ
ქსოვილს.

ომონიმებსა და ომონიმებზე დამ-
ყარებული მხატვრული ხერხების გად-
მოტანა განსაკუთრებულ სიძნელეთა
წინაშე აყენებს მთარგმნელს. ხშირად
იგი იძულებულია დაკმაყოფილდეს
მხოლოდ შინაარსის გადმოცემით და
ორიგინალის მხატვრულ სამკაულთა
გარეშე წარუდგინოს თარგმანი მკითხ-
ველს, ხოლო თუ ნაწარმოები მთლიან-
ნად ამგვარ სამკაულებზეა აგებული,
მისი თარგმნა ხშირად სავსებით შეუძ-
ლებელია. მაგალითად, არა მგონია ვინ-
მემ ხელი მოჰკიდოს გალაკტიონის ზე-
მოსხენებული ლექსის თარგმნას, რად-
გან მისი რითმის თავისებურების გა-
დატანა სხვა ენაზე შეუძლებელია, ხო-
ლო ამ გზით წარმოქმნილი საოცარი
მუსიკალური ემოციის გარეშე ეს ლექ-
სი თითქმის მთლიანად დაკარგავდა
ღირებულებას.

საერთოდ, რასაკვირველია, ომონი-

შიაზე აგებულ მხატვრულ საშუალება-
თა ერთი ენიდან მეორეზე გადატანა
შეუძლებელი არ არის და გამოჩენილი
მთარგმნელები ყოველთვის ცდილობენ
შეუნარჩუნონ თარგმანს დედნისეული
მხატვრული, ემოციური ცხოველმყო-
ფელობა, რაც ომონიმთა მეშვეობითაა
შექმნილი.

თუ რამდენად წარმატებით ართმე-
ვენ თავს ამ რთულ ამოცანას ჩვენი
მთარგმნელები, ამის განსაკუთრებით
ბრწყინვალე დადასტურებას წარმოად-
გენს შექსპირის მაჩაბლისეული თარგ-
მანები.

როგორც ცნობილია, შექსპირი სიტყ-
ვის თამაშის დიდი ოსტატია, მისი პიე-
სები სავსეა ორაზროვანი და გადაკრუ-
ლი გამოთქმებით. ამიტომ შექსპირის
მთარგმნელები ამ მხრივ დიდ სიძნე-
ლეებს აწყდებიან. მისი გერმანელი და
ფრანგი მთარგმნელებისათვის ეს სიძ-
ნელე შედარებით გაადვილებულია,
რადგან ეს ენები ინგლისურს ენათესა-
ვებიან და ფონეტიკურად მსგავსი აგე-
ბულების სიტყვებს შედარებით დიდი
რაოდენობით შეიცავენ. მიუხედავად
ამისა, შექსპირის ყველა კალამბურის
გადატანას ვერც გერმანელი და ფრან-
გი მთარგმნელები ახერხებენ. ქართუ-
ლი ლექსიკა კი სავსებით დაშორებუ-
ლია ინგლისურისაგან და ქართველი
მთარგმნელი, ცხადია, გაცილებით დი-
დი სიძნელის წინაშე დგას.

მიუხედავად ამისა, მაჩაბელი ხში-
რად ახერხებს ამ სირთულის დაძლე-
ვას და ინარჩუნებს თარგმანში შექსპი-
რის მხატვრული სტილის ზემოხსენე-
ბულ თავისებურებას. ეს საკითხი დაწ-
ვრილებით აქვს განხილული ვ. ჰელი-
ძეს თავის მონოგრაფიაში „ცხოვრება
ივანე მაჩაბლისა“. მოვიყვანო რამდენიმე
მაგალითს ამ წიგნიდან.

ჰამლეტი ოფელიას მიმართავს:

„Sall J lie in your lar?“

ნიშნავს „კალთას“ და „მუხლს“, ჰამ-
ლეტის სიტყვა ორაზროვანია: სინამ-
დვილეში ის ეკითხება — „ნებას მომ-
ცემ მოვთავსდე შენს მუხლებში“.
„არა“, — უპასუხებს შეშფოთებული

ოფელია... „მე მინდოდა მეთქვა,
ეუბნება ჰამლეტი, — შენს კალთაში
დავდებ-მეთქი თავს“ და ა.
ბელს ასე აქვს გადმოტანილი:

ჰამლეტი. ნებას მიბოძებთ, რომ თქვენს
კალთას ქვეშ ამოვფარო.

ოფელია. ვერა, ხელმწიფის შვილო.

ჰამლეტი. მე ვამბობ, თავი თქვენს კალთა-
ზე დავდო-მეთქი.

ოფელია. ეგ კი თქვენი ნებაა¹.

„ჰამლეტში“ პოლონიუსი ამბობს:
„მე ვთამაშობდი კეისარს და კაპიტოლ-
ში ბრუტოსმა მომკლა“. ჰამლეტი ამა-
ზე უპასუხებს: „მართლაც ბრუტალო-
ბაა (პირუტყვობაა) მისი მხრივ, რომ
ასეთი კაპიტალური (დიდი) ხბო მოუკ-
ლავს“.

მაჩაბელს ეს სიტყვის თამაში ასე
გადმოაქვს:

„პოლონიუსი. მე ვთამაშობდი იულიოს
კეისარს და კაპიტოლში მომკლეს. ბრუტოსმა
მომკლა.

ჰამლეტი. მაშ ის ბრუტოსი სწორედ
ბრუტიანი ყოფილა, რომ მაგისტანა ჩინებულ
ხბო დასაკლავად გამოუმეტნია“.

„ჰამლეტის“ ეს პატარა ნაწყვეტი
შეიძლება ჩაითვალოს ბრწყინვალე ნი-
მუშად. სიტყვათა თამაშის გადმოტა-
ნის დროს ლაპარაკიც ზედმეტია ზედ-
მიწევნით თარგმანზე. ეს არც სავალ-
დებულოა. შექსპირისათვის ის კი არ
არის მნიშვნელოვანი, ბრუტოსი ბრუ-
ტალურად მოიქცა თუ ბრუტიანი იყო.
მთავარი ისაა, რომ ამ ადგილას საჭი-
როა უსათუოდ რაიმე კალამბური და
სწორედ ისეთი, რომელიც შესაფერისი
იქნება ენის ბუნებისათვის. ამ შემთხ-
ვევაში ქართული ტექსტი ლოგიკურად
უფრო გამართულია: ჰამლეტი მიმარ-
თავს პოლონიუსს — ბრუტოსი ბრუ-
ტიანი ყოფილა, რომ ვერ დაგინახა ვინ
იყავი და ასეთი დიდი ხბო მოგკლა.

¹ ვ. ჰელიძე. ცხოვრება ივანე მაჩაბლისა, მე-2
გამ.; 1957, გვ. 261.

იმავე „ჰამლეტში“ ცნობილი სცენა სასაფლაოზე, სადაც მესაფლავენი საუბრობენ, შეიცავს ასეთ სიტყვის თამაშს: სიტყვა arm ინგლისურად ნიშნავს „მკლავს“ და „იარაღს“, „საქურველს“. პირველი მესაფლავე ამბობს: ადამი თავადი იყო, იარაღი ჰქონდაო. მეორე მესაფლავეს გაუკვირდება. მაშინ პირველი განმარტავს: ხომ გახსოვს, ბიბლიაში წერია, ადამი მიწას თხრიდაო, მკლავი რომ არა ჰქონოდა, როგორღა დაამუშავებდა მიწას?

ეს ადგილი მაჩაბელს ასე აქვს თარგმნილი:

„I მესაფლავე. ...ყველაზე დიდი თავადები მეზღებენ, მიწის მიხრელები და მესაფლავენი არიან, მათ ადამის ხელობა უჭირავთ.“

II მესაფლავე. მერე, ადამი თავადი იყო?

I მესაფლავე. თავდაპირველად ის გაჩნდა და თავადი არ იქნებოდა? თავადიც ის იყო, მთაც ეკირა ხელში და ბარიცა.

II მესაფლავე. სტყუი...

I მესაფლავე. ურჯულო ხომ არა ხარ, საღმრთო წერია არ იცა? იქა სწერია, ადამი მიწას თხრიდაო. რითი გასთხრიდა, თუ ბარი ხელში არა სჭეროდა.“

ასეთი მაგალითები საკმაოდ ხშირად გვხვდება არა მარტო „ჰამლეტში“, არამედ შექსპირის სხვა ტრაგედიების მაჩაბლისეულ თარგმანებშიაც. მაგალითად, „იულიუს კეისრის“ ერთი ადგილი აგებულია სიტყვების hart (ირემი) და heart (გული) გამოთქმის ერთგვარობაზე. მაჩაბელი „ირემს“ ცვლის „შველით“ და უკავშირებს მას სიტყვას „მშველს“ ე. ი. „მშველელს“:

ანტონიოსი. ო, მაპატიე, იულიოს, აქ მოგესივნენ. ო, აქ დადგეს, შემოგერტყენ, ვით მშვენიერ შველს... ქვეყნიერება, ამ შველისთვის შენ ტყუედ გარდიქეც, ვერ მიხვდი, რომ ის იყო შენი მშველიც და მხსნელიც.

ასევე ბრწყინვალედ არის გადმოტანილი მაჩაბლის მიერ სიტყვის თამაშ-

ზე აგებული გლოსტერისა და იორკის დიალოგი „რიჩარდ მესამეში“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, მთელს „ჰამლეტში“ თხვევებში მაჩაბელს შესანიშნავად მოუხერხებია მოექმენა ადექვატური შესატყვისი შექსპირის სიტყვითა თამაშისათვის, რაც ომონიმების გამოყენებაზეა დღეუქმებული.

ცხადია, ამგვარი სიტყვის თამაშის გადმოტანა ყოველთვის არ ხერხდება და ზოგჯერ მაჩაბელი იძულებულია დასჯერდეს მხოლოდ აზრის თარგმნას, ხელი აიღოს მხატვრული ფორმის შენარჩუნების ცდაზე, მაგრამ ის, რასაც მან მიაღწია ამ მხრივ, ჭეშმარიტად გაცოცხლებასა და აღტაცებას იწვევს.

ცნობილი რუსი მთარგმნელი ლ. სობოლევი გმობს იმგვარ პრაქტიკას, როცა ანბანურ კირკიმალობას გადაყოლილი მთარგმნელები სიტყვასიტყვით თარგმნიან კალამბურს და ქვეშ მიუწერენ: დედანში სიტყვის თამაშია, რომელიც არ ითარგმნებაო. «Если мы переводим не слова, а образ, надо и в данном случае сохранить образ, оформив его так, как в оригинале, то есть с оттенком шутки, насмешки, удивления и т. д.»¹.

სამწუხაროდ, მთარგმნელობითს პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როცა მთარგმნელს ომონიმურ სიტყვათა მნიშვნელობაც არ ესმის და ერთის მაგიერ თარგმანში მეორეს ამბობს, ორიგინალის მხატვრული ხერხებისა და სახეების შენარჩუნებაზე ხომ ასეთ შემთხვევაში ლაპარაკიც ზედმეტია.

ასე, მაგალითად, უკრაინულ ენაზე вулицა ნიშნავს როგორც ქუჩას, ასევე დღესასწაულს, სახალხო სეირნობას. უკრაინელი კლასიკოსის პანას მირნის რომანის ერთი ადგილი, სადაც ეს სიტყვა სწორედ მეორე მნიშვნელობით არის ნახმარი, რუსულ თარგმანში საე-

¹ Л. Соболев, О переводе образа образом: Вопросы художественного перевода, Москва, 1955, стр. 285.

სებთ შეცვლილი და დამახინჯებულია¹.

სიტყვები мужик და баба არის რუსულშიც და უკრაინულშიც. რუსულში მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ, უკრაინულში კი ეს სიტყვები არ არის ასე პოლისემიური და თანაც მკაფიო ემოციური ელფერი ახლავს. მიუხედავად ამისა, ზოგ უკრაინელ მთარგმნელს ისინი უკრაინულადაც ყოველთვის ამავე სიტყვებით აქვს აღნიშნული, რაც მნიშვნელოვან შეცდომებსა და აზრობრივ შეუსაბამობას იწვევს².

ფრანგული homme ნიშნავს „ადამიანს“ და „მამაკაცს, კაცს“. „მამა გორიოს“ რუს მთარგმნელს პირველი მნიშვნელობით აქვს გადმოტანილი ეს სიტყვა, მაშინ როცა კონტექსტი მოითხოვს მეორეს³.

არც ქართულ მთარგმანებში გვაქვს ამ მხრივ სახარბიელო სურათი.

რემარკის რომანის „სამი მეგობრის“ ტექსტში ვკითხულობთ: „Das International war ein groser, dunkler, verräucherter Schlauch“.

ქართულად ეს ფრაზა მთარგმნელს ასე აქვს გადმოტანილი: „კაფე მოთავსებული იყო ვეებერთელა, ბნელ, თამბაქოს კვამლით გავსებულ, ფაშვივით გაგრძელებულ დარბაზში“ („სამი მეგობარი“, გვ. 29).

Schlauch გერმანულად ნიშნავს „შლანგს“. საიდან გაჩნდა ქართულ

მთარგმანში მის მაგიერ „ფაშვი“ როგორც ჩანს, მთარგმნელს წინ ედგო რუსული მთარგმანი, სადაც Schlauch თარგმნილია кишка-დ, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ნაწლავი, 2) შლანგი.

ამრიგად, რუსული სიტყვის ომონიმურმა მნიშვნელობამ დააბნია მთარგმნელი. მან кишка მიიჩნია „ნაწლავად“ და მეტი ემოციურობის გულისთვის შეცვალა იგი „ფაშვით“.

იმავე რომანში გერმანული die fleckigen Zähne („დალაქავებული, ჭუჭყიანი კბილები“) რუსულად თარგმნილია როგორც желтые зубы ქართველ მთარგმნელს კი желтые („ყვითელი“) მიუჩნევია ოქროდ და ამიტომ თარგმნის: „ოქროს კბილები უელავდა“ (გვ. 250).

ეს მაგალითები იმასაც ცხადყოფენ, რომ მთარგმანი რუსულიდანაა შესრულებული და არა გერმანულიდან¹.

მოყვანილი მაგალითებიც კმარა საილუსტრაციოდ. ცხადია, მთარგმნელები საფუძვლიანად უნდა იცნობდნენ იმ ენას, საიდანაც თარგმნიან, კარგად უნდა ერკვეოდნენ მის ომონიმებში და სიტყვის მნიშვნელობათა ნიუანსებში. ეს მხოლოდ ერთ-ერთი წინაპირობაა იმისა, რომ მთარგმნელმა შესძლოს ომონიმზე აგებული მხატვრული ხერხების გადმოტანა ერთი ენიდან მეორეზე.

¹ Вл. Россельс, Перевод и национальное своеобразие подлинника, იქვე, გვ. 174.

² А. Кундич, Переводческая мысль и переводческое недомыслие, იქვე, გვ. 243—247.

³ Л. Соболев, იქვე, გვ. 265.

¹ ნ. კაკაბაძე, მეტი პასუხისმგებლობა უცხო ავტორების თარგმნისას.

ზურაბ ჭუმბურიძე
მხატვრული მთარგმანის საკითხები



შოთა ძიძიგაძე

პეტრე იბერიელის ქართული თარგმანების ახალი გამოცემის გამოც

პეტრე იბერიელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) ნაშრომების ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანების გამოქვეყნება მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენად უნდა იქნას მიჩნეული.¹ ჯერ ერთი, ეფრემისეული ტექსტი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ფილოლოგიისათვის, კერძოდ ეფრემის მიერ შექმნილი ენობრივი ძეგლი განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართული ენის ისტორიის კვლევა-ძიებაში; ამ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობა მთელ საფეხურს ქმნის ქართულ მთარგმნელობითს პრაქტიკაში. მეორე ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია პეტრე იბერის თხზულებების მეცნიერულ გამოცემასთან, ზოგადაა და საერთაშორისო მეცნიერების ინტერესებს განეკუთვნება. ეს ასპექტი ეხება არეოპაგეტიკის ათასწუთასწლოვან პრობლემას, რომლის გადაწყვეტა პროფესორ შალვა ნუცუბიძის მეცნიერული დამსახურებაა. პროფესორ ნუცუბიძის ჰიპოთეზა, რომელმაც შემდგომ დამოუკიდებელი დადასტურება ჰპოვა ბელგიელი მეცნიერის სპეციალურ ნაშრომებში, ძირითადად აღიარებულია საბჭოთა მეცნიერებაში და მას სრული ნდობით მოეკიდა ზოგიერთი დიდი

ავტორიტეტი დასავლეთ ევროპის მეცნიერებიდანაც.

ამრიგად, არეოპაგეტიკული ნაშრომების ქართული თარგმანების მეცნიერული პუბლიკაცია უთუოდ მისასალმებელი ფაქტია.

განსახილველი წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შეიცავს გამოკვლევას, მეორე ნაწილი — პეტრე იბერიელის შრომების ტექსტია, მესამე ნაწილში წარმოდგენილია ეფრემ მცირის კომენტარები ქართულ-ბერძნული ლექსიკონი და წიგნის აპარატი.

სამსონ ენუქაშვილის გამოკვლევაში მოცემულია პეტრე იბერის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) შრომების ძველქართული თარგმანი და ამ შრომებთან დაკავშირებული პრობლემები. საკმაოდ ვრცლად არის განხილული ქართული თარგმანის ტექსტოლოგიური საკითხები, დახასიათებულია ხელნაწერთა ნუსხები და სხვა. ქართული ტექსტის დადგენისათვის ძირითად ნუსხად გამოყენებულია ხელნაწერი, როგორც ქრონოლოგიურად ძველი და ამავე დროს კარგად შენახული ნუსხა, მაგრამ უნაკლო არც ის აღმოჩნდა. ნუსხათა ურთიერთშეჯერებისა და მათი ბერძნულ ორიგინალთან შედარების შედეგად ირკვევა, რომ მას აკლია ზოგიერთი სიტყვა, ზოგიც დაზიანების გამო ვერ იკითხება, ზოგჯერ კი სხვა ნუსხაში უფრო სწორად არის მოცემული ცალკეული სიტყვა. ამ დეფექ-

¹ „პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა“, 1961, თბილისი.

ტების გასასწორებლად ძეგლის გამომცემელს გამოუყენებია დანარჩენი ოთხივე ნუსხა და დედანი და ძირითად ტექსტში სათანადო შესწორებანი შეუტანია. გამომცემელს დაკლებული ადგილები ძირითადი ნუსხისა შეუვსია ბერძნულ დედანზე დაყრდნობით, დაზიანებული ადგილები აღუდგენია და მცდარი წაკითხვები გაუსწორებია. ასე, მაგალითად, ძირითად ნუსხაში არის ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევები და სხვა.

ეს შეცდომები გასწორებულია სხვა ნუსხებისა და ბერძნული ორიგინალის მიხედვით. ტექსტის დადგენისას უცვლელად არის დატოვებული ძირითადი ნუსხის სხვადასხვა ფონეტიკური ფორმები. ტექსტში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმებიც.

საგანგებო თავი ეძღვნება ბერძნული დედნისა და ქართული თარგმანის შედარებას. ავტორს გულმოდგინედ შეუდარებია დედნისა და თარგმანის ტექსტები, აღუნუსხავს გავრცობილი, დაკლებული, თავისუფლად თარგმნილი ადგილები და სხვა. საყურადღებოა სინონიმური სიტყვათმონაცვლეობის ნიმუშების დაქებნა. ავტორი ვრცელ კომენტარებს იძლევა ცალკეული შემთხვევების დახასიათებისას. ასევე შესწავლილია ადგილშენაცვლება წინადადების წყობაში. ნაშრომში შედარებებისათვის ხშირად არის გამოყენებული ცნობილი კორდერაუსისეული გამოცემა.

მეოთხე თავი გვაცნობს ეფრემ მცირეს, როგორც მთარგმნელსა და ფილოლოგს. გამოკვლევის ეს ნაწილი დეტალური ანალიზისა და საკითხის ღრმად შესწავლის შედეგია. ქართული თარგმანისა და ბერძნული ტექსტის ცალკეული ადგილების მიმართებისა და შედარების საფუძველზე საშუალება გვეძლევა დავახასიათოთ ეფრემ მცირე, როგორც მთარგმნელი, გავეცნოთ მის მთარგმნელობით მეთოდებსა და პრინციპებს, შევისწავლოთ ეფრემის სამწერლო კონცეფცია, მხატვრუ-

ლი გემოვნება, განუყოფელი მხატვრული ტაქტი, რომლითაც ჩვენი დიდებული მწერალი და ფილოლოგი ვისებურ ადგილს იჭერს ქართული მწერლობის ისტორიაში.

გამოკვლევის ამ ნაწილში არის ერთი ადგილი, რომელიც ჩვენს გაცეხას იწვევს:

„ეფრემ მცირის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ერთი კარგი ტრადიციაც შავი მთის მონასტრისა, სადაც ფილოლოგიურ-მთარგმნელობით მუშაობაში მთავარ როლს თვითონ ეფრემი ასრულებდა. ქართული კულტურის ამ სახელოვან სავანეში კალიგრაფები თარგმანთა ტექსტებს ურთავენ ცნობებს, რომელთა მეშვეობითაც ირკვევა მანუსკრიპტების შესრულების დრო, ადგილი, გარემო და თვით გადაწერის ვინაობა“.

ვანა ეფრემ მცირემდე არ იყო ასეთი ტრადიცია? რად უნდა მივაწეროთ ეფრემს ისეთი რამ, რასაც რამდენიმე საუკუნის ისტორია პქონდა ქართულ მწერლობაში.

მეხუთე თავში საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული არეოპაგეტიკის საკითხები, გადმოცემულია საკითხის შესწავლის ისტორია, აზრთა განვითარება ფსევდო-დიონისეს სახელით მოღწეულ თხზულებებზე. ცნობილია, რომ ჩვენში არეოპაგეტიკის ისტორიის საკითხები კარგად არის გაშუქებული პროფესორ შალვა ნუცუბიძისა და პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილის შრომებში, ასევე ცნობილია რუსული და საზღვარგარეთული წყაროებიც.

სამსონ ენუქაშვილის ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა ენათმეცნიერულ ნაწილს. მესამე თავის სათაურია: „თარგმანის ზოგიერთი ენობრივი და სტილისტიკური თავისებურება“, ხოლო წიგნს დართული აქვს ლექსიკონი.

მესამე თავში, თანახმად ავტორის განცხადებისა, დახასიათებულია ძეგლის

შოთა ძიძიგური

პეტრე იბერიელის ქართული თარგმანების ახალი გამოცემის გამო

ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინ-
ტაქსური და ლექსიკური თავისებურე-
ბანი. ლექსიკობი შეიცავს აგრეთვე,
თანახმად ავტორისა, იშვიათ ძველ
ქართულ სიტყვებს ბერძნული შესა-
ტყვისებით.

დავიწყით ტექსტოლოგიური შენიშ-
ვნებით:

1. ერთ-ერთი ნუსხის დახასიათები-
სას მოყვანილია ვინმე ნიკოლოზის მი-
ერ შეთხზული „ერთმუქლელი იორი-
კო“:

„წარა მწიღებით მცხოვრები ნიკო-
ლოზ ვგრძნობ შეტყუებობსა სიბრძნისა
საღმრთოსასა“ (გვ. 020).

აქ გაუგებარია წარას მნიშვნელობა.
ავტორი ყურადღებას არ აქცევს იმ გა-
რემობას, რომ ამ ფრაზაში რაღაც
უცნაური სიტყვა გვხვდება და არავი-
თარ შენიშვნას ამ სიტყვის გამო არ
აკეთებს, ის არც ბოლოს დართულ
ლექსიკონში შეაქვს. შეიძლება აქაა
ქახწილი (წილქახი), რომელიც ხუცუ-
რი ასომთავრული „ქ“ და „წ“ ასოე-
ბის შენაერთის მონოგრამაა (ილია
აბულაძე). როგორც ცნობილია, „ქან-
წილი“ ან „წილქანი“ თავის ანუ დასა-
წყისის ნიშნად იყო მიღებული. (ივ.
ჯავახიშვილი).

2. „ნუსხაში გვხვდება როგორც
გრაფიკული, ისე არაგრაფიკული ხასი-
ათის ვარიანტებიო“, ამბობს ერთგან
ავტორი (გვ. 021). რას ნიშნავს ეს გა-
მოთქმები: „გრაფიკული ვარიანტი“,
„არაგრაფიკული ვარიანტი“. თუ აქ ავ-
ტორი გულისხმობს გრაფიკულ ნია-
დაგზე წარმომდგარ გაუგებრობებს
(ერთი სიტყვის ნაცვლად მეორის და-
წერას, — საქმე ეხება გადამწერლის
მიერ დაშვებულ შეცდომებს), მაშინ
„არაგრაფიკულის“ ნიშნად არ უნდა
მიეჩნია ასეთი ვარიანტები: მდიდრი-
სა — მდინარისა, სახიერებასა — სახა-
რებასა, განწინვაჲ — განრწინაჲ და
სხვა (გვ. 022.)

ესენი სწორედ გრაფიკულ ნიდაგზე
წარმოშობილი შეცდომებია.

3. „ორთოგრაფიულად ნუსხა გაუ-
მართავიაო“, ამბობს ავტორი და ასა-

ხელებს ასეთ მაგალითებს: **ყვნა**,
სლვა, დასახვა, ცვალება... სიტყვებში
და მათგან წარმოებულ ფორმებში
კომპლექსი ყოველთვის შეცვლილია
უა კომპლექსით“ და სხვა (გვ. 029).
აქ დაშვებულია შეცდომა: ზმნის პი-
რიელი ფორმა არ არის გარჩეული
უპირო ფორმისაგან: **ყვნა** (პირიელი
ფორმა) მოქცეულია ერთ სიბრტყეზე
ზმნის საწყის ფორმებთან (თუ ჩამოთ-
ვლილია სლვა, ხილვა, ცვალება და
სხვა, აქ რა შუაშია **ყვნა**, უხდა ყოფი-
ლიყო ყოფნა).

4. ვინც ძველი ქართული ენა იცის,
მისთვის უდავოა, რომ არსებობს პა-
რალელური ფორმები: ცხოვრება და
ცხოვრება. ცხადია, ამოსავალი პირვე-
ლი (ცხოვრება), ვ-ინი აქ ფუფისეუ-
ლია, ხოლო **ცხოვრება** — ფორმაში ეს
ვ ამოვარდნილია, დაკარგულია. ავტო-
რი პირუკუ ფიქრობს, ჰგონია, რომ
ფონეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქ-
მე: ცხოვრებაში ვ-ს ჩამატებულად მი-
იჩნევს „ვიინი... გაჩენილია სიტყვაში
ცხოვრება“, გვ. 029).

ასეთი გაუგებრობანი ტექსტოლოგი-
ური ხასიათის შენიშვნებში სხვადა-
მაგამ ყველას არ გამოვედევნებით.

გავეცხოთ გამოკვლევის იმ თავს,
რომელიც შეიცავს გამოცემული ძეგ-
ლის ენობრივ მიმოხილვას.

რაკი სათაურშივე აღნიშნულია, რომ
ძეგლის ენობრივ თავისებურებებზეა სა-
უბარი, ბუნებრივია, მკითხველი მოე-
ლის მართლაც ისეთ თავისებურებებს,
რომლებიც ან მოცემული ძეგლისთვის
საა სპეციფიკური, ანდა მეტად იშვია-
თია იმ პერიოდის ქართული სალიტე-
რატურო ენისათვის, რომელსაც საანა-
ლიზო თხზულება განეკუთვნება. თუ
ამ თვალსაზრისით შევხედავთ სამსონ
ენუქაძეის ენათმეცნიერულ დაკვირ-
ვებებს, აღმოჩნდება, რომ ავტორის
მიერ გაანალიზებული თითქმის ყველა
ენობრივი მოვლენა ცნობილია ძველი
სალიტერატურო ენის ძეგლებში, და
ამდენად, სრულიად გაუმართლებელია
მათი მიჩნევა ძეგლის სპეციფიკურ
ნიშნებად. ასეთია, მაგალითად, ჩვეუ-

ლებრივი რევრესული ნაასიმილაცია-
რი ფორმები (შეჯული, საშჯელი), ვ-ს
დაკარგვა უ-ს წინ და სხვა. 108-ე
გვერდზე ნათქვამია: „პირველი პირის
პრეფიქსი ვინი უ-ს წინ, როგორც წე-
სი, ყველგან დაკარგულია“ და დამოწ-
მებულია მრავალი მაგალითი კონტექს-
ტების ჩვენებით: უ გა ლ ო ბ დ ე თ ;
ხ ო ლ ო ა ნ კ უ ა ლ ა დ ვ ი წ ყ ო თ...;
რ ა ა თ ა . შ ე მ ო უ კ რ ი ბ ო თ თ ა ნ ა დ
და შ ე მ ო უ ნ ი ვ ო თ დ ; ხ ო ლ ო
ა წ მ ე მ ი უ გ ე ბ ; რ ა მ ე თ უ ა რ ა
უ წ ყ ი ; უ ჩ უ ე ნ ე ნ ი თ , ა ღ ლ უ პ ყ -
რ ო ბ თ , გ ა ნ უ ს უ ე ნ ო თ და ა . შ .

საქმე ის არის, რომ უ-ს წინ ვინი,
როგორც პირველი პირის ნიშანი, არ
იხმარებოდა ძველ ქართულში. აი რა
არის, მაგალითად, ნათქვამი პროფესორ
აკაკი შანიძის მოკლე მიმოხილვაში
„ძველი ქართული ენა“: „პირველი სუ-
ბიექტური პირის თავისებურება ის
არის, რომ მისი ნიშანი ვ უნის წინ არ
გამოითქმოდა და არ იწერებოდა ძვე-
ლად, მაგ., „უთხარ“ (მე მას, ნაცვლად
ამისა: ვუთხარ“) (იხ. ძველი ქართული
ენა და ლიტერატურა, 1947, გვ. 242).

ავტორი ცალკე ქვეთავად გამოყოფს
ბერძნულ-ქართულ ფონეტიკურ შესა-
ტყვისობებს. აქ ბერძნულ-ქართული
ფორმები დაპირისპირებულია ბგერობ-
რივი შესატყვისობების მიხედვით. მა-
გალითად, ბერძნული ეტა ქართულად
ე-თი გადმოსულია და დასახელებუ-
ლია მიქაელ, ეზეკიელ... ბერძნული
იოტა ე-თი გადმოსულია და დასახე-
ლებულია ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე თ ა... ასევეა
შეპირისპირებული: ბერძნული იპსი-
ლონი და ქართული ვიე (ვ); მეგვპტე-
ლი. ბერძნული ომეგა და ქართ. ო:
ი ა კ ო ბ , ს ი მ ო ნ ი ს , ი ო ს ე ბ , ბ ა -
ბ ი ლ ო ვ ნ ე ლ თ ა , ი ო ბ ; შეპირისპი-
რების ნიადაგზე მიღებულია დასკვნე-
ბი, რომ ბერძნულიდან ასევე არის
გადმოსული: პ ა ვ ლ ე , ი ე რ უ ს ა ლ ი -
მ ი , მ ო ს ე , ლ ე ვ ი ტ ე ლ ნ ი , ქ რ ი ს -
ტ ე (ბერძნული ხი — ქართულში ქ-დ
გადმოსულა), ზ ა ქ ა რ ი ა (ბერძნული
ძეტა — ქართული ზ), ი ო ს ე ბ (ბერ-
ძნული ფი — ქართ. ბ). ავტორს ძეგ-

ლის თავისებურებად მიაჩნია: ^{დავით} ~~დავით~~,
ბარბაროზი, მარგალიტი და სხვა.
ცხადია, ავტორის მსჯელობა ^{მეცნიერული} ~~მეცნიერული~~
რია, ამა და ამ ბერძნულ ბგერას ქარ-
თულში ესა და ეს ბგერა შეხამებია,
მაგრამ საკითხავია: ზემორე დასახელებული
ფაქტები აქ რატომაა მოცემუ-
ლი, ძველი (და ახალი) ქართულის ეს
მაგალითები ხომ საყოველთაოდ ცნო-
ბილია და, ამდენად, სრულიად უადგი-
ლოა იმ ნაშრომში, რომელიც მოწოდებ-
ულია გამოიკვილოს ეფრემის ტექს-
ტის თავისებურებანი.

შრომის ავტორი მორფოლოგიის ნა-
წილში საკმაოდ ვრცლად მსჯელობს
ებ-იან მრავლობითზე. აქ ნათქვამია:
„ეფრემ მცირის წინამდებარე თარგ-
მანში ბატონობს ნარ-თანიანი მრავლობითი,
მაგრამ ებ-იან მრავლობითსაც
საკმაოდ ვხვდებით. მრავლობითის ამ
ფორმის ფუნქცია ჯერ მკვეთრად დამ-
კვიდრებული არა ჩანს თარგმანში, ის
ჯერ კიდევ არ სარგებლობს თავისი
უფლებით: მას ხშირად თან ერთვის
ნარ-თანიანი მრავლობითობის ფორმე-
ბიც. ამას გარდა, ზმნა, ზოგჯერ ზედ-
სართავიც, ებ-იან მრავლობითში დას-
მულ სახელს არ უთანხმდება რიცხვში.
მოგვყავს ებ-იანი მრავლობითის ხმა-
რების შემთხვევები“. დასახელებულია
მრავალი მაგალითი (თითქმის ასამდე).
ეს ანალიზი ავტორს სჭირდება შემდე-
გი დებულების საილუსტრაციოდ: „ებ-
იანი მრავლობითის შედარებით ხშირია,
მაგრამ ამგვარი ხმარება თარგმანში
გამომხატველია იმისა, რომ ეფრემ
მცირის ენა წარმოადგენს გარდამავალ
საფეხურს ძველი ქართულიდან საშუა-
ლოსაკენ“ (გვ. 0111).

მაგრამ განა შეიძლება ზემოხსენე-
ბული მსჯელობითა და მაგალითების
დამოწმებით დამტკიცებულად ჩაითვა-
ლოს დებულება, რომ ეფრემის ენაში
ებ-იან მრავლობითს „საკმაოდ ვხვდებ-
ებით“? ყველა ძველი ქართული ძეგ-

შოთა ძიძიყური

პეტრე იბერიელის ქართული თარგმა-
ნების ახალი გამოცემის გამო

ლის მიმართ შეიძლება ასე ზოგადად ვთქვათ — „საკმაოდ ვხვდებითო!“ მაინც რისი მთქმელია დებულების საინსტრუქციოდ დამოწმებული ეს ასიოდე მაგალითი? რაკი ავტორს სურდა თავის მსჯელობაში ებ-იანი მრავლობითისათვის დაეკისრებინა ასეთი მნიშვნელოვანი როლი — დამადასტურებელი სალიტერატურო ენის გარდატეხისა, მაშინ იგი ვალდებული იყო, თუნდაც სტატისტიკური ანალიზისათვის მიემართა, ამავე დროს ეჩვენებინა, რომელიმე სიტყვა ვხვდება თუ არა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ფორმით და ა. შ. ცალკე უნდა ყოფილიყო აგრეთვე გამოყოფილი და დასახელებული იმ დებულების ნათელმყოფელი მაგალითები, რომ ებ-იან მრავლობითში დასმულ სახელს ზმნა არ უთანხმდება რიცხვში.

ესეც რომ არ იყოს, ებ-იანი მრავლობითის მაგალითები უსისტემოდაა მოყვანილი, არ არის დალაგებული ფუძეთა მიხედვით.

ამ თავში დაშვებულია სხვა შეცდომებიც.

ასე, მაგალითად, დასახელებულია პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის ერთადერთი ნიმუში, რაც სრულ გაუგებრობაზეა დაფუძნებული. ლდ თანხმობანთა კომპლექსმა ასიმილაციის ძალით ლთ კომპლექსი მოგვცაო, ფიქრობს ავტორი. მაგალითი: განვლთ — განვლდ: განმევლთა, განვლთას (გვ. 0107).

რა თქმა უნდა, აქ არავითარი ასიმილაცია არ არის: ამ სიტყვაში არ არის არც ერთი ბგერა, რომელსაც შეიძლება მივაწეროთ მჟღერი თანხმოვნის დაყრუება, — ყველა ბგერა აქ მჟღერია.

ავტორი ეხება იმ ტიპის მაგალითებს, სადაც ვ-ინი შემონახულია. ამავე მაგალითების მწკრივში დასახელებულია ზმნა შეიცვების, ვითომ აქაც ვ შემონახულიაო. ეს კი გაუგებრობაა: ვ ამ ფორმაში არასოდეს არ არის ამოვარდნილი და, ამდენად, მისი მოთავსება სხვა ტიპის მაგალითებთან არ შეიძლება.

ავტორი ამბობს, რომ ეფრემის ენაში არის „ინტენსიური უფროლობითის წარმოქმნის“ ამგვარი შემთავსება: უუშურველესად, უუქანასკნელობისა, უუქანასკნელები, უუქანაასკნელესად და მისთანანი.

აქაც გაუგებრობაა. ავტორს ჰგონია, რომ აქ ვვაქვს იმ ტიპის ნიმუშები, როგორცაა უდიდესი — უუდიდესი, ე. ი. ხელოვნური ფორმები, რომლებმაც ენაში ფეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ უუდიდესი და უუქანაასკნელი სულ სხვადასხვა მოვლენებია: უუქანაასკნელში ერთი უ ფუძისეულია, მეორე — ფორმანტი, მაშინ როდესაც უუდიდესში ორივე უ ერთი რიგისაა.

შრომაში გამოთქმულია ასეთი მკაფიო და მეტად მნიშვნელოვანი დებულება: ეფრემმა „წარმოქმნისა და ლექსიკის მხრივ... დიდად გაამდიდრა მშობლიური ენა; არეოპაგიტული წიგნების ეფრემისეული თარგმანის ენობრივი შესწავლიდან ირკვევა, რომ ეფრემი ვირტუოზულად იყენებს ქართული ენის ბუნებრივ შესაძლებლობებს და ძირითად ლექსიკურ ფონდზე დაყრდნობით ქმნის ახალს, ფართო მნიშვნელობის ტევად სიტყვებს“ (გვ. 0114).

მკითხველი, ბუნებრივია, მოელის ამ დებულების დამადასტურებელი ნიმუშების ჩამოთვლას. ცოტა ქვემოთ ავტორი უმატებს: „მშობლიური ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრებისათვის ეფრემი ცდილობდა დაენერგა და დაემკვიდრებინა ქართულში წარმოქმნის როგორც მანამდე ცნობილი, ისე მის მიერ შემოღებული სხვადასხვა ხერხი“ (იქვე). შემდეგ ჩამოთვლილია რამდენიმე ასეთი ხერხი, მაგრამ მასალა წარმოდგენილია გაუდიფერენცირებლად: როგორ გავიგოთ, რომელია ამ მაგალითებიდან საკუთრივ ეფრემისეული და რომელი „მანამდე ცნობილი!“

ავტორი ხშირად „ეფარება“ ასეთ ნეიტრალურ ფორმულირებებს, მასალა კი არ არის გაანალიზებული.

აი კიდევ ამგვარი მაგალითი: „თარგმანის მდიდარი ლექსიკონიდან განსა-

კუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ მასში ვხვდებით ისეთ სიტყვებს, რომლებიც შექმნილი უნდა იყოს ეფრემ მცირის მიერ და პირველად ქართულ მწერლობაში აქ ხმარებული“ (გვ. 0118). აქაც მკითხველი მოელის ნიმუშების დასახელებას. მაგრამ არა, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ამ დებულებას ემატება მეორე დებულება: „აქვე მოიპოვება მწერლობაში იშვიათად ხმარებული სიტყვები“. ამასვე ერთვის მესამე დებულება: „ზოგიერთ სიტყვას აქვს ძველი ქართულისათვის მათი ჩვეულებრივი შინაარსისაგან განსხვავებული გაგება“ (იქვე).

ამრიგად, ავტორი ერთმანეთის მიყოლებით აყენებს სამ თეზისს: 1. ეფრემის ენაში გვხვდება საკუთრივ მის მიერ შექმნილი და დანერგილი ლექსიკური ერთეულები, 2. ეფრემი იყენებს მწერლობაში იშვიათად გამოყენებულ სიტყვებს, 3. ეფრემის თარგმანებში არაიშვიათია ისეთი სიტყვები, რომლებიც ენაში, მართალია, ცნობილია, მაგრამ ისინი ეფრემ მცირეს განსხვავებული შინაარსით აქვს ნახმარი.

ცხადია, თითოეული ეს მნიშვნელოვანი დებულება სათანადო მაგალითებით უნდა იყოს ილუსტრირებული.

ავტორი ერთმანეთისაგან ლოგიკურად განსხვავებულ ამ სამ თეზისს ერთ სიბრტყეზე ათავსებს. ძნელი გასარკვევია, ჩამოთვლილ ლექსიკურ ერთეულებში რომელია საკუთრივ ეფრემისეული ტერმინი (მის მიერ პირველად შემოღებული და ხმარებული მწერლობაში), რომელია იშვიათი სიტყვები სალიტერატურო ენაში, ეფრემის მიერ კანონიზებული, და რომელია ისეთი სიტყვები, რომლებიც განსხვავებული სემანტიკური ნიუანსით იხმარება ეფრემის ენაში.

აბსოლუტური უმრავლესობა სიტყვებისა, რომლებიც ზემოხსენებული დებულების საილუსტრაციოდ აქვს ავტორს დასახელებული, საკმაოდ ცნობილი და საკმაოდ გავრცელებულია ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში,

და ცნობილია ვაცილებით უფრო ძველი ენობრივი ძეგლებიდანაც, ვიდრე ეფრემისეული თარგმანებია. მაგალითად, არვე-ჯოგი, გვხვდება ჯერ კიდევ ბიბლიურ ტექსტში: „თმა შენი, ვითარცა არვე თხათა“ (ქება ქებათა, 4,1); ხშირად გვხვდება სხვა ძეგლებში, მაგალითად, ბასილი დიდის ქართულ თარგმანში — „ექუსთა დღეთა“; ვანფრდილი (გაყიდული) — აგრეთვე ცნობილი სიტყვაა. იხილე, მაგალითად, გიორგი მთაწმიდლის თხზულება „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ (42,4): „ცოდვათა შინა ვანფრდილისა სულისა ჩემისა თანა...“; დავანება, დავანებული — იხილე დაბადების ტექსტი; ვარჯი — ქოჩორი. ცნობილია დაბადების ძველივე თარგმანიდან, ხშირია სხვა ძეგლებშიც; მეწამული — უაღრესად გავრცელებული სიტყვაა ძველ ქართულში; მოქენე — მთხოვნელი, მახვეწარი (საბა), იხილე დაბადების ტექსტი: ხშირია პეტრიწის ენაშიც; პირმშო — ოთხთავის ტექსტის მიხედვით პირველი შვილია: „შვა ძმ იგი მისი პირმშოა“ (ლუკა, 2—7). სიტყვამ შემდეგ მიიღო მნიშვნელობა პირველისა, უწინარესისა, პირველ წარმონაქმნისა. ასეა გაგებული „პირმშო“, მაგალითად, პეტრიწის ენაში: „მოეხუნეს ესვითანი ესე ძალნი თვნიერ პირმშოთა და მიზეზთაჲსა“ და სხვა. ტაკუკი — აგრეთვე ძველ ბიბლიურ ტექსტში გვხვდება (ნასესხებია); ჭენება: იქნებ ეს სიტყვაც იშვიათია ანდა განსხვავებული შინაარსითაა ნახმარი ეფრემის ენაში! ავტორი განმარტავს — „გაქცევით დაჯახება, დაძკერება“. გარდა რბოლისა, ცხენის გაქანებისა, სიტყვას აქვს ასეთი გაგებაც: „შეტევა სილაღით (ნიკოა ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ლლონტის რედაქციით; მითითებულია დაბადების ტექსტზე); კიმენში (II ტომი) არის ასეთი ადგილი: „და ვითარცა აუწყეს მთავარ-

შოთა ძიძიგური

პეტრე იბერიელის ქართული თარგმანების ახალი გამოცემის გამო

ეპისკოპოსსა, გონებითა და ქენებითა გამოასხნეს იგინი ბრძანებითა სჯკე-ლოსისაჲთა და მრავალნი ჭირნი შეამთხვენეს მათ ქალაქსა შინა“. ამავე აზრითვე გვხვდება ეს სიტყვა შიო მღვიმელის „ცხოვრებაშიც“ (საქართველოს სამოთხე, 239, 18). ზოგებით — საერთო, ზოგადი. იხ., მაგალითად, გ. მთაწმიდლის თარგმანი ბასილი დიდის თხზულებისა — „ექუსთა დღეთაჲ“: „მკვდრობაჲცა ზოგებით...“, (95,3) და სხვა. ასევე ეფრემისეული ენის თავისებურებად მიიჩნევენ ავტორი სიტყვებს — ლ ა ხ ვ ა რ ი, ქ ა ნ დ ა კ ი, მ წ ი კ უ ლ ი, ფ ე ს ა ნ გ ო ვ ა ნ ი, ს ა ხ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა და ს ხ ვ ა.

ს. ენუქაშვილი აყენებს დებულებას, რომ ეფრემ მცირეს ახასიათებს ენობრივი პუროზმი. „მისი თარგმანის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, — ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, — არც ერთი ბერძნული სიტყვა არ იქნეს გადამოტანილი ქართულში გადმოითარგმნელად. ძირითადი ლექსიკური ფონდის საფუძველზე მან ზუსტი ქართული შესატყვისები გამოუნახა ისეთ ბერძნულ სიტყვებსაც კი, რომლებიც შემდგომ ენებში უცვლელად იქნა გადატანილი და საერთაშორისო ტერმინებად იქცა“ (გვ. 117). შემდეგ მოყვანილია მაგალითები. ავტორის ვანცხადება — ეფრემმა „ზუსტი ქართული შესატყვისები გამოუნახა ბერძნულ სიტყვებსო“, იმას ნიშნავს, რომ დამოწმებული მაგალითები ეფრემის მიერაა შემოტანილი სალიტერატურო ენაში.

სამწუხაროდ, ავტორი აქაც არ იჩენს სათანადო სიფრთხილეს და წინდახედულებას: არაერთი სიტყვა-ტერმინი, რომელსაც სამსონ ენუქაშვილი აწერს ეფრემ მცირეს (თანახმად დებულები-სა: „მან ზუსტი ქართული შესატყვისები გამოუნახა ბერძნულ სიტყვებს“), სხვა ავტორებთანაც გვხვდება იმავე მნიშვნელობით და ძნელი დასამტკიცებელია, რომ ისინი პირველად ეფრემმა იხმარა მეცნიერულ ენაში.

აი, რამდენიმე მაგალითი: ანტაგონისტის ნაცვლად ეფრემმა წინა-გან-

წყობი იხმარაო, გვეუბნება ავტორი. მაგრამ საქმე ისაა, რომ წინაგანწყობა და მისგან ნაწარმოები ფორმები ულუბრივია პეტრიწის ფილოსოფიურ ენაში. მაგალითები: „სულსა შორის არცა ხრწნიან ერთი ერთსა, არცა წინაგანწყობებიან და შეიწროებენ სულსა და არცა კუალად თან შეარწყუმენ...“ (პეტრიწის შრომები, II ტომი, შალვა ნუცუბიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 29); „ვინაჲ, რაჲმცა ამათგანი წინა განმწყობს წინაგანწყობიან“ (15,5). აქ სწორედ საწინააღმდეგოს, ანტაგონისტის აზრით არის ტერმინი ნახმარი. შეადარე აგრეთვე: „წინაგანწყობ — დაპირისპირებული, მოწინააღმდეგე: „არ იყვენ ვიდრე მე ურთიერთას წინაგანწყობ“ (I ტომი, 7,3). სინონიმურად იმავე ძეგლში გვხვდება წინამეწყვე, წინამეწყვი, წინამეწყობ — წინააღმდეგის, საწინააღმდეგოს, დაპირისპირებულის გაგებით.

ეფრემმა ბერძნული სიტყვის — ენერგისათვის ქართული ტერმინი მოქმედება გამოუნახაო, გვეუბნება შრომის ავტორი. იმავე პეტრიწის ენაშიც ეს სიტყვა მოქმედება ჩვეულებრივია ენერგის მნიშვნელობით (კონტექსტებს აქ არ მოვიყვანთ. დავასახელებთ ნუცუბიძე-ყაუხჩიშვილის გამოცემის გვერდებს: 45, 27; 38, 14; 45, 26; 39,1; I ტომი; 9,21; 140,9; 41,16: II ტომი).

ავტორს ჰგონია, რომ ბერძნული თეოლოგიის ქართული შესატყვისი ტერმინი ღმრთის-მეტყველება ეფრემ მცირის გამოგონილია. ისევ პეტრიწს მივმართოთ: ღმრთისმეტყველება მასთან თეოლოგიის ფარდი სიტყვაა, აქედან ზმნური ფორმებიც: აღმრთისმეტყველებენ, იღმრთისმეტყველა და ა. შ.

ბერძნულ სიტყვას — თეორიას ეფრემმა ქართული ტერმინი ხედვა მიუსადაგაო, გვარწმუნებს ძეგლის გამომცემელი. არც ეს არის სწორი. ხედვა თეორიის მნიშვნელობით სხვა ავტორებთანაც გვხვდება. იხ., მაგალითად,

იგივე პეტრიწი (4,28; 4,31; 141,24 და მრავალი სხვა). ასევე დაუსაბუთებელია ს. ენუქაშვილის მსჯელობა იმის თაობაზე, თითქოს ეფრემს შემოეტანოს ტერმინი ოცნება ფანტაზიის, წარმოდგენის შესაბამისად, ფილოსოფიის ნაცვლად ტერმინი სიბრძნისმოყუარება დაედგინოს და სხვა.

არც სინონიმებისა და ჰენდიადისების ანალიზის დროს არის დაცული სათანადო სიზუსტე. მაგალითად, რატომღა სინონიმები შემდეგი დაწყვილება: „ნამდვლვე ჰეშმარიტებისა“, „მეორე შემდგომი მისი“, „ჰეშმარითი იგი ჰეშმარიტებაჲ“, „ჰეშმარიტებისამებრ ნამდვლვე“ და მრავალი სხვა (გვ. 0122—0123), ანდა რა ჰენდიადისის ნიმუშებია: „გონებით მოგონებაჲ“, „მცნობელობისაჲ მოგონებად“ და მისთანანი.

სამსონ ენუქაშვილი იოლად წყვეტს საკითხებს და უგულვებელყოფს სამეცნიერო მეთოდებს, რომლებიც გამოყენებულია ლექსიკოლოგიურ კვლევაში.

როგორც აღინიშნა, წიგნს ერთვის ლექსიკონი. ცხადია, აქ უნდა იყოს განმარტებული სიტყვები, რომლებიც ძალზე იშვიათია ძველ ქართულში, ანდა ისეთი სიტყვები აღინუსხოს, რომლებიც რაიმე თვალსაზრისით საჭიროებენ ფიქსაციას.

როგორ უნდა შეფასდეს შრომის ეს ნაწილი?

ჯერ ერთი, ლექსიკონში მოხვედრილია ისეთი სიტყვები, რომლებიც სრულიად არ საჭიროებდნენ განმარტებას. ასეთი სიტყვები უამრავია: ამავე სახით, არამედ, აღორძინება, აღსასრული, ბილწი, ბნელი, განთესვა, განმარტება, დაბურვა, დასაბამი, ეგრეთვე, ვითარმედ, კანონი, და მისთანანი. სავსეა ლექსიკონი ისეთი სიტყვებით, რომლებიც თანამედროვე ქართულისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ მათში უმარცვლო უნი გვხვდება მხოლოდ.

ლექსიკონის მთავარი ნაკლი ის არის,

რომ მასში არაა შეტანილი სიტყვები, რომლებიც უთუოდ მოითხოვდნენ განმარტებას. ამგვარი სიტყვები, ჩვენთვის სტიდან ბლომად ამოვწერეთ. გვულისხმობთ ამგვარ მაგალითებს: მიმოვრდომითი, ანგელოზყოფა, მობაძავეყოფად, ორცხოველობა, დაუბგერებელი, ცისმავალობა, მათგანვეობა, უმარჯობა, დაუსახველი, ერთმთავრობითი, ერთმყოფელი, მიმდებლობა, ნათელსახელიობაჲ, ერთგუამ, წმიდება და მისთანანი.

ლექსიკონში არ არის შესული ზოგიერთი სიტყვა, რომლებზედაც საგანგებოდ ჩერდება ავტორი თავისი გამოკვლევის იმ ნაწილში, სადაც ეფრემის ტექსტის ლექსიკურ თავისებურებებზეა საუბარი. მაგალითად, როგორც ზემოთ ვთქვით, სამსონ ენუქაშვილს მიაჩნია, რომ ეფრემმა ბერძნული ანტაგონისტის ნაცვლად დაამკვიდრა ტერმინი წინა-განწყობი. თუ რომელიმე სიტყვას ჰქონდა უფლება ლექსიკონში მოხვედრილიყო, უწინარეს ყოვლისა, ისეთებს, რომლებიც, თანახმად ავტორის მტკიცებისა, ეფრემის მოგონილია. მიუხედავად ამისა, წინა-განწყობი არ არის შეტანილი ლექსიკონში. ბერძნული სიტყვის — გენეზისის ქართულ ექვივალენტად ეფრემმა ტერმინი დაბადება დააქანონაო, გვეუბნება ავტორი თავის გამოკვლევაში. ლექსიკონში კი დაბადებაჲ (ცხადია, გენეზისის გაგებით) არ არის შესული. სახედველი ოპტიკის ქართული შესატყვისიაო, ნათქვამია გამოკვლევაში, რომელიც წამდგარებული აქვს ტექსტს. ლექსიკონში კი სახედველი არის, მაგრამ მისი ახსნა ასეთია: „თვალი“. ასეთი მაგალითები სხვადაა.

ლექსიკონი დაზღვეული არ არის უფრო მძიმე შეცდომებისგანაც.

მაგალითად, ტექსტში გვხვდება „ლა-

შოთა ძიძიგური
პეტრე იბერიელის ქართული თარგმანების ახალი გამოცემის გამო

ხურები და ცულები“. ცხადია, აქ **ლახურები** **ლახურ**-სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმაა: ა ამოვარდნილია ფუძიდან **ებ** სუფიქსის დართვის შედეგად, ფუძე შეკუმშულია. ავტორს ეს გარემოება გათვალისწინებული არა აქვს და მას მრავლობითის ფორმიდან (**ლახურები**) მხოლობითი რიცხვის ფორმა გაუკეთებია და **ლახური** მიუღია. აქ კორექტურული შეცდომა არ არის, რადგან, ჯერ-ერთი, ეს სიტყვა ამ სახით გვხვდება ორ სხვადასხვა ადგილას: ლექსიკონში და გამოკვლევის იმ ნაწილში, სადაც ავტორი მსჯელობს ლექსიკური თავისებურებების შესახებ (გვ. 0119). გარდა ამისა, ავტორს **ლახური** სწორედ იმიტომ შეაქვს ეფრემის ნეოლოგიზმებში, რომ თავისებური ფორმა ჰგონია (**ლახურ**-ისაგან წარმომდგარად რომ გაეგო, ალბათ არ დასახელებდა ეფრემის სიტყვათშემოქმედებითი მუშაობის საილუსტრაციოდ).

ლექსიკონში განმარტებულია სიტყვა **აღსტქუმა** (აღტქმა, დაპირება).

რა ფორმაა ეს აღსტქუმა? ასეთი მასდარული ფორმა ქართულმა ენამ არ იცის. იქნებ აქ კორექტურული შეცდომაა და უნდა ივარაუდებოდეს **აღტქუმა**, თანახმად მისი სწორი განმარტებისა: აღტქმა, დაპირება? მაგრამ არა, **აღტქუმა** ლექსიკონში თავის ადგილას არის დასახელებული ამავე განმარტებით. ჩაახედოთ ტექსტს, საიდანაც ამოღებულია ეს ფორმა: „და უოვლითურთათა მათ ღმრთის სახეობისა წინა აღმდგომთაგან ჯმნასა აღსტქუამს“ (166,34). აი საიდან არის წარმოშობილი შეცდომა „აღსტქუამს პირიელი ფორმაა **აღტქუმა** — მასდარისა; ავტორს ვერ გაუგია, რომ **ს** პირის ნიშანია, ამიტომ იგი ზმნის ფუძის კუთვნილებად მიუჩნევია და საწყის ფორმაში მოუთავსებია ასე: **აღსტქუმა**.

კიდევ ერთი მიუტყვებელი შეცდომა:

ლექსიკონში შესულია სიტყვა **მოძილა** (მიძინარი, მთვლემარე).

მოძილა ფორმა ძველ ქართულში

არსად არ გვხვდება. ჩაახედოთ **ესე** ეფრემის ტექსტს, იქ სწორედ **მოძიერად და მაძღრად, მოძილად და მოძიერად აღმნობს**“ (251, 10). რაკი აქ ასეთი ფორმაა — **მოძილად**, ხოლო სხვა ფორმაში, ალბათ, ავტორს ეს სიტყვა არ შეხვედრია, უფიქრია, ესაა ხმოვანფუძიანი სახელი, ა-ზე დამთავრებული, რომელიც დასმულია ვითარებით ბრუნვაში, ჩამოუცლია ბრუნვის ნიშანი და **მოძილა** მიუღია.

ესეც გაუგებრობაა. ძველი ფორმებია **მოძილი**, **საძილი**, **უძილი**, ე. ი. ნაწარმოებია მხოლოდ თავსართით, განსხვავებით შემდეგდროინდელი ქართულის ფორმათა პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისა: **მო-ე**, **უ-ო** (ვთქვათ: **მოძილი-ე**, **უძილი-ო**). ძველი ქართულის ფორმა **მოძილი** ავტორისათვის ნაცნობი რომ ყოფილიყო, მაშინ მისთვის ადვილი გასაგები იქნებოდა, — ტექსტში ნახმარი **მოძილად** თანხმოვანფუძიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა და, მაშასადამე, ამოსავალია არა **მოძილა**, სრულიად უცნაური ძველი ქართულისათვის, არამედ **მოძილი**.

ამგვარი შეცდომები ლექსიკონში სხვაგვარა.

ლექსიკონში შეტანილია სიტყვა — **უგუმერ**, რომლის განსამარტავად დასახელებულია პირიელი ფორმა „ჩხვლეტდეს“.

რა არის ეს უგუმერ?

ტექსტშია: „**უგუმერდეს რაა დეზითა ჰავ სახეთა შეზავებთათა**“ (107,3). ადვილი მისახვედრია, რომ უგუმერდეს პირიელი ფორმაა ძველ ქართულში კარგად ცნობილი გუმერა სიტყვისა (**ლახურის** კვრა: **საბა**). ს. ენუქაშვილს უგუმერდეს-ში ვერ ამოუცვინია გუმერა და ქეცვის ფორმანტი უ ძირისეულად მიუჩნევია. რადაც უხერხულობა ავტორს მაინც უგრძქვია და ლექსიკონში შეუტანია ორწერტილის დასმითა და პირიელი ფორმის ჩვენებით.

ლექსიკონში რიგი სიტყვები სწორად არ არის განმარტებული, ავტორს სწორად ვერ გაუგია ძველი ქართული სიტყვების მნიშვნელობა.

ასე, მაგალითად, ლექსიკონში მოცემულია სიტყვა აქანი და განმარტებულია ასე: „აქ, აქა“. აქა ნიშნავს აქაურს, ხოლო მისი მრავლობითის ფორმა აქანი — აქაურებია და არა „აქ, აქა“.

ლექსიკონში შეტანილია სიტყვა თავსაკიდური და მოცემულია ასეთი განმარტება: „ჩამოსაკიდებელი, დასამაგრებელი“. ჩავხედოთ ტექსტს, იქ სწერია: „...რამათა სახის-ვმეტყუელბდე, მუცლად შთასრული და დაუწყუედელთა მდინარეთა მიერ აღმომაცანებელი, ხოლო ოდესმე უკანამკენელთაგან ვითარცა ნელ-საცხებელად სულნელად და ვითარცა ლოდად თავსაკიდურთა“ (108, 34).

ვთქვათ, არ ვიცით სიტყვა თავსაკიდურის მნიშვნელობა, ამის მიუხედავად, ზემოხსენებულ ტექსტში ჩამოსაკიდებლის დანახვა შეუძლებელი უნდა იყოს. ეს სიტყვა კიდის, კუთხის ქვაა.

კიდევ უფრო საკვირველია შემდეგი გარემოება.

ამ სიტყვის განმარტების შემდეგ („ჩამოსაკიდებელი, დასამაგრებელი“) ავტორს მიუწერია ბერძნული „თარგმანი“ *ἀκρογωνιαίος*. საქმე ის არის, რომ სწორედ ეს ბერძნული სიტყვა მნიშვნელობით კუთხის ქვაა (შეადარე: გრაციენსკის Греко-российский словарь. 1878: განმარტებულია: краевой-гольный камень), ასე რომ, ბერძნულის მცოდნეს — ს. ენუქაშვილს — გამოეპარა, რომ ზემოხსენებული სიტყვა „კუთხის ქვა“ და არა „ჩამოსაკიდებელი, დასამაგრებელი“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ავტორს რომ პროფ. ივანე იმნაიშვილის მიერ

შედგენილ ოთხთავის სიმფონიაში ჩახედა, ამ სიტყვის მნიშვნელობა კვებდა, რომელიც ზოგჯერ უცნაურადაა გამოყენებული.

ასე, მაგალითად, ლექსიკონში სიტყვის განმარტება ფრჩხილებშია ჩასმული: გ (ჰგეის ძირი) ახსნილია ფრჩხილებში: არსებობა, ყოფნა. ივანე იმნაიშვილის მიერ შედგენილ სიმფონიაში ასეთი წესია მიღებული: მოცემულია სიტყვა, მას მოსდევს განმარტება ფრჩხილებში და შემდეგ სასიმფონიო მასალა. აქ ეს წესი გამართლებულია, რადგან წიგნი სიმფონიაა, ენუქაშვილის ლექსიკონში კი ეს ხერხი მექანიკურადაა გადმოსული.

შემდეგ:

განმარტებულია რე ნაწილაკი. მითითებულია, რომ იგი „ოდენობითი ნაწილაკია“. ესეც ამ წიგნიდანაა აღებული, ოღონდ გადმოწერაშია შეცდომა: უნდა იყოს „ოდნობითი ნაწილაკი“.

ასეთია ჩვენი შენიშვნები შრომის ლინგვისტური ნაწილის მიმართ.

არეოპაგიტული ტექსტის ქართული თარგმანის გამოქვეყნება უთუოდ დადებითი მოვლენაა. სამსონ ენუქაშვილს, როგორც ჩანს, ჩაუტარებია ფართო ფილოლოგიური კვლევა-ძიება ბერძნულ ტექსტთან ქართული ტექსტის მიმართების დასადგენად, სათანადოდ შეუსწავლია ხელნაწერები, დაუგროვებია ზოგიერთი საინტერესო მასალა ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდების შესასწავლად და სხვა.

ნაშრომის ენათმეცნიერული ნაწილი კი (ენობრივი მიმოხილვა და ლექსიკონი) ასეთ მოწონებას ვერ იმსახურებს.



მედიცინა

გაგა თვალჭრილიძე

ძიების ზეით

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შევედივართ. სცენა თითქმის დარბაზშია გადმოსული. ლამაზად მოწყობილი ბინა კი მეორე ოთახია, სადაც ჩვენი დარბაზიდან შეიძლება გავიდეთ. ჩვენ დარბაზში ნაცნობებს ვესალმებით, იქ კი, სცენაზე, დიასახლისი ფუსფუსებს, ვიღაცას ელის, ემზადება. ვეძებთ ადგილებს. სცენიდან ნაცნობი მელიოდიები ისმის. ქვეშეცნეულად ვგრძნობთ რაღაც სიახლეს და ეს განწყობილება მთლიანად გვიმორჩილებს. დარბაზში სიჩუმე ისადგურებს.

სინათლე ნელ-ნელა ქრება, მაგრამ სცენიური ცხოვრება ზღვარს კი არღებს დარბაზსა და სცენას შორის, პირიქით, უფრო ახლობელს ხდის მას. ეს იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებიც სცენაზე მოქმედებენ, ცდილობენ ჩაწვდნენ გმირების სულიერ სამყაროს, გულთ და გონებით შეიცნონ იგი და იპოვონ ამ გმირთა ხასიათის ის უმთავრესი თვისება, რაც დარბაზში მჯდომ ადამიანებს აინტერესებს.

საკვირველია, მაგრამ ამჯერად არავითარი სცენიური ნოვაციების მოწმენი არა ვართ, სცენაზეც თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, მსახიობებიც ყოველგვარი პათოსის, დეკლამაციისა და ვადაჭარბებული გრძნო-

ბის გარეშე ცხოვრობენ გმირების ცხოვრებით. სწორედ ამიტომ დამყარდა ასეთი ურთიერთგაგება სცენასა და დარბაზს შორის. ჩვენ აგვალეღვა გმირების ცხოვრებამ, ამ მღელვარებით კი არც თუ ისე ხშირად გვანებიერებს ჩვენი თეატრები.

მცირე დარბაზში ყველაფერი ნათლად ჩანს. მსახიობებისაგან ორ ნაბიჯზე მჯდარი მაყურებელი მაშინვე შეამჩნევს უმნიშვნელო სიყალბეს. ამ ფაქტმაც განაპირობა სცენიური სიმართლე, მოითხოვა რეალური ცხოვრების ატმოსფერო. მაყურებელმა იგრძნო ეს ცხოვრება, მასაც შეეხო მისი სუნთქვა, გადაედო, ააღელვა.

მსახიობებთან მაყურებლის ასეთი „შეხების“ ცდა ახალი თეატრისათვის (შეიძლება მას პირობითად რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სახელოსნო ვუწოდოთ) მეორეა. თავისთავად ამ თეატრის ჩამოყალიბებას მრავალი განმაპირობებელი მიზეზი ჰქონდა. უმთავრესი მაინც ის იყო, რომ რუსთაველის თეატრის დასი ყოველწლიურად ივსება თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდებით, მოდიან ახალბედა მსახიობები და თან მოაქვთ სურვილი და სიყვარული, ბევრს — დიდი ნიჭიც. მაგრამ მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ ბე-

ჯითი სწავლა, სცენის პრაქტიკული ათვისება, ოსტატობის შექმნა, მეტყველების დახვეწა. ამის მიღწევა მეტად რთულია რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე, სადაც ყოველდღიურად იმართება სპექტაკლები, სადაც მყუდრებელი დახვეწილ თამაშს ელის. რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე კი მსგავსი ექსპერიმენტების ჩატარება შესაძლებელია. გარდა ამისა, გამოცდილ მსახიობებს, რომლებსაც ათასჯერ უხდებოდათ ერთსადაიმთხვე სპექტაკლში თამაში, საშუალება მიეცათ ჩამოიცილონ ზოგიერთი შტამი, უფრო გულმოდგინედ იმუშავონ თავიანთ თავზე, გამოიმუშავონ უფრო ინტიმური კილო მაყურებელთან ურთიერთობის დასამყარებლად.

ახალი თეატრის ჩამოყალიბება სხვა მხრივაც მისასაღმებელია. ბევრი საინტერესო მასალა შემოდის თეატრში, ორიგინალური, მაგრამ ჯერ კიდევ არააპრობირებული პიესები. ეს პიესები ექსპერიმენტის სახით შეიძლება გაისინჯოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიდგას დიდ სცენაზე. ამგვარი ექსპერიმენტის ჩატარების საშუალება რუსთაველის თეატრს, ცხადია, არ გააჩნდა. დიდ სცენაზე არც პოეზიის საღამოს ჩატარება შეიძლება, რომელიც ბევრი ახალგაზრდა მსახიობის ნიჭს გამოაჩენს. გარდა ამისა, არსებობს პიესები, რომელთა სპეციფიკაც უსათუოდ პატარა დარბაზსა და სცენას საჭიროებს. ამიტომაც მცირე თეატრი ჯერჯერობით წმინდა ექსპერიმენტული ხასიათის მატარებელი, ძიებებისა და ორიგინალური მიგნებების ასპარეზია. თავად ის ფაქტი, რომ საქართველოში, თბილისში, მიხეილ თუმანიშვილისა და დორიან კიტიას ხელმძღვანელობით ახალი თეატრი შეიქმნა, თანაც განსხვავებული და სპეციფიკური თვისებების მქონე — უაღრესად საინტერესო მოვლენაა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. ამიტომ სავსებით გასაგები და კანონზომიერია, რომ ყოველთვის ხალხი აწყდება ახალი თეატრის კარებს.

პირველი სპექტაკლი, რომელიც ამ

კოლექტივმა დადგა, იყო გ. ნახუტაშვილის „ჰინკრაჰა“. ეს სპექტაკლი წმინდა ექსპერიმენტული ხასიათისა, მსახიობები აქ მკვეთრად სახასიათო სახეების შექმნას სწავლობდნენ, იმუშავებდნენ იმპროვიზაციის უნარს, ითვისებდნენ სახის მიმართ დამოკიდებულების რთულ ტექნიკას. შედეგი: ბრწყინვალე მსახიობური ანსამბლი, მდიდარი ფანტაზიით აღსავსე მიგნებანი. ვ. როზოვის „ვახშობის წინ“, როგორც ვთქვით, თეატრის მეორე დადგამაა. რა თქმა უნდა, არც ეს სპექტაკლი შეიძლება გამოვაცხადოთ ახალი თეატრის კრედიტ, მიუხედავად იმისა, რომ ესაა კარგი სპექტაკლი, რომელშიც გამოვლინდა თეატრის კოლექტივის ახალი პოზიცია — ყველაფერი ადამიანის შინაგანი სამყაროს შესაცნობად, ყველაფერი — სულიერი ცხოვრების გასახსენლად. ამიტომაც ასე მართალი, დაძაბული და საინტერესო არიან სცენაზე ადამიანები, და ჩვენც ამიტომ ვხვდებით მათი გაცდების მონაწილენი. კიდევ ერთი რამ გახდა სპექტაკლმა ნათელი — თეატრში ახალგაზრდობა მოვიდა — ძლიერი ნაკადი, რომელიც ჩვენი სცენის სახელმძღვანელო ოსტატებს მხარში ამოუდგა.

ძლიერად, თამამად, რწმენით გამოდიან ისინი პიესის ფინალში. მოდის ახალგაზრდა თაობა: ბელა მირიანაშვილი, იზა გიგოშვილი, გოგი ქავთარაძე, ტრისტან ყველიძე, მერაბ თავაძე, მათ გვერდით ამოუდგა ამ სპექტაკლის შემქმნელი რობერტ სტურუა. მათთან არიან აგრეთვე გიორგი საღარაძე, ეროსი მანჯგალაძე, სალომე ყანჩელი, გიორგი გეგეშკორი, ელენე საყვარელიძე, ზინა კვერენჩილაძე, მხატვარი დიმიტრი თავაძე. და ჩვენც ღრმა რწმენა გვეუფლება — ეს არის მძლავრი კოლექტივი, რომელიც აზროვნებს და ეძიებს ყველგან — რეპეტიციებზე, სპექტაკლებზე, მაყურებელთან შეხვედრისას. ამ ძიების მიზანი ერთია —

ტატა თვალჭრელიძე
ძიების გზით

ქართულ სცენაზე დაამკვიდრონ დღევანდელი დღე, ჩვენი მღვღვარე თანამედროვეობა, ჩვენი ცხოვრება, რომელიც მაჟურებელთან ერთად მიდის წინ, იზრდება, უფრო რთული და საინტერესო ხდება. ეს სირთულე მართლად და უბრალოდ უნდა განასახიერონ მსახიობებმა. ამ ძიების პირველი შედეგი სიახლეებით აღბეჭდილი „კინჭრაქაა“, მეორე — ასეთივე სიახლით, ახალი რეჟისორული ხერხით დადგმული „ვახშმობის წინ“. ესაა უაღრესად საინტერესო, ამასთან გაბედული პირველი ნაბიჯი, რომელმაც თეატრი ახალ და საინტერესო გზაზე უნდა გაიყვანოს.

როზოვის „ვახშმობის წინ“ ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა გადმოაქართულა. ახალგაზრდა რეჟისორმაც თბილისში გადმოიტანა მოქმედება, სცადა ყველაფერი უფრო ნაცნობი და ახლობელი გაეხადა ჩვენთვის, მოკლედ, შეექმნა ქართული სპექტაკლი, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ამ სპექტაკლის წინაშე იდგა მსახიობური ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა თანამედროვე გვირის მართალი სახის შექმნისა, რომელიც უსათუოდ ეროვნული ხასიათის მატარებელი იქნებოდა. ამ მხრივ შეგვიძლია წარმატება მოვულოცოთ დამდგმელ კოლექტივს: ქართულია ის ხასიათები, რომლებსაც ჰქმნიან ეროსი მანჯვალაძე და გოგი ქავთარაძე, სალომე ყანჩელი და ბელა მირიანაშვილი, გიორგი გეგეჭკორი და ზინა კვერენჩილაძე. ისინი ცდილობენ დატვირთონ თავიანთი როლები ღრმა ადამიანური შინაარსით. და იქ, სადაც რეჟისორმა მოახერხა შეექმნა წმინდა ეროვნული სიტუაციები, სადაც ვხედავთ ქართული ქცევებით აღბეჭდილ ხასიათებს — იქ ყველაფერი ნამდვილი და ცხოვრებისეულია. მიუხედავად ბევრი კუპიურისა, მიუხედავად მრავალი ცვლილებისა, მაინც არის ადგილები სპექტაკლში, სადაც დარღვეულია ქართული ხასიათის ლოგიკა, ამიტომ სპექტაკლის ასეთი მომენტები, — სიყვარულის ახსნის სცენა

(მაია, არჩილი), ზარიძის გამოსცხვება ყიფშიძეების ოჯახში, — წარმოადგენს საერთო ქსოვილიდან უცხო ელემენტებად გამოიყურება.

რეჟისორი აზროვნებს სპექტაკლში, თანამედროვე ადამიანის ინტელექტიდან გამომდინარე, აზროვნებს ისე, როგორც სჭირდება დღეს მაჟურებელს. მის მიერ წინა პლანზე წამოწეული საკითხები დღევანდლობის ის პრობლემებია, რომელიც ყოველ ადამიანს ერთნაირად აღეგებს. ამიტომაც ასე კარგად შეითვისეს მსახიობებმა სპექტაკლის ეს დედაზრი და სცენიდან ხმამაღლა წარმოსთქვეს იგი.

„მე როგორც ვფიქრობ და განვიცდი, ისე ვცხოვრობ“, — ამბობს იზა გიგოშვილის მაია. მან მიატოვა ქმარი, ბავშვთან ერთად წამოვიდა სახლიდან, ვერ შეეთვისა ქმრის ჩვეულებრივ „პროზაულ“ ხასიათს. იზა გიგოშვილი ხაზს უსვამს მაიას სწორედ ამ რომანტიულ-ამაღლებული ცხოვრების შექმნისაკენ მისწრაფებას. მან უკვე შეიცნო ცხოვრების სირთულე — იცის, „რა არის მისი და რა არის სხვისი“. ვინ არის ამაში დამნაშავე? იქნებ ისეთი ადამიანები, როგორც მისი დედინაცვალი ოფელიაა, რომელიც მას კარადას უკეტავს, და რაც უფრო ზუსტად ახასიათებს ლენა საყვარელიძე ოფელიას, რაც უფრო გამომსახველი და შარკირებულია მისი გმირი, მით უფრო უყოყმანოა ჩვენი დასკვნა: არა, ეს არ არიან ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია კოლექტივის ხმა. „შეიძლება, არჩილ, წესებითა და კანონებით იცხოვროს ადამიანმა?“ — კითხულობს აღელვებული მაია. „ასეთი ცხოვრებაც შეიძლება... მაგრამ გონება არ უნდა ჰკლავდეს გრძნობებს, პირიქით, უნდა ეხმარებოდეს ადამიანებს, რომ გრძნობებით იცხოვრონ“. ეს არის არჩილის პასუხი. ეს რეჟისორის პასუხიცაა. არჩილმა — ყველაიქმვერ დაუმორჩილა გრძნობები გონებას. დასაწყისიდანვე არჩილი ჰკვიან, დინჯ და „სწორ“ ადამიანად მოგვევლინა. მან თითქოს იცის, რისთვის ცხოვ-

რობს და როგორ უნდა იცხოვროს. და
აი, უცებ ჩვენ მოწმენი ვხდებით უდი-
დესი, თავდავიწყებული გრძნობისა.
ყველაიძის არჩილი „სწორად არ იქ-
ცევა“. კანონისა და წესის მიხედვით
მას უნდა შეერიგებინა მათა ქმართან—
მის მეგობართან, არჩილის გრძნობა კი
საბოლოოდ ანგრევს მათს „ბედნიერ“
ოჯახს. ავტორებისა და მკითხველის
სიმპათია კი მაინც მის მხარეზეა, გან-
საკუთრებით იმის შემდეგ, რაც მათს
ქმარს გაეცნობიან. მერაბ თავაძის და-
თო თავის თავში დარწმუნებული, ოჯა-
ხის მატერიალურ კეთილმოწყობაზე
მზრუნველი ადამიანია. ახლა კი, როცა
ეს ხელიდან გამოეცალა, დაიბნა, დაე-
კარგა თავის თავის იმედი და საკუთარი
ბედნიერების აღდგენას მეგობარს ავა-
ლებს. და კიდევ ერთხელ აშკარა ხდე-
ბა დამდგმელის პოზიცია — იგი ილაშ-
ქრებს სწორედ ასეთი ადამიანების წი-
ნააღმდეგ.

აჩიკოს დედა, უპირველეს ყოვლისა,
დედაა. მას ხელს არ აძლევს, მისმა
აჩიკომ შვილიანი ქალი მოიყვანოს ცო-
ლად. აქ შვილებისა და მშობლების
ურთიერთობის საკითხიც არის წამოჭ-
რილი — აქვს თუ არა მშობლებს შვი-
ლის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფ-
ლება? ამ სახეშიც სჩანს როზოვის და-
მახასიათებელი ხელწერა — ის აძლევს
მსახიობს მასალას, მსახიობი კი თვი-
თონ უნდა გაერკვეს, მონახოს მისი
ფსიქოლოგიური წინააღმდეგობანი, და-
ფიქროს მკაყრებელი. სალომე ყანჩე-
ლიც თავისებურად გვიხატავს მარიკას.
ის ყოველთვის თავისუფლებას აძლევ-
და შვილებს, არ ბორკავდა მათ, ახლა
კი ხედავს, რომ კარგავს შვილს. მის
პიროვნებაში ერთმანეთს ებრძვის დე-
და და ადამიანი, ბოლოს მეორე იმარ-
ჯვებს და დასუსტებული, თითქოს ღო-
ნიდან დაცლილი მარიკა შვილს თხოვს,
წადი, მათა მოიყვანეო.

ჯანსუღ ჩარკვიანს პეისის გადმოქარ-
თულებსას ზუსტი ექვივალენტები
მოუძებნია ორიგინალის ლექსიკური
მასალისათვის, ამასთან რუსული ხასი-
ათები უბრალოდ თარგმნილი კი არ

არის, არამედ გამდიდრებულია ეროვნულ
საღებავებით. ასევე, ბევრი უბრა-
ლი სიტყვის თქმა შეიძლება სწორედ
რეჟისორის რობერტ სტურუას ნამუ-
შევარზე, მაგრამ აქ ამჟამად ერთი რა-
მის აღნიშვნა გვინდა განსაკუთრებით.
რ. სტურუამაც და ჯ. ჩარკვიანმაც თით-
ქოს რაღაც დათმეს როზოვის წინაშე,
როცა აპატიეს ის სისუსტეები, რაც
მის პეისას გააჩნდა. მათ უკეთესი მონ-
ტაჟის საშუალებით შეეძლოთ თავიდან
აეშორებინათ ეს ნაკლი პეისისა, რო-
მელიც ქართულ სპექტაკლში მექანი-
კურად გადმოვიდა.

სპექტაკლში ზოგჯერ ზედმეტია ერთ-
მანეთზე მიყრილი კონფლიქტები, მა-
ყურებელს ამოსუნთქვის საშუალებას
არ აძლევს გმირთა „ტრაგედიები“, რო-
მლებიც ერთმანეთს შეუსვენებლივ
ცვლის. დამთავრდა მათა — არჩილი —
დათოს ხაზი, ნათელია რომ გიგო-
შვილის მათა არ დაუბრუნდება ქმარს.
და აქვე იწყება ალექსანდრეს პრობ-
ლემა. ეროსი მანჯგალაძის ალექსანდრის
მოსიყვარულე ადამიანებით არის გარ-
შემორტყმული. ზინა კვერენჩხილაძე
გვიხატავს მზრუნველი, ქმარზე შეყვა-
რებული ქალის თბილ, მართალ სახეს.
ამ მხრივ, ვფიქრობთ, ამ როლს გან-
საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება
მსახიობის შემოქმედებაში. აქ გამოაშ-
კარავდა მსახიობის უნარი ასეთი ხა-
სიათის სახეების შექმნისა, მანამდე კი
კვერენჩხილაძეს სრულიად საწინააღ-
მდეგო როლებში უხდებოდა თამაში.
სწორედ იმ მომენტიდან, როცა ეს
წყნარი და მოსიყვარულე ქალი ტირი-
ლით დაეცემა სკამზე — ქმარი სწორ
გზაზე არ დგასო — იწყება შინაგანი
დაძაბულობა ამ მშვიდ, გარეგნულად
დალაგებულ ოჯახში. ეროსი მანჯგალა-
ძე თავიდანვე აფორიაქებულ მდგომარე-
ობაში წარმოგვიდგენს თავის გმირს,
აღშფოთებით უყვება იგი მისხას სამსა-
ხურიდან მოხსნის ამბავს, განრისხებუ-
ლია ცხოვრებაზე და იმაზედაც კი

ტატა თვალჭრელიძე
ძიების გზით

მოსდის გული, რომ ქვისლი დააწინაურეს; ხმამალა ყვირის, თავს ვერ იკავებს. იგი დაბნეული, უხერხემლო ადამიანი ჩანს. ბუნებრივად მომადლებული იუმორის წყალობით ეროსი მანჯგალაძე სრულყოფილს ხდის ალეს ხასიათს. მისი ვეება გმირის მეტყველება და უხერხული სიარულიც მაყურებელში ნამდვილის ხელშესახებ განცდას იწვევს. და მაინც, ეს ხასიათი მხოლოდ სპექტაკლის ფინალში სრულდება — „ამის დედა ვატირე“ — ამ სიტყვებს, რომელსაც წამდაუწყუმ იმეორებდა ალე გაბრაზებული და განარისხებული ხმით, მსახიობი ახლა ისე მორცხვად და ისეთი მომჯადოებელი ღმილით ამბობს, რომ ბოლომდე გვიხსნის თავისი გმირის ბუნებას. სახის ასეთი გახსნის გამოა, რომ ალექსანდრე ე. მანჯგალაძის შესრულებით განსხვავდება როზოვის მიერ შემოთავაზებული გმირისაგან. დრამატურგს დიდი სოციალური, განზოგადებული დრამის უღერადობამდე აპყავს ამ გმირის სახე. გვაფრთხილებს — ასეთი ადამიანები კიდევ მრავლად მოიპოვებიან ჩვენში, ისინი მთელ ისტორიულ პერიოდთან არიან. დაკავშირებულნი. ეროსი მანჯგალაძის ალექსანდრეს ისტორია კი პირადული კონფლიქტის საკითხთან უფროა დაკავშირებული. ვფიქრობთ, სარეცენზიო სპექტაკლში ეს უფრო ლოგიკური და ცხოვრებისეულია.

მიხა ყიფშიძის როლმა კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა გიორგი გეგეჭკორის აქტიორული მრავალმხრივობა. ამჯერად ძალიან რთულ როლზე მოუხდა მსახიობს მუშაობა. პიესის მიხედვით გეგეჭკორის გმირმა ყველასათვის ცნობილი ჰუმანიტებანი უნდა წარმოსთქვას. ამიტომაც იქმნება სქემატური, დეკლამაციური სახის შექმნის საშიშროება. გეგეჭკორმა მოახერხა ამ ხიფათის თავიდან აცილება. მისი მიხა, უპირველეს ყოვლისა, პატიოსანი ინ-

ტელიგენტი. მხრებში ოდნავ მოხრილი, ჰალარა, ელეგანტური, — იგი სცენაზე შემოსვლისთანავე იპყრება მუხრების ყურადღებასა და სიმპათიას. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც პატიოსნად შრომობს ხალხის საკეთილდგოდ, მზრუნველობით ეპყრობა მეუღლეს, ალერსიანი თვალეებით შესცქერის შვილებს, მას არ შეუძლია ვინმეს უყვიროს ან უსინდისოდ მოექცეს. და მაინც, განსაკუთრებული შინაგანი ძალა გააჩნია გეგეჭკორის მიხა ყიფშიძეს. სცენიდან სცენამდე, მთელი სპექტაკლის მანძილზე მსახიობი საოცარი ტაქტის მეშვეობით გვაზადებდა ჩვენ, მაყურებელს, კულმინაციისათვის — დადგა მომენტი, როცა მას არ შეუძლია აქტიურად არ ჩაერიოს ალეს ბედში. პირდაპირ და მკაცრად, იგი პირში ეუბნება ქვისლს სიმართლეს, ყველას თანდასწრებით ხდის ნიღაბს გიორგი საღარაძის ზარიძეს, რომელსაც დასაწყისში ცივად, მაგრამ ჩვეულებრივ ზრდილობიანად ელაპარაკებოდა.

და მაინც — სპექტაკლში ძირითადი აზრის მატარებელი მირიანაშვილის საოცრად მართალი, ბუნებრივი, მომხიბლავი თამუნი და ქავთარაძის ასეთივე მომხიბლავი ზაზა არიან. მათ არ უნდათ და არც აინტერესებთ უფროსების კონფლიქტები. — მე გავიზრდები, — ამბობს ზაზა, როცა მას მაიკო ეუბნება — შენც გაიგებ ცხოვრების სირთულესო. არ უნდათ მათ ასეთი სირთულის შეცნობა. ნათელია მათი მიზნები, ნათელია მათი გზა, და მათ ეთმობათ ეს ტრადიციული ვახშამი პირველი სექტემბრის წინ. მოდის ახალი, ნათელი თაობა და ვერავითარი ბნელი ძალა, ვერავითარი ზარიძეები ვერ გადაეღობება მათ დაბრკოლებად. თვალს ჩავვიკრავს გოგი ქავთარაძის ზაზა, ხელით დაგვამშვიდებს, დაწყნარდით, კარგად იქნებაო ყველაფერი.





ა. მიშელი

აღამიანის ტვინის რეორღები

ე. მიშელის სტატია ფრიად საინტერესო და ნაკლებად შესწავლილ საკითხს ეძღვნება. იგი ეხება იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ აღამიანებს, რომელთაც უნარი შესწევთ რთული გამოანგარიშებანი აწარმოონ ზეპირად და სწრაფად. უდავოა, რომ ავტორი ზომიერ შეტად არის გატაცებული თავისი ნარკვევის თემით და ზოგჯერ აღუწერს იმ სიფხიზლეს, რაც აუცილებელია ამ საკითხის ზუსტი კვლევისათვის. მაგრამ მსგავსი ფაქტები მაინც გვიანსავს; შესაძლოა, მკითხველი თავად დასწრებია საბჭოთა ესტრადაზე გამოსულ მიხეილ კუნიის ექსპერიმენტებს. როგორ უნდა შევაფასოთ ეს ფაქტები ისე, რომ ტვინის შესახებ მატერიალისტური მოძღვრების პოზიციებზე ვიდგეთ?

ჯერ ერთი, არ იბადება ისეთი აღამიანი, რომელიც დაბადებისთანავე იჩენდეს ზეპირი გამოანგარიშების უნარს. ამ უნარს ის იჩენს, თუნდაც ბავშვობაში, მაგრამ აუცილებლად გარემომცველი სამყაროს ობიექტებთან ურთიერთობით. (მაგალითად, ერთ-ერთი საოცარი მონაგარი ამპერი ბავშვობაში შეკრებას კენჭებითა და ლობიოს მარცვლებით აწარმოებდა). სხვა საქმეა, რომ გამოცდილების შექმნის უნარი და დასწავლის ტემპი შესაძლებელია ინდივიდუალურად ვაძლიერდეს ამათემი პიროვნების ტვინის თანდაყოლილ თავისებურებათა წყალობით. გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა ი. პ. პავლოვმა შეისწავლა ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის განსახლვრული უბანი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მუშაობის უნარი აქვს. ამ უბანს პავლოვი ხატოვნად ცნობიერების „ნათელ ლაქს“ უწოდებს. „ნათელ ლაქაში“, ისევე როგორც პროექტორის შუქში, ჩნდება ხოლმე ის, რაც იმ დროს აღამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რაზედაც გამახვილებულია მისი ყურადღება. მაგრამ ტვინის ქერქი არც „ნათელ ლაქს“ მიღმა არის უმოქმედოდ. მასთან მდის სივანლები გრძნობათა ორგანოებიდან, იქ წარმოიქმნება ახალი პირობითი რეფლექსები. ესე იგი გროვდება ახალი გამოცდილება, ხორციელდება ანალიზისა და სინთეზის პროცესები. ხშირად „ნათელ ლაქაში“ ამ გაუცნობიერებელი მუშაობის მხოლოდ შედეგები აღწევენ და პავლოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ ვიცით საიდან გაჩნდნენ ისინი.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმ აღამიანებს, რომლებზედაც ჩვენ გვაქვს საუბარი, ტვინის ეს ინტუიტური, შეუცნობელი მოქმედება ძლიერ აქვთ განვითარებული. აი, რატომ უძნელდებთ მათ სიტყვებით გადმოგვეცნო გამოანგარიშების პროცესი. იდეალისტური მოაზროვნე ფსიქოლოგებისაგან განსხვავებით, როგორც მაგალითად, ზიგმუნდ ფროიდი, ი. პ. პავლოვი „ქვეცნობიერი“ საფუძვლად ვარაუდობდა სავსებით რეალურ, თუმცა ნაკლებად შესწავლილ ფიზიოლოგიურ მექანიზმებს.

ხარკვევის ავტორი თვითონვე აღნიშნავს, რომ ფენომენური გამოანგარიშებისათვის აუცილებელია განსაკუთრებულად განვითარებული მეხსიერება. ნიშნდობლივია, რომ ეს შესიერება ატარებს თითქოსდა „ფორტგრაფიულ“ ხასიათს, „მრიცხველის“ წარმოდგენითი ციფრები მიცურავს მის თვალით. თანამედროვე მეცნიერება იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღამიანის ტვინის მეხსიერების რეზერვები, ინფორმაციის დაგროვებისა და შენახვის მხრივ, ქეშმარიტად უსაზღვროა. უნდა აღინიშნოს, რომ აღამიანი ჩვეულებრივ თავისი მეხსიერების პოტენციური შესაძლებლობათა მხოლოდ მცირე ნაწილს იყენებს. ეს ტვინის სისუსტე კი არ არის, არამედ მისი ღირსებაა. აღამიანის ტვინი ფორტაპარატის ფირივით ყველაფერს კი არ აღიბეჭდავს, არამედ მხოლოდ იმას, რაც მისთვის უფრო მნიშვნელოვანია. აღამიანი ოცნების სახით ანზოგადებს და აჯამებს თავის გამოცდილებას მისი გარემომცველი სამყაროს კა-

ნონოზომიერებებზე, იგი განტიერთავს თავის ტენის დიდი შემოქმედებითი მუშაობისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ფენომენური „ფორტოგრაფიული“ მეხსიერება (სტატუსი) რად ამაზეა ლაბარაკი) უმეტესად გვეხდება ნაკლებად განათლებულ ადამიანებში, რომლებიც საერთოდ ბევრს არაფერს აძლევენ საზოგადოებას. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ფენომენური ანგარიშის უნარი „მომავალი“ ზეადამიანის ნიშანთვისება კი არ არის, არამედ ტენის ერთ-ერთი უნარის გადაჭარბებული განვითარების შედეგია.

ამ უნარის საკუთარი შეფასება რომ განამტკიცოს, ავტორი იშველიებს იგავს ადამიანის წარმოშობის შესახებ. პირდაპირ ვიტყვი; ამ იგავს არაფერი აქვს საერთო პირველყოფილი ადამიან-მაიმუნთა ჯოგის მშრომელ ადამიანთა კოლექტივად თანდათანობით ჩამოყალიბების მარქსისტულ მოძღვრებასთან. ამ საკითხში ნარკვევის ავტორი მთლიანად ფორმულარულ-გახეტყურ წარმოდგენათა პოზიციაზე ვადაღის.

ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ ვიცით ადამიანის თავის ტენის მუშაობაზე, ჩვენ უნდა შევედწოთ ამ საიდუმლოებებში, რომელიც გაცილებით ძნელი გასაგებია, ვიდრე კოსმოსის საიდუმლოებანი. ამ საიდუმლოებათა შეცნობისაკენ ჩვენ დიად მარქსისტულ-ლენინურ თეორიას — დიალექტიკურ მატერიალიზმს მივყავართ. აი, რატომაც, რომ ზოგჯერ შესაძლებლობა არა გვაქვს ამომწურავად ავსნათ ესა თუ ის მოვლენა, მაგრამ მინც შევვიძლია ამ მოვლენას მივცეთ პრინციპული შეფასება და ამით მისი შესწავლის სწორი გზა დავსახოთ.

ეს საშუალებას გვაძლევს თამამად ვამტკიცოთ, რომ მომავალში ადამიანის განვითარება წარმართება არა ზეპირი ანგარიშის „მექანიკური“ ნიჭის განვითარების, არამედ შემოქმედებითი მეცნიერული აზროვნების, ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებათა შეცნობის დარგში ჩვენი ცდებისა და ნიჭის კონცენტრაციის გზით.

ადამიანის ნაცვლად მომავალში გამოთვლას აწარმოებენ ელექტრული მანქანები, რომლებიც უკვე ამჟამად აკეთებენ ამს ყველაზე ფენომენალურ მონაგარიზე ადამიანზე სწრაფად და უკეთ.

3. 3. ს ი მ ო ნ ო ვ ი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ნერვული მოქმედების და ნეიროფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ა ლ ბ ა თ ბუნების არც ერთი საიდუმლოება არ არის ისეთი საკვირველი, როგორც საოცარი „მრიცხველების“ გამოცანა. ჩვენი გულგრილობისა და არასერიოზულობის შედეგად ეს ადამიანები ჩვეულებრივად მუზიკ-პოლებში გამოდიან, რომ ლუკმა პურის ფული იშოვნონ; თუმცა ისინი, შესაძლებელია, ჩვენ პლანეტის ერთადერთ ზეადამიანურ ფსიქოლოგიურ მოვლენას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, მეცნიერება ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათ და ძალიან მცირეა იმ მეცნიერთა რიცხვი, რომლებიც სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი ამ ადამიანებით. ჩვენი აზრით, უთუოდ ყურადღების ღირსია ერთ-ერთი ასეთი მეცნიერის რ. ტოკეს წიგნი „ზეპირი ანგარიში“. ჩვენ შევხვდით წიგნის ავტორს. შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე ვეცნობოდით ერთ-ერთ ასეთ

საოცარ მონაგარიშეს და ამჟამად ჩვენი მუშაობის შედეგს და ფიქრებს მკითხველს ვთავაზობთ.

დროგამოშვებით რომელიმე ოჯახში, რომელიც თითქოს არაფრით არ განსხვავდება სხვა ოჯახებისაგან, იბადება ბავშვი; იგი თავდაპირველად წააგავს სხვა ბავშვებს. პირველი განსხვავებული ნიშნები ამ ბავშვს ზოგჯერ ორი წლის ასაკში უმქდავანდება: ბავშვს ლაპარაკის სწავლა უძნელდება. ზოგიერთებს ისე უჭირთ ადამიანურ მეტყველებასთან შეგუება, რომ ერთ-ერთი მათგანი, ბელგიელი ოსკარ ვერზეგი „17 წლისა 2 წლის ბავშვივით ლაპარაკობდა“ (რ. ტოკე). მაგრამ ეს საერთო წესი არ არის, სხვები პირიქით, ძალიან ადრე ვითარდებიან.

სამი წლის ასაკში გვინდობა კიდევ ერთი თვისება: ბავშვი ძალზე მეოცნებეა, შეუძლია დიდხანს იყოს უმოძ-

რაოდ და გულისყური მხოლოდ მისთვის ნაცნობ საგანზე შეაჩეროს. და სწორედ მაშინ ყურადღებანი მშობლები შეიღებში საოცარ ნიჭს აღმოაჩენენ ხოლმე.

„ამბობენ, — წერს პროფესორი რ. ტოკე, — რომ ჰაუსის მამა მუშებს ფულს, ჩვეულებრივ, კვირის ბოლოს უხდიდა, ამასთან ყოველდღიურ ხელფასს ზედმეტი საათების თანხას უმატებდა. ერთხელ ჰაუსის მამამ ის იყო დაამთავრა ანგარიში, რომ სამიოდე წლის ვაჟმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა მამის საქმიანობას, წამოიძახა: — მამა, ანგარიშში შეცდომას! აი, როგორი უნდა იყოს ჯამი. ყველაფერი ხელახლა იანგარიშეს და გაოცებულნი დარწმუნდნენ, რომ ბავშვმა სწორი ჯამი თქვა.

ამგვარადვე — მოგვითხრობს პროფესორი რ. ტოკე, — 4 წლის ამპერი ზეპირად აწარმოებდა გრძელ გამოთვლებს, თუმცა მან ჯერ კიდევ არ იცოდა არც ასოები და არც ციფრები“.

მადმუაზელ ოსაკამ ლაპარაკი დაიწყო და ფეხი აიდგა მხოლოდ ოთხნახევარი წლისამ. 26 წლის რომ იყო, მან ხეირიანად არც კი იცოდა წერა-კითხვა. არითმეტიკაში მხოლოდ შეკრება იცოდა. „და ერთხელ, — წერს რ. ტოკე, — როცა იგი ვირტუოზი მოანგარიშის გამოსვლას ესწრებოდა, მისდაუნებურად იგრძნო, რომ მასაც შეეძლო სულ ადვილად ეწარმოებინა ასეთივე რთული გამოანგარიშებანი“.

ზუსტად ასევე, ლუი ფლერი 15 წლამდე გონებაშეზღუდულ ბავშვად ითვლებოდა და რადგან მისი აღზრდა შეუძლებლად მიიჩნიეს, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში მოათავსეს.

აღრე მქლავნდება ეს ნიჭი თუ გვიან, იგი ყოველთვის სტიქიურად ვლინდება. ხდება ელვისებური გარდაქმნა. ამ ნიჭის პატრონი ხშირად ყველა დანარჩენ დარგში „ჩამორჩენილია“, მაგრამ ციფრებში შესანიშნავად გრძობს თავს და სწრაფად აღწევს ფანტასტიკურ ვირტუოზობას.

რა ემართება შემდგომში ჩვენს საო-

ცარ „მრიცხველებს“? მათ ცხოვრებაში მომხდარი შემთხვევების შესწავლა ორ შესაძლო გზას გვიჩვენებს: ანალოგიურად წესი, ეს ნიჭი ღრმა მონათესაველობამდე სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება. მაგრამ ხდება ისეც, რომ იგი თანდათანობით ქრება იმდენად, რამდენადაც მისი მფლობელი იღებს ყველა ბავშვისათვის ჩვეულებრივ განათლებას. მაგალითად, ამპერი ერთ-ერთი დიდი მეცნიერი გახდა, მაგრამ რადგან კლასიკური მათემატიკა საფუძვლიანად შეისწავლა, დაკარგა ზეპირი ანგარიშის უნარი. ჰაუსმა და ეილერმა კი პირიქით, თავიანთი გენიის ორივე მხარე სიკვდილამდე შეინარჩუნეს.

რას წარმოადგენს ეს ნიჭი? აქვე შევნიშნავთ, რომ ვერავითარი აღწერა, ვერავითარი თხრობა ვერ შეგვიქმნის მასზე სრულ წარმოდგენას. უნდა დაესწროთ ამ ნიჭის დემონსტრაციას, რომ დარწმუნდეთ, თუ რამდენად სამართლიანია მისთვის ეპითეტი „საოცარი“. ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ პროფ. რ. ტოკეს, რომელიც ექიმ ოსტის მიერ მადმუაზელ ოსაკაზე ჩატარებული ექსპერიმენტის შესახებ მოგვითხრობს: „ექიმი ოსტი მას ჯერ სთხოვს კვადრატში აიყვანოს 97, შემდეგ — მიიღოს იმავე რიცხვის მეათე ხარისხი. იგი სწრაფად აკეთებს ამას. ოსტი კვლავ სთხოვს მადმუაზელ ოსაკას ამოიღოს მეექვსე ხარისხის ფესვი რიცხვიდან 40 242 074 782 776, 576, შემდეგ კვადრატული ფესვი იმავე რიცხვიდან. მადმუაზელ ოსაკა პასუხობს სწრაფად და უშეცდომოდ. მერე ექიმი მოუფიქრებლად იწერს ასციფრიან მწკრივს და ერთმანეთის მიყოლებით უსახელებს მათ. წამში დაახლოებით ერთ ციფრს. მადმუაზელ ოსაკა იმავე თანმიმდევრობით, როგორც ექიმი დაუსახელა, იმეორებს ყველა ას ციფრს. დაახლოებით 45 წუთის შემდეგ, როცა მათ სხვადასხვა რამეზე ისაუბრეს, ექიმი ოსტი მო-

ე. მიშელი

ადამიანის ტვინის რეკორდები

ულოდნელად შეეკითხა მადმუაზელ ოსაკას:

— ხომ არ შეგიძლიათ იმ ასი ციფრის განმეორება, რომელიც მე ახლახან დავისახელებე?

— სრულიად თავისუფლად.

— ხომ ვერ შესძლებდით მათს დასახელებას ბოლოდან?

— ვეცდები.

და მან ყველა ციფრი უშეცდომოდ გაიმეორა“.

ცდილობდნენ ეს უნარი აეხსნათ განსაკუთრებული მეხსიერებით, რასაც ფსიქოლოგები „პიპერმნეზიას“ უწოდებენ. ცხადია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ჭეშმარიტად საოცარ მეხსიერებასთან, მაგრამ როგორც ახლა დავრწმუნდებით, მეხსიერება არ ხსნის ამ მოვლენის არსს.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითს. ინდოელი ქალი შაკუნტალა დევი სამ თუ ოთხ წამში იღებდა მე-20 ხარისხის ფესვს ორმოცდორციფრიანი რიცხვიდან. იგი ელვის სისწრაფით აწარმოებდა ისეთ მოქმედებებს, რომელთა შედეგი ოცდაცხრამეტციფრიანი რიცხვი იყო. ამ 28 წლის ქალმა განაცხადა: „მე არ ვიცი ჩემი შესაძლებლობის საზღვარი. ამ საზღვრისთვის მე ჯერ არ მიიღწევია“.

1927 წელს ექიმმა ოსტიმ და მათემატიკოსმა სენ-ტლაგემ გამოსცადეს ბრმა „მრიცხველი“ ლუი ფლერი. ერთ-ერთი ამოცანა ასეთი იყო: მოცემულია რიცხვი: უნდა დაიშალოს რომელიღაც რიცხვის კუბად და ოთხნიშნა რიცხვად.

ფლერის მისცეს რიცხვი 707 353 209. მან ოცდარვა წამი იფიქრა და ამოცანა ამოხსნა: 891 კუბში და 5238. შემდეგ შესთავაზეს 211 717 440. ფლერის 25 წამში მზად ჰქონდა პასუხი: 596 კუბში და 8704.

ჩვენი საუკუნის საოცარ „მრიცხველთაგან“ ყველაზე უფრო გაითქვა სახელი იტალიელმა ჟაკ ინოდიმ. მას წილად ხვდა ბედნიერება, ეცხოვრა იმ ეპოქაში, როცა ისეთი ადამიანები, როგორებიც ბინე და შაკო იყვნენ, ინტერესდებოდნენ მისნაირი ადამიანების ბედით.

ინოდი გამოსცადა აკადემიურმა სიაში, რომლის წევრებს შორის იყვნენ დარბუ და ანრი პუანკარე. მანამდე ნიმი იმ ამოცანებიდან, რაც მათ „მრიცხველს“ მისცემს:

1. მოინახოს რიცხვი, რომლის კვადრატულ და კუბურ ფესვებს შორის სხვაობა იქნება 18 (ეს მესამე ხარისხის განტოლებაა). ინოდიმ ამოცანას ორ წუთზე ადრე გასცა პასუხი: 729.

2. მოინახოს ორნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა სხვაობა უდრის 7-ს იმ შემთხვევაში, თუ პირველ ციფრს ავიღებთ ოთხჯერ, მეორეს კი სამჯერ. ციფრების შებრუნების დროს ეს რიცხვი უნდა შემცირდეს 18-ით. ინოდიმ ორი წუთი იფიქრა და თქვა: „ასეთი რიცხვი არ არსებობსო“. ეს მართალი იყო.

3. სამი რიცხვის ჯამია 43, ხოლო მათი კუბების ჯამი 17299. ინოდის რამდენიმე წამში მზად ჰქონდა პასუხი: 25, 11, 7 და ა. შ.

საოცარ „მრიცხველთა“ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ამოცანები, რომელთაც კალენდრული გამოთვლა უდევთ საფუძვლად. ისინი გონებით გადადიან საუკუნეებისა და ათასწლეულების მიღმა, გადალახვენ არაათწილადური შეფარდებების სიძნელეებს (კვირა ხომ 7 დღისაგან შედგება, დღე-ღამე 24 საათისაგან, საათი 60 წუთისაგან და ა. შ.). და ამიტომ შეუძლიათ რამდენიმე წამში შეასრულონ ასობით ოპერაცია და გითხრან, რომ თქვენ დაიბადეთ ორშაბათს, ან 180 წლის 1 იანვარი პარასკევი იყო. ამასთან ყველაფერი ეს ხდება ნაკიანი წლების, 1582 წელს კალენდრის შეცვლის და ა. შ. გათვალისწინებით. მათ, მაგალითად, შეუძლიათ გითხრან, რამდენმა წამმა გაიარა ნერონის სიკვდილიდან კონსტანტინეპოლის დაცემამდე. ერთხელ, საუბრისას, ინოდი და დაგბერი ხუმრობით ამგვარ კითხვას აძლევდნენ ერთმანეთს: 28448723 წლის 13 ოქტომბერი კვირის რა დღე იქნება?

ეს მაგალითები სავსებით საკმარისია იმის გასაგებად, რომ ადამიანი — მრიცხველები ციფრების სამყაროში თავს



ისე ვრძნობენ, როგორც თევზი წყალში. ზოგიერთი ამოცანის გამოყვანას, რომელსაც ისინი თითქოსდა ხუმრობით რალაც წამებში ხსნიან, მათემატიკოსების აზრით, ჩვეულებრივი ანგარიშით რამდენიმე თვე დასჭირდებოდა, პასუხის შემოწმებას კი კიდევ რამდენიმე თვე ან ელექტრული მანქანის ჩარევა ესაჭიროება მაშინ, როდესაც რომელიმე ინოდი შედეგს ვაცნობებთ, საესეებით დარწმუნებული თავისი გამოთვლის სისწორეში.

რა მეთოდებს იყენებს იგი? რაშია მისი „ნიჭის“ საიდუმლოება? შევეცდებით ავხსნათ ეს მოვლენა.

ბევრ საოცარ „მრიცხველზე“ ჩაატარეს მეცნიერული დაკვირვება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინოდი ერთხელ მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე მიიწვიეს. ეს იყო 1892 წელს. ამ სხდომის ანგარიში ეკუთვნის მათემატიკოს დარბუსს. მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ინოდი იყენებდა ზოგიერთ კლასიკურ ხერხს, რომლებიც თვითონვე აღმოაჩინა. აკადემიის ერთერთმა კომისიამ, რომელშიც სხვებთან ერთად არგო და კოში შედიოდნენ, გამოიკვლია ანრი მონდე. კოშის ცნობით, შეშის მჭრელის გაუნათლებელი შვილი მონდე იყენებდა ჩვენთვის კარგად ცნობილ ნიუტონის ბინომს. ამგვარ დასკვნამდე მიიყვანა აკადემია მორის დაგბერზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა. ეს ექსპერიმენტი არც ისე დიდი ხნის წინათ, 1945 წელს ჩატარდა.

ამ თემისადმი მიძღვნილი სხვადასხვა მოხსენებების ანალიზს, აგრეთვე მწემონიკის შვიდი სპეციალისტის — შტიგაიკობსონისა და მრავალ სხვა მეცნიერთა გამოკვლევებს მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: ეგრეთწოდებული „ნიჭი“, რა სახითაც იგი შეიმჩნევა მოზრდილ ადამიანებში, ჩვეულებრივად „აღზრდილ“ ნიჭს წარმოადგენს (ე. ი. შექმნილია სისტემატური ვარჯიშით). რიცხვთა ჯუნგლებში ხეტიალისას ეს „მრიცხველები“ ხშირად პოულობენ ხერხებს, რაც მათ გამოანგარიშების შემოკლების საშუალებას აძლევს. და

მაინც. ამ ხერხებს არაფრის ახსნა შეუძლია.

1. უბრალო მოკვდავი ამოცანების დებოდა გამოანგარიშებისას ამ ხერხების გამოყენებას, თუნდაც ისინი მშვენივრად იცოდეს. ანრი პუანკარემ იცოდა ათასამდე ხერხი, ვაცილებით რთული, ვიდრე ის ხერხები, რომელთაც მონდე ან ფლერი იყენებდნენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ანრი პუანკარეს, როგორც ამას თვითონვე აღიარებდა, არ შეეძლო ზეპირი ანგარიში.

2. ადამიანი — მრიცხველების „ნიჭს“ სრულიად არ გამოხატავს მათ მიერ მათემატიკური ხერხების გამოყენება. რასაც ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბევრმა მათგანმა მათემატიკის შესწავლის, ცოდნის გაღრმავების პროცესში დაკარგა თავისი განსაკუთრებული უნარი. ჩვენ ადრე მოვიყვანეთ ამპერის მაგალითი.

ასევე დაემართა უეიტლისაც. იგი მოგვითხრობს: „ზეპირი ანგარიშის უნარი მე აღმომაჩნდა ოთხი წლის ასაკში და ეს გაგრძელდა სამ წელს. მე ზეპირად ვაწარმოებდი ყველაზე რთულ გამოანგარიშებებს და ამასთან მათზე ვაცილებით სწრაფად, ვინც ქალაქზე ანგარიშობდა. არასოდეს ჩემს გამოანგარიშებებში ოდნავი შეცდომაც არ ყოფილა. როცა სკოლაში მიმბარეს, დავკარგე ზეპირად ანგარიშის უნარი და მათემატიკაშიც საგრძნობლად მოვისუსტებდი“.

სეფორდისაც ასე მოუვიდა. იგი ხუთი წლისა ზეპირად ამრავლებდა ისეთ ციფრებს, რომ შედეგად ოცდათექვსმეტნიშნა რიცხვს იღებდა. წმინდა მათემატიკაში შესანიშნავი ნიჭის წყალობით იგი გახდა ასტრონომიის მასწავლებელი, მაგრამ ზეპირი ანგარიშის უნარი დაკარგა.

3. ცნობილია ბევრი ადამიანი — მრიცხველი, რომლებიც არა მარტო არ იყენებდნენ მსგავს ხერხებს, არამედ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ

ე. მიშელი
ადამიანის ტვინის რეკორდები

იმ საშუალებებზე, რითაც სარგებლობდნენ. ინგლისელი ბაკტონი ბოლომდე უსწავლელი დარჩა, არ იცოდა ციფრები. ამერიკელი ზანგი თომას ფალერი 80 წლის ასაკში ისე გარდაიცვალა, რომ წერაკითხვა არ იცოდა.

4. არსებობს ხერხები, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი მრიცხველების გამოკითხვისა და მათზე დაკვირვების პროცესში აღმოაჩენს. ზემოთ ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ისინი, მაგრამ „მრიცხველებთან“ საუბრისას აღმოჩნდა, რომ მათთვის ეს ხერხები მეორეხარისხოვან და უმნიშვნელო როლს ასრულებს. რაც შეეხება ნამდვილ ხერხებს, რითაც ეს ადამიანები საოცარი „მრიცხველები“ ხდებიან და რომელთა ახსნას დროდადრო ისინი დიდი წვალებით ცდილობენ, მათ ჩვენ ვერ გავიგებთ. ასე მაგალითად, ურანია დიამონდი ამბობდა, რომ ციფრების დამორჩილებაში მას მათი ფერები ეხმარება: 0—თეთრი ფერისაა, 1—შავი, 2—ყვითელი, 3—ალისფერი, 4—ყავისფერი, 5—ლურჯი, 6—მუქი ყვითელი, 7—ლილისფერი, 8—მონაცრისფრო-მოლურჯო, 9—მუქი წაბლისფერი. გამოანგარიშების პროცესი მას ფერების უსასრულო სიმფონიად წარმოუდგება.

რაც შეეხებათ მონდესა და კოლბიურნს, მათი მონაყოლის მიხედვით, ისინი ნათლად ხედავდნენ, თუ მათ თვალწინ როგორ მწკრივდებოდნენ ვიდაცის უხილავი ხელით დაწერილი ციფრები. მათი „ხერხი“ ამ ჯადოსნური ნაწერის წაკითხვა იყო. ურანიას ძმა, პერიკლეს დიამონდი ამბობდა, რომ ციფრები თითქოს მის „თავის ქალაში“ გროვდება.

ძალზე მარტივია ინოდის „მეთოდი“; როგორც თვითონ თქვა, ინოდის ეგონა, რომ მის მაგიერ ითვლიდა ვიდაცის ხმა და სანამ ეს შინაგანი ხმა გამოთვლებს აწარმოებდა, იგი ლაპარაკობდა ან თავად აწარმოებდა უფრო იოლ გამოთვლებს და იქვე ამბობდა შედეგებს, ან კიდევ ფლეიტაზე უკრავდა. ჩვენს დროშიაც, მორის დაგბერი აწარმოებს ურ-

თულეს გამოთვლებს და თან ვიციტონოზე უკრავს.

თვით „მრიცხველების“ მერიტონიერილი „ხერხებიდან“ ერთ-ერთი ყველაზე თავისებურია ბრმა ფლერის მიერ გამოყენებული ხერხი. იგი თითქოს თითებით გრძნობდა ოცნებით წარმოსახულ კუბარიტებს (კუბარიტები ამობურცული ციფრებია, რომელსაც ბრმები თვლის დროს იყენებენ). მართლაც, თითები სწრაფად შეკრთებოდნენ ხოლმე იმ დროს, როდესაც მის გონებაში ციფრების მწკრივი გაიფლავდა.

ბევრი ადამიანი — მრიცხველი იმდენად დამოუკიდებელია კლასიკური ან თვითმყოფი ხერხებისაგან, რომ მიცემულ ამოცანებზე პასუხი მათ მყისვე მოსდით, მანამდე, სანამ ისინი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ და ამისათვის საჭირო დრო გაივლიდეს. ასე ემართებოდა ფერეალესაც, რომელიც მათემატიკოსმა მებიუსმა გამოიკვლია. მებიუსის მოწმობით იგი შემდეგს მოგვითხრობს: „ბავშვობიდანვე იმდენად ინტუიტურად ვანგარიშობდი, რომ ხშირად მქონდა შეგრძნება, თითქოს ოდესღაც ერთხელ უკვე მეცხოვროს. როცა რთულ ამოცანას მაძლევდნენ, პასუხი ისე მოულოდნელად მომდიოდა, რომ იმ წუთში არც ვიცოდი, საიდან ვიღებდი მას. ამოცანას კი ვხსნიდი ამ პასუხის საშუალებით. შედეგის ინტუიციით მიხვედრის უნარი არასოდეს არ დამიკარგავს და ასაკთან ერთად ეს უნარი უფრო მიძლიერდებოდა. ხშირად მგონია, რომ ვიღაც მიდგას გვერდით და ის მკარანახობს სასურველ პასუხს, საძიებელ გზას, ამასთან ჩვეულებრივ ეს ისეთი გზებია, რომლებიც ჩემამდე არავინ, ან თითქმის არავინ არ იცოდა და მეც ვერ ვიპოვიდი, ძებნა რომ დამეწყო“.

მსგავსი ადამიანი — მრიცხველები (შეიძლება კი „მრიცხველი“ ვუწოდოთ მას, ვინც შედეგს გამოუანგარიშებლად პოულობს?) მრავლად არიან. ასეთია, მაგალითად, ბიდერი, რომელიც გამოიკვლია ვ. პოლემ; ანდა ჩვენი თანამედროვე, ბელგიელი ვერხეგი, რომელიც ყველა კითხვაზე პასუხობს: „არ ვიცი,

საქართველო
შრომითი მოძრაობა

ეს ჩემამდე ისე, უბრალოდ მოდის“.

5. მაგრამ ამ საოცარ ნიჭში, ყველაზე განსაკვიფრებელი, მოწიფულ ასაკში ნაპოვნი ხერხებისგან სრულიად დამოუკიდებელი, მისი ორიგინალური და სტიქიური ხასიათის ყველაზე ნათელი დადასტურება ის არის, რომ აღნიშნული ნიჭი ელვისებურად, ჩვენ ვიტყვოდით, დრამატულად ელინდება ბავშვში, რომელიც ეს-ეს არის გამოვიდა შეუგნებელი ასაკის ბურუსიდან და რომელსაც არ განუცდია კულტურის გავლენა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხი წლის ამპერს, რომელმაც ჯერ კიდევ წერა-კითხვა არ იცოდა და თვლა (თუ თვლაში ვიგულისხმებთ ციფრის განყენებული ცნების ცოდნას), კენჭებით ან ლობიოს მარცვლებით თამაშის დროს მთელი არსებით იტაცებდა ანგარიში. არაგო ჰყვებოდა, რომ როდესაც მძიმე ავადმყოფობის დროს მშობლებმა მას წაართვეს ლობიოს მარცვლები, ბავშვმა ისინი ნამცხვრის ნამცეცებით შესცვალა (ეს იყო ერთადერთი საკვები, რომელსაც მას აძლევდნენ). რა ხდებოდა მის ნორჩ ტვინში, რა იდუმალი ქარიშხალი ტრიალებდა იქ?

ცნობისმოყვარეობა რომ დამეკმაყოფილებინა, ერთერთი ძველი საოცარი მოანგარიშის სანახავად გავეშურე. მის კაბინეტში რომ შევედი, თვალწინ წარმომიდგა მხნე, მკვრივი, ძლიერი მამაკაცი. ბ-ნი ლიდორო ამჟამად 74 წლის არის. მას კარგი აღნაგობა, ძლიერი ხელები აქვს, ლაპარაკობს დინჯად.

მე მომზადებული მქონდა რამდენიმე მათემატიკური თავსატეხი. დარწმუნებულ ვიყავი, რომ ბ-ნი ლიდორო მათ იოლად ამოხსნიდა. ამიტომ ვფიქრობდი, ეს თავსატეხები არაფერს მომცემდა, მაგრამ შევედი.

— ამოიღებთ კუბურ ფესვს 3796416-იდან?

მან გაოცებით შემომხედა.

— ასორმოცდათექვსმეტი. ეს ხომ ძალიან იოლია. მომეცით თექვსმეტჩვიდმეტ ციფრიანი რიცხვი, ეს უფრო საინტერესო იქნება.

ასეთი დიდი რიცხვი მზად არ მქონ-

და; ამიტომ სხვა ამოცანა შევთავაზებ.
— კვირის რა დღე იყო 139 წლის სექტემბერი?

— ცოტა არ იყოს, ეს მე არ შეხება, მაგრამ... ცოტა ხანს მოითმინეთ.

მას სახე დაეძაბა — მე დრო დავნიშნე და დაკვირვებისათვის მოვემზადე, მაგრამ ხუთ წამსაც არ გაუვლია, მიპასუხა:

— შაბათი?

ღიახ, ეს დღე მართლაც შაბათი იყო (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 139 წელს იყენებდნენ სხვა კალენდარს. ეს კი ცხადია, საკმაოდ ართულებს ამოხსნას) მე მას ვთავაზობ ასეთივე სახის კიდევ რამდენიმე ამოცანას. პასუხს იგი ყოველთვის რამდენიმე წამში იძლევა.

— ორმოცდაერთი წლისა ვარ. რამდენი დღე, საათი, წუთი და წამი მიცხოვრია?

ლიდორო დგება, მიდის დაფასთან და მაშინვე წერს ოთხ რიცხვს, ამასთან ყოველ ციფრს წერს თავიდან, ე. ი. ერთეულებით ამთავრებს.

— ყველაფერი ეს ძალზე იოლია. სხვა რაიმე მომეცით.

პროფესორ ტოკესაგან ვიცოდი, რომ ბ-ნი ლიდოროს მოსწონდა ერთი განსაკუთრებით რთული ამოცანა: მოცემულია ექვსნიშნა რიცხვი. ეს რიცხვი ზეპირად უნდა დაიშალოს ხუთ წესიერ კუბად და ხუთ კვადრატად, რომელთა ჯამი უნდა იყოს მოცემული რიცხვი ერთ მემილიონდამდე ნაწილის სიზუსტით, ამასთან კუბური და კვადრატული ფესვები უნდა იყოს, სულ მცირე, ორნიშნა. მე მას ვახსენებ ამ ამოცანას, მაგრამ რიცხვს ჯერ არ ვუსახელებ. ლიდოროს სახე უბრწყინდება.

— ეს სავარჯიშო ძალიან მიყვარს და დღეში ერთხელ მაინც ვასრულებ. ყურადღება მიაქციეთ, — განაგრძობს იგი, — ყოველი მოცემული რიცხვისათვის შესაძლებელ ამოხსნათა უსასრულო რაოდენობა არსებობს.

მე მას ვთავაზობ რიცხვს 246 629

ე. მიშელი
ადამიანის ტვინის რეკორდები

ბ-ნი ლიდორო იმეორებს რიცხვს, წერს მას ქალაქის კიდეში და იწყებს გამოთვლებს. ეს იყო ნამდვილად შთამბეჭდავი სანახაობა. იგი გაუძრევლად იჯდა საწერ მაგიდასთან და სრულიად მშვიდი სახე ჰქონდა. თავი ოდნავ ჩაეღუნა, არცერთი მოძრაობით მას არ გამოუშეშებია ის საიდუმლო მოქმედება, რაც მის თავში ხდებოდა და რის გაგებასაც ვერც ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვერ შესძლებდა. უძრავი მზერით თითქოს რაღაცას ჰკრეტდა. სანამ ანგარიშობდა, ყურადღება ერთი წამითაც არ გაუფანტავს, თვალიც არ დაუხამხამებია, მიუხედავად იმისა, რომ მე, მისი მხედველობის არეში მყოფი, განგებ ემოძრაობდი და თან ხმამაღლა ველაპარაკებოდი მის ვაყიშვილს.

ოცი წამის შემდეგ ბ-ნმა ლიდორომ თქვა:

— კუბები მზადაა, ახლა კვადრატებს მივხედავ.

დახლოებით ერთი წუთის შემდეგ მან დაუმატა:

— შესაძლო ამოხსნათა უსასრულო სიმრავლიდან მე თქვენ გთავაზობთ შემდეგს; დავიწყეთ კუბებიდან. და მან ერთმანეთის ქვეშ ჩამოწერა ხუთი ორნიშნა რიცხვი. 35^3 , 43^3 , 48^3 , 20^3 , 17^3 .

— მე მარტივი რიცხვები ავიღე, ახლა მთელი სირთულე კვადრატებშია, ვინაიდან ჩემი მოქმედების არე შევიწროვდა. აი, ხუთი კვადრატ, მათგან ორი მთელი რიცხვია: 20^2 , 16^2 და დავკრჩა სამი რიცხვი:

$$2,449\ 489\ 700^2$$

$$5,477\ 225\ 580^2$$

$$7,071\ 067\ 800^2$$

თქვენ მე შემომთავაზეთ რიცხვი 246 629 ერთ მემილიონედამდე სიზუსტით, აი, ჩემი ამოხსნაც:

$$246\ 628\ 999\ 999\ 676\ 809\ 266\ 4007$$

ეს რიცხვი ხუთი კუბისა და ხუთი კვადრატის შეკრებით მიიღება.

ახლა კი შევამოწმოთ:

$$35^3 = 42\ 875,$$

$$43^3 = 79\ 507,$$

$$48^3 = 110\ 592,$$

$$20^3 = 8000,$$

$$17^3 = 4\ 913,$$

$$20^2 = 400,$$

$$16^2 = 256.$$

$$2,449\ 489\ 700^2 = 5,999\ 999\ 790\ 406\ 090$$

$$5,477\ 225\ 580^2 = 30,000\ 000\ 054\ 206\ 336\ 400$$

$$7,071\ 067\ 800^2 = 49,999\ 999\ 832\ 196\ 840$$

$$246\ 628, 999\ 999\ 676\ 809\ 266\ 4007$$

მე სურვილი დამებადა აღმედგინა ეს შემოწმება (აქ კიდევ არ არის დეტალური), რომ თქვენ წარმოგედგინათ, თუ რა ფანტასტიკურ ციფრებს მბრძანებლობს ლიდორო.

— არ დაღლილხართ? — შევეკითხე. მან გაიღიმა.

— ოდნავადაც არა, გსურთ თავიდან დავიწყეთ?

— არ არის საჭირო, თქვენ მე დამარწმუნეთ. მაგრამ რით უნდა აეხსნათ, რომ ასეთი რთული გამოანგარიშების შემდეგ არ დაღლილხართ?

— ამის ახსნა არ შეიძლება, მაგრამ ეს ასეა. შემიძლია მოგიყვანოთ შედარება. განა თქვენ გლლით ბუნების მზერა? უკიდურეს შემთხვევაში იგი თქვენ მოგბეზრდებათ, თუ კი ერთფეროვანია ანდა ულამაზო. ციფრები და რიცხვები ყოველთვის ახლდებიან, უსასრულოდ იცვლებიან. ასეთი სანახაობა კი მე არ მღლის.

— თქვენ ხედავთ მათ?

— დიახ, ვხედავ. აი, შავ ფონზე გადადიან თეთრი ციფრები, თეთრები შავ ფონზე, მორჩილნი და ამავე დროს ფანტასტიკურნი. არ ვიცი რას შევადარო ისინი. ყველაზე უფრო მოუსვენარი ბელურების გუნდს მაგონებენ. ისინი ჩამოსხდნენ — და პასუხიც მზად არის. რასაკვირველია, — განაგრძობდა ლიდორო, — ეს არაფერს არ ხსნის! მაგრამ მე მსურს თქვენ დაგანახოთ, თუ როგორ ვანგარიშობ. ეს სულ უბრალოდ ხდება. მე ჩემს მეთოდს „რიცხვთა ხლართს“ ვუწოდებ. თქვენ, ალბათ, გაგაკვირვებთ ეს სახელწოდება. საქმე ის არის, რომ ჩემს ცნობიერებაში რიცხვები ლაგდება სწორ ტრიადად, ვერტიკალურ კლაკნილად, ერთიმეორის

ქვეშ, ოღონდ ერთნი მარჯვნივ არიან, მეორენი — მარცხნივ — აი, ასე.

და ბ-ნი ლიდორო წერს სწორედ ასეთი წესით განლაგებულ რამდენიმე სამნიშნა რიცხვს. ციფრების წერის დროს ლიდორო ღრმად არის ჩაფიქრებული. მღუშარედ და დაჯინებით ჩასცქერის რიცხვებს. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წუთის წინ, როდესაც ფესვებს იღებდა ცხრა მეათედი ნიშნის სიზუსტით, არცერთი მოძრაობით არ გამოუმქვლავნებია ტვინის დაძაბული მუშაობა — ახლა კი მას შუბლზე ოფლმა დაასხა.

— ძნელია ამის დაწერა. თუმცა არა უშავს, მაინც ვცდი...

იგი იწყებს ურთულესი პროცესის ახსნას, რომლის დროსაც რამდენჯერმე ჩერდება, იწყებს თავიდან, ფიქრობს, თავს აქნევს და შუბლიდან ოფლს იწმენდს. მიუხედავად იმისა, რომ მე მასზე კარგად მესმის მათემატიკა, ამ ახსნის არაფერი გამეგება. მალე თვით ლიდოროსათვის ნათელი ხდება, რომ ამ, მისი აზრით „მარტივი მეთოდის“ გადაცემა შეუძლებელია ნიშნებით ან სიტყვებით.

— მე არ შემიძლია აგიხსნათ ყველაფერი ეს — აღიარა ბოლოს მან, — მაგრამ მაინც ვამბობ, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ნათელია.

ჩემს გამოთვლებში გაუგებარი არაფერია, გარდა ციფრებისა და ჩემი მეხსიერების „მორჩილებისა“, რაც ჩემთვისაც კი გამოცანაა. ჩემი გამოანგარიშების არც ერთი დეტალი არ მისხლტება შინაგანი ხედვიდან. ყველაფერ ამას მშვენივრად ვგრძნობ... მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ არ შემიძლია აგიხსნათ ეს შინაგანი მოძრაობანი, ეს ნათელი ხილვები ჩემს შემეცნებაში. მე არ ძალმიძს ყოველივე ეს თქვენს ცნობიერებამდე დავიყვანო...

— რამდენ ციფრსა და რიცხვს გადასინჯავთ ხოლმე გონებაში რთული გამოანგარიშების დროს, მაგალითად, ორ წუთში?

— დაახლოებით 50 ათასს.

— და თქვენ ამ ორ წუთში ყველა ნიშნის დანახვას ასწრებთ?

— დიახ, მე მათ ვხედავ ყველაფერს თად და ცალცალკე. როგორ აგიხსნათ! მე მათ საცხებით „შევიცნობ“. ნუ გაგაკვირვებთ ეს 50 ათასი რიცხვი. ერთხელ მე აზრად მომივიდა ზეპირად მესწავლა ლოგარითმების ცხრილი, ესე იგი 30 მილიონამდე ციფრი. ცხრილს სხვათაშორის ვსწავლობდი, თავს არც თუ ძალიან ვიწუხებდი და ამას სულ რამდენიმე თვე მოვანდომე. უნდა გითხრათ, რომ ლოგარითმების ცხრილი საინტერესოს არაფერს მაძლევს. საერთოდ ეს ეშმაკური ხერხია, რომელიც საშუალებას იძლევა მიიღო მიახლოებითი შედეგები, მაშინ, როცა ჩემი საკუთარი მეთოდების გამოყენებით ვიღებ ზუსტ შედეგებს და იმდენ ათობით ნიშანს, რამდენიც მჭირდება. მე უკვე გითხარით, რომ ციფრები ჩემთან ბელურების გუნდით მოფრინავენ. განა 50 ათასი ბელურას ყურება უფრო ძნელია, ვიდრე ათი-თორმეტისა?

როდესაც ამ საკვირველ ახსნას ვისმენდი, გამახსენდა, რომ სხვა ცნობილ „მრიცხველებს“ ერთხელ წაკითხვის შემდეგ პირდაპირი და შებრუნებული თანმიმდევრობით შეეძლოთ გაეხსენებინათ 400—500 ციფრიანი მთელი რიგი. მადმუაზელ ოსაკას ის ციფრები რამდენიმე დღის და რამდენიმე კვირის შემდეგაც კი ახსოვდა.

როდიდან დაიწყეთ თვლა?

— დაახლოებით სამი წლის რომ ვიყავი.

სამი წლისამ, როგორც ამბერმა და ბეგრმა სხვამ.

— მაშინ არ იცოდით წერა-კითხვა?

— არა.

— თვლა კი შეგეძლოთ?

ბ-ნი ლიდორო გაოცებული შემომცქერის.

— იცით, — მეუბნება იგი, — რასაც მე თქვენ ახლა გეტყვით, დაუჯერებ-

ე. მიშელი

ადამიანის ტვინის რეკორდები

ლად მოგეჩვენებათ. 74 წლის კაცი ვარ და პირველად ვიფიქრე ამაზე. არა, მე თვლა არ ვიცი. თავად არ მესმის, როგორ უნდა მომხდარიყო ეს, მაგრამ მერწმუნეთ, მართალს გეუბნებით. სამი-ოთხი წლისა ისე ვაჯამებდი რიცხვებს, რომ თვლა არ ვიცი.

— მაშასადამე, თქვენ გაღლებულად რალაც ისეთი, რაც ციფრები არ იყო.

— დიახ, სწორედ ასეა. ამ „რალაცის“ გაღმოცემა სიტყვებით, იმ ენით, მე რომ მასწავლეს, შეუძლებელია. ჩემთან ამაზე არასოდეს ულაპარაკებია ვინმეს, მე კი ამით აღტაცებული ვიყავი.

— თქვენ არ წუხდით ამის გამო?

— სრულებითაც არა. მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ხშირად მინდოდა რალაცის თქმა და არ შემეძლო.

მაშინ მე ბ-ნ ლიდოროს ვუკითხავ ადგილს დიდროს წიგნიდან „წერილები ბრემბზე“: „აღამიანი, რომელიც ერთი-ორი დღე თვალხილული იყო და მერე ბრემბში მოხვდა, ან იძულებული იქნებოდა ხმა არ ამოეღო, ან მას გიჟად ჩათვლიდნენ“.

— ნამდვილად ასეა! — წამოიძახა მან. — მე გამოვცადე მსგავსი გრძნობა. ბავშვობაში მეტისმეტად მორცხვი ვიყავი, რადგანაც ჩემში ვამჩნევდი ისეთ რამეებს, რაზედაც არასოდეს არავინ არ ლაპარაკობდა. სიტყვაძუნწობისა და ზედმეტი სიღინჯის გამო სკოლაში „მეოცნებე“ შემარქვეს.

— როდესაც ამოცანას გაძლევენ, შეგიძლიათ თუ არა შეიკავოთ თავი და არ ამოხსნათ იგი?

ეს კითხვა მას აოცებს.

— არა, — უცერად წამოიძახა მან, — რასაკვირველია არა! როგორ შემიძლია არ ამოვხსნა ამოცანა; ეს ხომ თავისთავად ხდება.

— მაშასადამე, თქვენ ვერ იმორჩილებთ თქვენს ნიჭს?

— დიახ, ვერ ვიმორჩილებ, — დაფიქრებული მეუბნება იგი. — თუმცა არ ვიცი, ამით რა იცვლება.

ვგრძნობ, რომ რალაც მეტად მნიშვნელოვანს ვუახლოვდებით.

— მაშ ასე. თქვენ არ თქვენს ნიჭს; თვით ეს ნიჭი მბრძანებლობს თქვენზე, ავიწროებს თქვენს აზრებს, ხელს გიშლით ნორმალურ მუშაობაში?

— სრულებითაც არა. იგი აბსოლუტურად არ მიშლის ხელს, პირიქით, ჩემს მაგივრად ხსნის ზოგიერთ ამოცანას. მე კი ამ დროს შემიძლია სხვა რამეზე ვიფიქრო.

— თქვენ შეგიძლიათ ერთდროულად სხვადასხვა რამეზე იფიქროთ?

— ვთქვათ, — მეუბნება იგი, — თეატრში ხართ და უყურებთ წარმოდგენას. განა ეს ხელს გიშლით იფიქროთ, მოუსმინოთ, იგრძნოთ? რასაკვირველია, არა. ყველაფერი ეს ერთდროულად ხდება და რაც უფრო მეტ საგანს აღიქვამთ, მით უფრო მძაფრად მუშაობს თქვენი ცნობიერება. მე ბევრი რამ დამაკლდებოდა ამ ნიჭის დაკარგვით. ჩემთვის ეს მხედველობის დაკარგვასავით იქნებოდა.

ახლა კი ვეცდებით შევაჯამოთ ის, რაც ვიცით საოცარ „მრიცხველებზე“.

1. ეს იშვიათი მოვლენაა. მათი რიცხვი მსოფლიოში ალბათ ათიც არ იქნება! შეიძლება მეტიც იყოს. ეს კიდევ გამოსარკვევია.

2. ეს მოვლენა ყველგან არის მოსალოდნელი. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც სქესს, არც რასას და არც გარემოს.

3. ეს ნიჭი, ჩვეულებრივ, შემკვიდრეობით არ გადადის, მაგრამ ცნობილია „მრიცხველთა“ მთელი ოჯახები. პროფ. რ. ტოკეს ცნობით, ბედერმა თავისი ნიჭი შვილებსა და შვილიშვილებსაც კი გადასცა. პერიკლეს დიამონდის და-ძმა ისეთივე უნარით იყო დაჯილდოებული, როგორითაც თვით იგი.

4. ამ მოვლენის თანდაყოლილი ხასიათი დამტკიცებული არ არის, თუმცა ამ ნიჭს გააჩნია იგივე დამახასიათე-

ბელი ნიშნები, რაც მუტაციას. კერძოდ, მას ბავშვი ძალიან ადრე ამქლავნებს, როდესაც მის ტვინს ჯერ კიდევ არ განუცდია კულტურის გავლენა. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში კულტურის გავლენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია: ეს ბავშვები ან დაბალი კულტურის მქონე ოჯახებიდან არიან, ანდა უბატრონო ბავშვებია და ა. შ. უფრო მეტიც, ხშირად ამ ნიქს თან ახლავს უღაო მუტაცია, მაგრამ სულ სხვა ხასიათისა. ინოდის თვალეზზე ოდნავი ლიბრი ჰქონდა გადაკრული. ზერა კოლბიურნს ხელეზსა და ფეხეზზე ექვს-ექვსი თითი ჰქონდა. პროლონეო უხელფეხო დაიბა და და ა. შ.

5. მეცნიერები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ „მრიცხველები“, ჩვეულებრივ, გონებრივად ჩამორჩენილები არიან, ზოგჯერ კი ისინი მათ ნიქს უბრალო სიმახინჯედ თვლიდნენ. განა შეიძლება სიმახინჯე ვუწოდოთ ჩვენს ცნობიერებაზე გაცილებით ორგანიზებულ ცნობიერებას, რამაც კაცობრიობას ეილერისა და ჰაუსისთან ადამიანები მისცა? თავისი ცხოვრების დასასრულს უსინათლო ეილერი სწორედ ამ „მახინჯი“ ნიქის წყალობით განაგრძობდა მუშაობას. ესეც რომ არ იყოს, ყველა ადამიანი — მრიცხველი ირწმუნება, რომ თუ მათ ეს ნიქი წაართვეს, ამას ისინი ყველაზე სასტიკ დასახიჩრებად ჩასთვლიან. ამან ჩვენ უნდა დავგაფიქროს.

რაც შეეხება ბევრი „მრიცხველის“ ვითომდა სუსტ გონებას, მე გავიხსენებ ერთ პატარა იგავს, რომლის აზრიც სამწუხაროა, ოღონდ არა იმათთვის, არამედ ჩვენთვის.

რვაასი ათასი წლის წინათ სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობდა მაიმუნთა ტომი, რომელთა შორის ხანდახან უცნაური ინდივიდუუმები დაიბადებოდა. წინა კიდურები მას საოცრად მოქნილი ჰქონდა. ტომის დანარჩენი წევრები ვაოცებულნი იყვნენ, როცა იგი ჯოხს აკეთებდა ან მიმქრალ ცეცხლს ღადარში

ინახავდა. „ხელები“ ფლობდა „ნიქს“. სამწუხაროდ, მას ეს ნიქი ძვირი უჯდებოდა, ვინაიდან მისი „ხელები“ მხოლოდ სასიარულოდ ძალზე სუსტი იყო. საოცარი მაიმუნი მხოლოდ უკანა კიდურებით დადიოდა. რა თქმა უნდა, თავის თემს რომ არ ჩამორჩენოდა, იგი ადიოდა ხეებზე, მაგრამ როგორ უჭირდა, როგორი უხერხული იყო ეს მისთვის!

— მას საოცარი ნიქი აქვს, — აღიარებდნენ ტომის წევრები, — მაგრამ რა სულელი და მოუქნელია!

ხანგამოშვებით ამ თემში იბადებოდა სრულიად უჩვეულო არსება, რომელსაც ორი სუსტი ხელი და ორი ფეხი ჰქონდა. ამ მახინჯს არ შეეძლო ხეებზე ასვლა და არც დაუნაწევრებელი ბგერების წარმოთქმა. მას სულელური შესახედაობა ჰქონდა და რადგანაც თავისი ტომის ენა უკვე აღარ ესმოდა, მთელ დროს მშვენიერი, ენით გამოუთქმელი ხილვებით აღსავსე ბუნდოვან ოცნებებში ატარებდა და ელოდა, მისი ტომის წევრები როდის მოილებდნენ მოწყალებას და საჭმელს მისცემდნენ.

იგი დასრულებულ იდიოტად მიიჩნდათ. ეს არსება ადამიანი იყო.

შესაძლებელია, ეს იგავი იმსახურებს იმას, რომ გაივლოს თქვენთვის მისახვედრი პარალელი. იქნებ ადამიანი-მრიცხველები, რომლებსაც ნამდვილ იდიოტებად თვლიან, შესანიშნავი „ხე-მრიცხველები“ არიან. ეს ალბათ ნამდვილად ასეა. განა მათგან ყველაზე უფრო „შეზღუდულები“ არ აწარმოებენ ყველაზე ძნელ გამოანგარიშებებს? სწორედ მათ შეუძლიათ მოგცენ პასუხი ყველაზე რთულ ამოცანებზე და ამასთან უძლურნი არიან, რაიმე ახსნან. აქამდე ჩვენ ამის მიზეზად გონებრივი შეზღუდულობა მიგვაჩნდა. იქნებ ჩვენი საკუთარი შეზღუდულობა იყოს ამაში დამნაშავე? შესაძლოა მათთვის არის გაუგებარი ჩვენი საცოდავი ტიტინი?

ე. მიშელი
ადამიანის ტვინის რეკორდები

ამით დავამთავროთ განსჯა იმ თემი-
სა, რომელსაც ჩვენ ოდნავად შევეხეთ.
დაბოლოს დროა, რომ ფსიქოლოგები
დამსახურებული ყურადღებით, მოკრ-
ძალებითა და ინტერესით მოეკიდონ ამ
უმნიშვნელოვანეს ამოცანას. აუცილებ-

ლად უნდა შეიქმნას საოცარად მწი-
მრიცხველთა შემსწავლელ მკვლევარ-
თა ვკლევითი ინსტიტუტი, სადაც სის-
ტემატური მუშაობა იწარმოებს ნორჩ
„მრიცხველებთან“.

თარგმნა ვახტანგ ულენტმა



რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მკ მდივნის — 5-08-86. განყოფილებებისა:

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-08-35, პოეზიისა და პროზის — 5-08-75.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/11-64 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 71. უე 04122. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8000.

შე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.

Типография № 4, Тбилиси, Медгородок.



სტუდენტი ქალიწვილის პორტრეტი.
მხატვარი ალექსანდრე ბაშბეუქ-მელიქოვი.



მწიფობისათვის.
მოქანდაკე რობერტ გვაზავა.

3300 60 333

ИЗДАНИЕ
2025 ГОДА

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236